

178
1968



სახვითა სამართალი

საქართველოს კვლევითი კომისიის გამომცემლობა

1968

5



საბჭოთა სამართალი

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1968 წელი

გამოცემის XV წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურორისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთანაკავშირებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

ზინაარსი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

დ. ქილარჯიშვილი — ლენინი თავრიდის სასახლეში	3
ვ. ლორია — აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის საზღვრები	13
დ. ჯომარჯიძე — სამშენებლო გაერთიანებათა და მათი საწარმოების უფლებათუნარიანობის საკითხები ახალ პირობებში	22
ვ. გეწაძე — საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის კოლიფიკაციისათვის	36

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

გ. დევდარიანი — კომლის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების საკითხისათვის	47
მ. ლეკვეიშვილი — არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიების ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ	50
დ. ვასილვეი — ახალი პირის მიმართ აღძრულ საქმეებზე საგამომძიებლო ვადების გამოთვლის შესახებ	58
ვ. უვანია — ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილის შესახებ	62

გამომძიებლის დასახმარებლად

გ. ავაქიანი — ევტოტრანსპორტის მოძრაობის სინქარის სწორი შერჩევა მოძრაობის უშიშროების საწინააღმდეგობის	67
--	----

ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისათვის


ვ. ნოდარიძე — ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში	72
---	----

მოდტხრობა

ა. ციმაკურიძე — „სული“ ტოვებს კვალს	84
---	----

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. დურმანოვი — ნაშრომი საბჭოთა სისხლის სამართლის მნიშვნელოვან პრობლემაზე	91
--	----



СОДЕРЖАНИЕ

К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ В. И. ЛЕНИНА

Д. Киларджишвили — Ленин в Таврическом	3
В. Лория — Пределы административной ответственности	13
Л. Джомарджидзе — Правосубъектность строительных объединений и их предприятий	22
В. Гецадзе — К кодификации семейного законодательства Грузинской ССР	36

ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Г. Девдариани — К вопросу возмещения убытка в связи с отобранием приусадебного участка двора	47
М. Леквешвили — О некоторых особенностях расследования дел несовершеннолетних	50
Л. Васильев — Об исчислении сроков следствия по делам, возбуждаемым судами в отношении нового лица	58
В. Жвания — Об одном неизвестном письме Ильи Чавчавадзе	62

В ПОМОЩЬ СЛЕДОВАТЕЛЮ

Г. Авакян — Правильный выбор скорости движения автотранспорта — залог безопасности движения	69
---	----

К 150-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ Н. БАРАТАШВИЛИ

В. Нодаридзе — Николоз Бараташвили — в экспедиции суда и расправы	72
---	----

РАССКАЗ

Г. Цимакуридзе — «Дух» оставляет следы	84
--	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. Дурманов — Труд о важной проблеме советского уголовного права	91
--	----

სარედაქციო კოლეგია

შეგ. № 3229
 ტირაჟი 12.700
 შგ 1 771

მ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშმაძე,
 მ. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,
 თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომაძე,
 ვ. მაიხურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 16/X-68 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XI-68 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ლენინი თურქულ სასაზღვოში

დავით ჰილარჯიანი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1.

ჩემს თვალწინ გაიბრინა ადამიანთა მთელი თაობის ცხოვრებამ, ცხოვრებამ, რომელიც მდიდარი იყო განუმეორებელი მოვლენებით, კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტებად რომ იქცა.

და არაფერია გასაოცარი იმაში, რომ ახლაც, უკვე ხანში შესულს, ამ მოვლენების ბობოქარი დინების მონაწილეს, არ ძალმიძს აუღელვებლად და უთრთოლველად გავიხსენო ის გრიგალისებური დღეები, რომლებმაც მთელი მსოფლიო შესძრა.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. ის-ის იყო ცხოვრებას ვიწყებდი. ახალგაზრდული უშუალობა და გამოუცდელი ხშირად არ იძლევა საშუალებას გაარჩიო მთავარი და ძირითადი, რაც განსაზღვრავს რევოლუციის მძაფრ განვითარებას. მაგრამ მე და ჩემს ამხანაგებს გულწრფელად გეწკუროდა თავი დაგველო რევოლუციისათვის. ამიტომ იყო, რომ პირველი დღეებიდანვე უფრო გრძობით, ვიდრე გონებით, მოვძებნეთ ჩვენი ადგილი მრისხანე ბრძოლებში, გადაჭრით და საბოლოოდ დავდექით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მხარეზე.

მკითხველს ვთხოვ, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევს, კალამს რომ მოვკიდე ხელი. ჩემს აუცილებელ მოვალეობად მიმაჩნია გავუზიარო ახალგაზრდობას ჩემი მოგონებანი, მოვუთხრო მათ იმ ბედნიერ დღეებზე, საათებსა და წუთებზე, რომლებიც წილად მხვდა, როდესაც არა მარტო შევხვდი და

გუსმენდი რევოლუციის ბელადს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, არამედ მასთან ლაპარაკის შესაძლებლობაც კი რომ მომეცა.

2.

1917 წლის გაზაფხული თბილისში უჩვეულოდ ადრე დადგა. მზიანი, ნათელი დღეები დაიჭირა. ამინდი საუკეთესოდ ეხამებოდა ჩვენი გრძობების აღტყინებას, ახალგაზრდულ შემართებას. ჩვენ სომ გიმნაზიის კედლებში შეგხვდით ცნობას თებერვლის რევოლუციის შესახებ. თუმცა პოლიტიკიდან შორს ვიდექით, მაინც ადრეთოვანებითა და ენთუზიაზმით გამოვეხმაურეთ „მარსელითოსას“ მოწოდებას, რევოლუციის ჰიმნად რომ მოგვევლინა. სწავლისთვის ვისდა ეცალა. ერთი მიტინგიდან მეორეზე მივბრძოდი, ვერთობოდი ესერებისა და წვრილბურჟუაზიული პარტიების სხვა წარმომადგენლების ლაქლაქით, რომელთა პროგრამებსაც, კაცმა მართალი რომ თქვას, სულაც არ ვიცნობდით.

ჩვენ, მე-8 კლასის გიმნაზიელები, 1917 წლის მაისში ვადაზე ადრე გამოვეიშვეს. აბიტურიენტების უმრავლესობა, უფრო ტრადიციით, ვიდრე სურვილით, ემზადებოდა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად, და ჩვენ გავიფანტეთ საუნივერსიტეტო ქალაქებში. რამდენიმე თანამემამულესთან ერთად მე მოსკოვს გავემგზავრე და მოსკოვის უნივერსიტეტში შევიტანე საბუთები, მაგრამ სწავლა ვედარ მოვახერხე — დროებითა მთავრობამ სტუდენტების ჯარში გაწვევა გამოაცხადა. სხვებთან ერთად მეც მოვხვდი პეტროგრადში — კონსტან-

ტინეს სახელობის სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელში.

იმ ხანებში დედაქალაქი ბობოქრობდა მრისხანე ამბების მოლოდინში. მიუხედავად უმკაცრესი დისციპლინისა, ჩვენს სასწავლებელამდეც აღწევდა ცნობები კარს მომდგარი ქარიშხლის შესახებ.

კლასობრივი ძალებისა და პარტიების გამიჯვნა, რომელიც მაშინ ხდებოდა, ჩვენ, იუნკრებსაც, შეგვეხო. უნდა ითქვას, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამხედრო სასწავლებლები არაპრივილეგიური წოდების ახალგაზრდებისთვისაც გახდა მისაწვდომი, სასწავლებლის უსულგულო ატმოსფეროში იჭრებოდა ახალი, დემოკრატიული აზროვნებანი.

3.

კავკასიიდან, კერძოდ თბილისიდან, სასწავლებელში რამდენიმე ახალგაზრდა იყო. მათგან სამი ქართველი ვიყავით — გიორგი ლაზარიაშვილი (ჩარბაძე), ყოფილი ტექნოლოგი-სტუდენტი, ვლადიმერ ჯიქია და მე. როგორც ერთი მიწა-წყლის შვილები, მალე დავეგობრდით. განსაკუთრებით დავუახლოვდი ჯიქიას, რომელიც ჩემთან ერთად ირიცხებოდა მე-2 ბატარეაში. ჯიქიამ შეუძინევლად, ნელ-ნელა დამაინტერესა პოლიტიკით, ხშირად მესაუბრებოდა მოვლენათა მსვლელობაზე, მაგრამ ამას აკეთებდა დიდი სიფრთხილით, რადგანაც, როგორც შემდეგში გავიგე, ჯიქია ცდილობდა გაერკვია ჩემი მსოფლმხედველობა. მაშინ მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ჩემი სახით შეხვედა პოლიტიკურად ჯერ ჩამოუყალიბებელ ახალგაზრდას. გუმანით მაინც ვხვდებოდი, რომ ჩემი მეგობარი ბოლშევიკებთან იყო დაკავშირებული.

თუ რევოლუცია გადამწყვეტი შეტაკები-

სათვის ემზადებოდა, არც კონტრრევოლუცია თვლემდა. სასწავლებლის კედლებში აღწევდა საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები პეტროგრადის გარნიზონში მომხდარი გადანაცვლების შესახებ. ჩვენს ოფიცრებთან სტუმრად მოდიოდნენ მეგობრები და საიდუმლოდ მოუთხრობდნენ რაღაც ბრძანებაზე. ქალაქს პატრულობდნენ ცხენოსანი კაზაკები. ქუჩებში დაეხეტებოდნენ იუნკერთა რაზმები. მხოლოდ ჩვენი სასწავლებელი რჩებოდა ნეიტრალური და არ გამოდიოდა დროებითი მთავრობის მხარეზე. მოწმე ვიყავი იმისა, თუ სასწავლებლის უფროსმა, გენერალმა ბუტირკინმა, როგორი კატეგორიული უარი განუცხადა ოფიცრების დელეგაციას, რომელნიც 24 ოქტომბერს ჯავშნიანი ავტომობილით შემოვიდნენ სასწავლებლის ეზოში და მოითხოვეს — გამოეყვანათ საბრძოლო მწყობრში სასწავლებლის მთელი შემადგენლობა. ვერც ხვეწნა-მუდარამ და ვერც მუქარამ ვერ შეარყია გენერლის გადაწყვეტილება¹.

ამ დღეს მე და ლაზარიაშვილი (ჩარბაძე)² სულ ვერაფერი შევიტყუეთ, გვტანჯავდა მდგომარეობის გაურკვევლობა, ხოლო ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელი ჯიქია³ არსად ჩანდა. მეტი ლოდინი შეუძლებელი იყო. 25 ოქტომბერს დილით ადრე, ცივ ღრუბლიან დღეს, გავემართეთ პეტროგრადის მხარისკენ. მოვძებნეთ მუშათა და ჯარისკაცთა რაიონული საბჭო, იქვე შევხვდით ჯიქიას და საკუთარი თვალთ ვიხილეთ, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იგი კარს მომდგარი მოვლენების განვითარებაში. სიხარულით შეხვედა იგი ჩვენს გადაწყვეტილებას — მივმხრობოდი ბოლშევიკებს. მისი რეკომენდაციით მიგვაგვლინეს წითელგვარდიელთა რაიონულ შტაბში და პირველი დავალებაც მივიღეთ, რამაც სიამაყით აგვივსო გული. ჩვენ მოგვან-

¹ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ ჯეროვნად შეაფასა გენერალ ბუტირკინის ეს მოქმედება და დატოვა იგი სასწავლებლის უფროსად. სიტყვამ მოიტანა, და აქვე უნდა ვთქვა, რომ სასწავლებლის კომისრად დანიშნულ იქნა ჩემი ამხანაგი ვ. ჯიქია, რომელიც ბოლშევიკების პარტიის წევრი აღმოჩნდა 1912 წლიდან.

² შემდეგში მ. ლაზარიაშვილი (ჩარბაძე) ინჟინერი გახდა. ბოლო დროსაც ვხვდებოდი მას.

³ ძველი ბოლშევიკი ვ. ჯიქია, რომელმაც რევოლუციას მაზიარა, აღარ არის ცოცხალი.

დეს სასწრაფოდ მოგვემზადებინა ფორმი-რების პროცესში მყოფი მუშათა რაზმები.

აუწერელია ჩვენი მაშინდელი განცდები: ეს ხომ ჩვენ ვიყავით, ახალგაზრდა მეთაურები, ბრძანება რომ მივიღეთ ჩვენი რაზმებით მივდგომოდით აჯანყების შტაბის მიერ მონიშნულ საზღვრებს.

პეტროგრადისა და ვიბორგის წითელგვარდიელთა რაზმებმა სალამოხანს დაიკავეს მთავარი შტაბის უკან, ზამთრის სასახლის პირდაპირ მდებარე ქუჩები, რომლებიც ე. წ. პოლიციის ხიდს ემიჯნებოდა. ჩვენთან ერთად პოზიციები ეკავათ ჯავშნოსან ავტომობილებს, საზენიტო ბატარეას და საველე არტილერიის რამდენიმე ქვემეს. ხოლო შემდეგ, ნევის პროსპექტის გასწვრივ, დაახლოებით ყაზანის ტაძრის კვარტალში, იდგა მძიმე ქვემეხები. ყოველივე ეს დროებითი მთავრობის მიერ ფრონტიდან გამოწვეული ქვევანაყოფები იყო, რომლებიც რევოლუციის მხარეზე გადავიდნენ.

ისინი იცავდნენ ზამთრის სასახლის მისადგომებს იმ ვარაუდით, რომ მოწინააღმდეგე შეეცდებოდა მიშველებოდა ჩვენი ჯარების მიერ ალყაში მომწყვდეულ დროებითი მთავრობის დამცველებს.

მოლოდინის ციებ-ცხელებამ შეგვიპყრო. არც ნესტიან ქარს, არც სიცივეს, არც თქორს არ ძალუძდა ჩვენი გრძნობების შეცვლა. ყველა, როგორც ერთი, ისე მიიწვედა იქითკენ, საიდანაც ხან მკაფიოდ, ხან ყრუდ მოისმოდა თოფებისა და ტყვიამფრქვევების სროლის ხმა.

ჩვენი პროექტორების კაშკაშა სხივები ხანგამოშვებით სტაცებდნენ ბნელ ცას ტყვიისფერი დრუბლების ზოლებს... თქ, რა ძნელია უმოქმედობა და გულის გადამღევი მოლოდინი, ხელებს მაგრად, მოუსვენრად ჩაუჭერიათ თოფი, თვალგაშტერებით გასცქერი ღამის წყვიდადს, ირგვლივ მკაცრი დუმილი სუფევს, არ ისმის საუბარი, ხუმრობა. წითელგვარდიელები სერიოზულნი არიან. იშვიათად გაიღვლებს პაპიროსის ცეცხლი, ერთი წამით გაანათებს შეიარაღებული მუშის მკაცრ სახეს.

ყველას, ვინც კი იქითა მხრიდან მოდის, ხარბად ვაყრით შეკითხვებს, მაგრამ სინამდვილეში რა ხდებოდა იქ, არავინ იცოდა.

დაახლოებით ღამის 11 საათზე, პეტრო-პავლოვსკის ციხე-სიმაგრის მხრიდან შემოგვესმა ხშირი საარტილერიო სროლა.

უკიდურესი ნერვიული დაძაბულობა უეცრად განმუხტა საველე სამზარეულოს ბორბლების ხრიგინა. ფაფის ჩამორიგება დაიწყო, ბევრი მუშა და ჯარისკაცი აჩქარებით შეექცევა ფაფას. მე და ჩემი ამხანაგი ლაზარიაშვილი კი მღელვარებისაგან ვერ ვჭამთ, მხოლოდ ხშირ-ხშირად პაპიროსს ვაბოლებთ.

ღამის 2 საათისათვის ჩვენს პოზიციას მოადგნენ ველონაწილის ჯარისკაცები და მოგვიტანეს სასიხარულო ცნობა — ზამთრის სასახლე აღებულა!!!

წითელგვარდიელთა რიგები შეარხია მოზღვავებული სიხარულის ნაკადმა. თითქოს უზარმაზარმა ამოსუნთქვამ გაარღვია ღამის წყვიდადი და იმ წამსვე გაისმა გამარჯვების გრიგალისებური „ვაშა!“

მხოლოდ ახლა ვიგრძენი დაღლილობა და შიმშილი.

მაგრამ ზეიმის სასიხარულო შეგრძნება არ მტოვებდა. ვიცოდი, რომ ასეთი გრძნობით შეპყრობილი იყო ყველა ჩვენგანი, ის გვანათესავენდა, გავერთებდა ურყევ ძალად, რომელსაც ყოველგვარი ზღუდეების წაღეკვა შეეძლო.

სოციალისტური რევოლუცია მოხდა!!!

4.

ჯიქიამ, მამობრივ მზრუნველობას რომ გვიწვედა მე და ლაზარიაშვილს, ორი დღის შემდეგ მოგვძებნა და გაგვაგზავნა თავრიდის სასახლეში დამფუძნებელი კრებისა და სასახლის კომისართან — მ. ს. ურიცკისთან.

ურიცკი ალერსიანად შეგვხვდა და ბრძანება გასცა დავენიშნეთ სასახლის კომენდანტის მორიგე ადიუტანტებად. იმ დროს თავრიდის სასახლეს ყარაულობდნენ რო-

გორც წითელგვარდიელები, ისე მეზღვაურები კრონშტადტიდან და ჰელსინგფორსიდან, ამასთანავე ორივე რაზმი ემორჩილებოდა კომენდანტ პრიგოროვსკის⁴. მეზღვაურთა რაზმი მეთაურობდა ბალტიელი ა. გ. ჟელეზნიაკოვი (ჟელეზნიაკი), მეტად კოლორიტული, ძლიერი და თავისებური პიროვნება. მთელი მისი გარეგნობა გამოხატავდა არაჩვეულებრივ ნებისყოფას, შეუპოვრობას და გამბანობას. ფიცხსა და თამამს უყვარდა ძლიერი და მახვილი სიტყვები. მასში ერთმანეთს ერწყმოდა მეზღვაურებისადმი მომთხოვნი უფროსი და მზრუნველი მეგობარი — ამ სახელოვანი ბალტიელი მეზღვაურის სახელი მოხსენიებულია მრავალ ისტორიულ დოკუმენტში.

კომენდანტს ხუთი ადიუტანტი ვყავდით: ყუბანელი სტრიჟაკი⁵, მუდამ ჩოხა-ახალუხში გამოწკვიბილი, მკვირცხლი კაზაკი; სიცოცხლით საესე და მახვილგონიერი უკრაინელი ბონდარენკო⁶, ჩემი თანამემამულენი — ილიკო დგებუაძე, გიორგი ლაზარიაშვილი და მე.

ჩვენ დღე-ღამის მორიგეობას ვეწეოდით და ვმეთაურობდით სასახლის დამცველი ყარაულების განაწესს.

5.

ერთ-ერთი ჩემი მორიგეობის დროს ფანჯრიდან ვუცქერდი წვიმისაგან დასველებულ ქუჩას. თავრიდის სასახლის შესასვლელს მოუახლოვდა ავტომობილი. მანქანიდან გადმოვიდა ტანდაბალი კაცი, რომელსაც განეხილი პალტო ეცვა და კეპი ეხურა. ეს იყო ლენინი.

დერეფანში გამოვვარდი. ვლადიმერ ილიას-ძეს უბრალოდ და გულითადად მიესალმა ჟელეზნიაკოვი. ლენინმა ხელი ჩა-

მართვა მას და გაემართა კაბინეტისაკენ, საიდანაც უკვე კოჭლობით მოეშურებოდა ურიცკი.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ პირველ, მოულოდნელ შეხვედრას თავდაპირველად არ გაუუკვირვებია. შესაძლოა იმიტომ, რომ იგი მოულოდნელი იყო და არ შეეგზადებულვარ მისთვის, უფრო სწორად კი იმიტომ, რომ ლენინი არაჩვეულებრივად უბრალო და ადამიანური იყო. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ლენინის ზურგს უკან კაბინეტის კარი მიიხურა, ახალგაზრდული აღტაცებით მივხვდი და განვიცაღე ეს შეხვედრა. ისევ და ისევ ვიმეორებდი გულში სიამაყით „თვით ლენინი ვნახე!“

იმ დღეს ვლადიმერ ილიას-ძე თავრიდის სასახლეში ცოტა ხანს დარჩა. შემდეგ კი ხშირად მოდიოდა, და თუ ბედნიერი შემთხვევის წყალობით ვნახავდით მას, ყოველთვის გვეუფლებოდა საზეიმო, ამაღლებული განწყობილებით.

6.

სამუდამოდ აღმებეჭდა მესხიერებაში მთელი თავისი წვრილმანებით ერთი ასეთი შემთხვევა.

თავრიდის სასახლის დერეფანში აჩქარებით მოაბიჯებდნენ ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ.

მე და დგებუაძე მივეშურებოდით კომენდანტის დავალების შესასრულებლად და წინ შემოვხვდით მათ. ფართო დერეფანში ადგილი საკმაოდ იყო. ჩვენ კი, თითქოს იატაკს შევეზარდეთ, ადგილზე გავშემდით და თვალმოუშორებლად მივშტერებოდით ჩვენსკენ მომავალთ. გავემზადეთ სამხედრო პატაკის მისაცემად. ასე გამოჭიმულებს არ

4 1918 წელს მ. პრიგოროვსკი ჩემს თანამემამულე ი. დ. დგებუაძესთან ერთად გაიგზავნა ფინეთში აჯანყებული მუშების დასახმარებლად, სადაც ის წამებით მოკლეს თეორეინელმა მანერპეინელებმა. ი. დგებუაძე კი, როგორც შემდეგ გავიგე, გმირულად დაიღუპა უკრაინაში მახნოს პოლიტბანდების წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

5 სტრიჟაკს ერთხელ კიდევ შევხვდი 20-იან წლებში უკრაინის მიწა-წყალზე, როცა სპეციალური ჯარების შემადგენლობაში მყოფი ვეომებოდი მახნოსა და ტიუტიუნის ბანდებს.

6 ადიუტანტი ბონდარენკო მალე გადაიყვანეს ჩვენგან და შემდეგ აღარ მიხახავს.

შეიძლებოდა არ მიგვეპყრო მათი ყურადღება.

სტალინი ჩვენკენ შემობრუნდა. გამოფხ-
 ხიზლდით და სწრაფად მივეციით სამხედრო
 სალამი. სტალინს სახეზე ღიმილმა გადაუ-
 რბინა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — მოუ-
 ლოდნელად წარმოთქვა მან.

ვლადიმერ ილიას-ძემ თავი მაღლა ას-
 წია, თვალები მოჭკუტა და გამჭრიახი გამო-
 ხედვით შეგვათვალიერა.

— თქვენი თანამემამულეები არიან? —
 შეეკითხა სტალინს და როცა დადებითი
 პასუხი მიიღო, ჩვენ მოგვემართა.

— საიდან მოხვდით აქ? —

მე ვუპასუხე, რომ კონსტანტინეს საარ-
 ტილერით სასწავლებლიდან ჯერ წითელ
 გვარდიამი მოვხვდით, იქიდან კი აქ.

— ახალგაზრდობა ჩვენთან მოდის, ეს
 კარგია! — წამახალისებლად თქვა ვლა-
 დიმერ ილიას-ძემ და სტალინთან ერთად
 განაგრძო გზა.

ეს საუბარი, წუთზე უფრო ნაკლებ ხანს
 რომ გაგრძელდა, დღემდე მესმის ყურებში.

7.

თოვლტყაპიან შემოდგომას თოვლიანი
 ქარბუქი მოჰყვა. ცივმა, სუსხიანმა ქარმა
 თოვლის ნამქერები მოჰყარა. მკაცრი ყინ-
 ვები დაიჭირა. ასეთი მოღუშოილი, სუსხია-
 ნი დარჩა ჩემს მესხიერებაში დამფუძნებე-
 ლი კრების გახსნის დღე.

თავრიდის სასახლეში და მის ირგვლივ
 გუშაგები იდგნენ, მათ რიგებს აძლიერებ-
 დნენ კრეისერ „აგრორადან“ და ჯაგმნო-
 სან „რესპუბლიკიდან“ წარმოვზავნილი მე-
 ზღვაურები.

წითელგვარდიელთა რაზმთან ერთად მე
 გამგზავნეს ნევის პროსპექტზე რევოლუცი-
 ური წესრიგის დასაცავად, რადგანაც დი-
 ლით უნდა შემდგარიყო კადეტების, ესერე-
 ბისა და მენშევიკების მიერ ინსპირირებუ-
 ლი დემონსტრაცია, რომლისთვისაც ისინი
 ცდილობდნენ მიეცათ საერთო-სახალხო
 ნების გამომხატველი ხასიათი ლოზუნგით:

„მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრე-
 ბას!“

ჩვენი რაზმის გარდა პროსპექტსა და მის
 მომიჯნავე ქუჩებს ყარაულობდნენ წითელ-
 გვარდიელების, მეზღვაურებისა და რევო-
 ლუციური ჯარისკაცების ჯგუფები. ასეთი
 სიფრთხილე ზედმეტი არ გამოდგა, რადგან
 არ იყო გამორიცხული არეულობის პროვო-
 ცირება. ამიტომ განსაკუთრებული სიფრ-
 თხილით ვიცავდით წესრიგს და ხელს ვუშ-
 ლიდით საეჭვო პირების თავმოყრას.

ბოლოს დემონსტრანტებიც გამოჩნდნენ.
 ორგანიზატორებმა აშკარა მარცხი განიცა-
 დეს, ხალხის მასებმა საბოტაჟი მოუწყო
 მათ. დემონსტრაცია უბადრუკ სურათს
 წარმოადგენდა: იგი შედგებოდა უპირატე-
 სად ჩინოვნიკებისა, სტუდენტებისა, კარ-
 გად ჩაცმული ქალებისა და საბჭოთა ხელი-
 სუფლების წინააღმდეგ განწყობილი სხვა
 პირებისაგან.

კოლონის თავში შეუსაბამო შთაბეჭდი-
 ლებას ტოვებდა უზარმაზარი პლაკატი.
 თოვლისაგან გადაჯაბნილი ლოზუნგი —
 „მთელი ძალაუფლება სრულიად სახალხო
 დამფუძნებელ კრებას!“

მდუმარედ, მტრულად მიაცილებდა ამ
 პროცესიას ტროტუარზე მდგომი ხალხი და
 ჯარისკაცები. არც ერთი მათგანი არ შეერ-
 თებია დემონსტრანტებს.

მიუხედავად ამისა, ესერმა რაზმელებმა,
 პროცესიას რომ მისდევდნენ, მიანიც შეას-
 რულეს თავიანთი პროვოკაციული განზრახ-
 ვა და რამდენჯერმე ესროლეს წითელგვარ-
 დიელებს და ჯარისკაცებს. მაგრამ პროვო-
 კატორები ანგარიშში მოტყუვდნენ. ესერი
 შეთქმულები გაფანტეს და განაიარაღეს.

8.

თავრიდის სასახლეში დაბრუნებისას
 შევიტყვე, რომ დამფუძნებელი კრების ბო-
 ლშევიკური ფრაქციის სხდომა მიმდინა-
 რობდა.

ურიცკის კაბინეტში თავი მოეყარათ სა-
 ხალხო კომისრებს.

სმოლნიდან მოვიდნენ ლენინი და სვერდლოვი.

დიდ სათათბირო დარბაზში დელეგატები ხმაურობდნენ. კრების გახსნისათვის დანიშნული დრო უკვე დიდი ხანია გაავიდა, მაგრამ კვორუმი არ იყო და სხდომას ვერ ხსნიდნენ.

აივნებზე თავი მოეყარათ მუშებს, ჯარისკაცებს, მეზღვაურებს. ისინიც ხმაურობდნენ, ათვალეიერებდნენ დარბაზში მსხდომთ და რეპლიკებით იყვნენ გართულნი.

როგორც იქნა, ბოლშევიკური ფრაქციის სხდომა დამთავრდა. ბოლშევიკი დეპუტატები და საბჭოთა მთავრობის წევრები შემოვიდნენ დარბაზში.

ყველა მორიგე ადიუტანტი, მათ შორის მეც, გაგვზავანეს დარბაზში წესრიგის დასამყარებლად.

მე ვზივარ აივანზე. აქედან ხელისგულივით მოჩანს ყველაფერი. ცნობისმოყვარეობით ვათვალეიერებ დეპუტატებს.

ხმაური შედარებით მიწეღდა. ბოლშევიკმა დეპუტატებმა დაიკავეს თავიანთი ადგილები. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები ლოჟებში დასხდნენ.

სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარე ი. მ. სვერდლოვი ავიდა ტრიბუნაზე, და მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება ტრიბუნის მარჯვნივ მსხდომი დეპუტატების აყალმაყალმა. იმომებდნენ რა მიღებულ წესს, ისინი მოითხოვდნენ, რომ კრება გაეხსნა მათს წარმომადგენელ უხუცეს დეპუტატს.

სვერდლოვი აუღელვებლად იდგა ტრიბუნაზე, ვიდრე დარბაზი არ მიწყნარდა, შემდეგ კი ბოლშევიკური ფრაქციის დავალებით გახსნა კრება და წინადადება მისცა დეპუტატებს შესდგომოდნენ თავმჯდომარის არჩევას.

ლენინი არც ლოჟაში ჩანდა და არც სადეპუტატო სკამზე. უცებ დავინახე იგი. ვლადიმერ ილიას-ძე ხის მოაჯირს იქით, ტრიბუნის უკან ხალიჩით დაფარულ საფეხურზე იჯდა.

კრების თავმჯდომარედ ჩერნოვი აირ-

ჩიეს. იგი ავიდა ტრიბუნაზე და დიდხანს მჭევრმეტყველებდა. ბოლშევიკი დეპუტატები ხშირად აწყვეტინებდნენ მას შეძახილებით, ზოგჯერ კი უხეში ხუმრობით. იგი იბნეოდა, სიტყვებს იმეორებდა, ერთ ადგილს ტკეპნიდა. დარბაზი ყრუდ გუგუნებდა. ზოგიერთი დაუფარავად იცინოდა.

ლენინს შეგხედე — იგი თავმუშუაგებლად ხარხარებდა.

ჩერნოვის გამოსვლის შემდეგ სვერდლოვმა წაიკითხა „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“ და წინადადება შეიტანა დამფუძნებელ კრებას მიეღო იგი. მარჯვნივ სკამებზე ისევ ხმაური ატყდა. კადეტებმა, მემარჯვენე ესერებმა და მენშევიკებმა, მთელმა მარჯვენა ბლოკმა უარი განაცხადა დეკლარაციის განხილვაზე. მაშინ ბოლშევიკმა დეპუტატებმა ლენინის მეთაურობით დატოვეს სხდომა.

მიჩუმებულ დარბაზში ბოლშევიკური ფრაქციის თავმჯდომარემ საჯაროდ წაიკითხა განცხადება: „არა გვსურს რა ერთი წუთითაც კი მივჩქმალთ ხალხის მტრების დანაშაული, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვტოვებთ დამფუძნებელ კრებას, რათა დამფუძნებელი კრების კონტრრევოლუციურ ნაწილთან დამოკიდებულების საკითხი საბოლოო გადაწყვეტისათვის გადავცეთ საბჭოთა ხელისუფლებას“.

ბოლშევიკების წასვლის შემდეგ დარბაზში სამინელი ხმაური ატყდა.

მთელ ღამეს გრძელდებოდა დავა. ორატორებს ცოტანი უსმენდნენ. აივნები დაცარიელდა, სამსახურებრივი მოვალეობის გამო დავრჩი მე წითელგვარდიელებისა და მეზღვაურების რაზმთან ერთად.

ესერულ-მენშევიკური ლაყბობა გრძელდებოდა თითქმის დილამდე... გათენებისას, დარბაზში შემოვიდა ყარაულის უფროსი ა. გ. ჟელეზნიაკოვი და მოითხოვა სხდომის შეწყვეტა, რადგანაც „ყარაული დაილალო“ და ლაყბობა შეწყდა. დეპუტატები წავიდ-წამოვიდნენ.

როგორც ცნობილია, მეორე დღეს გამო-



ქვეყნდა დერკეტი დამფუძნებელი კრების დასხოვნის შესახებ.

9.

რამდენიმე დღის შემდეგ, 1918 წლის 10 (23) იანვარს, თავრიდის სასახლის სწორედ იმ დარბაზში, სადაც ასე უსახელოდ დაასრულა თავისი არსებობა დამფუძნებელმა კრებამ, გაიხსნა სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობა. ამჯერად ახლებურად გავიაზრეთ ყოველივე, რაც მაშინ ყრილობაზე ვიხილეთ თავრიდის სასახლის კომენდანტის ახალგაზრდა ადიუტანტებმა, რომლებსაც სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით ნება გვქონდა შევსულიყავით სასახლის ყველა დარბაზში, კულუარებსა და კუთხეებში. მაგრამ მაშინაც, თვალი მოვაგვლეთ თუ არა დეპუტატების მასას, კარგად მივხვდით, რომ აქ წარმოდგენილია დიადი მშრომელი ხალხი, რომელმაც სიმწრით მოიპოვა რევოლუცია და ჩამოაგდო მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრის საძულველი უღელი.

ეს ყრილობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნათელი განსახიერებაც იყო, რადგან ყოფილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ყველა ეროვნება იყო აქ წარმოდგენილი.

დღეევატებს შორის შვეიცანიტ ყველაზე განაპირა მხარეების, მათ შორის კავკასიისა და ჩვენი მშობლიური ამიერკავკასიის წარმოგზავნილები.

მაგრამ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ყველაზე ამაღლებებელ მაგალითს წარმოადგენდა პოლონეთის, რუმინეთის, შვეციის, ნორვეგიის, შვეიცარიის, ამერიკის შვერთებულები შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის წარმომადგენლების ჩამოსვლა, რომლებმაც რუსეთის სოციალისტური რევოლუციისადმი მხარდაჭერის დემონსტრაცია მოახდინეს.

დღეევატების სარეგისტრაციო ოთახში არაერთხელ მინახავს ხალხის რჩეული შვილები, საკუთარი სიცოცხლე რომ საფრთხეში ჩაუგდიათ და მაინც ჩამოსულან ყვე-

ლაზე შორეული მხარეებიდან დათოვლილ, რევოლუციურ პეტროგრადში, ნგრევისა და შიმშილის დაუჯერებლად მძიმე პირობებში. მათი ჩაცვივნილი თვალები იმედით ინთებოდა, მიწისფერი დაღლილი სახეები ვაჟკაცურად გამოიყურებოდა.

უფროსები ადიუტანტებს აქეთ-იქით დაგვარბენინებდნენ და, როგორც იტყვიან, ქანცი გვიწყდებოდა. მაგრამ, შუალედებში მაინც ვახერხებდით სხდომათა დარბაზში შერბენასა და გამოსვლების მოსმენას. ჩვენ ხომ პირველად მოხვდით მასების შემოქმედებითი დუდილის შუაგულში, რომელთაც რევოლუცია ახალი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი.

მე მოვისმინე, როგორ მიესალმა ყრილობას პეტროგრადის მუშების სახელით მ. ი. კალინინი. გული სიხარულით აგვევსო, როდესაც ტრიბუნაზე დავინახეთ ჩვენი მეგობარი, სამსახურის მიხედვით, თავრიდის სასახლის დამცველი, მეზღვაურთა რაზმის მეთაური ა. გ. ჟღელენიაკოვი, რომელიც მიესალმა ყრილობას რევოლუციური ჯარებისა და ფლოტის სახელით.

ი. მ. სვერდლოვის საანგარიშო მოხსენება სრულიად რუსეთის ცაკის მუშაობის შესახებ და „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციის“ განხილვა ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოვისმინე.

ყრილობის მომსახურებასთან დაკავშირებით ხშირად მივმართავდით ხოლმე სრულიად რუსეთის ცაკის მდივანს — მომხიბვლელ ადამიანს — ბოლშევიკ ვარლამ ავანესოვს. ამ პროფესიონალმა რევოლუციონერმა ცხოვრების დიდი სკოლა განვლო, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, მაინც შეძლო შეენარჩუნებინა დაუმრეტელი ოპტიმიზმი, მჩქეფარე ენერჯია და სულიერი სიმატლე; ყრილობის დღეებში ძალზე დაუუახლოვდით მას.

დეკლარაციის განხილვის დროს დარბაზში ვიმყოფებოდი ავანესოვთან ერთად და გხედავდი, როგორ მძლავრი ტალღასავით

წამოდგა ადგილებიდან ათასობით დელეგატი და ხმა მისცა დეკლარაციას. მხოლოდ ესერების და მენშევიკების მცირე ჯგუფი რჩებოდნენ დემონსტრაციულად თავის ადგილებზე. მათმა საქციელმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. გაისმოდა მრისხანე წამოძახილები: „მესაბოტაჟებო!“, „კორნილოველებო!“ „გამყიდველებო!“

შენობის მარჯვენა ფლიგელში ყარაულის შეცვლისას შევნიშნე, რომ კულუარებში მყოფი დელეგატები აფუსფუსდნენ, პაპიროსის ნამწვავები გადაყარეს და სწრაფად გაემუზნენ დარბაზისაკენ. მე და წითელგვარდიელებმა დავარღვიეთ წესდება და მათ გაყვეით.

ტრიბუნაზე ვ. ი. ლენინი იდგა, იგი აკეთებდა მოხსენებას სახალხო კომისართა საბჭოს საქმიანობის შესახებ.

და ახლაც, 50 წელზე მეტი ხნის გავლის შემდეგ, არ შემიძლია მოწიწების (სწორედ მოწიწების) გარეშე მოვიგონო ეს გამოსვლა. თუმცა ყველაფერი, რაზედაც ის ლაპარაკობდა, კარგად ვერ გავიაზრე, მაგრამ მე, და ყველა იქ დამსწრე, მოგვაჯადოვა ამ ადამიანის დიდმა მომხიბვლელობამ.

მრავალი წლის შემდეგ, როცა ჟურნალ „Русский современник“-ში წავეკითხე ა. მ. გორკის სტატია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინზე, რომელიც მას დაეწერა რევოლუციის ბელადის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ხელახლა განვიცადე მაშინდელი მღელვარება, თავრიდის სასახლეში რომ ვუსმენდი ტრიბუნაზე მღვარ ლენინს. გულის სიღრმემდე ჩამწვდა მწერლის სიტყვები:

„ჩემთვის ლენინი ლევენდის გმირია, ადამიანია, რომელმაც მკერდიდან ამოიგლიჯა თავისი ცეცხლოვანი გული, რათა მისი შუქით გაენათებინა ადამიანებისათვის სამარცხვინო თანამედროვეობის ქაოსიდან, შემხუთველი, გახრწნილი „სახელმწიფოებრიობის“ დამპალი, სისხლიანი ჭაობიდან თავის დასადწვევი გზა.

მისი პორტრეტის დახატვა ძნელია; იგი

იყო უბრალო და პირდაპირი ისევე, როგორც მისი ნათქვამი“.

ნამდვილად უკეთესად ვერ იტყვი.

თავისი მოხსენებით ვლადიმერ ილიას-ძე ყრილობას გასაოცარი უბრალობით, მაგრამ არაჩვეულებრივი რწმენითა და ამასთანავე დამაჯერებლობით განუმარტავდა საბჭოთა წყობილების უპირატესობას, რომელმაც შეძლო მასების რევოლუციური ენერჯის მობილიზება და მისი წარმართვა უპირველეს ყოვლისა მშრომელთა ძალაუფლების — სოციალისტური რევოლუციის ძირითადი მონაპოვრის განმტკიცებისაკენ. დამახსოვდა ლენინის სიტყვები რუსეთის რევოლუციური გარდაქმნის საერთაშორისო მნიშვნელობასა და მისი გავლენის შესახებ მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებზე.

10.

მოხსენების დამთავრების შემდეგ წითელგვარდიელები ძლივს გამოვიყვანე დარბაზიდან და დავგზავნე პოსტებზე. მე კი გული ისევ უკან მიმიწვედა. დრო ვიხელთე თუ არა, ისევ შევირბინე დარბაზში და რამდენიმე გამოსვლას მოვუსმინე. ბოლშევიკი დეპუტატები საკადრის პასუხს აძლევდნენ ესერებსა და მენშევიკებს. განსაკუთრებით მოხვდათ მარტოვს, სუხანოვს, აბრამოვიჩს და ავილოვს, აგრეთვე „მემარცხენე“ ესერებს სელივანოვსა და რიკვინს.

როცა მეორე დღეს ლენინი გამოვიდა დასკვნითი სიტყვით, ისევ შევიპარეთ დარბაზში, თუმცა ეს შეიძლებოდა ჩაეთვალიათ „სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარ დამოკიდებულებად“.

ლენინი არაჩვეულებრივი ოსტატობით აკრიტიკებდა თავის ოპონენტებს. უბრალო და გასაგები ფორმით გადაუშალა ყრილობას პოლიტიკური უბადრუკობა და სიყალბე ამ ცრუ სოციალისტებისა, რომლებიც თავისი გამყიდველობით ცდილობდნენ რევოლუციის მსვლელობის შეჩერებას და მის შემოფარგვლას ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ჩარჩოებით.

ცნობილია, რომ ყრილობამ მოიწონა

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს პოლიტიკა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს სრული ნდობა გამოუცხადა.

13 იანვარს საღამოს კიდევ ერთი ისტორიული ამბის მოწმენი გახდით. გლახთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობამ, რომელიც სმოლნში გაიხსნა, დაადგინა შეერთებოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობას.

თავრიდის სასახლე აღფრთოვანებით შეხვდა გლახთა დელეგატებს. გაერთიანებულ ყრილობაზე მოისმინეს მოხსენება გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ.

დამახსოვდა კიდევ 15 იანვრის დღე, როცა ეროვნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი ი. ბ. სტალინი.

შემდეგ რამდენიმე დღე განიხილავდნენ ყველაზე საჭირობო საკითხს — მიწის კანონის პროექტს.

11.

ყრილობის მიმდინარეობის ერთ-ერთ დღეს ვიმორიგეობდი თავრიდის სასახლის კომენდანტურაში და ვიმყოფებოდი ადიუტანტების სამორიგეო ოთახში. მოულოდნელად გამომიძახეს ურიცკისთან. გავიქეცი, კაბინეტში შევედი და მკაფიოდ, სამხედრო წესისამებრ მოვახსენე:

— გამოვცხადდი თქვენი ბრძანებით!

აღლევებისა და აჩქარებისაგან უცებ ვერც კი შევნიშნე, ვინ იყო კაბინეტში. მაგრამ რომ მივბრუნდი, ლენინი დავინახე. საშინლად დაბნეული მივესალმე სამხედრო წესით.

ლენინი ოდნავ გვერდულად ჩამომჯდარიყო დივანზე. მის ცოცხალ თვალებს დალილობა ეტყობოდა. იგი ფიცხლად წამოდგა, მომიხლოვდა და მითხრა:

— უბის წიგნაკი სადღაც დამჩრა, შესაძლოა დამივარდა კიდევ. ძალიან მჭირდება და თვალბომოჭუტულმა ღიმილით გა-

ნაგრძო, — სხვებს იგი ძნელად თუ გამოადგება. ჩანაწერების გარჩევა შემძლია მხოლოდ მე, ისიც ყოველთვის არა, — და ისევ გაიღიმა.

ლაპარაკში ჩაერია ურიცკი და ამიხსნა:

— გლადიმერ ილიას-ძე საათობირო დარბაზში მიდიოდა, მხოლოდ ამ ოთახიდან დერეფნის გავლით. გააფრთხილეთ წითელგვარდიელები და დაიწყეთ წიგნაკის ძებნა. გასაგებია?

— დიახ, გასაგებია!

გამოვედი. რამდენიმე წამი დამჭირდა, რომ გონს მოვსულიყავი და გამერკვია, რაც მოხდა.

ეს შემთხვევა — ლენინის უბის წიგნაკის დაკარგვა და მოცემული დავალება — მეპოვნა იგი — წარმომიდგა უზარმაზარ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ. ჭაბუკური სიამაყით აღვსილი, გავვარდი დარბაზისაკენ. გზად შემაჩერა სტრიჟაკმა.

უხალისოდ მოვახსენე, რაც მოხდა. სტრიჟაკი ჩემთან ერთად წამოვიდა საყარაულოში, მეკავშირეს მეშვეობით გამოიძახა ყველა წითელგვარდიელი და მეზღვაური, რომლებიც განაწესში იყვნენ, ინსტრუქცია მისცა, სად და როგორ ეძებნათ წიგნაკი, მე კი დარბაზში გამგზავნა.

„ლენინმა მე დამავალა წიგნაკის მოძებნა, და მე, მხოლოდ მე უნდა გავაკეთო ეს“, — განუწყვეტილვ მიტრიალებდა თავში ეს აზრი. ასეთია ახალგაზრდული ეგოიზმი. მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ეს უწყინარი ეგოიზმი და აიხსნება ფარული სურვილით — ღირსეულად შეასრულო ლენინის დავალება. ამ გრძნობების მოგონებისა არა მრცხვენია. ამ საკითხში შემწყნარებლურად ვეპყრობი ჩემს სიჭაბუკეს, რადგანაც მესმის საშინელი ალტყინება, რაც წმინდა გულიდან და ამადლებული გრძნობებიდან მომდინარეობდა.


ტრიბუნასთან მივედი და ძებნა დავიწყე. შესვენება იყო. დელეგატების საუბარი, სიცილი, რეპლიკები ერწყმოდა საერთო, შეუჩერებელ გუგუნს.

და უცებ გული ამიფანცქალდა — კიბის პირველ საფეხურზე, რომლითაც ორა-

ტორები ტრიბუნაზე ადიოდნენ, მარცხნივ ხალიჩის საფენის მუქ ქობიან კიდესთან, იდო უბის წიგნაკი. როგორც კი დავინახე, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ლენინის წიგნაკი უნდა ყოფილიყო და არა სხვისი. ხელი დავტაცე ამ არაჩვეულებრივ განძს და ისარივით გაფურინდი ურიცვისაკენ.

გაუფრთხილებლად შევადე კაბინეტის კარი. ბევრი ხალხი დამხვდა. მაგრამ ვერავის ვხედავდი ლენინის გარდა. უსიტყვოდ გავუწოდე უბის წიგნაკი და გავინახე, ველოდებოდი, რას იტყოდა.

ვლადიმერ ილიას-ძე, როგორც ჩანს, კარგად მიხვდა ჩემს მდგომარეობას. გა-



მომართვა წიგნაკი, გადაშალა და ღიმილით მითხრა:

— ის არის. ძალიან კარგი. შემდეგ ხელი გამომიწოდა. მე ფრთხილად მოვუჭირე ხელი და უსაზღვროდ გახარებული გამოვგარდი კაბინეტიდან.

12.

უკანასკნელად ლენინი ახლოს ვნახე მისი გამოსვლის დროს სრულიად რუსეთის

საბჭოების III ყრილობის დასკვნით სხდომაზე 18 (31) იანვარს.

ლენინის სიტყვის შემდეგ ჯერაც არ მიმწყდარიყო ტაში, რომ სტრიჟაკმა გამოგვათრია მე და ლაზარიაშვილი დარბაზიდან და დაგვაგალა პოსტების შემოწმება.

ყრილობა მთავრდებოდა, დაცვა თავის ადგილზე უნდა ყოფილიყო.

უცებ დარბაზიდან გაისმა სიმღერის ხმა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და მძლავრად ჟღერდა.

ჩვენ ისევ შევბრუნდით დარბაზში და ადგილზე გავექვავდით.

ყველა დელეგატი და მთავრობის წევრი ფეხზე წამომდგარიყო და მთელი ხმით, მწყობრად და შთაგონებით მღეროდა „ინტერნაციონალს“.

ყელში რაღაც მომაწვა. ცრემლები მომადგა თვალებზე. მივიხედე და დავინახე, რომ სტრიჟაკს, ლაზარიაშვილს და ბევრ სხვას უცნაურად უბრწყინავთ თვალები...

ეს იყო უზარმაზარი აღმავლობის წუთები, ადამიანს თითქოს რომ მიაფრენს; აღმავლობისა, რომელსაც ბადებს ყველასთან განუყოფელი სიახლოვის გრძნობა.

ასეთ წუთებში ადამიანს აცისკროვნებს ბედნიერება და ადამიანი ისწრაფვის საგმირო საქმისაკენ, მზად არის სიცოცხლე შესწიროს მაღალ იდეებს.

ვერ შევნიშნე, როგორ შეგუერთდი მომდერლებს და ავეყვი საერთო რიტმს:

„ეს არს მედგარი ჩვენი, გამამწყვეტი ბრძოლა, ინტერნაციონალში ჰპოვებს შევბას ყველა!“

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საზღვრები

დოკ. 3. ლორია,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საზღვრების დადგენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული სამართლის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამით შესაძლებელი ხდება დროულად გამოვიყენოთ ეფექტური ზომები დარღვევის მიმართ, დაუყოვნებლივ აღვკვეთოთ ადმინისტრაციული გადაცდომა.

ეს საკითხი საბჭოთა ადმინისტრაციულ ლიტერატურაში დაუშუშავებელია, სამაგიეროდ პასუხისმგებლობის საზღვრების საკითხს საკმაოდ ვრცლად ეხებიან სხვა დარგის, განსაკუთრებით სისხლის სამართლის დარგის სპეციალისტები. რამდენადაც ყოველგვარი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრების დადგენისას მსგავსი ხერხები და მეთოდები გამოიყენება დარღვევათა საერთო თავისებურებების გამო, ამიტომ ჩვენ მოვიშველიებთ სამართლის მეცნიერების სხვა დარგებში გამოთქმულ მოსაზრებებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საზღვრების გასარკვევად.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ისევე როგორც სხვა იურიდიული პასუხისმგებლობა გულისხმობს იურიდიულ მოვალეობას პასუხი აგო, განიცადო უარყოფითი ხასიათის, იძულების ღონისძიება სამართალდარღვევისათვის. გადაცდომა არის იურიდიული ფაქტი, რომელიც იწვევს განსაზღვრულ ურთიერთობას დარღვევსა და სახელმწიფო ორგანოს შორის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ყოველთვის დაკავშირებულია ადმინისტრაციულ გადაცდომასთან. ამ დროს წარმოშობილი ურთიერთობა სწორედ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ურთიერთობაა.

მაგრამ გადაცდომის ფაქტის დადგენა რთული საქმეა და იგი არა ერთი შეფასებისა და მსჯელობის საგნად იქცევა მოკვლევის, გამოძიებისა თუ საქმის განმხილველ ორგანოში. წარმოიშვება დავა, თუ რა მომენტიდან იწყება პასუხისმგებლობა: დარღვევის ფაქტის აღიარებიდან თუ დარღვევის ჩადენის ფაქტიდან, რომელიც ჯერ გამოუკვლეველია.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასაწყისი მომენტის სადავო ხასიათი სწორედ მისი რთული ბუნებითაა გაპირობებული. ი. ს. სამოშჩენკოს აზრით „სამართლებრივი პასუხისმგებლობა წარმოიშვება სამართალდაცვითი ურთიერთობის განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე...“¹ ე. ი. მისი აზრით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, და საერთოდ პასუხისმგებლობის ყველა სახე წარმოიშვება არა უშუალოდ დარღვევის ჩადენის მომენტში, არამედ განსაზღვრული პროცესუალური მოქმედების შესრულების შემდეგ, კერძოდ საქმის გადაწყვეტისა და ზემოქმედების კონკრეტული ღონისძიების გამოტანის მომენტიდან.

ავტორები, რომლებიც ამ აზრს იზიარებენ გამოდიან იქიდან, რომ დარ-

¹ იხ. Общая теория советского права, Москва, 1966, стр. 425. см. также: Р. Д. Рахунов. Участники уголовно-процессуальной деятельности по советскому праву. М., 1961, стр. 61 — 62; П. Е. Недбайло. Советские социалистические правовые нормы, Львов, 1959, стр. 99 и др.

დღევანდელი ჩადენის მომენტიდან წარმოიშვება არა მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობანი სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახით, არამედ პროცესუალური სამართლებრივი ურთიერთობა.²

მაგრამ პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ გადაცდომასთან, არსებობენ იმდენად, რამდენადაც ადგილი აქვს ადმინისტრაციულ გადაცდომას ანუ მატერიალური სამართლებრივი ნორმის დარღვევას და შესაბამისად მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთობას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით.

როგორც სწორად შენიშნავს ა. ა. პიონტკოვსკი, პროცესუალური საქმიანობა, „რომელიც ხორციელდება საპროცესო სისხლისსამართლებრივ ურთიერთობათა ფორმაში, მიმართულია იქითკენ, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა სინამდვილეში შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა ბრალდებულის პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის“.³ ასევე უნდა ითქვას ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ურთიერთობებზეც, რომელთა მიზანია ადმინისტრაციული გადაცდომის დადგენა.

ადმინისტრაციული გადაცდომა არის იურიდიული ფაქტი, რომელიც იწვევს სრულიად ახალ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას-ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ამ ურთიერთობაში ერთი მხარეა სამართალდამრღვევი, რომელმაც გადაცდომა ჩაიდინა და რომელსაც ეკისრება ვალდებულება განიცადოს ყველა ის შედეგი, რაც მოყვება პასუხისმგებლობას ასეთი დარღვევისათვის, ხოლო მეორე მხარეა სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დაიცვას სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები გადაცდომით გამოწვეული მანერე შედეგებისაგან. რისთვისაც ღებულობს ზომებს დამრღვევის მიმართ დარღვევის შეწყვეტის მოთხოვნის ან ადმინისტრაციული სახდელის ამა თუ იმ სახის შეფარდების სახით, რომელთა მიზანაც დამრღვევის აღზრდა და გამოსწორებაა.

მაგრამ ასეთი ურთიერთობა წარმოიშვება არა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მომენტში, არამედ გადაცდომის ჩადენისთანავე, ვინაიდან იგი იურიდიული ფაქტია ადმინისტრაციული ნორმის შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის კონკრეტული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით.

და მართლაც, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური ადმინისტრაციული ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობა დამრღვევისა სახელმწიფო ორგანოსთან. სახელმწიფო ორგანოს აქ გააჩნია უფლება გამოიყენოს ადმინისტრაციული სახდელი დამრღვევისადმი, მაგრამ ვალდებულია არ აცდეს კანონის მოთხოვნებს და გამოიყენოს ადმინისტრაციული სახდელის ესა თუ ის სახე კანონის ფარგლებში. ხოლო დამრღვევი მოცემულ შემთხვევაში ვალდებულია დაემორჩილოს ადმინისტრაციული იძულების ამ კონკრეტულ ღონისძიებას, მაგრამ გააჩნია უფლება მოითხოვოს ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება მის მიერ მხოლოდ კონკრეტული გადაცდომის ჩადენისათვის და იმ ფარგლებში, რაც ვათვალისწინებულია ნორმატული აქტით.

² იხ. Н. И. Загородников. О пределах уголовной ответственности — жур. «Советское государство и право», 1967, № 7, стр. 44.

³ А. А. Пионтковский. О понятии уголовной ответственности — жур. «Советское государство и право», 1967, № 12, стр. 42.

ავტორები, რომლებიც შეუძლებლად მიიჩნევენ პასუხისმგებლობის დადგომას დარღვევის ჩადენისთანავე, მიზეზად იშველიებენ იმას, რომ არსებობს პირის არაბრალეულობის პრეზუმპცია ვიდრე არ გამოტანილა სათანადო დადგენილება მის მიერ დარღვევის ჩადენისა და ზემოქმედების ზომის გამოყენების შესახებ.

მაგალითად, ვ. გ. სმირნოვი წერს: „თუ ვინმე ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, მაშინ აღნიშნული პოზიციის შესაბამისად, იგი ცნობილ უნდა იქნეს პრალეულად დანაშაულის ჩადენაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და მის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე, ვინაიდან იგი მიჩნეულია მონაწილედ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა, რომელიც რეგულირდება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებით“⁴.

არაბრალეულობის პრეზუმპცია არსებობს ადმინისტრაციულ სამართალშიც. პირი არაბრალეულად ჩაითვლება ადმინისტრაციულ გადაცდომაში ძანამ, ვიდრე ადმინისტრაციული ორგანო არ გამოიტანს დადგენილებას ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შესახებ, მაგრამ აქედან არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ორგანო თავისი გამამტყუნებელი დადგენილებით ქმნის დამრღვევის ბრალს ჩადენილ გადაცდომაში.

თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ პირს ბრალი არ მიუძღვის გადაცდომის ჩადენაში ვიდრე ამას ადმინისტრაციული ორგანო თავის დადგენილებაში აღიარებდეს, მაშინ ჩვენ უნდა უარვყოთ გადაცდომის არსებობა. ამით ხელფეხშეკრული აღმოჩნდება მოკვლევის, აგრეთვე სხვა ის ორგანო, რომელიც გადაცდომის საქმეს აღძრავს და ჩადენილი აქტის მიმართ გამოიყენებს გადაუდებელ ზომებს. განა შეიძლება გადაცდომის საქმე შედგეს და აღიძრას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პირის მიმართ თუ მას ბრალი არ მიუძღვის გადაცდომის ჩადენაში? ეს ხომ კანონიერების უხეში დარღვევა იქნებოდა.

ამიტომ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემის ყველა ფაქტის შემთხვევაში მომკვლევე პირისათვის ნათელი უნდა იყოს ამა თუ იმ პირის მიერ გადაცდომის ჩადენის სინამდვილე და, მასასადამე, მისი ბრალიც ამ გადაცდომაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება არა აქვს აღძრას ადმინისტრაციული საქმე და პირი მისცეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში.

არაბრალეულობის პრეზუმპცია სინამდვილის გაყალბებას კი არ გულისხმობს, არამედ დამრღვევს აძლევს უფლებას დაიცვას თავისი სიმართლე და მოსთხოვოს სახელმწიფო ორგანოს დაუმტკიცოს მას ბრალი მომხდარ ადმინისტრაციულ გადაცდომაში. საკვებით სამართლიანად წერს ა. ა. პიონტკოვსკი: „არაბრალეულობის პრეზუმპცია ნიშნავს, რომ პირის რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალის დამტკიცების ტვირთი აწევს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს. მაგრამ არაბრალეულობის პრეზუმპცია არ გამორიცხავს სოციალისტური მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობის მატერიალურ საფუძველს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პროცესში“⁵.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რამდენადაც იგი დაკავშირებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობასთან, დგება არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა გადაცდომის მომენტში სახელმწიფო ორგანოსათვის ცნობილია დარღვევის ფაქტი და ამიტომ აღიძრა ადმინისტრაცი-

⁴ В. Г. Смирнов, Функции советского уголовного права, Л., 1965, стр. 157.

⁵ ა. ა. პიონტკოვსკი, დასახელებული სტატია, გვ. 44.

ული საქმე, არამედ მაშინაც, როცა იგი ჯერ კიდევ უცნობია სახელმწიფოს კონკრეტული ორგანოსათვის და ამიტომ არ არის აღძრული ადმინისტრაციული საქმე. აქ ადგილი აქვს კონკრეტულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას ადმინისტრაციული გადაცდომის თვით ფაქტის ჩადენის გამო.

არასწორი არიან ავტორები, რომლებიც თვლიან, რომ სამართლებრივი ურთიერთობა ამ შემთხვევაში არ არის კონკრეტული, რომ იგი პერსონიფიცირებული მხარეების გარეშეა. ნ. ი. ზაგოროდნიკოვი ამასთან დაკავშირებით წერს: „სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება ჩავთვალოთ რეალურად არსებულად თუ დადგენილი არ არიან, პერსონიფიცირებული არ არიან მისი კონკრეტული მონაწილეები, არ არის განსაზღვრული ამ ურთიერთობის კონკრეტული შინაარსი“.⁶

სამართლებრივი ურთიერთობის ცნობილი ორი ტიპიდან მეორისათვის დამახასიათებელია უფლებამოსილი მხარის გარკვეულობა და ვალდებული მხარის გაურკვეველობა. აქ აქტიურია უფლებამოსილი მხარე. ვალდებული მხარის აქტიურობისათვის საჭიროა იურიდიული ფაქტის მეშვეობით წარმოიშვას ახალი სამართლებრივი ურთიერთობა პირველი ტიპისა. საესებით სწორად მიუთითებენ ო. ს. იოფე და მ. დ. შარგოროდსკი, რომ სამართლებრივი ურთიერთობის „სუბიექტური შემადგენლობის კონკრეტულობა გამოიხატება არა მის მონაწილეთა რიცხვში, არამედ ზუსტ მათ განსაზღვრულობაში, როგორც არ უნდა იყოს მათი რიცხვი“⁷.

ამდენად სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებია კონკრეტული რომელიმე მხარის გარეშეც. მაგრამ სამართალდარღვევისათვის სრულებით არ არის დამახასიათებელი მხარეების გაურკვეველობა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გადაცდომის ჩადენას მოყვება, კონკრეტულია თავისი სუბიექტური შემადგენლობით, ვინაიდან განსაზღვრულია ის მხარე, რომელიც უნდა დაემორჩილოს ნორმით გათვალისწინებულ იძულების ღონისძიებას, ხოლო მეორე მხარე სახელმწიფო ორგანოს სახით ყოველთვის ვალდებულია და უფლებამოსილიც გამოიყენოს გადაცდომის აღკვეთის ყველა ზონისძიება დამრღვევის პასუხისმგებლობაში მისაცემად და შემდეგ პასუხისმგებლობის მოსახდელად.

თუ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელსაც აწესრიგებს ამკრძალავი ნორმა, ჩვენ მივიჩნევთ ზოგად, მეორე ტიპის ურთიერთობად, მას საერთოდ აზრი დაეკარგება, ვინაიდან ამკრძალველი ნორმა, ვიდრე იგი არ დარღვეულა არაფერს არ აწესრიგებს. სწორად აღნიშნავს ნ. გ. ალექსანდროვი: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ საერთო აკრძალვებთან მიმართებით ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ გვერტუალურ მოვალეობაზე, ე. ი. ისეთ მოვალეობაზე, რაც გათვალისწინებულია ისეთ ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებათა წარმოშობის შემთხვევისათვის, რომელთა არსებობისას შეიძლება დაირღვეს მოცემული აკრძალვა... სამართლის ნორმები, რომლებიც ადგენენ ამა თუ იმ მოქმედების შესრულების საერთო აკრძალვას, როგორც დავინახეთ ჯერ კიდევ არ ითვალისწინებენ სამართლებრივ ურთიერთობას“.⁸

6 ნ. ი. ზაგოროდნიკოვი, დასახლებული სტატია, გვ. 43.

7 ო. ს. იოფე, მ. დ. შარგოროდსკი. *Вопросы теории права*, М., 1961, стр. 213.

8 Н. Г. Александров, *Право и законность в период развернутого строительства коммунизма*, М., 1961, стр. 192.

როდესაც ადმინისტრაციული გადაცდომის ფაქტი უცნობია შესაბამის სახელმწიფო ორგანოსათვის, რასაკვირველია, ამით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოშვა დარღვევის ფაქტმა არ შეწყდება. დამრღვევი გრძნობს თავის ბრალს ჩადენილ გადაცდომაში, შეგნებული აქვს მისი მავნე შედეგები და ითვალისწინებს იმ იძულებას, რომელიც მან უნდა განიცადოს სახელმწიფოს მხრივ. მაგრამ თავს არიდებს მას და ფარავს თავის მოქმედებას. აქ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა კონკრეტულია: ერთის მხრივ დამრღვევი და მეორეს მხრივ სახელმწიფო ორგანო, რომლის წინაშეც უნდა წარსდგეს იგი მისი ქმედობის გამოძიებასა და შემთხვევაში და რომელთანაც იგი იმყოფება სამართლებრივ ურთიერთობაში დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობა აქ არ არის მიყვანილი ბოლომდე, იგი გრძელდება ხანდაზმულობის დადგომამდე, რომლის დადგომა (რაც ადმინისტრაციულ სამართალში 3 თვით განისაზღვრება) თავისთავად ახალი იურიდიული ფაქტია და იწვევს ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას: მოისპობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და პირი სარგებლობს ყველა იმ სიკეთით, რომელიც არაბრალეულ პირს გააჩნია.


მაგრამ ვიდრე ეს ხანდაზმულობა დადგებოდეს დამრღვევი განიცდის რა სახელმწიფოსაგან არაპირდაპირ იძულებას, იზღუდავს თავისი ნების თავისუფლებას გადაცდომის დაფარვის უზრუნველსაყოფად. ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში აქტიურია დამრღვევი, ხოლო პასიურ როლში გამოდის სახელმწიფო ორგანო, რომლისაგანაც დამრღვევი განიცდის არაპირდაპირ იძულებას. ეჭვს ვარეშეა, რომ აქაც სამართლებრივი ურთიერთობა ხასიათდება იმ საერთო ნიშნებით, რაც აუცილებელია მისი არსებობისათვის და რაზედაც ზემოთ იყო აღნიშნული.

სხვაგვარად შეუძლებელია ავსხნათ მთელი რიგი საკითხებისა, რაც პასუხისმგებლობის წარმოშობას მოყვება. მაგალითად, დევნის ხანდაზმულობის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება გულისხმობს, რომ ვადის გასვლის გამო წარმოიშვა იურიდიული ფაქტი, რომელმაც უნდა შეწყვიტოს მანამდე არსებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, მაგრამ თუ გადაცდომის ჩადენის მომენტიდან ასეთი ურთიერთობა არ არსებობდა, მაშინ როგორ შეწყდება იგი, როგორ გაუქმდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა? ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ სამართალდარღვევის ყოველი ფაქტი იწვევს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობასა და პასუხისმგებლობის დადგომას.⁹

ნ. ი. ზაგოროდნიკოვი წერს: „თუ ვაღიარებთ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წარმოიშვება დანაშაულის ჩადენის მომენტიდან, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ თანაბრად პასუხს აგებენ ან უკვე აგეს იმ პირებმაც, რომლებიც ბრალდებულის სახითაა მიცემული პასუხისმგებებაში, მაგრამ რომელთა მიმართ საქმე შემდგომში შეწყვეტილი აღმოჩნდა, და იმ პირებმაც, რომელთა მიმართაც გამოტანილია და სრულდება ან აღსრულებულია გამამტყუნებელი განაჩენი, და აგრეთვე იმ პირებმაც, რომელთაც დაარღვიეს სისხლის-

⁹ იხ. ა. ა. პონტოკოვსკი, დასახელებული სტატია, В. И. Курляндский, Уголовная ответственность и меры общественного воздействия, М., 1965, ст. 20; М. С. Строгович, Курс советского уголовного права, М., 1958, стр. 49.

¹⁰ იხ. ნ. ი. ზაგოროდნიკოვი, დასახელებული სტატია, გვ. 43.



სამართლებრივი ნორმა, მაგრამ გადაცემული არიან თავლებში ან რომელთა საქმე გადაეცა ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად¹⁰. აქ ჩამოთვლილ შემთხვევებს შესაბამისი სახესხვაობით შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის დროსაც, მაგრამ მათ ავტორისეულ შეფასებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

ნ. ი. ზაგოროდნიკოვი აღნიშნავს, რომ პირის მიმართ საქმე შეწყდა და მოეხსნა პასუხისმგებლობა და მიუხედავად ამისა თითქოს პასუხისმგებლობა კვლავ რჩება ჯერ-ერთი, თუ საქმე შეწყდა ამნისტიის ან სხვა გარემოების გამო პირი ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის მომენტში, რასაკვირველია, იმყოფებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში, ე. ი. მის მიმართ არსებობდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რაც გამოწვეული იყო გადაცდომის ჩადენის ფაქტით. მაგრამ პასუხისმგებლობა არ არის ერთხელ გადაჭრილი აქტი, იგი გრძელდება საქმის წარმოების მთელი პერიოდისა და დაკისრებული ღონისძიების აღსრულების მთელ მანძილზე. ამიტომ თუ პასუხისმგებლობის პერიოდში წარმოიშვა ახალი იურიდიული ფაქტი (ამნისტია, ხანდაზმულობა), რომელიც აუქმებს პასუხისმგებლობას ნიშნავს, რომ შეწყდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა გადაცდომასთან დაკავშირებით და წარმოიშვა ახალი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოცემულ შემთხვევაში სრულებით არ წარმოადგენს ისეთ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რომელიც ახასიათებს პირს, ვინც შეასრულა სახდელის კონკრეტული სახე. აქ ურთიერთობა „შუა გზაზეა“ გაწყვეტილი, ბოლომდე არ არის მიყვანილი (ისევე, როგორც დაუდგენელი, მაგრამ ფაქტიურად არსებული გადაცდომის დროს, რომლის მიმართ პასუხისმგებლობა შეწყდება ხანდაზმულობის შედეგად).

მეორეც, თუ საქმის შეწყვეტა დაკავშირებულია შეცდომასთან, ე. ი. ისეთ შემთხვევასთან, როდესაც სახელმწიფო ორგანომ პირი შეცდომით მისცა ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში გადაცდომისათვის, რომელიც სინამდვილეში მას არ ჩაუდენია, რაც საქმის შეწყვეტისას აღმოჩნდა, რასაკვირველია, აქ ადგილი არა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, სინამდვილეში პირი ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში არ იმყოფება. ამ შემთხვევაში წარმოიშვება ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობანი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასადგენად, მაგრამ რადგანაც ამ ურთიერთობებს მატერიალური საფუძველი არა აქვთ (არ არსებობს გადაცდომა და შესაბამისი მატერიალური ურთიერთობა), აუცილებელია შეწყდეს პროცესუალური ურთიერთობანი და არა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რომელიც იმთავითვე არ არსებობდა. მაგრამ თუ ადგილი ექნა კანონიერების დარღვევას და არაბრალეული პირი მაინც მიეცა „ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში“, აქ უკვე სულ სხვა ურთიერთობებია წარმოშობილი, რომელიც თავის მხრივ საჭიროებს იძულების ღონისძიების გამოყენებას უკანონოდ მოქმედ თანამდებობის პირის მიმართ. არაბრალეული პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემა ამ პირს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობის სუბიექტად კი არ აქცევს (ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით) არამედ ეს არის იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ურთიერთობას უკანონოდ მოქმედ თანამდებობის პირსა და სახელმწიფოს შორის. არაბრალეული პირი აქ დაზარალებული მხარეა.

რაც შეეხება საქმის გადაცემას ამხანაგური სასამართლოს განსახილველად, ეს არსებითად არ ცვლის საკითხს. ადმინისტრაციული ორგანო გადასცემს გადაცდომის საქმეს ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად მეტი საზოგადოებრივი ეფექტისა და დამრღვევის სწორი აღზრდისათვის. აქ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა არ შეწყდება, ვინაიდან პირი კი არ არის გამართლებული გადაცდომაში, არამედ მიზანშეწონილადაა მიჩნეული მისი ბრალეული ქმედობისათვის გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება. ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე აქ არის არა სახელმწიფო ორგანო, არამედ საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც გამოიყენებს ნაცვლად ადმინისტრაციული სახდელისა საზოგადოებრივ ღონისძიებას. ზემოქმედების ღონისძიების ხასიათი არ ცვლის დარღვევის ბუნებას და, მაშასადამე, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს. ადმინისტრაციული გადაცდომებისათვის, ისევე როგორც დანაშაულისათვის ზოგჯერ პირს შეიძლება შეეფარდოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, მაგრამ ამით გადაცდომა ან დანაშაული არასამართლებრივ დარღვევად როდი იქცევა. ამიტომ არასწორად მიგვაჩნია ა. ა. პიონტოვსკის მოსაზრება: „ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ საქმის გადაცემა ამხანაგური სასამართლოს განსახილველად ნიშნავს, რომ ეს ქმედობა განიხილება როგორც ანტისაზოგადოებრივი გადაცდომა და არა როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული. ამიტომ ამხანაგური სასამართლოსაგან გამართლება არ იწვევს ნასამართლობას“¹¹.

ამხანაგურ სასამართლოს გადაცემა სისხლის სამართლის საქმე, არა მართლ იმიტომ, რომ დარღვევაში არ აღმოჩნდა დანაშაულის ნიშნები. მთელ რიგ შემთხვევებში პირს ჩადენილი აქვს აშკარა სისხლისსამართლებრივი დანაშაული, მაგრამ სახალხო სასამართლო ან გამოძიების ორგანო მას მაინც ამხანაგურ სასამართლოს გადასცემს განსახილველად არა იმიტომ, რომ მან შეცვალა დანაშაულის ბუნება, არამედ გამოვიდა დასჯის მიზანშეწონილობიდან, რომ პიროვნების სწორი აღზრდისათვის მოცემულ შემთხვევაში საჭიროა სწორედ საზოგადოებრივი ზემოქმედება.

მართალია, ასეთი განხილვა ნასამართლობას არ იწვევს, მაგრამ ეს არ ცვლის ვითარებას: პიროვნება იმყოფება სამართლებრივ (სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ) ურთიერთობაში ამხანაგურ სასამართლოსთან, ვინაიდან დამრღვევის მიერ ჩადენილი ქმედობა რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტით. მაგრამ დამრღვევი აქ განიცდის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებას და ამიტომ ნასამართლობაც არ შეეფარდება.

წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია ამხანაგური სასამართლოს მიერ სახალხო სასამართლოსათვის ან ადმინისტრაციული ორგანოებისათვის საქმის უკან დაბრუნებისას სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომელიც პირთა სუბიექტური შეხედულებებითა და შეფასებით არ განისაზღვრება. ამხანაგურ სასამართლოში ნასამართლობის გაუქმება სრულებითაც არ ნიშნავს დამრღვევისათვის სამართლებრივი შედეგების ლიკვიდაციას. ამხანაგური სასამართლოების დებულების მე-20 მუხლში აღნიშნულია: „ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება ამხანაგური გაფრთხილების, საზოგადოებრივი გაკიცხვის ან საზოგადოებრივი საყვედურის გამოცხადების შესახებ მოქმედებს

11 ა. ა. პიონტოვსკი, დასახელებული სტატია. გვ. 47.



ერთი წლის განმავლობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში პირი, რომლის მიმართ გამოტანილი იყო გადაწყვეტილება, არ ჩაიდენს ახალ სამართლებრივ დარღვევას, ზემოქმედების ზომა ჩაითვლება მოხსნილად¹². ეს შეეხება მხოლოდ სამართალდარღვევის საქმეებს და არა მორალური დარღვევისას, რომელთაც აგრეთვე იხილავს ამხანაგური სასამართლო. ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომის მოუხსნელობა გამოწვეულია იმით, რომ სამართალდამრღვევი, რომლის საქმეც ამხანაგურმა სასამართლომ განიხილა, ჯერ კიდევ იმყოფება სამართლებრივ ურთიერთობაში, ვიდრე აღნიშნული ვადა არ გავიდოდეს.

ყოველივე აქედან ცხადია, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ აზრს სამართალდარღვევის საქმეებზე საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის არსებობის შესახებ. ასეთი პასუხისმგებლობა არსებობს მხოლოდ მორალური დარღვევის საქმეებზე, რომლებიც სამართლებრივ ურთიერთობებთან არაა დაკავშირებული. სამართალდარღვევის საქმეთა ამხანაგურ სასამართლოში განხილვისას შეიცვლება სახელმწიფო იძულების ზომა საზოგადოებრივით და არა სამართლებრივი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით, ვინაიდან იგი წესრიგდება სამართლის ნორმით და არა მორალური ნორმით.

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა წარმოიშვება არა დარღვევისთანავე, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც იგი ცნობილი გახდა გამოძიებისათვის¹³. მაგრამ ასეთი შეხედულება, ჩვენის აზრით, არასწორია, ვინაიდან აქედან გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა თუ არარსებობა დამოკიდებულია სუბიექტურ შეხედულებაზე, იმაზე აღძრავს თუ არა შესაბამისი ორგანო სამართალდარღვევის საქმეს.

ამრიგად, ყველა ისეთი აზრი, რომელიც უარყოფს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას დარღვევის ჩადენისთანავე, ჩვენის აზრით, არასწორია, ვინაიდან ასეთი შეხედულება ემყარება იმას, აღიარებს თუ არა სასამართლო თუ საგამომძიებლო ორგანო დარღვევის ფაქტს და შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას. ა. ა. პიონტოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი შეხედულება «ეყრდნობა ორი სხვადასხვა მოვლენის ურთიერთარევას — სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტისა და სასამართლოს მიერ მისი კონკრეტიზაციის და აქედან გამომდინარე კონკრეტულ უფლებათა და მოვალეობათა მკაცრად განსაზღვრის მომენტთან. ...მხოლოდ გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მატერიალურ ფორმებში რეალიზაცია, რეალიზაცია სასამართლოს მიერ დადგენილი კონკრეტული სახელმწიფო იძულებისა დამნაშავეის დასჯაზე და ბრალეულის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისა პასუხი ავოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის»¹⁴.

და ბოლოს, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აქვს თავისი დასასრულიც. იგი უნდა ვეძიოთ იქ, სადაც გადაცდომასთან დაკავშირებული ადმინისტ-

¹². იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1961, № 32, მუხ. 478.

¹³ А. Л. Ривлин, Об уголовно-правовых и уголовно-процессуальных отношениях — «Правоведение» 1959, № 2; И. Гальперин, Как исчислять сроки давности привлечения к уголовной ответственности, — «Сов. юстиция», 1966, № 9; Я. М. Брайнин, Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве, М., 1963.

¹⁴. იხ. ა. ა. პიონტოვსკი, დასახელებული სტატია, გვ. 42.

ტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა წყდება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იქნეს კვლავ იურიდიული ფაქტით. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პირი, რომელმაც მოიხადა ადმინისტრაციული სახდელი, ერთი წლის განმავლობაში ითვლება პასუხისმგებაში ნამყოფად. მაშასადამე, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების აღსრულების შემდეგაც პირი იმყოფება განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფო ორგანოსთან მის მიერ გადაცდომის ჩადენასთან დაკავშირებით. ეს ურთიერთობა გამოიხატება იმაში, რომ პირის უფლებები ჯერ კიდევ შეზღუდულია განსაზღვრულ ნაწილში: გადაცდომის განმეორების შემთხვევაში ეს მას დამამძიმებელ გარემოებად ჩაეთვლება. ამიტომ პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე კვლავ გრძელდება. ის გარემოება, რომ დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ სისრულეშია მოყვანილი, ჯერ კიდევ არ თამაშობს ისეთი იურიდიული ფაქტის როლს, რომელსაც შეუძლია შეწყვიტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა. დამრღვევის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება კვლავ გრძელდება და სახდელის აღსრულება არ ათავისუფლებს მას სხვა ვალდებულებებისაგან, რომელიც გადაცდომის ჩადენასთანაა დაკავშირებული. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის იურიდიული ფაქტი დადგება 1 წლის ხანდაზმულობის გავლის მომენტში ადმინისტრაციული სახდელის აღსრულებიდან. ეს ფაქტი კი პირს უკვე ათავისუფლებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ყველა ვალდებულებიდან.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება შეწყდეს არა მარტო ხანდაზმულობის გავლის გამო, არამედ სხვა გარემოების შედეგადაც (ამნისტია). კერძოდ, ამხანაგურ სასამართლოს უფლება აქვს შესაბამისი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოთხოვნით, ან თავისი ინიციატივით მოუხსნას პირს ზემოქმედების ზომის შეფარდების ხანდაზმულობა 1 წლის ვადის გასვლამდე. ასეთი უფლება ადმინისტრაციულ ორგანოებს არა აქვთ, რაც, ჩვენის აზრით, მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. ვადაზე ადრე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მოხსნა ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანია დამრღვევისათვის, რომელიც უკვე გამოსწორდა და შეიგნო თავისი საქციელის უარყოფითი ხასიათი. ამიტომ ადმინისტრაციულ ორგანოებსაც ისევე როგორც სასამართლოებს, უფლება უნდა ჰქონდეთ ვადაზე ადრე მოუხსნან გამოსწორებულ დამრღვევებს მათი ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში ყოფნის ერთწლიანი ხანდაზმულობის დარჩენილი ვადა, რაც სათანადოდ ფიქსირებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში.

სამეურნეო გაერთიანებათა და მათი სწავროების უზლებუნარიანობის საკითხები ახალ პირობებში*

ლ. ჯომარჯიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სამეურნეო რეფორმის განხორციელების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის მმართველობის ყველა რგოლის სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხებს.

მრეწველობისაგან განსხვავებით, სადაც ყველა ძირითადი დარგი გადადის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, მშენებლობის სფეროში ჯერჯერობით ხორციელდება მხოლოდ ეკონომიური ექსპერიმენტების ფართო პროგრამა. ამიტომ იმ გაერთიანებათა და საწარმოთა უფლებათა-რიანობის საკითხების განხილვას, რომლებიც ახორციელებენ ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობას მშენებლობის სფეროში, არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

სამეურნეო რეფორმის გატარება მშენებლობაში დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან, რომლებიც უპირველეს ყოვლისა გაპირობებულია სამშენებლო წარმოების სპეციფიკით. 1965—1968 წლების განმავლობაში სამშენებლო სამინისტროებმა და უწყებებმა სპეციალური ნორმატიული აქტებით დაადგინეს საწარმოს შესახებ დებულების გამოყენების თავისებურებანი მათ სისტემაში. საწარმოს შესახებ დებულების მოქმედება ვრცელდება სამშენებლო სამართლებრობა და მათთან გათანაბრებულ საწარმოებზე, ტრესტებზე (გაერთიანებებზე) კი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათ შემადგენლობაში არიან საწარმოები, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეულებს. ამასთან, ზოგიერთი ტრესტი (გაერთიანება) ერთმანეთთან ათავსებს საგეგმო-მარეგულირებელ და ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციებს. ამიტომ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებთან ერთად, რომლებიც გადაყვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე და აღჭურვილი იურიდიული პირის უფლებებით, ასრულებენ აგრეთვე საწარმოს ზოგიერთ ფუნქციას. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა შეუსაბამოება ასეთ სამშენებლო გაერთიანებათა ფაქტიურ მდგომარეობასა და მათ სამართლებრივ სტატუსს შორის.

ამიტომ გადავებია თუ რა დიდ მნიშვნელობას იძენს ახალ პირობებში მთელი სამშენებლო სისტემისა და უპირველეს ყოვლისა გაერთიანებათა და საწარმოთა სწორი სამართლებრივი რეგლამენტაცია.

* * *

სამშენებლო გაერთიანებანი თავიანთი სამართლებრივი მდგომარეობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც უშუალოდ ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციებს არ ასრულებენ. ასეთებს მიეკუთვნ-

* იბეჭდება განხილვის წესით.

ნების ტერიტორიული მთავარი სამშენებლო სამმართველოები, სამშენებლო-სამონტაჟო კომბინატები და სხვ., რომელთაც შეიძლება ფუფუნოდ „მადალი ტიპის“ გაერთიანება, რადგან მათ სისტემაში შედიან არა მარტო სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები, არამედ როგორც წესი, ტრესტები და სახლთმშენებელი კომბინატები, რომლებიც თვითონ წარმოადგენენ გაერთიანებებს.

მეორე ჯგუფის გაერთიანებანი (ტრესტები, სახლთმშენებელი კომბინატები), რომლებიც უფრო „დაბალი ტიპისაა“, უმრავლესობას წარმოადგენენ და ხშირად ერთმანეთთან ათავსებენ საწარმოსა და გეგმიური ხელმძღვანელობის ფუნქციებს. ისინი ხელმძღვანელობენ რა მათთან გაერთიანებულ საწარმოებს, წარმოადგენენ საგეგმო მარეგულირებელ ორგანოებს და ამიტომ არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მარტოდენ საწარმოები.

გაერთიანების ყველაზე გავრცელებული ფორმა მშენებლობაში არის ტრესტი, რომელიც უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მმართველობით ორგანოს. მისი განყოფილებები (საწარმო, ტექნიკური, საგეგმო, შრომისა და ხელფასის და სხვ.) მოწოდებული არიან განახორციელონ საგეგმო ხელმძღვანელობის ფუნქციები. ამავე დროს ტრესტის შემადგენლობაში არის წმინდა სამეურნეო ქვედანაყოფები: სატრანსპორტო კანტორა და სხვა საწარმოო და სამეურნეო ერთეულები. სამეურნეო ფუნქციებს ისინი ახორციელებენ როგორც ტრესტისადმი დაქვემდებარებული საწარმოების მომსახურების, ისე მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტთა წინაშე ტრესტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზით.

ტრესტის ცალკეული სამეურნეო ქვედანაყოფი შეიძლება გადაყვანილი იქნეს სამეურნეო ანგარიშზე და იურიდიული პირის უფლებებით აღიჭურვოს. მაგალითად, მრავალ ტრესტში შექმნილია საწარმო-ტექნოლოგიური დაკომპლექტების სამმართველო, რომელიც მოქმედებს სამეურნეო ანგარიშზე.

თუმცა შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ სამეურნეო ფუნქციების განხორციელებელი ყველა ქვედანაყოფი სამეურნეო ანგარიშზე იქნეს გადაყვანილი და აღიჭურვოს იურიდიული პირის სტატუსით. მაგრამ ამ დროს ტრესტი იქნებოდა წმინდა მმართველობითი ორგანო. ასეთი მდგომარეობა კი მშენებლობაში იშვიათად გვხვდება.

ხშირად ტრესტის ოპერატიულ-სამშენებლო ფუნქციების განსაზღვრული ნაწილი არ არის დაკავშირებული დამოუკიდებელი საწარმოების შექმნასთან და თვით ტრესტის მიერ სრულდება. იკრება ამისა, იმ შემთხვევაში, როცა ტრესტს ევალება თუნდაც ერთი სამეურნეო ფუნქციის შესრულება კაპიტალურ მშენებლობაში (ვენერალური სანარდო მუშაობის ხელშეკრულებით კავშირების დამყარება, ყოველთვის არის იმის საფუძველი, რომ ტრესტი განვიხილოთ როგორც საწარმო, თუმცა ის წარმოადგენს მმართველობის ორგანოსაც და საწარმოთა გაერთიანებასაც.

სამშენებლო ტრესტებს ახასიათებს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც. ისინი (სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გაერთიანებებისაგან განსხვავებით) ყოველთვის ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ. სამშენებლო ტრესტებისათვის --- ეს არის მზა ობიექტები, ხოლო სპეციალიზირებული ტრესტებისათვის --- ერთგვაროვანი სამუშაოები. აქედან გამომდინარეობს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარების ფართო შესაძლებლობანი. ეს განაპირობებს ტრესტის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების საერთო ფუნქციების ცენტრა-

ლიზაციის ეფექტურობას, ხელს უწყობს მთელი სისტემის მიწმობის ოპერატიულობას, ამცირებს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯებს. ტრესტები ცენტრალიზებული წესით ახორციელებენ ორგანიზებულ შეკრებებს და კადრების მომზადებას. ტრესტებში ცენტრალიზებული წესით ხდება ახალი ტექნიკის დანერგვა. ისინი ახდენენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემოწმებას. გარდა ამისა, ტრესტები წყვეტენ ბევრ ტექნიკურ საკითხებს, უზრუნველყოფენ მათდამი დაქვემდებარებულ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს სამუშაოთა წარმოების პროექტებით, ახორციელებენ ზედამხედველობას მშენებლობაზე და პასუხისმგებელნი არიან მისი ხარისხისათვის.

ტრესტების ამ საერთო დახასიათებიდან გამომდინარე შეიძლება გადაწყვიტოს ლიტერატურაში სადავო საკითხი მშენებლობაში საწარმოს შესახებ დებულების გამოყენების სფეროს თაობაზე.

ამ დებულების მე-10 პუნქტი ანსხვავებს გაერთიანების სამ სახეს. პირველი, ეს არის გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო ერთეულები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს (ამ შემთხვევაში გაერთიანება მოქმედებს როგორც საწარმო); მეორე, რომელსაც ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები (სამეურნეო ანგარიშზე), მოქმედებს მათ მიმართ როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო; მესამე, რომლის შემადგენლობაში შედიან საწარმოო ერთეულები, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს, და რომელსაც ამასთან ერთად ემორჩილებიან დამოუკიდებელი საწარმოები, განახორციელებს პირველთა მიმართ და უშუალოდ თავისი საწარმოო საქმიანობის მიმართ — საწარმოს უფლება-მოვალეობას, ხოლო მისდამი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოების მიმართ მოქმედებს როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო.

პირველი სახის გაერთიანება იანისილება როგორც საწარმო, რომელზეც დებულება ვრცელდება. მეორე სახის გაერთიანება — როგორც მმართველობის ორგანო, რომელზეც არ ვრცელდება დებულება. მესამე სახის გაერთიანება — რომელზეც დებულება ვრცელდება იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს საწარმოს. საწარმოს შესახებ დებულების ამ ფორმულამ დისკუსია გამოიწვია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საწარმოებს, რომლებიც შედიან ტრესტში (აგრეთვე სხვა სახის გაერთიანებაში) თუ ისინი გადაყვანილი არიან სამეურნეო ანგარიშზე, იგაჩნიათ საწარმოს ყველა ის ნიშანი, რომელიც გათვალისწინებულია დებულების მე-2 პუნქტით. ისინი არ კარგავენ საწარმოს სახეს იმის გამო, რომ ასრულებენ სამუშაოთა ნაწილს და არა მთელ კომპლექსს. ამიტომ მათ მიმართ უნდა იგავრცელდეს დებულების მოქმედება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტრესტისადმი დაქვემდებარებული ყველა სამშენებლო საწარმო იქნება სამეურნეო ანგარიშზე, ტრესტს, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მაინც დარჩება შესასრულებელი სამეურნეო ოპერატიული ფუნქციები. მათ შესასრულებლად უნდა ჰქონდეთ საკუთარი ქონებრივი ფონდები (ძირითადი საშუალებები, საბრუნავი საშუალებები და სხვ.). სამეურნეო-ოპერატიული ფუნქციების ეფექტურად შესრულებისათვის ტრესტს უნდა ჰქონდეს წამახალისებელი ფონდების შექმნისა და ხარჯვის უფლება¹. მაგრამ ასეთი შესაძლებლობა შეიძლება მას შეეჭ-

1. ტრესტებში ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნას მხარს უჭერენ პრაქტიკული მუშაკები. იხ. „Экономическая газета“ 1947, № 40, стр. 33.

მნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მის მიერ განხორციელებული ოპერატიული-სამეურნეო ფუნქციების ფარგლებში ცნობილ იქნება როგორც საწარმო და თუ მის მიმართ ამ ნაწილში გავრცელდება დებულება საწარმოს შესახებ.

ამგვარად, კაპიტალური მშენებლობის სფეროში დებულება საწარმოს შესახებ გავრცელებულ უნდა იქნეს როგორც თითოეულ გაერთიანებულ სამეურნეო საწარმოზე, ისე თვით სამშენებლო თუ სპეციალიზირებულ ტრესტების ტიპის გაერთიანებაზეც. ამიტომ არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს ის, რომ სამშენებლო სამინისტროებმა დებულება საწარმოს შესახებ გავრცელეს მხოლოდ ქვედა რგოლებზე (სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, სამშენებლო სამმართველო და ა. შ.) და ტრესტებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს და არ გავრცელეს ისეთ ტრესტებზე, რომელთა შემადგენლობაში შედის დამოუკიდებელი საწარმოები.

მიზანშეწონილია დებულება საწარმოს შესახებ გავრცელდეს ისეთი ტრესტების მიმართაც, რომლებიც აერთიანებენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებს.

მაგრამ ხომ არ ეწინააღმდეგება ასეთი დასკვნა საწარმოს შესახებ დებულების მე-10 პუნქტს?

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ამ პუნქტს აკლია ის, რომ იგი არ გამოყოფს ისეთ გაერთიანებებს, რომლებიც თუმცა შესდგებიან მთლიანად სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებისაგან, მაგრამ თვითონაც ასრულებენ სამეურნეო ფუნქციებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე და ამ ფუნქციების ფარგლებში გამოდიან, როგორც საწარმოები².

ასეთ გაერთიანებათა გამოყოფა საწარმოს შესახებ დებულების მე-10 პუნქტებში, ჩვენის აზრით, არ იყო საუციოებელი. ამ პუნქტის ამოცანაა გამოავლინოს გაერთიანებათა ყველა შესაძლო ვარიანტები მათი ურთიერთობის თვალსაზრისით დაქვემდებარებული საწარმოებისადმი. მხოლოდ ასეთი ვარიანტი სამია: გაერთიანება ან მმართველობას უწევს საწარმოებს, ან თვითონ არიან საწარმო ან კიდევ გამოდის როგორც გაერთიანება და როგორც საწარმო.

როცა საქმე ეხება თვით გაერთიანების მიერ შესრულებულ სამეურნეო ფუნქციებს, აქ გამოხატულებას პოულობს გაერთიანების მხოლოდ საკუთარი საქმიანობა. იგი წარმოადგენს მმართველობის ორგანოს, მაგრამ თავისი საქმიანობის სხვა ნაწილში თვითონ (და არა გაერთიანებული საწარმოების სახით) გამოდის როგორც საწარმო. მისი საქმიანობის ეს ნაწილი ასახვას პოულობს საწარმოს შესახებ დებულების არა მე-10, არამედ მე-2 პუნქტში. ვინაიდან მისი საქმიანობის ეს ნაწილი პასუხობს დამოუკიდებელი საწარმოს ყველა ნიშნებს, რომლებიც იკავებს წინინებულია მე-2 პუნქტით, გაერთიანების მიმართ უნდა გავრცელდეს დებულების მოქმედება. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც მისი, როგორც მმართველობის ორგანოს ურთიერთობა დაქვემდებარებულ საწარმოებ-

² იხ. დ. მ. გენკინის გამოსვლა საბჭოთა კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო კვლევათა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო სამეურნეო მმართველობის ახალი სისტემის სამართლებრივი პრობლემებისადმი („Ученые записки“ „ВНИИСЗ“ вып. 7, 1966 г. стр. 19—20), აგრეთვე ვ. ვ. ლაპტევის მოხსენების თეზისები საუწყებთაშორისი ეკონომიურ-სამართლებრივ სამეცნიერო კონფერენციაზე ქ. დონეცკში,

თან, შეფასებულ უნდა იქნეს მე-10 პუნქტის საფუძველზე. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ არ არის აუცილებელი შეიცვალოს დებულების მე-10 პუნქტი. საჭიროა მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში მისი გამოყენება შესამებული იქნეს მე-2 პუნქტთან.

ასეთი იურიდიული ცვალიფიკაციის დროს არ იქნება დაბრკოლება იმისათვის, რომ სამშენებლო სამინისტროებს შეეძლოთ მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით საწარმოს შესახებ დებულების იგვერდობა ტრესტების, აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების და სხვა მათთან გათანაბრებული ქვედანაყოფების მიმართ.

მაგრამ არასწორი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ ასეთი დასკვნის დროს ტრესტი მიიღებს მისდამი დაქვემდებარებული სამეურნეო ანგარიშის მქონე საწარმოების საქმიანობაში განუსაზღვრელად ჩარევის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი იმას, რომ ტრესტს ჩვენ ვიხილავთ როგორც საწარმოს, მხოლოდ იმ ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციების ფარგლებში, რომლებსაც იგი თვით ახორციელებს.

* * *

სამშენებლო საწარმოთა გაერთიანების მეორე ფორმას, რომელმაც უკანასკნელ წლებში ფართო გავრცელება პპოვა, წარმოადგენს სახლთმშენებელი კომბინატი³. ეს ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა, რომელიც სრულად პასუხობს ინდივიდუალური სახლთმშენებლობის პირობებს.

ტიპობრივი წესდების თანახმად სმკ ასრულებს მშენებლობასთან დაკავშირებულ ძირითად სამუშაოებს. ამასთან იგი ებმება აგრეთვე კოპერირებულ ურთიერთობებში დამოუკიდებელ ორგანიზაციებსა და საწარმოებთან, მაგალითად, მასალის მიწოდების, მომსახურების გაწევის, სპეციალიზირებულ სამუშაოთა წარმოების თაობაზე. იგარდა ამისა იგი ასრულებს ზოგიერთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ფუნქციებს (ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, სამუშაოთა პროექტების გაუმჯობესება, მოწყობილობისა და ტექნოლოგიის სრულყოფა და სხვ.).

ნარდად მუშაობის ხელშეკრულებას შემკვეთი დებს საერთო-სამშენებლო ორგანიზაციებთან, რომელიც აწარმოებს ძირითადად ტერიტორიის მომზადებასთან დაკავშირებულ საინჟინრო სამუშაოებს. სმკ უმრავლეს შემთხვევებში გამოდის ქვემენარდედ.

თუმცა მოქმედი ორგანიზაციულ-ტექნიკური რეკომენდაციის თანახმად სმკ იწოდება სპეციალიზებულ ორგანიზაციად, მაგრამ პრაქტიკა იგვიჩვენებს, რომ იმეამად იგი ასრულებს სამშენებლო მოედანზე ყველა ძირითად სამუშაოებს, მთელ რიგ სპეციალურ სამუშაოებს და ამ გაგებით წარმოადგენს უფრო მეტად კომპლექსურ, ვიდრე სპეციალიზებულ ორგანიზაციას, მაგრამ სამშენებლო ტრესტებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოდიან იგენერალური მენარდეების სახით, სმკ — ქვემენარდე ორგანიზაცია არ იმყოფება უშუალო კონტაქტში შემკვეთთან, რაც იწვევს მთელ რიგ ნაკლოვანებებს მის მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში სამართლიანად იყო მითითებული, რომ ამ ნაკლოვანებების დაძლევა შეიძლებოდა, თუ სმკ გახდება გენერალური

3 შემდეგში შემოკლებით სმკ.

მენარდე, ხოლო ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც მასთან თანამშრომლობენ — მისი ქვემენარდეები⁴.

„ლენინგრადის ტიპის“ სმკ შექმნისას, მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოები ხდებიან სმკ-ს შინაგან ქვედანაყოფებად. „ლენინგრადის ტიპის“ სმკ-ს ტიპობრივი წესდება ითვალისწინებს, რომ მასში შემავალი საწარმოები კარგავენ დამოუკიდებელი საწარმოების ხასიათს. ასეთ კომბინატში გაერთიანებულია საწარმოთა ყველა სახეები, რომლებიც აუცილებელია შენობის მიწისზედა ნაწილის ასაშენებლად. მაგრამ ლენინგრადში შემუშავებულ სისტემას გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებანი, რადგანაც იგი კვეცავს სამეურნეო ანგარიშის გამოყენების პრინციპს გაერთიანებულ საწარმოებში გადააქვს რა იგი მთლიანად კომბინატზე. ეს რაციონალური იქნებოდა წვრილი საწარმოების მიმართ. მაგრამ საგნებით უმართებულოა მსხვილი საწარმოების მიმართ.

ეს ნაკლოვანებანი გამოსწორებულია „მოსკოვის ტიპის“ სმკ-ს მიერ. მართალია, მისი სანიმუშო წესდება ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, და ამდენად ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე. მოსკოვში, სახლთმშენებელი კომბინატები ახორციელებენ რა იგივე ფუნქციებს, რასაც „ლენინგრადის ტიპის“ კომბინატები, შემდეგნაირადაა ორგანიზებული: მის შემადგენლობაში შედის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც წარმოადგენს კომბინატის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. ამასთან დაკომპლექტების სამმართველო გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე და გააჩნია იურიდიული ბირის სტატუსი. დამოუკიდებელ საწარმოებს წარმოადგენენ აგრეთვე სპეციალიზებული ქარხნები ან წარმოებები და სპეციალიზებული ან კომპლექსური სამონტაჟო სამმართველოები. ასეთ საწარმოებს შიგნით არსებობს შინაგანი ქვედანაყოფები (მაგალითად, ნაკადები სამონტაჟო სამმართველოებში), რომლებიც იმყოფებიან საამქროების ან უბნების სამართლებრივ მდგომარეობაში. ძირითადი დადებითი მხარე „მოსკოვის ტიპის“ სახლთმშენებელი კომბინატისა იმაში მდგომარეობს, რომ სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება კომბინატი მთლიანად და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებიც. მაგრამ ასეთი ტიპის კომბინატი მისაღებია მხოლოდ ისეთ მსხვილ საწარმოთა გაერთიანების დროს, რომელთაც შეუძლიათ გამოვიდნენ როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულები.

პრაქტიკაში დამკვიდრდა აგრეთვე „შერეული ტიპის“ სახლთმშენებელი კომბინატები. მისი წესდებაც ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის. მაგრამ ასეთი კომბინატები უკვე მოქმედებენ ხარკოვში, ტამკენტსა და სხვა ქალაქებში. „შერეული ტიპის“ კომბინატებში ყველა სამრეწველო საწარმო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო საწარმო აღირიცხება კომბინატის საერთო ბალანსში და იმყოფება შინაგან სამეურნეო ანგარიშზე.

ამგვარად, შეიძლება გვაკეთოთ დასკვნა: მიზანშეწონილია წვრილი საწარმოების გაერთიანების დროს გამოყენებულ იქნეს „ლენინგრადის ტიპის“

⁴ «Советская юстиция» 1964 г., № 19, стр. 11. С. А. Верб, «Система генерального подряда в капитальном строительстве по советскому гражданскому праву», Автореферат кандидатской диссертации, Свердловск, 1964 г., стр. 12; «Договоры в социалистическом хозяйстве», Юриздат, 1964 г., стр. 237; Ю. Г. Басин, Правовые формы деятельности домостроительных комбинатов («Советское государство и право», 1966 г., № 8, стр. 46.)

სახლთმშენებელი კომბინატის ფორმა; თუ კომბინატში ერთიანდება წვრილი და მსხვილი საწარმოები — უნდა შეიქმნას „შერეული ტიპის“ კომბინატი. ზოლო რაც შეეხება „მოსკოვის ტიპის“ კომბინატს, იგი იჯამოყენებულ უნდა იქნეს მსხვილ, როგორც სამშენებლო-სამონტაჟო, ისე სამრეწველო საწარმოების გაერთიანებისას. მაგრამ სახლთმშენებელი კომბინატის ამათუიმ ფორმის არჩევა არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ამ მოსაზრებებს. მის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმებზე ვადაწყვეტ როლს ასრულებენ კონკრეტული ეკონომიური, ტექნოლოგიური და სხვა პირები.

„ლენინგრადის ტიპის“ კომბინატში გაერთიანებული საწარმოები კარგავენ სამოქალაქო-სამართლებრივ დამოუკიდებლობას, ხოლო კომბინატი მთლიანად წარმოადგენს ერთიან საწარმოს. ამიტომ მის მიმართ უნდა გავრცელდეს საწარმოს შესახებ დებულების მე-2 პუნქტი. „შერეული ტიპის“ კომბინატი ზღვება ერთ-ერთ იმ სახეში, რომელიც იჯამოყენებულია მე-10 პუნქტით, რადგან მის შემადგენლობაში შედიან საწარმო ერთეულები, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს და რომელსაც ამასთან ერთად ემორჩილებიან დამოუკიდებელი საწარმოები, იჯანხორციელებს პირველთა მიმართ და უშუალოდ თავისი საწარმოო საქმიანობის მიმართ — საწარმოს უფლება-მოვალეობას, ხოლო მისდამი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოების მიმართ მოქმედებს როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო. მასსადაამე, „შერეული ტიპის“ კომბინატზე ცრცელდება დებულება საწარმოს შესახებ. რაც შეეხება „მოსკოვის ტიპის“ კომბინატს, რადგან ყველა მისი საწარმო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, ამდენად იგი ამ საწარმოების მიმართ გამოდის როგორც მმართველობის ორგანო, ამასთან ასეთი კომბინატი ასრულებს აგრეთვე სამეურნეო-ოპერატიულ ფუნქციებსაც, ამიტომ მის მიმართაც უნდა გავრცელდეს საწარმოს შესახებ დებულების მე-2 პუნქტის მოთხოვნები. ამგვარად, ჩვენ მივდივართ იგივე დასკვნამდე, რაც ვაკეთდა სამშენებლო ტრესტების მიმართ, რომელთა ყველა საწარმო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე.

მშენებლობაში არსებულ გაერთიანებათა სახეების განხილვა და მათი ფუნქციების დახასიათება საშუალებას იჯვობლებს ვადაწყვიტოთ მათი სამოქალაქო სამართლებრივი უფლებათუნარიანობის ფარგლები. ნათელია, რომ შინაგანი სამართლებრივი ორგანიზაციის სხვადასხვაობის იჯამო, არ შეიძლება საკითხის ერთიანად ვადაწყვეტა სხვადასხვა გაერთიანებების მიმართ. მმართველობის ტიპის გაერთიანებაში, სადაც ყველა დაქვემდებარებული საწარმო წარმოადგენს იურიდიულ პირს, თვითონ გაერთიანება, როგორც ასეთი არ სარგებლობს სამოქალაქო სამართლის სუბიექტის უფლებით. ასეთი გაერთიანება კი, რომელშიც საწარმოები იმყოფებიან შინაგან სამეურნეო ანგარიშზე, პირიქით, მთლიანად იძენს სამოქალაქო უფლებათუნარიანობას. შერეული ტიპის გაერთიანება კი, აგრეთვე ისეთი, რომელშიც, გაერთიანებული ყველა საწარმო აღკუთრვილია იურიდიული პირის უფლებათუნარიანობით, როცა თვით გაერთიანებანი ასრულებენ სამეურნეო-ოპერატიულ ფუნქციებს, მათი სამოქალაქო სამართლებრივი უფლებათუნარიანობა შემოფარგლულია შესრულებული ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციებით.

მდგომარეობა იცვლება მაშინ, როცა ტრესტები გამოდიან გენერალური მენარდების სახით მთელ სამშენებლო სამუშაოთა შესრულებისას. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის შესაბამისად ტრესტს შე-

უძლია თავისი სახელშეკრულებო ფუნქციები სხვა პირებს გადასცეს. ამის ერთ-ერთ საფუძვლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს გაერთიანებაში შემავალი საწარმოების ადმინისტრაციული დაქვემდებარება გაერთიანების, როგორც სახელშეკრულებო კონტრაგენტისადმი. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ტრესტების საბოჭალაქო უფლებაუნარიანობა არ შემოიფარგლება იმ სამეურნეო-ობერატიულ ფუნქციებით, რომლებსაც ისინი უშუალოდ ახორციელებენ.

იმის გამო, რომ შერეული ტიპის ტრესტებში, რომლებშიც გაერთიანებული საწარმოები არიან იურიდიული პირები და საბოჭალაქო უფლებაუნარიანობა გააჩნიათ, როგორც ტრესტებს ისე მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, გაერთიანების ცალკეულ რგოლებს შორის ურთიერთობა ემყარება ეკვივალენტურ-ანაზღაურებით საწყისებს. პრაქტიკაში ასეთი ურთიერთობანი არ ფორმდება ხელშეკრულებით, რაც ასუსტებს სამეურნეო ანგარიშს. ტრესტის შიდაურთიერთობის სახელშეკრულებო წესით გაფორმების აუცილებლობა გამომდინარეობს აგრეთვე ისარ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებიდან „დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის“⁵.

* * *

ვანვიხილათ გაერთიანებათა და მათ შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა. ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა გამოვლინდება ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობით, რომლისთვისაც დამახასიათებელია უფლებრივი დაქვემდებარებულობა⁶. ამიტომ ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ხელისუფლების ან მმართველობის ორგანო ან დაქვემდებარებული ორგანო.

ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა გააჩნიათ გაერთიანებას მთლიანად და აგრეთვე მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებს. გაერთიანებათა და მათ შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობის ფარგლები განისაზღვრება როგორც ზემდგომი საგვემო-მარეგულირებელი ორგანოების ისე მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების უფლებაუნარიანობა. ებმებიან რა ზემდგომ საგვემო-მარეგულირებელ ორგანოების ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში, გაერთიანებანი ყოველთვის გამოდიან ადმინისტრაციული სამართლის ერთიან სუბიექტად. გაერთიანებათა შემადგენლობაში შემავალი საწარმოების ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა შთაინთქმება გაერთიანებათა უფლებაუნარიანობით. ასეთი საწარმოები, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში ზემდგომ ორგანოებთან.

ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობა აღმოცენდება აგრეთვე

⁵ СП СССР, 1967 г., № 26, ст. 136.

⁶ ეს დებულება აღიარებულია მეცნიერ ადმინისტრატორთა უმრავლესობის მიერ. საწინააღმდეგო შეხედულება გამოთქვა, გ. თ. ბეტროვა, რომელიც ისეთ ურთიერთობათა გვერდით, რომელშიც ერთი მონაწილეთაგანი ექვემდებარება მეორეს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევს აგრეთვე ისეთ „ურთიერთობებს, რომლებშიც მონაწილენი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ქვემდებარებით“ (იხ. Сущность советского административного права, Л., 1957 г., стр. 19—20).

თვით გაერთიანების შიგნით. ზემოთ აღინიშნა, რომ სამშენებლო საწარმოები უპრაგლეს შემთხვევებში იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე და ეს გავლენას ახდენს მათ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. გაერთიანება ადგენს სამშენებლო საწარმოს საგვეგმო დავალებას, მაგრამ მისი ცუდი მუშაობისათვის ქონებრივ პასუხისმგებლობას არ კისრულობს. თუ ნარდად მუშაობის ხელშეკრულება დადებულია ტრესტის მიერ, ხოლო სამშენებლო საწარმო ასრულებს ქვემენარდის როლს, მაშინ ტრესტს შეუძლია გადააკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა სამშენებლო საწარმოს ქვემენარდეს ცუდი მუშაობის გამო. ტრესტი, როგორც გენერალური მენარდე, და მისი საწარმოები, როგორც ქვემენარდეები ერთმანეთთან იმყოფებიან არა სამოქალაქო სამართლებრივ, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში. მაგრამ ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველყოფა ხდება ქონებრივი პასუხისმგებლობით. სწორედ ამაში ჩანს საწარმოს სრული სამეურნეო ანგარიშის გავლენა მის ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობაზე ტრესტთან და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სხვა სამშენებლო გაერთიანებებთან.

შესაძლებელია, ტრესტის ბრალით დამდგარი მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისროს სამშენებლო საწარმოს. აქ წარმოიშობა სხვა პრობლემა — ზენდგომი ორგანოების პასუხისმგებლობის პრობლემა ქვემდგომი ორგანოების წინაშე. აქ უნდა განვასხვავოთ ორი შესაძლებელი შემთხვევა. პირველი ეხება სამშენებლო საწარმოს სახელშეკრულებო ურთიერთობებს შემკვეთთან, ხოლო მეორე — საგვეგმო ურთიერთობას საწარმოსა და გაერთიანებას შორის, რომელსაც იგი ექვემდებარება.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში გენერალურ მენარდედ გამოდის ტრესტი, ხოლო საწარმოები — ქვემენარდეებად. ამიტომ შემკვეთები სარჩელს წარუდგენენ ტრესტებს და არა ქვემენარდეებს. ტრესტი აუნაზღაურებს შემკვეთს ზარალს თავისი საწარმოს — ქვემენარდის ანგარიშზე. მაგრამ თუ საწარმო დაამტკიცებს, რომ შემკვეთს ზარალი მიადგა ტრესტის ბრალით, მაშინ ტრესტს არა აქვს უფლება ამ ზარალის ანაზღაურება საწარმოს დააკისროს. შესაძლებელია სხვა სახის დავებიც. მაგალითად, შემკვეთი არ უხდის ტრესტს ამ სამუშაოების ფასს, რომელიც ქვემენარდემ შეასრულა, და ტრესტიც არ ურიცხავს ფულს ქვემენარდეს. თუ შესრულებული სამუშაოების უხარისხობაში დამნაშავეა ქვემენარდე, მაშინ ტრესტისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება შეიძენს სამოქალაქო სამართლებრივ ხასიათს. არ არის გამორიცხული აგრეთვე ისიც, რომ ქვემენარდის მიერ შესრულებული სამუშაოთა დეფექტურობა გამოწვეულია ტრესტის არასწორი მითითებით. მაშინ მიუხედავად სახელშეკრულებო ურთიერთობათა არსებობისა, ქვემენარდის მიერ გამოწვეული ზიანი, დაკავშირებული ტრესტის საგვეგმო საქმიანობასთან ისეთსავე ხასიათს ატარებს, როგორც საგვეგმო-მარეგულირებელი ორგანოების არასწორი მითითებების შესრულებისას. ამიტომ ასეთ შემთხვევებში წარმოიშობა საგვეგმო-მარეგულირებელი ორგანოების ქონებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების წინაშე.

ლიტერატურაში ამჟამად აღიარებულია, რომ მმართველობის ზემდგომი ორგანოები ვალდებული არიან იკისრონ ქონებრივი პასუხისმგებლობა ქვემდგომი ორგანოების წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მათი არასწორი მოქმედებით. ჩვენც ვიზიარებთ ამ შესწავლას. ასეთი პასუხის-

მგებლობა უნდა დადგეს ყველა აუცილებელი პირობების არსებობისას. სახეზე უნდა იყოს არა მარტო მმართველობის ზემდგომი ორგანოების არასწორი მოქმედება, არამედ ასეთი მოქმედება უნდა იყოს ბრალეული. თუ საგეგმო აქტა არასწორია საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაშინ უნდა დადგეს დაზარალებული საწარმოსათვის დაზარების გაწვევის საკითხი, ხოლო პასუხისმგებლობა კი უნდა წარმოიშვას მხოლოდ ბრალის არსებობის დროს.

მაგრამ მმართველობის ორგანოთა პასუხისმგებლობის პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია იმ საკითხთან, თუ რომელი ქონების ანგარიშზე უნდა დადგეს იგი. ამის გადაწყვეტა უფრო რთულია იმ საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოების მიმართ, რომლებიც არ ეწევიან უშუალო სამეურნეო საქმიანობას და არ იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე. იმათ მიმართ, რომლებიც უშუალო სამეურნეო საქმიანობას ეწევიან და იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე, მისი გადაწყვეტა არ არის დაკავშირებული ბევრ სირთულესთან.

ტრესტი არის საგეგმო-მარეგულირებელი ორგანო მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ ის ასრულებს აგრეთვე მთელ რიგ სამეურნეო-ოპერატიულ ფუნქციებსაც, რომელთა შესრულების დროსაც რჩება მოგება. იმყოფება რა სამეურნეო ანგარიშზე ტრესტს გააჩნია ქონებრივი ფონდები, როგორც მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგები. ამ ფონდების ანგარიშზე უნდა დაიფაროს ის ზარალი, რომელიც მიადგა ტრესტის არასწორი, ბრალეული მოქმედებით მის საწარმოს. ასეთი პასუხისმგებლობა ატარებს ქონებრივ ხასიათს. იგი მიზნად ისახავს მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და ამიტომ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ სანქციას. მაგრამ ტრესტი და დაქვემდებარებული საწარმოები არ იმყოფებიან სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, ისინი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი მდგომარეობა, როცა ტრესტი ქვესანარდო ხელშეკრულებაში იმყოფება თავის საწარმოებთან. მაგრამ ამ შემთხვევაში ტრესტი წარმოადგენს საწარმოს მიმართ გეგმიური ხელმძღვანელობის ორგანოს და შეუძლია ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მისცეს ისეთი მითითება, რომელიც არ გამოიძინარეობს ხელშეკრულებიდან. ასეთ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს არა მარტო სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობანი, რომელთა უზრუნველყოფაც ხდება სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციით. ხომ არ არის აქ რაიმე წინააღმდეგობა? ჩვენის აზრით, არა.

კანონმდებლობასა და საარბიტრაჟო-სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ერთი დარგის სამართლებრივი ურთიერთობის მეორეს მიერ დაცვის შემთხვევები. მაგალითად, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი ზოგჯერ დაცულია ადმინისტრაციული ზომებით. ამას ადგილი აქვს საგამომგონებლო ან საბინაო სამართლებრივ ურთიერთობებში. ამიტომ არ არის გასაკვირი ისიც, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები ზოგიერთ შემთხვევებში დაცულ იქნეს სამოქალაქო სამართლებრივი ზომებით. ასეთი შემთხვევები ცნობილი იყო აგრეთვე ადრინდელი კანონმდებლობისათვისაც (მაგ. ტყის დაცვის დროს). კანონმდებლობა ეკონომიური რეფორმის შესახებ, რომელიც აყენებს საკითხს საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოების პასუხისმგებლობის შესახებ თავიანთი საწარმოების წინაშე, ასეთი გზის წამოყენების ორიენტირებას ახდენს.

ამგვარად, ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ ქონებრივი სანქციები ტრესტ-სა (გაერთიანებასა) და მოსიღამი დაქვემდებარებულ საწარმოებს შორის, არის სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქნეს გაშოვნებული ეს სანქციები. რამდენადაც ეს სანქციები არის სამოქალაქო-სამართლებრივი, ამდენად შესაძლებელია საარბიტრაჟო წესის გამოყენება. ხოლო რამდენადაც ისინი უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებს, შესაძლებელია ადმინისტრაციული წესის გამოყენებაც.

პროცესუალისტთა უმრავლესობა, რომლებიც იხილავენ ამ საკითხს, მხარს უჭერენ საარბიტრაჟო წესს⁷. იგი ხელსაყრელია, რამდენადაც დავა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განიხილება არადინტერესებული ორგანოს მიერ. მაგრამ პრაქტიკული მუშაკები გამოთქვამენ ეჭვს იმის თაობაზე, რომ მოისურვებენ თუ არა საწარმოთა ხელმძღვანელები სარჩელით მიმართონ ზემდგომ ორგანოებს. ამგვარ ეჭვს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ისინი გამოიძიებენ ადმინისტრაციული წესის გამოყენებისას, როცა საწარმო მიმართავს ზემდგომ ორგანოს (ტრესტს) იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც წარმოიშვა მისი მითითებათა შესრულების შედეგად. მაგრამ ასეთ წესს გააჩნია არსებითი ნაკლოვანებებიც, რადგან დავა უნდა გადაწყვიტოს იმ ორგანომ, რომელთა ბრალეული მოქმედებთაც დადგა ზიანი. მართალია, ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, მაგრამ აქაც შეიძლება გამოითქვას იგივე ეჭვები, რომლებიც გამოითქვა საარბიტრაჟო სარჩელების დროს. ამგვარად, თითოეულ ამ წესს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საარბიტრაჟო წესს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე ადმინისტრაციულ წესს. ამიტომ ჩვენ ვემხრობით საარბიტრაჟო წესის გამოყენებას.

იმ მიზეზების გამო, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ბევრი სამშენებლო ტრესტი ათავსებს ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციებს გეგმიური ხელმძღვანელობის ფუნქციებთან. ამგვარად, სამშენებლო საწარმოებისაგან განსხვავებით, სამშენებლო ტრესტი ასრულებს აგრეთვე მმართველობით ფუნქციებს. ამით აიხსნება ტრესტისა და სამშენებლო საწარმოს ერთმანეთისაგან განსხვავებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი უფლება-უნარიანობა. სამშენებლო საწარმო შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის დაქვემდებარებული მონაწილე, ხოლო უფლებრივ ფუნქციებს შინაგან ურთიერთობაში სამშენებლო და სხვა ქვედანაყოფებს შორის ასრულებს მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელი. ტრესტის მმართველიც ასრულებს აგრეთვე უფლებრივ ფუნქციებს ტრესტის სამმართველო აპარატის ფარგლებში. მაგ-

7. იხ. რ. ფ. კალისტრატოვსა და ნ. ი. კლენინის მოხსენებათა თეზისები „Арбитраж и экономическая реформа“. («Ученые записки» «ВНИИСЗ», вып. 10, 1967 г., стр. 66—76, 124—177).

რამ უფლებამოსილებით აღჭურვილია თვით ტრესტი, როგორც სამართლის ერთიანი სუბიექტი⁵.

ტრესტს აღნიშნული ადმინისტრაციულ-უფლებრივი ურთიერთობის თავისებურების გამო მისდამი დაქვემდებარებული საწარმოებისადმი გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელიც ყველაზე მეტად თავს იჩენს ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხში. თუ სამშენებლო სამართველოს უფროსი იძლევა არასწორ განკარგულებას საწარმოს შინაგან ქვედანაყოფებისადმი, არ შეიძლება დაისვას საკითხი საწარმოს პასუხისმგებლობის შესახებ ქვედანაყოფების წინაშე, ვინაიდან მასთან ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება არა სამშენებლო სამართველო, არამედ მისი უფროსი. ასეთ შემთხვევებში საწარმო უზრუნველყოფს თავის ქვედანაყოფებს აუცილებელი ქონებრივი რესურსებით. მაგრამ შეიძლება დაისვას საწარმოს წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი თუ ამისათვის არსებობს საჭირო სამართლებრივი საფუძველი. სხვა მდგომარეობა იქმნება როცა ტრესტის მმართველი ვასცემს განკარგულებას დაქვემდებარებულ საწარმოს მიმართ. ამ დროს მყარდება ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობა ტრესტსა და საწარმოს შორის. ამიტომ ტრესტის მმართველის არასწორი, ბრალეული მოქმედებისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა საწარმოს წინაშე უნდა დაეკისროს ტრესტს, ხოლო ტრესტის მმართველს შეიძლება დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა თვითონ ტრესტის წინაშე შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში (შრომის კანონთა კოდექსის 63-ე მუხლი).

თუ დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ ტრესტი გამოდის როგორც უფლებამოსილი სუბიექტი, ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში გეგმიური ხელმძღვანელობის ზემდგომ ორგანოებთან იგი გამოდის როგორც დაქვემდებარებული ორგანო. მაგრამ ტრესტი, ისე როგორც საწარმოები აარსებებს განსაზღვრულ სამეურნეო-ობერატიულ ფუნქციებს და იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე. ამიტომ ზემდგომი ორგანოს არასწორ მოქმედებას შეუძლია ტრესტს მისყენოს ისეთივე ქონებრივი ზიანი, როგორც ტრესტის არასწორ მოქმედებას — დაქვემდებარებულ საწარმოსადმი.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა ზემდგომი საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოს არასწორი მოქმედება ქონებრივ ზიანს აყენებს უშუალოდ საწარმოს, თუ ამ ორგანოთა განკარგულება, რომელიც მიმართულია ტრესტისადმი სრულდება არა ტრესტის, არამედ თვით ამ საწარმოს მიერ. ასეთ შემთხვევაში დგება ზემდგომი საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოს ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ტრესტის ან თვით საწარმოს წინაშე. ეს საკითხი, ისე, როგორც საკითხი ტრესტის ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საწარმოს წინაშე, დაკავშირებულია იმ მატერიალური ფონდების საკითხთან, რომელთა ანგარიშზეც უნდა მოხდეს პასუხისმგებლობის რეალიზაცია.

5. საწარმოს გამოსვლა, სამართლის ერთიანი სუბიექტის სახით, მიუხედავად იმისა თუ როგორ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს, აღიარებულია ბევრი მეცნიერის მიერ. იხ. **А. В. Венедиктов**. О субъектах социалистических правоотношений, «Советское государство и право», 1955 г., № 6 стр. 22; **В. В. Лаптев**, «Правовое положение государственных промышленных предприятий в СССР», Изд. АН СССР, 1963 г., стр. 38; **С. Ф. Кечекьян**, «Правоотношения в социалистическом обществе», Изд. АН СССР, 1958., стр. 91 და სხვ.

* * *

სამეურნეო რეფორმას არსებითი ცვლილებანი შეაქვს სახალხო მეურნეობის ორგანიზაციასა და მმართველობაში. ეს ცვლილებები განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმებით. ამიტომ სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფა რეფორმის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

მშენებლობაში ეს ნიშნავს მისი განვითარების გეგმების ამოღების აუცილებლობას მეცნიერულ საფუძვლებზე, სამშენებლო ობიექტების მყარი საბარჯთაორიცხო ღირებულების უზრუნველყოფას. ამასთანავე საჭიროა სამშენებლო წარმოების ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული მეთოდების სფეროს შევიწროება და ეკონომიური მეთოდების სფეროს გაზრდა, სამშენებლო სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციების უფლებების გაზრდა, მატერიალური სტიმულირების ყოველმხრივი გამოყენება და მისი შერწყმა იდეურ-აღმზრდელობით სტიმულირებასთან.

ნომოქიფა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების დაგეგმვის და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდებზე გადაყვანის აუცილებლობა. სამეურნეო რეფორმა განამტკიცებს სამეურნეო ანგარიშს და დაძლევეს ნაკლოვანებებს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვასა და სამშენებლო ორგანიზაციების ეკონომიურ მუშაობაში.

მთავარი ამოცანა უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრული დაბალანსება კაპიტალური მშენებლობის გეგმისა, მისი ისეთი მიხვედნებით, როგორცაა: კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, მათი მოქმედებაში შესვლა და მოწყობილობებით, მატერიალური რესურსებით და ტექნიკური დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა, აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების შრომითი, საფინანსო და მატერიალური რესურსების დაქსაქსვის დაძლევა, პასუხისმგებლობის დაწესება დაუბალანსებელი ფეგმების შედგენისათვის, სამშენებლო საწარმოთათვის მატერიალური წახალისების ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება საბოლოო შედეგების გაუმჯობესებისაკენ, მშენებლობათა დაჩქარებასა და ხარისხის ამოღებისაკენ.

ეკონომიური ექსპერიმენტების შედეგად, რომლებიც განხორციელდა ჩსფსრ-ში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, მოსკოვსა და კიევში, დაგროვდა გარკვეული გამოცდილება. ექსპერიმენტები იძლევა უამრავ მასალას, რომელთა საფუძველზე ახლაც შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. ასეთმა წინადადებებმა, რომლებმაც გაამართლეს თავი, ასახვა უნდა ჰპოვოს სათანადო ნორმატულ აქტებში, რომელთა საფუძველზეც სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები გადაყვანილ იქნებიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ამ აქტებში უნდა დადგინდეს: ზეგეგმით დასამტკიცებელი მაჩვენებლების ნომენკლატურა, იმ ეკონომიური სტიმულირების ფონდების წყაროები და მისი ხარჯვის წესები, რომლებიც ძირითადად უნდა შეიქმნეს მოგების ანარიცხებიდან, დამთავრებული ობიექტების და სამუშაოთა მსხვილი ეტაპების ანგარიშსწორებაზე გადასვლა; კრედიტის როლის გაზრდა და საკრედიტო ოპერაციების გაფართოება; პირდაპირი კავშირების გაფართოება და სამშენებლო პროცესის მონაწილეთა სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის განმტკიცება; საწარმოს საქმიანობის შედეგად კოლექტივებისა და მუშაკების მატერიალური დაინტერესების ამოღება მთლიანად.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლა-

თან დაკავშირებით აუცილებელია სამშენებლო სისტემის ყველა რგოლის სამართლებრივი სტატუსის რეგულირება. უპირველეს ყოვლისა არსებით სრულყოფას საჭიროებს სამშენებლო ტრესტებსა და სხვა გაერთიანებათა სამართლებრივი მდგომარეობა. უმოკლეს ვადაში საჭიროა მიღებულ იქნეს დებულება (წესდება) სამშენებლო გაერთიანებათა შესახებ. სასურველია მისი შემუშავება ცალკე ტრესტებისათვის და ცალკე სახლთმშენებელი კომბინატებისათვის მათი თავისებურებათა გათვალისწინებით. ეს ნაკარნახევია იმით, რომ 1927 წლის 29 ივნისის დებულება ტრესტების შესახებ მნიშვნელოვნად მოძველდა. რაც შეეხება „ლენინგრადის ტიპის“ სახლთმშენებელი კომბინატის ტიპობრივ წესდებას, იგი ეხება სამშენებლო კომბინატის მხოლოდ ერთ ფორმას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, პრაქტიკაში არსებობს სხვა ტიპის სახლთმშენებელი კომბინატებიც.

გარდა ამისა, მრეწველობისაგან განსხვავებით, სადაც ფართოდ არის გავრცელებული ავტონომიური საწარმოები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების უდიდესი უმრავლესობა გაერთიანებულია. აქედან გამომდინარეობს გაერთიანებათა განსაკუთრებული როლი მშენებლობის მმართველობაში.

მშენებელ გაერთიანებათა შესახებ სპეციალური კანონის მიღების აქტუალობა იმითაც აიხსნება, რომ საწარმოს შესახებ დებულება ცრცელდება სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებზე — სამშენებლო სისტემის ქვედა რგოლებზე. ივარა მათი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული იმ გაერთიანებათა საქმიანობასთან, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი შედიან, რაც მოითხოვს როგორც ერთის ისე მეორის სამეურნეო უფლებების ზუსტ გამოიჯნას.

ტრესტის (გაერთიანების) და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების უფლებათა განსაზღვრისას დადგენილ უნდა იქნეს ამ უფლებათა რეალური იურიდიული გარანტიები. სასურველია სამშენებლო გაერთიანებებს მიეცეთ საწარმოს უფლებანი მაშინ, როცა ისინი უშუალოდ ასრულებენ საწარმოს ფუნქციებს, (კერძოდ, წამახალისებელი ფონდების შექმნის უფლება). გარდა ამისა გაერთიანებას უნდა შეეძლოს თავისი ცენტრალიზებული ფონდების განკარგვა. ეს შეეხება აგრეთვე ძირითად ფონდებს, რომელთა ნაწილი ეკუთვნის სპეციალიზებულ ორგანიზაციებს ან ტრესტებს.

გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ის, რომ ზოგიერთი უფლება, რომელიც ადრე ტრესტს ჰქონდა მიკუთვნებული, დებულება საწარმოს შესახებ აკუთვნებს საწარმოს. გაერთიანებათა შესახებ დებულებაში ზუსტად უნდა განისაზღვროს ტრესტის (გაერთიანების) უფლებამოსილება მშენებლობის სფეროში, როგორც კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულების მხარისა.

მშენებლობისადმი მმართველობის შემდგომი სრულყოფა იფლისხმობს ზემდგომი საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოების უფლებებისა და მოვალეობების ზუსტად განსაზღვრას. ამჟამად სსრ კავშირის სამინისტროების შესახებ საერთო დებულების საფუძველზე მუშავდება დებულებები ცალკეული სამშენებლო სამინისტროების შესახებ. ამ აქტების მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კაპიტალური მშენებლობის კანონმდებლობის განვითარებაში.

რეფორმასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახალხო-სამეურნეო ამოცანების განხორციელებას მატერიალური-წარმოების ერთ-ერთ ძირითად დარგში — კაპიტალურ მშენებლობაში.

საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის კორექციისათვის

3. გეზამე

საოჯახო კანონმდებლობის კოდიფიკაცია ამჟამად უაღრესად აქტუალურია. ივენს ქვეყანაში მომხდარმა ღრმა სოციალ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა მოითხოვა მოქმედი კანონმდებლობის გადასინჯვა, მისი დახვეწა და სრულყოფა. საოჯახო სამართლის მთელი რიგი ინსტიტუტი და ნორმა ვედარ პასუხობდნენ ცხოვრების მოთხოვნებს, სრულყოფილად ვერ აწესრიგებდნენ საოჯახო ურთიერთობებს.

საოჯახო კანონმდებლობის საკოდიფიკაციო მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობს. საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ 1968 წლის 27 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვენიერებით მოწვევის მეოთხე სესიამ მიიღო „ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები“. „საფუძვლები“ პირველი ერთიანი საკავშირო ნორმატიული აქტია, რომელიც აწესრიგებს ქორწინებისა და ოჯახის ყველა ძირითად საკითხს. მასში გათვალისწინებულია საბჭოთა სახელმწიფოს უმდიდრესი გამოცდილება საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების საქმეში, იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები, საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრი და სურვილები, სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე მოთხოვნები. „საფუძვლები“ კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა ოჯახის მორალურ და სამართლებრივ საფუძვლებს, მოქალაქეთა დიდ და ირავალფეროვან უფლებებს ოჯახურ ცხოვრებაში, ზრდის მათ პასუხისმგებლობას ოჯახისა და საზოგადოების წინაშე.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები განსაზღვრავენ ზოგად პრინციპულ დებულებებს და ნორმებს იმ საკითხებზე, რომლებიც ერთნაირად უნდა ვადაიჭრას ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. მის საფუძვლეზე შემუშავდება მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო-საოჯახო კოდექსები, რომლებიც უფრო დაწვრილებით და სრულყოფილად მოაწესრიგებენ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებს ერთნაირი, საყოფაცხოვრებო და სხვა ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით. თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას მინიჭებული აქვს ფართო უფლება საოჯახო ურთიერთობათა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში.

მოკავშირე რესპუბლიკათა ახალი საქორწინო-საოჯახო კოდექსების შემუშავება და მიღება დიდი და პასუხსაგები საქმეა. საოჯახო კანონმდებლობა ეხება მილიონთა მასებს, მთელი საზოგადოებისა და თითოეული მოქალაქის ინტერესებს, ამდენად იგი უაღრესად ფაქიზ და ყურადღებიან მიდგომას მოითხოვს. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო საკოდიფიკაციო მუშაობა. ახალი კოდექსის შემუშავების პროცესში წამოიჭრება მრავალი სადავო საკითხი, რომელთა სწორ სამართლებრივ გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ოჯახის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ღირველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ისმის საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის მომავალ კოდიფიკაციასთან დაკავშირებით, არის კოდექსის სახელწოდებისა და სისტემის საკითხი. მოქმედ კოდექსს ეწოდება „საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი“. ყველა ის ურთიერთობა, რომელთაც ეს კოდექსი აწესრიგებს, წარმოადგენენ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებს. მეურვეობის და მზრუნველობის ინსტიტუტი საოჯახო სამართალში სწორედ ისეთ ურთიერთობებს არეგულირებს. რომელთაც საოჯახო სამართლებრივი ხასიათი აქვთ. ასევე ითქმის შვილად აყვანის, პატრონატისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ. ამიტომ, ჩვენი აზრით, სასურველია საქართველოს სსრ ახალ კოდექსს ეწოდოს „საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსი“. ასეთი სახელწოდება სრულად ასახავს იმ ურთიერთობათა წრეს, რომელთაც კოდექსი არეგულირებს და ამასთანავე უფრო მოქნილი და მოსახერხებელია.

კოდექსის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი საფუძვლების სისტემას. უპირველეს ყოვლისა, კოდექსს უნდა ჰქონდეს შესაფასილი ნაწილი — პრეამბულა, რომელშიც დახასიათებული იქნება სოციალისტურ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობათა ბუნება, საბჭოთა ოჯახის დანიშნულება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, განსაზღვრული იქნება საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის როლი სოციალისტურ საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, ნათქვამი იქნება იმ დიდ ზრუნვაზე, რასაც საბჭოთა სახელმწიფო იჩენს ქორწინებისა და ოჯახის მიმართ.

კოდექსის I კარში „ზოგადი დებულებანი“ უნდა განისაზღვროს საოჯახო სამართლის საგანი, ამოცანები და ძირითადი პრინციპები, ურთიერთობანი, რომელთაც აწესრიგებს საქართველოს სსრ საქორწინო-საოჯახო სამართლის კოდექსი, საოჯახო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძვლები, ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელება და დაცვა ნათქვამი უნდა იქნეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის თანაფარდობის, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სხვა მოკავშირე რესპუბლიკის საოჯახო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ავტორთა უმრავლესობას, რომლებიც თვლიან, რომ საოჯახო სამართალი საბჭოთა სოციალისტური სამართლის დამოუკიდებელი დარგია¹. ვფიქრობთ, რომ საწინააღმდეგო მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ და ლოგიკურ დასაბუთებას. არ შეიძლება საქორწინო-საოჯახო ურთიერთობანი გავაიგივოთ ჩვეულებრივ სამოქალაქო ურთიერთობებთან. ამიტომ, საბჭოთა საოჯახო სამართლის ამოცანებისა და ძირითადი პრინციპების განსაზღვრისას, კოდექსში გამახვილებული უნდა იქნას ყურადღება იმ სპეციფიკურ ნიშნებზე, რაც დამოუკიდებელ სამართლებრივ დარგს ახასიათებს.

კოდექსის მეორე კარში — „ქორწინება“ გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი თავები:

¹ იხ. **С. Н. Братусь**, Предмет и система советского гражданского права, Госюриздат, М., 1964; **А. И. Пергамент**, Советское гражданское право, т. II, Госюриздат, М., 1951; **Е. В. Ворожейкин**, Семейное право, как самостоятельная отрасль права, «Советское государство и право», 1967, № 4, стр. 29—36; **В. А. Рясенцев**, Семейное право, Госюриздат, М., 1967, стр. 13—14.



1. ძირითადი დებულებანი; 2. დაქორწინების პირობები; 3. მეუღლეთა პირადი უფლებანი; 4. მეუღლეთა ქონებრივი უფლებანი; 5. ქორწინების შეწყვეტა; 6. ქორწინების ბათილობა.

საქართველოს სსრ მოქმედი კოდექსი ლაბარაკობს „ქორწინების მოსპობაზე“. ჩვენი აზრით, უფრო სწორია ახალმა კოდექსმა იხმაროს „ქორწინების შეწყვეტა“ და არა „მოსპობა“, ვინაიდან ქორწინება უკვალოდ არასოდეს არ ისპობა, არამედ წყდება ის უფლებრივი ურთიერთობა, რასაც ქორწინება წარმოშობს².

მესამე კარში — „ოჯახი“, რომელიც მოცულობით კოდექსის ყველაზე დიდი კარი იქნება, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი თავები:

1. ძირითადი დებულებანი; 2. მშობელთა და შვილთა პირადი უფლებრივი ურთიერთობა; 3. მშობელთა და შვილთა ქონებრივი უფლება-მოვალეობანი; 4. ოჯახის სხვა წევრების უფლება-მოვალეობანი; 5. შვილად აყვანა; 6. მეურ-გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორი თავი:

ვცობა და მზრუნველობა,

კოდექსის მე-4 კარში — „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები“ —

1. ძირითადი დებულებანი; 2. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა: ა) დაბადების ჩაწერა; ბ) შვილად აყვანის ჩაწერა³; გ) დაქორწინების ჩაწერა; დ) განქორწინების ჩაწერა; ე) მამობის დადგენის ჩაწერა⁴; ვ) გვარის, სახელის და მამის სახელის გამოცვლის ჩაწერა; ზ) გარდაცვალების ჩაწერა.

კოდექსის ბოლო, ე. ი. V კარის სახელწოდება იქნება „საქართველოს სსრ საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის გამოყენება საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენება საქართველოს სს რესპუბლიკაში“.

აღნიშნულ კარში ნათქვამი იქნება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქორწინო-საოჯახო უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, იანსაზღვრული იქნება იმ ბავშვთა მოქალაქეობის საკითხი, რომელთა დაბადების მომენტში ერთ-ერთი მშობელი საქართველოს სსრ მოქალაქე იყო, ხოლო მეორე მშობელი სხვა ქვეყნის მოქალაქე, ან ორივე მშობელი საქართველოს სსრ მოქალაქე იყო, მაგრამ ბავშვი საზღვარგარეთ დაიბადა, განისაზღვრება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბჭოთა მოქალაქეების უცხოელებთან და საქართველოს სსრ მოქალაქეების საზღვარგარეთ დაქორწინებისა და განქორწინების წესი და პირობები, ნათქვამი იქნება რა ძალა აქვს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უცხოეთში დადებულ ქორწინებისა და განქორწინების აქტებს.

ამავე კარში უნდა იგათვალისწინოს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საქართველოს სსრ მოქალაქეობის მქონე ბავშვთა შვილად აყვანისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოელთა მიერ ბავშვების შვილად აყვანის

2. აღსანიშნავია, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობაში, სამეცნიერო ლიტერატურაში და ახალ „საფუძვლებში“ ლაბარაკია არა ქორწინების მოსპობაზე, არამედ ქორწინების შესწყვეტაზე.

3. მოქმედი კოდექსი არ აწესრიგებს შვილად აყვანის ჩაწერის წესს.

4. რამდენადაც ახალი „საფუძვლები“ უშვებს მამობის დადგენას, კოდექსმაც უნდა გაითვალისწინოს ნორმები მამობის დადგენის წესის შესახებ.

წესი და პირობები, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენების წესი.

საქართველოს სსრ მოქმედი საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა საოჯახო კოდექსები არ განსაზღვრავს ქორწინებას. ქორწინება არ არის განსაზღვრული არც საკავშირო „საფუძვლებში“. ჩვენი აზრით, ახალმა საოჯახო კოდექსებმა უნდა გაითვალისწინონ ქორწინების ცნება, რომელშიც მოცემული იქნება ყველა ის ძირითადი ნიშანი, რაც ახასიათებს ქორწინების ინსტიტუტს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სსრ საქორწინო-საოჯახო კოდექსში ქორწინება განისაზღვროს შემდეგნაირად:

„ქორწინება წარმოადგენს თანასწორუფლებიან ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და ნებაყოფლობით მონოგამიურ კავშირს, დაფუძნებულს მექორწინეთა სიყვარულსა და პატივისცემაზე, დადებულს კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით, რომელიც ქმნის ოჯახს და წარმოშობს მხედველეთა უფლებამოვალეობებს“.

საბჭოთა კანონი დაქორწინებისათვის მოითხოვს მთელ რიგ პირობათა დაცვას, რომელთა გარეშე ქორწინებას არა აქვს იურიდიული ძალა. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის მე-4 მუხლი დაქორწინების პირობათა შორის უპირველესად თვლის მექორწინეთა თანხმობას. ქორწინება, საბჭოთა სამართლის მიხედვით ნებაყოფლობითი აქტია და კანონის პირველი მოთხოვნაც ნებაყოფლობის პრინციპის დაცვაა. აუცილებლად თვლის რა მექორწინეთა ნების თავისუფალ გამოვლინებას, კანონს მხედველობაში ჰყავს ქმედუნარიანი პირები, რომელთაც უნარი შესწევთ შეივანონ თავისი მოქმედების მნიშვნელობა. ჩვენი კანონმდებლობა დაქორწინებას უკრძალავს პირს, რომელიც დადგენილი წესისამებრ ცნობილია ჭკუანაკლებად ან სულით ავადმყოფად. საქართველოს სსრ საოჯახო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად ქორწინება ეკრძალებოდა იმ პირსაც, რომელიც დროებით ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ არ შეეძლო შეეგნო თავისი საქციელის მნიშვნელობა. კანონმდებელს აქ მხედველობაში ჰქონდა ისეთი დროებითი ხასიათის შოვლენა (მაგ. პათოლოგიური სიმთვრალე), რომელიც ადამიანს ართმევს შეგნებული მოქმედების უნარს და ამდენად ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირის ქმედობა არ შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვნად. მართებულად არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ ამ წესს აქვს საერთო მნიშვნელობა და იგი გამოყენებული უნდა იქნეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საკანონმდებლო პრაქტიკაში⁵. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „იმ პირისა, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სსრსამართლოს მიერ აღიარებულია არაქმედუნარიანად“. გამოდის, რომ გაუქმდა კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ „ქორწინება ეკრძალება იმ პირსაც, რომელიც დროებით ისეთ მდგომარეობაშია, რომ არ შეუძლია შეეგნოს თავისი საქციელის მნიშვნელო-

⁵ В. И. Бошко, Очерки советского семейного права, К. 1952, гл. 120.

ბა“. ჩვენი აზრით, ეს ნორმა აღდგენილ და განმტკიცებულ უნდა იქნას ახალ კოდექსში, რადგან მას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ქორწინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქორწინო სრულყოფილება. საქორწინო ასაკის განსაზღვრისას ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიურ, ისე კულტურულ, სამედიცინო ფაქტორებს, პიროვნების ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ სიმწიფეს. ამდენად, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მინიმალური საქორწინო ასაკის სამართლებრივ რეგლამენტაციას.

საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობაში საქორწინო ასაკის საკითხს დამოუკიდებელი ისტორია აქვს. ჩვენმა ქვეყანამ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიიღო ქალის დაბალი საქორწინო ასაკი. ეს იმ დროს გადმონაშთი იყო, როცა ქალის ყველა უფლებას იკარგავდა მშობლების შემდეგ ქმარი ისაკუთრებდა და ქალის ქმედუნარიანობას სრულიადი მნიშვნელობა არ ეძლეოდა. ამ იკარგვისათვის ლიკვიდაციაში პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 28 აპრილის დეკრეტმა „მოქალაქეობრივი იმდომარეობის აქტების შესახებ“. მან იკარგა არსებული საქორწინო ასაკი, მაგრამ განსხვავება ქალისა და მამაკაცის საქორწინო ასაკს შორის კვლავ დარჩა. საქორწინო-საოჯახო კოდექსის შემუშავების პერიოდში ქართულ პრესაში არაერთგზის გამოითქვა დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, რომ ქალის საქორწინო ასაკი გათანაბრებოდა მამაკაცის საქორწინო ასაკს⁶. მაგრამ რსფსრ საოჯახო კოდექსისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ საოჯახო კოდექსით დადგენილი იქნა საქორწინო ასაკი ქალისათვის 16, მამაკაცისათვის კი 18 წელი⁷.

დადგენილია, რომ აღრეული ქორწინება უარყოფითად მოქმედებს ქალისა და ბავშვების ჯანმრთელობაზე, აფერხებს ქალის ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას, მის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განათლებასა და პროფესიულ მომზადებას. გარდა ამისა, დაბალი საქორწინო ასაკი აშკარა შეუსაბამობას ქმნის ქალის საქორწინო და საერთო სამოქალაქო ქმედუნარიანობას შორის. ყოველივე ამის გამო უმალღესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საქორწინო ასაკად დაწესებული იქნა 18 წელი როგორც ქალების, ისე მამაკაცებისათვის.

კოდექსის მე-5 მუხლი შენიშვნის სახით ითვალისწინებს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომებს განსაკუთრებულ შენობებში ცალკე შეამდგომლობის მიხედვით შეუძლიათ ქალებისათვის საქორწინო ასაკის შემცირება არა უმეტეს ერთი წლისა.

ამჟამად ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების თანახმად მთელი კავშირის მასშტაბით საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. ამასთან მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება ეძლევათ გაითვალისწინონ საქორწინო ასაკის შემცირება არა უმეტეს 2 წლისა.

გასული 1967 წლის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში 38.227 ქორ-

⁶ იხ. კ. დანელია, „ქორწინება საოჯახო სამართლის კოდექსის პროექტში“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1928 წ. № 16, გვ. 38. ვახ. კომუნისტი“ 1928 წ. 29 იანვარი.

⁷ რსფსრ საოჯახო კოდექსით საქორწინო ასაკად როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის დადგენილი იქნა 18 წელი.

წინებიდან ქალის საქორწინო ასაკი შემცირდა 409 შემთხვევაში, მამაკაცის საქორწინო ასაკი 22 შემთხვევაში³. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი კანონის დარღვევაა, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მამაკაცის საქორწინო ასაკის შემცირების შესაძლებლობას. რამდენადაც პრაქტიკულად ისმის საქორწინო ასაკის შემცირების საჭიროების საკითხი როგორც ქალის ასევე მამაკაცათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მომავალმა კანონმდებლობამ გათვალისწინოს ამ ასაკის შემცირების შესაძლებლობა ორივე სქესისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა და ისიც გამოხატვის სახით.

ქორწინების დამატარებულ გარემოებას წარმოადგენს მექორწინეთა ახლო ნათესაობა. ცხარდა იმისა, რომ ქორწინება ახლო ნათესავეებს შორის ეწინააღმდეგება ადამიანური მორალის პრინციპებს, იგი უარყოფით გავლენას ახდენს შთამომავლობაზე. საოჯახო კანონმდებლობის თანახმად ქორწინება ეკრძალება პირდაპირი აღმავალი და შთამავალი შტოს ნათესავეებს (მამას ქალიშვილთან, დედას ვაჟიშვილთან, პაპას შვილიშვილთან), ღვიძლ და არაღვიძლ დებსა და ძმებს. საქართველოს სსრ საოჯახო კოდექსი არ მიუთითებს ეკრძალება თუ არა ქორწინება ისეთ დებსა და ძმებს, რომელთაგან ერთ-ერთი ქორწინების გარეშე კავშირიდან შთამომავლობას. ამის შესახებ არ არის ნათქვამი არც „საფუძვლებში“. რამდენადაც ჩვენი კანონმდებლობით ქორწინება აკრძალულია სისხლით ნათესავეებს შორის, იგულისხმება, რომ ქორწინების გარეშე დები და ძმები უთანაბრდებიან არაღვიძლ დებსა და ძმებს, მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ ამას პირდაპირ გაითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკათა ახალი საოჯახო კოდექსები, ასევე სასურველად მიგვაჩნია კოდექსში მითითებულ იქნას, რომ ქორწინება ეკრძალება ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმებს, თუნდაც ერთ-ერთი მათგანი გაშვილებული იყოს. ეს იქნება არა დაქორწინების პირობების წრის გაზრდა, არამედ უფრო მეტად დაზუსტება.

მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს ქორწინებას შვილად აყვანილსა და შვილად ამყვანის ღვიძლ ნათესავეებს შორის. ასეთი შეზღუდვა არც არის სავალდებულო, მაგრამ რამდენადაც შვილად აყვანილი ყველა უფლებებში უთანაბრდება შვილად ამყვანის ღვიძლ შვილებს, ჩვენი აზრით, სასურველია კანონმდებლობას ჯათვალისწინებია ქორწინების აკრძალვა მათ შორის.

ქორწინება ნამდვილია და მეუღლეთა უფლებსრივი ურთიერთობა აღმოცენდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დადებულია კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით. ქორწინება, რომელიც დადებულია კანონიერი პირობების დარღვევით, ბათილია და იგი არავითარ იურიდიულ შედეგს არ წარმოშობს. კერძოდ, არც ერთ მხარეს არ უჩნდება უფლება აღიმშენებზე, მემკვიდრეობაზე, ბინაზე და სხვ., მაგრამ ქორწინების ბათილობის შედეგად პრაქტიკაში ისმის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც სამართლებრივ რეგლამენტაციას მოითხოვენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხი ყოფილ ცოლ-ქმარს შორის იმ ქონების გაყოფისა, რომელიც შექმნილია მათი ერთად ცხოვრების პერიოდში. ჩვენ ვეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომ ქორწინების ბათილობის შედეგად ყოფილ ცოლ-ქმარს შორის ქონებრივი უფლებების დაცვა უნდა მოხდეს სამოქალაქო სამართლის იმ ნორმების საფუ-

³ იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები მოსახლეობის წლიური ბუნებრივი მოძრაობის შესახებ.

ცველზე, რომლებიც არეგულირებენ საერთო საკუთრების საკითხებს⁹. აღნიშნული საკითხი სწორედ ასე უნდა გადაიჭრას საქართველოს სსრ ახალ საოჯახო კოდექსში.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, ქორწინების გაბათილების შემდეგ უნდა დარჩეთ თუ არა ყოფილ მეუღლეებს ქორწინების გვარის შენარჩუნების უფლება. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ რამდენადაც ბათილი ქორწინება მხარეთა შორის არ წარმოშობს არავითარ იურიდიულ შედეგებს, არ არსებობს საფუძველი საიმისოდ, რომ ყოფილ მეუღლეებს მიეცეთ უფლება ქორწინების გაბათილების შემდეგ ისარგებლონ ქორწინების გვარით¹⁰. ასეთი მოსაზრება საფუძველით საფუძველიანად არის უარყოფილი, მითითებულია რა, რომ საბჭოთა კანონმდებლობის პრინციპები მოითხოვენ საკითხი ქორწინების ბათილობის შედეგად მეუღლეთა იგვარის შესახებ გადაწყდეს არა ავტომატურად, არამედ ისევე, როგორც განქორწინების დროს¹¹. საკითხის ასეთი გადაჭრა შეესაბამება იმ საკანონმდებლო ნორმების დაცვას, რომლებიც ყველა მოქალაქეს ანიჭებენ სრულ თავისუფლებას გვარის ამორჩევის საკითხში.

საკანონმდებლო რეგლამენტაციას მოითხოვს საკითხი ცოცხალი მეუღლის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, როცა ქორწინება წყდება მეორე მეუღლის სიკვდილის ან გარდაცვალებულად გამოცხადების გამო. მართალია, ქორწინების შეწყვეტა ასეთ შემთხვევებში არ იწვევს ცოცხალი მეუღლისათვის ქორწინების განმავლობაში შექმნილი უფლებების ჩამორთმევას, მაგრამ პრაქტიკულად შეიძლება დაისვას საკითხი იმის შესახებ, ყოფილი ქორწინებიდან გამომდინარე რა უფლებები რჩება ცოცხალ მეუღლეს ახალ ქორწინებაში შესვლის შემდეგ. აქ შეიძლება დაისვას გვარის, მემკვიდრეობის, პენსიის მიღების უფლების საკითხი და სხვ.

საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 29-ე მუხლში მითითებული იყო, რომ „უკეთეს ქორწინება მოისპო ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან სპასმართლოს მიერ მისი გარდაცვალებულად გამოცხადების გამო, ცოცხალი მეუღლე შეინარჩუნებს დაქორწინების დროს მიღებულ გვარს“. შემდგომში ეს მუხლი გაუქმებულ იქნა¹². ჩვენ ფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია ახალ კოდექსში აღდგენილ იქნას აღნიშნული ნორმა, მაგრამ არა იმპერატიული, არამედ დისპოზიციური სახით. რაც შეეხება ცოცხალი მეუღლის ქონებრივ უფლებებს (მემკვიდრეობის, პენსიის მიღების უფლება) ახალმა ქორწინებამ არ უნდა იამოიწვიოს არც ამ უფლებათა შეზღუდვა.

საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობა მტკიცედ იცავს მეუღლეთა პირად და ქონებრივ უფლებებს. მეუღლეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირად უფლებას წარმოადგენს იგვარის თავისუფლად ამორჩევის უფლება. იგი იულისსნობს მე-

⁹ Г. М. Свердлов, Советское семейное право, М., Госюриздат, 1950, გვ. 120. ს. ზ. ჯორბენაძე, „საბჭოთა საოჯახო სამართალი“, თბ., 1957 წ., გვ. 198.

¹⁰ К. А. Граве и А. И. Пергамент, «Советское государство и право», 1952, № 6, გვ. 78; В. И. Серебровский, «Вестник Московского университета», 1953, № 4, გვ. 149.

¹¹ В. Бошко, დასახ. ნაშრ. გვ. 134, ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშ. გვ. 198.

¹² საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულება.

უღლეთა შესაძლებლობას სურვილისამებრ ატარონ თავიანთი ქორწინებამდე-ლი ან ქორწინების დროინდელი გვარი, ამასთანავე ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს როგორც ქმრის, ასევე ცოლის გვარი.

საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 28 აპრილის დეკრეტის თანახმად მეუღლეებს უფლება ჰქონდათ ქორწინების გვარად აერჩიათ ქმრის, ცოლის ან ორივეს შეერთებული გვარი. 1930 წლის საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსმა დაადგინა, რომ ქორწინების რეგისტრაციის დროს მეუღლეებს უფლება აქვთ დაიტოვონ თავთავის გვარი, აირჩიონ მეუღლის ან ორივეს შეერთებული გვარი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 16 ივნისის ბრძანებულებით გაუქმებულ იქნა კოდექსის 14¹ მუხლის ის ნაწილი, რომელიც მეუღლეებს შეერთებული გვარის ტარების უფლებას ანიჭებდა. „საფუძვლების“ თანახმად მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობას შეუძლია გაითვალისწინოს მეუღლეთა უფლება ატარონ ორი გვარი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ ახალ საქორწინო-საოჯახო კოდექსში შეტანილი უნდა იქნას ნორმა, რომელიც გაითვალისწინებს გვარის არჩევის საკითხში მეუღლეთა სურვილის განხორციელების ყველა შესაძლებლობას.

საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობით დადგენილია, რომ როგორც წესი, თანაზიარ ქონებაში მეუღლეთა წილი თანაბარია. თანაზიარად ითვლება ქონება შექმნილი მეუღლეთა მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში, სოლო დაქორწინებამდე კუთვნილი ქონება, აგრეთვე დაქორწინების დროს საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება თითოეული მეუღლის პირად საკუთრებას წარმოადგენს. საოჯახო სამართლის ლიტერატურაში დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ, თანაზიარ ქონებად ითვლება თუ არა ქონება, რომელიც შექმნილია ერთ-ერთი მეუღლის პირად საკუთრებაში მყოფი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხით, უკეთეს ეს ქონება ოჯახის საერთო საჭიროებას ემსახურებოდა. გამოთქმულია აზრი, რომ ასეთი ქონება მეუღლის განცალკევებულ ქონებად უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ოჯახისათვის¹³.

ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია იმ ავტორთა მხედველება, რომლებიც თვლიან, რომ თუ მეუღლემ თავისი განცალკევებული ქონების რეალიზაციით აღებული ფული შეიტანა საერთო მეურნეობაში, ანდა ამ ფულით იყიდა ნივთები, რომლებიც საერთო საოჯახო ქონების შემადგენელ ნაწილად იქცნენ და მეუღლეთა საერთო განმგებლობაში იმყოფებიან, ისინი აღარ შეიძლება ჩაითვალოს განცალკევებულ ქონებად.¹⁴ მაგრამ რამდენადაც ასეთი ქონება მეუღლეთა საერთო შრომით არ არის შექმნილი, მისი გაყოფა უნდა მოხდეს არა თანაბარ წილად, არამედ იმ მეუღლისათვის უპირატესობის მინიჭებით, რომლის კუთვნილი სახსრებითაც იქნა იგი შექმნილი. საქართველოს სსრ ახალმა საოჯახო კოდექსმა აღნიშნულ საკითხზე თავისი სიტყვა უნდა თქვას.

როგორც წესი, მეუღლეთა თანაზიარი ქონება არსებობს ქორწინების პერიოდში და ისობა ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ამ ქონების გაყოფის საკითხი კი ჩვეულებრივ ისმის განქორწინების დროს. იურიდიულ ლი-

¹³ М. О. Рейхель, Общеимущественные отношения супругов в советском праве, «Сов. гос. и право», 1940, № 8—9, стр. 109—131.

¹⁴ Н. В. Рабинович, Личные и имущественные отношения в советской семье. 1952, стр. 62.

ტერატურაში ასევე სადავოა საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა თანაზიარი ქონების ვაყოფა ან გამოყოფა ქორწინების პერიოდში ნორმალური ცოლქმრული ურთიერთობის დროს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ მეუღლის ინტერესები მოითხოვენ თანაზიარი ქონებიდან მისი კუთვნილი წილის გამოყოფას, უარის თქმა ასეთ თხოვნაზე, მეუღლის ქონებრივი უფლებების შეზღუდვა იქნება. მაგრამ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს არ შეიძლება უგულებელყოფილი იქნეს როგორც მეორე მეუღლის, ასევე ბავშვების ინტერესები. ამიტომ კოდექსში მითითებულ უნდა იქნეს, რომ მეუღლეთა თანაზიარი ქონების ვაყოფა-გამოყოფა შესაძლებელია განქორწინების საქმის აღძვრის გარეშე, უკეთესი იგი ზიანს არ მიაყენებს მეორე მეუღლისა და ბავშვების ინტერესებს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახალმა კოდექსმა გაითვალისწინოს ნორმა იმის შესახებ, რომ ვაყოფას არ ექვემდებარება ქონება, შეძენილი მას შემდეგ, რაც მეუღლეებს შორის ფაქტიურად შეწყდა ცოლქმრული ურთიერთობა და ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ეს საკითხი ასე წყდება სასამართლო პრაქტიკაში.

მომავალი თაობის სწორად აღზრდა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეა. საბჭოთა კანონმდებლობა მკაცრად ებრძვის ბავშვთა ინტერესების შელახვის ყოველ შემთხვევას, ითვალისწინებს ისეთ უკიდურეს ღონისძიებასაც, როგორცაა მშობლიური უფლების ჩამორთმევა. მშობლიური მოვალეობის შეუსრულებლობა ან მშობლიურ უფლებათა არასწორად განხორციელება მშობელს ართმევს ბავშვის აღზრდის უფლებას. მშობლიურ უფლებათა ჩამორთმევას ითვალისწინებენ როგორც საოჯახო კოდექსები, ასევე „საფუძვლები“, მაგრამ არც ერთ მათგანში არ არის მითითება იმის შესახებ, ნიშნავს თუ არა მშობლიური უფლების ჩამორთმევა ერთი შვილის მიმართ, ასეთივე უფლების ჩამორთმევას სხვა შვილების მიმართაც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, როცა მშობლები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებებს ერთი (ან რამოდენიმე) შვილის მიმართ, სასტიკად ეპყრობიან მას, მშობლიური უფლება უნდა ჩამოერთვათ არა ყველა, არამედ ამ შვილის (შვილების) მიმართ, იმ შემთხვევაში კი როცა მშობლები ამორალური ყოფაქცევის, ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან, მშობლიური უფლება უნდა ჩამოერთვათ ყველა შვილის მიმართ.

ნათესავთა უფლებრივი ურთიერთობიდან საოჯახო კანონმდებლობა უმთავრესად ოჯახის წევრთა საალიმენტო ურთიერთობას არეგულირებს. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 60-ე მუხლის თანახმად დისა და ძმისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ გაჭირვებულ არასრულწლოვან დასა და ძმას. ჩვენი აზრით, ეს კოდექსის სერიოზული ხარვეზია. არავითარი იურიდიული და მორალური გამართლება არ შეიძლება მოვუძებნოთ იმას, რომ შრომისუუნარო სრულწლოვან დასა და ძმას, რომელთაც არსებობის საკმაო სახსარი არა აქვთ, არ მივცეთ უფლება მატერიალური დახმარება მიიღონ თავიანთი დედამამიშვილისაგან. საალიმენტო ვალდებულება და-ძმებს შორის არ უნდა იყოს დაკავშირებული გაჭირვებული და-ძმის ასაკთან, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ახალმა კანონმდებლობამ. ჩვენი კოდექსი არაფერს ამბობს არაღვიძლ და-ძმათა საალიმენტო ვალდებულებების შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის

გამოთქმული აზრი, რომ რომდენადაც საბჭოთა კანონმდებლობა არაღვიძლ და-ქმებს უფლებრივად ათანაბრებს ღვიძლ და-ძმებთან, საალიმენტო ვალდებულება უნდა არსებობდეს მათ შორისაც¹⁵.

საოჯახო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს შვილად აყვანა. შვილად აყვანის საბჭოთა ინსტიტუტი აგებულია პრინციპზე, რომლის თანახმად შვილად ამყვანსა და აყვანილს შორის მყარდება ისეთივე უფლებრივი ურთიერთობა, როგორიც არსებობს ღვიძლ შვილსა და მშობელს შორის. შვილად აყვანისათვის კანონი მოითხოვს მთელ რიგ პირობათა დაცვას. ერთ-ერთ ასეთ პირობას წარმოადგენს შვილად ამყვანის ასაკი. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ შვილად აყვანის უფლება აქვს 20 წელს მიღწეულ მოქალაქეს. შემდგომში ეს ნორმა გაუქმდა და დადგინდა, რომ შვილად აყვანა შეუძლია სრულწლოვან პირს.¹⁶

სადავო არ არის ის გარემოება, რომ ბავშვის აღზრდა შეუძლია მხოლოდ სათანადოდ მომწიფებულ და ჩამოყალიბებულ პიროვნებას. ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და სულიერი სიმწიფე კი დაკავშირებულია გარკვეულ ასაკთან. სწორედ ამიტომ განსაზღვრავს კანონმდებლობა შვილად ამყვანის ასაკს. ჩვენი აზრით, ეს ასაკი არ უნდა იყოს 20 წელზე ნაკლები. ბავშვის აღზრდა დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ აყვანილი ბავშვის აღზრდა უფრო მეტ გამოცდილებას, გულისყურსა და ენერჯის მოითხოვს, ვიდრე ღვიძლი შვილის აღზრდა, ცანსაკუთრებით მაშინ, როცა შვილად ამყვანსა და აყვანილს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა არ არის. აღზრდის პირობებისა და ატმოსფეროს შეცვლა, რაც დაკავშირებულია შვილად აყვანასთან, გარკვეულ გარდატეხას ახდენს ბავშვის ფსიქიკაში, მის სულიერ სამყაროში. ეს კი შვილად ამყვანისაგან მოითხოვს უადრესად ფაქიზ, გონივრულ და სერიოზულ დამოკიდებულებას ბავშვის აღზრდისადმი. ვარდა ამისა აუცილებელია გარკვეული ასაკობრივი სხვაობა არსებობდეს შვილად ამყვანსა და ასაყვანს შორის. ბელორუსიისა და აზერბაიჯანის სსრ საოჯახო კოდექსების თანახმად ასაკობრივი სხვაობა შვილად ამყვანსა და ასაყვანს შორის უნდა იყოს 10 წელი. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ასეთი ფორმალური შეზღუდვისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს და იგი ხშირ შემთხვევაში შეიძლება საზიანოც აღმოჩნდეს ბავშვის ინტერესებისათვის.¹⁷ ჩვენ არ ვეთანხმებით ასეთ მოსაზრებას. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ასაკობრივი სხვაობის გათვალისწინება კანონში მიზნად ისახავს მხოლოდ შვილად აყვანილის ინტერესების დაცვას. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ჩვენს რესპუბლიკაში დასაშვებია 13 წლის მოქალაქის მიერ 16—17 წლის მოზარდის შვილად აყვანა. ბუნებრივად იბადება კითხვა იმის შესახებ, გაამართლებს თუ არა ასეთ შემთხვევაში შვილად აყვანა თავის დანიშნულებას და იქნება თუ არა ეს სინამდვილეში „შვილად აყვანა“ და არა სამშუალება სხვა რაიმე უკანონო მიზნის მიღწევისა? ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და მათ შორის საქართველოს სსრ ახალმა საოჯახო კოდექსმა უნდა დაადგინოს ასაკობრივი სხვაობა შვილად ამყვანსა და ასაყვანს შორის, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა.

15 ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 318.

16 საქართველოს სსრ უშიშროების საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წ. 4 ნოემბრის ბრძანებულება.

17 А. Пергамент, Опека и попечительство, Госюриздат, М., 1966, გვ. 79—80.

უკრაინისა და აზერბაიჯანის სსრ საოჯახო კოდექსების მიხედვით შვილად ამყვანი არ შეიძლება იყოს, პირი, რომელიც დაავადებულია გადამდები ავადმყოფობით. ჩვენი აზრით, ეს საკმარისი არ არის. შეიძლება შვილად ამყვანის დაავადება არ იყოს გადამდები, მაგრამ იყოს იმდენად მძიმე, რომ მნიშვნელოვნად შეაფერხოს ბავშვის ნორმალურად აღზრდა. ამ გარემოებას ყოველთვის უნდა იტყვიოს ანგარიში შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტის დროს. კანონში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული, რომ შვილად აყვანის უფლება არ შეიძლება მიეცეს მას, ვისი ჯანმრთელობაც დააბრკოლებს შვილად ასაყვანის ნორმალურ აღზრდას.

ასეთია ჩვენს მიერ დასმული ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის მომავალ კოდიფიკაციასთან დაკავშირებით.

მისჯილება

საქართველოს სსრ კანონმდებლობისათვის

კომლის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების საკითხისათვის

ბ. ლეშდარინანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ახლახან გამოქვეყნებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი, უცვლელად ტოვებს რა საბჭოთა მიწის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს, ამასთან ერთად ახლებურად აყენებს მიწის სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს, იმ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა.

მიწის ახალი კანონმდებლობით მოსაწესრიგებელ საკითხს განეკუთვნება სასაკითხი — საკომლემენტარო კომლისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. ჩვენის აზრით, მოქმედი კანონმდებლობით იგი არასრულყოფილად არის მოწესრიგებული, რაც სერიოზულ სიძნელეს იწვევს პრაქტიკაში.

კომლისათვის მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურება წარმოება საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 13 მაისის დადგენილების „მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ“ შესაბამისად¹.

დადგენილების მე-3 მუხლით უნდა ანაზღაურებულიყო მიწის ჩამორთმევით გამოწვეული ყოველგვარი ზარალი

და დანახარჯი: იმ შენობისა და ნაგებობის ღირებულება, რაც მიწას არ აეცილება; შენობისა და ნაგებობათა გადატანისა და ახალ ადგილას აგების ღირებულება; ნარგავისა და ნათესების ღირებულება; გამოუყენებელი ხარჯი, რაც გაწეულ იქნა მიწის დამუშავებისა, გაპატივებისა, მოწყალვისა და დაშრობისათვის და სხვ. ამ ხარჯის ნამდვილ სარგებლიანობის ფარგლებში.

დადგენილება ეხებოდა სოფელ ადგილებს, თუმცა მისი გამოყენება ქალაქებსა და დაბებშიც შეიძლებოდა. ეს დადგენილება გაუქმდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულებით². ამჟამად სოფელ ადგილებში ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით გამოწვეული ზარალისა და ნარგავების ღირებულების ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების მიხედვით³. ამ დადგენილებებით მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ მხოლოდ ხალ-კენჯარის, ნარგავებისა და ნათესების ღირებულება დაწესებულ ფასებში. ნარგავების ღირებულება განისაზღვრება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების მიერ შექმნილი სპეციალური კომისიების მეშვეობით. კომისია ნარგავებს

1. საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული, 1921-1940 წ. წ. ტ. 1, თბილისი, 1959 წ., გვ. 188-190.

2. საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1938-1964. თბილისი, 1965. გვ. 266.

3. საბინაო კანონთა კრებული, 1966 წ., თბილისი, გვ. 97-99.

აფასებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1962 წლის 7 ივლისის № 451 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და ტარიფის მიხედვით⁴. აღნიშნული დადგენილებებით, ზარალის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე წამოჭრილი დავა სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება და ადმინისტრაციული წესით წყდება.

კომუნალური და სასამართლო ორგანოების პრაქტიკა ამ დადგენილებების მოქმედებას სოფლადაც ავრცელებს. ეს არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ. 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ეს დადგენილება ვრცელდება „ქალაქის ტიპის დაბებზედაც“ ე. ი. მისი მოქმედების სფეროდან გამორიცხულია არა ქალაქის ტიპის დაბები. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილებაში მითითებული იქნებოდა საერთოდ დაბები და არა „ქალაქის ტიპის დაბები“. ასევე არ შეიძლება ამავე დადგენილებაში აღნიშნულ „დასახლებულ პუნქტებზე“ მიჩნეულ იქნას სოფლები. უნდა ვივარაუდოთ, რომ დასახლებულ პუნქტებში ნაგულისხმევი რკინიგზის, აეროფლოტისა და ქალაქის ტიპის სხვა დასახლებული პუნქტები, კანონმდებელი დეტალურად ჩამოთვლის იმ ადგილებს, რომლებზედაც 1961 წლის 15 დეკემბრის და 1962 წლის ივნისის ზემოაღნიშნული დადგენილებები ვრცელდება. ამ ჩამოთვლაში „სოფლები“ მოხსენებული არ არის, რის გამოც ამ დადგენილებების შეფარდება სოფლებისა და საკოლმეურნეო მოსახლეობის მიმართ, ვფიქრობთ, დადგენილებათა შინაარსიდან არ გამომდინარეობს.

ამ მოსაზრების საფუძვლიანობას ადასტურებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ⁵, რომლის პირველ მუხლში განსაზღვრულია ბრძანებულების მოქმედების ფარგლებში; იგი ეხება ყოველი სახის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას, გარდა კოლმეურნეობების მიერ გამოყოფი-

ლი საკარმიდამო ნაკვეთებისა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტმა „დასახლებული პუნქტის“ ცნებაში მეტი გარკვეულობა შეიტანა. პროექტის თანახმად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები შეიძლება იყოს როგორც სოფლად, ისე ქალაქად (31-ე მუხლი), პროექტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწები უნდა გაიმიჯნოს სხვა მიწებისაგან“ (35-ე მუხლი). მამასადამე, დასახლებული პუნქტების მიწებზე მსჯელობისას სასოფლო მიწები არ იგულისხმება. თუ ეს ასეა, მაშინ სწორია ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილებითა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილებით რეგლამენტირებული ანაზღაურების წესი არ გავრცელდება მიწების ჩამორთმევაზე სოფლად.

როგორც აღვნიშნეთ, 1931 წლის 13 მაისის დადგენილება, რომელიც აწესრიგებდა სოფელ ადგილებში მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურების საკითხს, გაუქმებულია. დღეისათვის ისეთი ნორმატული აქტი, რომელშიც პირდაპირ იქნებოდა მითითებული სოფელ ადგილებში ასეთი ზარალის ანაზღაურებაზე, ჩვენს რესპუბლიკაში არ არსებობს. ამიტომ ჩვენი აზრით, მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურებისა და ნარგავების ღირებულების საკითხი სოფლად კონკრეტულად საკოლმეურნეო კომლის მიმართ, უნდა მოწესრიგდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით დამტკიცებული დებულების — „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის შესახებ“ — საფუძველზე. ამ დებულების მე-10 მუხლის მიხედვით კოლმეურნეობებს აუნაზღაურდებათ გამოსაყოფი მიწების ათვისების ხარჯები, რომელშიც შედის მიწების დამუშავება, განაყოფიერება,

4. საბინაო კანონთა კრებული, 1966, თბილისი, გვ. 102-106.

5 საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1938-1964 წ., თბილისი, 1965 წ., გვ. 266.

გაწყლიანება, ამოშრობა და მათ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სხვა ღონისძიებათა ხარჯები, აგრეთვე მრავალწლიანი ნარგავების და ყველა გადასაცემი შენობის და ნაგებობის ღირებულება ან ახალ ადგილზე მათი გადატანისა და მშენებლობის ღირებულება, აგრეთვე მიწის გამოყოფასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები⁶.

მართალია, ეს დადგენილება საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურების საკითხებს პირდაპირ არ აწესრიგებს, მაგრამ კომლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი შედის კოლმეურნეობის მიწებში (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის 24-ე მუხლი), რის გამოც სა-

კოლმეურნეო კომლისთვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა იწვევს ამ ნაკვეთზე ზევით კოლმეურნეობის მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტასაც. ამიტომ ასეთ შემთხვევაში საკოლმეურნეო კომლისათვის, რაზედაც სწორედ შენიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა, უნდა ხდებოდეს იმ წესების დაცვით, რაც სპეციალურად კოლმეურნეობის მიწების ჩამორთმევისათვის არის გათვალისწინებული⁷. აქედან, ბუნებრივია, კოლმეურნეობასა და საკოლმეურნეო კომლისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურებაც ერთი და იგივე სამართლებრივი რეჟიმით უნდა წესრიგდებოდეს.

6. საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1966, თბილისი, № 2, 41-ე მუხლი.

7 Ю. А. Вовк, Право приусадебного землепользования колхозного двора, Госюриздат, Москва, 1957, гл. 42.

4. საბჭოთა სამართალი № 5

არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიების ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ

მ. ლეკვიშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა სახელმწიფო მიზნად ისახავს საეხებით მოსპოს არასრულწლოვანთა დანაშაული. არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არსებულ სხვადასხვა მეთოდებსა და ფორმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ პროცესუალურ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესებს.

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა მოწესრიგებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საერთო ნორმებით. მაგრამ კანონს აქვს განსაკუთრებული წესებიც, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნან ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს. სისხლის სამართლის განსაკუთრებული პროცესუალური წესების გამოყენების თვალსაზრისით არასრულწლოვანად მიიჩნევა პირი, რომელმაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის მიიღწია 14 წლის ასაკს, მაგრამ ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მ).

არასრულწლოვანთა საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესს გააჩნია თავისი სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები. პროცესის თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია თვით დანაშაულის სუბიექტის ფიზიკური, გონებრივი და ფსიქიური განვითარების დონით. ამიტომაცაა, რომ ჩვენმა კანონმდებლობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაეშვა რიგი თავისებურებებისა არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.

საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობით არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა არ არის გამოყოფილი ცალკე, თუმცა კი კოდექსი შეიცავს საერთო დებულებებთან ერთად განსაკუთრებულ წესებსაც, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნან გამოყენებული ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ეს წესები მოცემულია იმ მუხლებში, რომლებიც საერთოდ აწესრიგებენ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესებს სისხლის სამართლის პროცესის სტადიების მიხედვით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან მხოლოდ რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა პირველად საბჭოთა პროცესუალური კანონმდებლობის ისტორიაში მიიჩნია მიზანშეწონილად ცალკე გამოეყო არასრულწლოვანთა საქმეების წარმოება. ჩვენის აზრით, რსფსრ კანონმდებლობის ამგვარი გადაწყვეტილება გამართლებულია, რამდენადაც ამხსვილებს გამოძიებისა და მართლმსაჯულების ორგანოების ყურადღებას არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სპეციფიკაზე.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებათა სრულსა და ზუსტ დადგენას, რომელიც დამტკიცებული უნდა იქნას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არსებობს მუხლი, ანალოგიური რსფსრ სსსკ 392-ე მუხლისა, რომელიც ჩამოთვლის არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას დასადგენ გარემოებებს. კანონმდებელი ამგვარ გარემოებებად მიიჩნევს არასრულწლოვანთა ასაკს; ცხოვრებისა და აღზრდის პირობებს; მიზეზებსა და პირობებს, რომელთაც ხელი შეუწყეს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას; მოზრდილი წამქეზებლებისა და სხვა თანამონაწილეთა არსებობას; თუ მოიპოვება ცნობები არასრულწლოვანის გონებრივი ჩამორჩენილობის შესახებ, რაც დაკავშირებული არ არის სულიერ დაავადებასთან; უნდა დადგინდეს ასევე, შეეძლო თუ არა არასრულწლოვანს სრულად შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას და განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის მიზეზების გამოვლენასა და დანაშაულის პიროვნებას. ეს მით უმეტეს შეეხება არასრულწლოვანებს. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებს მე-15 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეზე დასამტკიცებელ გარემოებათა წრეს, დუმილით უვლის გვერდს დანაშაულის მიზეზების გამოვლენის საკითხს.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებმა და მათ შორის საქართველოს სსრ სსსკ კოდექსმა დაუმატეს, რომ საქმის გამოძიებისას და განხილვისას გამოვლენილი უნდა იქნას ის გარემოებანიც, რომლებმაც ზელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას (საქართველოს სსსკ მე-60 მუხლი) უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობამ ეს გარემოება ცალკე მუხლად გამოყო.

არასრულწლოვანთა საქმეებზე მტკიცების საზღვრებს თავისი სპეციფიკა გააჩნიათ. ეს სპეციფიკა დაკავშირებულია არასრულწლოვანთა ასაკთან, მათ განვითარებასთან, ფიზიკურ და ფსიქიურ მდგომარეობასთან, პიროვნების ქცევისა და ზასიათის ფორმების პირობებთან და სხვა. ამიტომ არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებისა და განხილვის დროს მტკიცების საგანი ფართოვდება.

სპეციფიკურ გარემოებათა გამოჩვენება საშუალებას იძლევა მივალწიოთ აღზრდელით ეფექტს, სწორად განვსაზღვროთ ის ზომები, რომლებიც სასურველ შედეგს გამოიღებენ არასრულწლოვანის გამოსწორების საქმეში, მომავალში თავიდან აგვაცილებენ ანალოგიური დანაშაულის ჩადენას.

ასაკის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის დროს. ასაკის ზუსტად დადგენა, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად. სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს იმ პირის მიმართ, რომელსაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის მომენტში არ შესრულებია ის ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგაც კანონის საფუძველზე შესაძლებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მ.).

არასრულწლოვანის ასაკის ზუსტად დადგენა აუცილებელია აგრეთვე სას-

ჯელის ზომის განსაზღვრისათვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში რეჟიმის დასადგენად, მისი ვადამდე ადრე განთავისუფლებისათვის და სხვ.

იურიდიულ ლიტერატურაში მითითებული იყო, რომ პრაქტიკაში ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება შემთხვევები, როდესაც სათანადო ორგანოების არასწორი მუშაობის შედეგად ზუსტად არ დგინდება არასრულწლოვანთა ასაკი, რაც იწვევს სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ აღძვრას ან მართლსაწინააღმდეგო განაჩენის გამოტანას.¹

არასრულწლოვანთა საქმეების წარმოებისას გამოთხოვილ უნდა იქნას ამ პირის წლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი (მოწმობა დაბადების შესახებ ან პასპორტი 16 წელს მიღწეული პირისათვის). თუ ამგვარი დოკუმენტი არ არსებობს, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე ჩატარდება ექსპერტიზა არასრულწლოვანის ასაკის დასადგენად.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ექსპერტის დასკვნის შეფასებისას უნდა ითვალისწინებდნენ იმ სიძნელეებს, რომელიც თან ახლავს ექსპერტიზის ჩატარებას ასაკის დადგენის მიზნით. ექსპერტს არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს პირის დაბადების თვე და რიცხვი. უკეთეს შემთხვევაში, შესაძლოა დადგენილი იქნას დაბადების წელი. ამიტომ, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს გ. მ. მინკოვსკი,² ექსპერტიზა არასრულწლოვანის ასაკის დასადგენად უნდა დაინიშნოს მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც დაბადების შესახებ დოკუმენტი არა მარტო არ არსებობს, არამედ საერთოდ შეუძლებელია მისი მიღება. თუ კი არსებობს რაიმე შესაძლებლობა, თუგინდ იგი დაკავშირებული იყოს დიდი დროის, ძალისა და საშუალების დაკარგვასთან, ეს შესაძლებლობა აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნას.

არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე, ასევე იმ პირთა შესახებ დანაშაულის საქმეებზე, რომელთაც თავისი ფიზიკური და ფსიქიური ნაკლის გამო არ შეუძლიათ განახორციელონ უფლება დაცვაზე, დამცველი დაიშვება საქმეში მონაწილეობის მისაღებად ბრალდების წაყენების მომენტიდან (საქართველოს სსრ სსსკ 43-ე მ.).

დამცველის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში ბრალდების წაყენების მომენტიდან, გულისხმობს, რომ იგი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესუალური მოქმედების განხორციელებაში. მაგრამ საგამომძიებლო პრაქტიკა მოწმობს, რომ დამცველის როლი უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება მისი დასწრებით არასრულწლოვანისათვის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის დადგენილების გაცნობისას. დამცველის მოქმედების პასიურობა განპირობებულია საქმის გარემოებათა არცოდნით. ამიტომ მას არა აქვს საშუალება აღძვრას რაიმე შუამდგომლობა ან გამოთქვას თავისი მოსაზრება. იმისათვის, რომ დამცველს შეეძლოს აქტიურად დაიცვას ბრალდებულის უფლებები, იგი უნდა გავაცნოთ შეკრებილ მასალას.

ჩვენ არასწორად მიგვაჩნია ისეთი პრაქტიკა, როდესაც წინასწარი გამოძიებისას არასრულწლოვანის საქმეზე მონაწილეობს ერთი დამცველი, ხოლო

¹ В. Теребилов, Улучшить судебную практику по делам о преступлениях несовершеннолетних. «Социалистическая законность», 1963, № 10, стр. 10—11.

² Г. М. Миньковский, Особенности расследования и судебного разбирательства дел о несовершеннолетних, 1959 г.

სასამართლოში საქმის განხილვისას—მეორე. იმისათვის, რომ უფრო კვალი-ფიციურად იქნას დაცული არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები და კანონიერი ინტერესები, სასამართლოშიც არასრულწლოვანის ინტერესებს უნდა იცავდეს იგივე დამცველი, რომელიც უკვე საკმაოდ კარგად იცნობს საქმის მასალებსაც და თვით სამართალში მიცემულსაც.

შესაძლოა, რომ არასრულწლოვან ბრალდებულსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის წამოიჭრას დავა ამა თუ იმ დამცველის მოწვევის თაობაზე. ჩვენი აზრით, საბოლოოდ ეს საკითხი უნდა გადაჭრას არასრულწლოვანმა ბრალდებულმა, ვინაიდან დასაშვებია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვეოდნენ და ზოგჯერ პირიქით, ერთმანეთის საწინააღმდეგონიც კი იყვნენ.

თუ კანონიერი წარმომადგენლის მიერ მიწვეული დამცველი არ აკმაყოფილებს ბრალდებულს, მას შეუძლია უარი თქვას მასზე. ეს უარი არ ნიშნავს საერთოდ დაცვაზე უარის თქმას. ხოლო არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს უფლება არა აქვს უარყოს არასრულწლოვანის მიერ საქმეში მონაწილეობისათვის მოწვეული დამცველი. კანონის ძალით ამის უფლება ეკუთვნის მხოლოდ ბრალდებულს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ბრალდებულს შეუძლია უარი თქვას დამცველზე მხოლოდ თავისი ინიციატივით.

საქართველოს პროცესუალური კანონმდებლობით არასრულწლოვანის მიერ დამცველზე უარისთქმა არ არის სავალდებულო გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებისათვის (სსსკ 45-ე მ.).

საქართველოს სსრ არასრულწლოვანთა საქმეებზე საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ არასრულწლოვანის უარის მიუხედავად დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესზე თითქმის ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილია. ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისაღმების ღირსია.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 22-ე მუხლის თანახმად დამცველის სახით სისხლის სამართლის პროცესზე დაიშვებიან ადვოკატები, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან სხვა პირები, რომელთაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (მ. 43) საფუძვლებში გათვალისწინებულ პირთა გარდა სასამართლოს განჩინებითა და მოსამართლის დადგენილებით დამცველად შეიძლება დამცველ იქნან სამართალში მიცემულის ახლო ნათესავები და კანონიერი წარმომადგენლები, ასევე სხვა პირები. ასევეა გადაწყვეტილი ეს საკითხი რუსეთის სფსრ სსს კოდექსითაც.

როგორც კანონის მითითებიდან ჩანს, ბრალდებულის ახლო ნათესავები, კანონიერი წარმომადგენლები და სხვა პირები დამცველად დაიშვებიან უკვე სასამართლო განხილვის სტადიიდან. წინასწარ გამოძიებაში ამ პირთა დამცველებად დაშვება გამორიცხულია.

ესტონეთის სსრ კანონმდებლობით (სსსკ მ. 36) დამცველებად წინასწარ გამოძიებაში შეიძლება იყვნენ ადვოკატები, პროფკავშირისა და სხვა საზოგა-

დოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, ასევე სხვა პირებიც გამოძიებლის ნებართვით.

ყაზანეთის სსრ სსსკ 23-ე მუხლით საფუძვლებში ჩამოთვლილ პირთა გარდა ნებადართულია დამცველის სახით წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობა მიიღონ ასევე ბრალდებულის ახლო ნათესავებმა და კანონიერმა წარმომადგენლებმა.

აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (მ. 57) წინასწარ გამოძიებაში დამცველის ფუნქცია შეიძლება განახორციელოს აგრეთვე ბრალდებულის მეუღლემ, ახლო ნათესავმა და კანონიერმა წარმომადგენელმა, ასევე სხვა პირმაც.

როგორც ვხედავთ, დამცველის სახით წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის, პროფკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლის მონაწილეობის საკითხი აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს. სხვა პირთა დამცველის სახით მონაწილეობა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში ერთგვაროვნად არ არის გადაჭრილი.

საკმათთა ეს საკითხი იურიდიულ ლიტერატურაშიც; წინასწარ გამოძიებაში კანონიერი წარმომადგენლების დამცველებად დაშვების მოწინააღმდეგეა ლ. ულიანოვა; იგი თვლის, რომ კანონიერი წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან არასრულწლოვანის აღზრდაზე, ყოველთვის დაინტერესებულნი არიან საქმის შედეგით. ამიტომ არა მარტო წინასწარ გამოძიებაში, არამედ სასამართლო სხდომაზედაც მათი მონაწილეობა შეზღუდული უნდა იქნას.³

რ. ი. ცირულნიკოვას მიზანშეწონილად მიაჩნია არასრულწლოვანთა საქმეებზე კანონიერ წარმომადგენელთა დამცველის სახით დაშვება წინასწარი გამოძიების სტადიიდან. რ. ცირულნიკოვა მიუთითებს, რომ კანონიერ წარმომადგენელთა დაშვება სასურველია და აუცილებელი იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს უკანასკნელნი დაინტერესებულნი არიან საქმის ბედიტ.⁴ რ. ცირულნიკოვას მსჯელობა მთლად ზუსტი არ არის. სჩანს რ. ცირულნიკოვას აქ მხედველობაში აქვს კანონიერ წარმომადგენელთა ისეთი დაინტერესება, რომელიც ეწინააღმდეგება არასრულწლოვანი ბრალდებულის ინტერესებს. სხვაგვარად მისი სიტყვების გაგება შეუძლებელია, ვინაიდან, როგორც წესი, არასრულწლოვანი ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლები ყოველთვის დაინტერესებულნი არიან საქმის განხილვის ბედიტ.

მაგრამ ჩვენ რ. ცირულნიკოვას მაინც ვერ დავეთანხმებით. იგი მოითხოვს კანონიერ წარმომადგენელთა დაშვებას დამცველებად ბრალდების წაყენების მომენტიდან, როდესაც ჯერ გამოძიება არ არის დამთავრებული და ამდენად გამოძიებელი არ შეიძლება იყოს დარწმუნებული მშობლებისა ან მათი შემცველი პირების ობიექტურობაში არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, მათ მონაწილეობამ წინასწარ გამოძიებაში შეიძლება ხელი შეუშალოს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას და მიგვიყვანოს სასამართლო შეცდომამდე.

ამას გარდა, ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენლებს, როგორც წესი, არა აქვთ სათანადო სამართლებრივი ცოდნა; ან კიდევ, არასრულწლოვანი შე-

³ Л. У л ь я н о в а, Защита по делам о преступлениях несовершеннолетних, Советская юстиция, 1966, № 5, стр. 13.

⁴ Р. И. Ц и р у л ь н и к о в а, Допрос несовершеннолетних на предварительном следствии, Автореферат диссертации, М., 1956 г.

ავტორები, რომლებიც შეუძლებლად მიიჩნევენ პასუხისმგებლობის დადგომას დარღვევის ჩადენისთანავე, მიზეზად იშველიებენ იმას, რომ არსებობს პირის არაბრალეულობის პრეზუმპცია ვიდრე არ გამოტანილა სათანადო დადგენილება მის მიერ დარღვევის ჩადენისა და შემოქმედების ზომის გამოყენების შესახებ.

მაგალითად, ვ. გ. სმირნოვი წერს: „თუ ვინმე ეჭვიმტანილია დანაშაულის ჩადენაში, მაშინ აღნიშნული პოზიციის შესაბამისად, იგი ცნობილ უნდა იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და მის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე, ვინაიდან იგი მიჩნეულია მონაწილედ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა, რომელიც რეგულირდება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებით“⁴.

არაბრალეულობის პრეზუმპცია არსებობს ადმინისტრაციულ სამართალშიც. პირი არაბრალეულად ჩათვლება ადმინისტრაციულ გადაცდომაში ქანამ, ვიდრე ადმინისტრაციული ორგანო არ გამოიტანს დადგენილებას შემოქმედების ღონისძიების გამოყენების შესახებ, მაგრამ აქედან არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ორგანო თავისი გამამტყუნებელი დადგენილებით ქმნის დამრღვევის ბრალს ჩადენილ გადაცდომაში.

თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ პირს ბრალი არ მიუძღვის გადაცდომის ჩადენაში ვიდრე ამას ადმინისტრაციული ორგანო თავის დადგენილებაში აღიარებდეს, მაშინ ჩვენ უნდა უარვყოთ გადაცდომის არსებობა. ამით ხელფენიერული აღმოჩნდება მოკვლევის, აგრეთვე სხვა ის ორგანო, რომელიც გადაცდომის საქმეს აღძრავს და ჩადენილი აქტის მიმართ გამოიყენებს გადაუდებელ ზომებს. განა შეიძლება გადაცდომის საქმე შედგეს და აღიძრას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პირის მიმართ თუ მას ბრალი არ მიუძღვის გადაცდომის ჩადენაში? ეს ხომ კანონიერების უხეში დარღვევა იქნებოდა.

ამიტომ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემის ყველა ფაქტს შემთხვევაში მომკვლევი პირისათვის ნათელი უნდა იყოს ამა თუ იმ პირის მიერ გადაცდომის ჩადენის სინამდვილე და, მაშასადამე, მისი ბრალიც ამ გადაცდომაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება არა აქვს აღძრას ადმინისტრაციული საქმე და პირი მისცეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში.

არაბრალეულობის პრეზუმპცია სინამდვილის გაყალბებას კი არ გულისხმობს, არამედ დამრღვევს აძლევს უფლებას დაცვას თავისი სიმართლე და მოსთხოვოს სახელმწიფო ორგანოს დაუმტკიცოს მას ბრალი მომხდარ ადმინისტრაციულ გადაცდომაში. საკვებით სამართლიანად წერს ა. ა. პიონტკოვსკი: „არაბრალეულობის პრეზუმპცია ნიშნავს, რომ პირის რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალის დამტკიცების ტვირთი აწევს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს. მაგრამ არაბრალეულობის პრეზუმპცია არ გამოორიცხავს სოციალისტური მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობის მატერიალურ საფუძველს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პროცესში“⁵.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რამდენადაც იგი დაკავშირებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობასთან, დგება არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა გადაცდომის მომენტში სახელმწიფო ორგანოსათვის ცნობილია დარღვევის ფაქტი და ამიტომ აღიძრა ადმინისტრაცი-

⁴ В. Г. Смирнов, Функции советского уголовного права, Л., 1965, стр. 157.
⁵ ა. ა. პიონტოვსკი, დასახელებული სტატია, გვ. 44.

ული საქმე, არამედ მაშინაც, როცა იგი ჯერ კიდევ უცნობია სახელმწიფოს კონკრეტული ორგანოსათვის და ამიტომ არ არის აღძრული ადმინისტრაციული საქმე. აქ ადგილი აქვს კონკრეტულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას ადმინისტრაციული გადაცდომის თვით ფაქტის ჩადენის გამო.

არასწორი არიან ავტორები, რომლებიც თვლიან, რომ სამართლებრივი ურთიერთობა ამ შემთხვევაში არ არის კონკრეტული, რომ იგი პერსონიფიცირებული მხარეების გარეშეა. ნ. ი. ზაგოროდნიკოვი ამასთან დაკავშირებით წერს: „სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება ჩავთვალოთ რეალურად არსებულად თუ დადგენილი არ არიან, პერსონიფიცირებული არ არიან მისი კონკრეტული მონაწილეები, არ არის განსაზღვრული ამ ურთიერთობის კონკრეტული შინაარსი“.⁶

სამართლებრივი ურთიერთობის ცნობილი ორი ტიპიდან მეორისათვის დამახასიათებელია უფლებამოსილი მხარის გარკვეულობა და ვალდებული მხარის გაურკვეველობა. აქ აქტიურია უფლებამოსილი მხარე. ვალდებული მხარის აქტიურობისათვის საჭიროა იურიდიული ფაქტის მეშვეობით წარმოიშვას ახალი სამართლებრივი ურთიერთობა პირველი ტიპისა. სავსებით სწორად მიუთითებენ ი. ს. იოფე და მ. დ. შარგოროდსკი, რომ სამართლებრივი ურთიერთობის „სუბიექტური შემადგენლობის კონკრეტულობა გამოიხატება არა მის მონაწილეთა რიცხვში, არამედ ზუსტ მათ განსაზღვრულობაში, როგორც არ უნდა იყოს მათი რიცხვი“.⁷

ამდენად სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებია კონკრეტული რომელიმე მხარის გარეშეც. მაგრამ სამართალდარღვევისათვის სრულებით არ არის დამახასიათებელი მხარეების გაურკვეველობა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გადაცდომის ჩადენას მოყვება, კონკრეტულია თავისი სუბიექტური შემადგენლობით, ვინაიდან განსაზღვრულია ის მხარე, რომელიც უნდა დაემორჩილოს ნორმით გათვალისწინებულ იძულების ღონისძიებას, ხოლო მეორე მხარე სახელმწიფო ორგანოს სახით ყოველთვის ვალდებულია და უფლებამოსილიც გამოიყენოს გადაცდომის აღკვეთის ყველა უონისძიება დამრღვევის პასუხისგებაში მისაცემად და შემდეგ პასუხისმგებლობის მოსახდელად.

თუ სამართლებრივი ურთიერთობას, რომელსაც აწესრიგებს ამკრძალავი ნორმა, ჩვენ მივიჩნევთ ზოგად, მეორე ტიპის ურთიერთობად, მას საერთოდ აზრი დაეკარგება, ვინაიდან ამკრძალველი ნორმა, ვიდრე იგი არ დარღვეულა არაფერს არ აწესრიგებს. სწორად აღნიშნავს ნ. გ. ალექსანდროვი: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ საერთო აკრძალვებთან მიმართებით ლაბარაკი შეიძლება მხოლოდ ევენტუალურ მოვალეობაზე, ე. ი. ისეთ მოვალეობაზე, რაც გათვალისწინებულია ისეთ ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებათა წარმოშობის შემთხვევისათვის, რომელთა არსებობისას შეიძლება დაირღვეს მოცემული აკრძალვა... სამართლის ნორმები, რომლებიც ადგენენ ამა თუ იმ მოქმედების შესრულების საერთო აკრძალვას, როგორც დავინახეთ ჯერ კიდევ არ ითვალისწინებენ სამართლებრივი ურთიერთობას“.⁸

⁶ ნ. ი. ზაგოროდნიკოვი, დასახელებული სტატია, გვ. 43.

⁷ ი. ს. იოფე, მ. დ. შარგოროდსკი. *Вопросы теории права*, М., 1961, стр. 213.

⁸ Н. Г. Александров, *Право и законность в период развернутого строительства коммунизма*, М., 1961, стр. 192.

როდესაც ადმინისტრაციული გადაცდომის ფაქტი უცნობია შესაბამის სახელმწიფო ორგანოსათვის, რასაკვირველია, ამით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოშვა დარღვევის ფაქტმა არ შეწყდება. დამრღვევი გრძნობს თავის ბრალს ჩადენილ გადაცდომაში, შეგნებული აქვს მისი მავნე შედეგები და ითვალისწინებს იმ იძულებას, რომელიც მან უნდა განიცადოს სახელმწიფოს მხრივ, მაგრამ თავს არიდებს მას და ფარავს თავის მოქმედებას. აქ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა კონკრეტულია: ერთის მხრივ დამრღვევი და მეორეს მხრივ სახელმწიფო ორგანო, რომლის წინაშეც უნდა წარსდგეს იგი მისი ქმედობის გამოყენების შემთხვევაში და რომელთანაც იგი იმყოფება სამართლებრივ ურთიერთობაში დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობა აქ არ არის მიყვანილი ბოლომდე, იგი გრძელდება ხანდაზმულობის დადგომამდე, რომლის დადგომა (რაც ადმინისტრაციულ სამართალში 3 თვით განი-საზღვრება) თავისთავად ახალი იურიდიული ფაქტია და იწვევს ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას: მოისპობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და პირი სარგებლობს ყველა იმ სიკეთით, რომელიც არაბრალეულ პირს გააჩნია.


მაგრამ ვიდრე ეს ხანდაზმულობა დადგებოდეს დამრღვევი განიცდის რა სახელმწიფოსაგან არაპირდაპირ იძულებას, იზღუდავს თავისი ნების თავისუფლებას გადაცდომის დაფარვის უზრუნველსაყოფად. ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში აქტიურია დამრღვევი, ხოლო პასიურ როლში გამოდის სახელმწიფო ორგანო, რომლისაგანაც დამრღვევი განიცდის არაპირდაპირ იძულებას. ეჭვს გარეშეა, რომ აქაც სამართლებრივი ურთიერთობა ხასიათდება იმ საერთო ნიშნებით, რაც აუცილებელია მისი არსებობისათვის და რაზედაც ზემოთ იყო აღნიშნული.

სხვაგვარად შეუძლებელია ავხსნათ მთელი რიგი საკითხებისა, რაც პასუხისმგებლობის წარმოშობას მოყვება. მაგალითად, დევნის ხანდაზმულობის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება გულისხმობს, რომ ვადის გასვლის გამო წარმოიშვა იურიდიული ფაქტი, რომელმაც უნდა შეწყვიტოს მანამდე არსებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, მაგრამ თუ გადაცდომის ჩადენის მომენტიდან ასეთი ურთიერთობა არ არსებობდა, მაშინ როგორ შეწყდება იგი, როგორ გაუქმდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა? ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ სამართალდარღვევის ყოველი ფაქტი იწვევს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობასა და პასუხისმგებლობის დადგომას.⁹

ნ. ი. ზაგოროდნიკოვი წერს: „თუ ვაღიარებთ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წარმოიშვება დანაშაულის ჩადენის მომენტიდან, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ თანაბრად პასუხს აგებენ ან უკვე აგეს იმ პირებმაც, რომლებიც ბრალდებულის სახითაა მიცემული პასუხისაგებაში, მაგრამ რომელთა მიმართ საქმე შემდგომში შეწყვეტილი აღმოჩნდა, და იმ პირებმაც, რომელთა მიმართაც გამოტანილია და სრულდება ან აღსრულებულია გამამტყუნებელი განაჩენი, და აგრეთვე იმ პირებმაც, რომელთაც დაარღვიეს სისხლის-

9 იხ. ა. ა. პონტკოვსკი, დასახელებული სტატია, В. И. Курляндский, Уголовная ответственность и меры общественного воздействия. М., 1965, ст. 20; М. С. Строгович, Курс советского уголовного права, М., 1958, стр. 49.

¹⁰ იხ. ნ. ი. ზაგოროდნიკოვი, დასახელებული სტატია, გვ. 43.



10.755

სამართლებრივი ნორმა, მაგრამ გადაცემული არიან თავდებში ან რომელითა საქმე გადაეცა ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად¹⁰. აქ ჩამოთვლილ შემთხვევებს შესაბამისი სახესხვაობით შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის დროსაც, მაგრამ მათ ავტორისეულ შეფასებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

ნ. ი. ზაგოროდნიკოვი აღნიშნავს, რომ პირის მიმართ საქმე შეწყდა და მოეხსნა პასუხისმგებლობა და მიუხედავად ამისა თითქოს პასუხისმგებლობა კვლავ რჩება ჯერ-ერთი, თუ საქმე შეწყდა ამნისტიის ან სხვა გარემოების გამო პირი ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის მომენტში, რასაკვირველია, იმყოფებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში, ე. ი. მის მიმართ არსებობდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რაც გამოწვეული იყო გადაცდომის ჩადენის ფაქტით. მაგრამ პასუხისმგებლობა არ არის ერთხელ გადაჭრილი აქტი, იგი გრძელდება საქმის წარმოების მთელი პერიოდისა და დაკისრებული ღონისძიების აღსრულების მთელ მანძილზე. ამიტომ თუ პასუხისმგებლობის პერიოდში წარმოიშვა ახალი იურიდიული ფაქტი (ამნისტია, ხანდაზმულობა), რომელიც აუქმებს პასუხისმგებლობას ნიშნავს, რომ შეწყდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა გადაცდომასთან დაკავშირებით და წარმოიშვა ახალი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოცემულ შემთხვევაში სრულებით არ წარმოადგენს ისეთ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რომელიც ახასიათებს პირს, ვინც შეასრულა სახდელის კონკრეტული სახე. აქ ურთიერთობა „შუა გზაზე“ გაწყვეტილი, ბოლომდე არ არის მიყვანილი (ისევე, როგორც დაუდგენელი, მაგრამ ფაქტიურად არსებული გადაცდომის დროს, რომლის მიმართ პასუხისმგებლობა შეწყდება ხანდაზმულობის შედეგად).

მეორეც, თუ საქმის შეწყვეტა დაკავშირებულია შეცდომასთან, ე. ი. ისეთ შემთხვევასთან, როდესაც სახელმწიფო ორგანომ პირი შეცდომით მისცა ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში გადაცდომისათვის, რომელიც სინამდვილეში მას არ ჩაუდენია, რაც საქმის შეწყვეტისას აღმოჩნდა, რასაკვირველია, აქ ადგილი არა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, სინამდვილეში პირი ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში არ იმყოფება. ამ შემთხვევაში წარმოიშვება ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობანი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასადგენად, მაგრამ რადგანაც ამ ურთიერთობებს მატერიალური საფუძველი არა აქვთ (არ არსებობს გადაცდომა და შესაბამისი მატერიალური ურთიერთობა), აუცილებელია შეწყდეს პროცესუალური ურთიერთობანი და არა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რომელიც იმთავითვე არ არსებობდა. მაგრამ თუ ადგილი ექნა კანონიერების დარღვევას და არაბრალეული პირი მინც მიეცა „ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში“, აქ უკვე სულ სხვა ურთიერთობებია წარმოშობილი, რომელიც თავის მხრივ საჭიროებს იძულების ღონისძიების გამოყენებას უკანონოდ მოქმედ თანამდებობის პირის მიმართ. არაბრალეული პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემა ამ პირს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობის სუბიექტად კი არ აქცევს (ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით) არამედ ეს არის იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ურთიერთობას უკანონოდ მოქმედ თანამდებობის პირსა და სახელმწიფოს შორის. არაბრალეული პირი აქ დაზარალებული მხარეა.

რაც შეეხება საქმის გადაცემას ამხანაგური სასამართლოს განსახილველად, ეს არსებითად არ ცვლის საკითხს. ადმინისტრაციული ორგანო გადასცემს გადაცდომის საქმეს ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად მეტი საზოგადოებრივი ეფექტისა და დამრღვევის სწორი აღზრდისათვის. აქ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა არ შეწყდება, ვინაიდან პირი კი არ არის გამართლებული გადაცდომაში, არამედ მიზანშეწონილადაა მიჩნეული მისი ბრალეული ქმედობისათვის გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება. ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე აქ არის არა სახელმწიფო ორგანო, არამედ საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც გამოიყენებს ნაცვლად ადმინისტრაციული სახდელისა საზოგადოებრივ ღონისძიებას. ზემოქმედების ღონისძიების ხასიათი არ ცვლის დარღვევის ბუნებას და, მამასადამე, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს. ადმინისტრაციული გადაცდომებისათვის, ისევე როგორც დანაშაულისათვის ზოგჯერ პირს შეიძლება შეეთარდოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, მაგრამ ამით გადაცდომა ან დანაშაული არასამართლებრივ დარღვევად როდი იქცევა. ამიტომ არასწორად მიგვაჩნია ა. ა. პიონტოვსკის მოსაზრება: „ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ საქმის გადაცემა ამხანაგური სასამართლოს განსახილველად ნიშნავს, რომ ეს ქმედობა განიხილება როგორც ანტისაზოგადოებრივი გადაცდომა და არა როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული. ამიტომ ამხანაგური სასამართლოსაგან გამართლება არ იწვევს ნასამართლობას“¹¹.

ამხანაგურ სასამართლოს გადაცემა სისხლის სამართლის საქმე, არა მართო იმიტომ, რომ დარღვევაში არ აღმოჩნდა დანაშაულის ნიშნები. მთელ რიგ შემთხვევებში პირს ჩადენილი აქვს აშკარა სისხლისსამართლებრივი დანაშაული, მაგრამ სახალხო სასამართლო ან გამოძიების ორგანო მას მაინც ამხანაგურ სასამართლოს გადასცემს განსახილველად არა იმიტომ, რომ მან შეცვალა დანაშაულის ბუნება, არამედ გამოვიდა დასჯის მიზანშეწონილობიდან, რომ პიროვნების სწორი აღზრდისათვის მოცემულ შემთხვევაში საჭიროა სწორედ საზოგადოებრივი ზემოქმედება.

მართალია, ასეთი განხილვა ნასამართლობას არ იწვევს, მაგრამ ეს არ ცვლის ვითარებას: პიროვნება იმყოფება სამართლებრივ (სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ) ურთიერთობაში ამხანაგურ სასამართლოსთან, ვინაიდან დამრღვევის მიერ ჩადენილი ქმედობა რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტით. მაგრამ დამრღვევი აქ განიცდის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებას და ამიტომ ნასამართლობაც არ შეეთარდება.

წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია ამხანაგური სასამართლოს მიერ სახალხო სასამართლოსათვის ან ადმინისტრაციული ორგანოებისათვის საქმის უკან დაბრუნებისას სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომელიც პირთა სუბიექტური შეხედულებებითა და შეფასებით არ განისაზღვრება. ამხანაგურ სასამართლოში ნასამართლობის გაუქმება სრულებითაც არ ნიშნავს დამრღვევისათვის სამართლებრივი შედეგების ლიკვიდაციას. ამხანაგური სასამართლოების დებულების მე-20 მუხლში აღნიშნულია: „ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება ამხანაგური გაფრთხილების, საზოგადოებრივი გაკიცხვის ან საზოგადოებრივი საყვედურის გამოცხადების შესახებ მოქმედებს

11 ა. ა. პიონტოვსკი, დასახელებული სტატია. გვ. 47.

ერთი წლის განმავლობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში პირი, რომლის მიმართ გამოტანილი იყო გადაწყვეტილება, არ ჩაიდენს ახალ სამართლებრივ დარღვევას, ზემოქმედების ზომა ჩაითვლება მოხსნილად¹². ეს შეეხება მხოლოდ სამართალდარღვევის საქმეებს და არა მორალური დარღვევისას, რომელთაც აგრეთვე იხილავს ამხანაგური სასამართლო. ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომის მოუხსნელობა გამოწვეულია იმით, რომ სამართალდამრღვევი, რომლის საქმეც ამხანაგურმა სასამართლომ განიხილა, ჯერ კიდევ იმყოფება სამართლებრივ ურთიერთობაში, ვიდრე აღნიშნული ვადა არ გავიდოდეს.

ყოველივე აქედან ცხადია, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ აზრს სამართალდარღვევის საქმეებზე საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის არსებობის შესახებ. ასეთი პასუხისმგებლობა არსებობს მხოლოდ მორალური დარღვევის საქმეებზე, რომლებიც სამართლებრივ ურთიერთობებთან არაა დაკავშირებული. სამართალდარღვევის საქმეთა ამხანაგურ სასამართლოში განხილვისას შეიცვლება სახელმწიფო იძულების ზომა საზოგადოებრივით და არა სამართლებრივით პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით, ვინაიდან იგი წესრიგდება სამართლის ნორმით და არა მორალური ნორმით.

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა წარმოიშობება არა დარღვევისთანავე, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც იგი ცნობილი გახდა გამოძიებისათვის¹³. მაგრამ ასეთი შეხედულება, ჩვენის აზრით, არასწორია, ვინაიდან აქედან გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა თუ არარსებობა დამოკიდებულია სუბიექტურ შეხედულებაზე, იმაზე აღძრავს თუ არა შესაბამისი ორგანო სამართალდარღვევის საქმეს.

ამრიგად, ყველა ისეთი აზრი, რომელიც უარყოფს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას დარღვევის ჩადენისთანავე, ჩვენის აზრით, არასწორია, ვინაიდან ასეთი შეხედულება ემყარება იმას, აღიარებს თუ არა სასამართლო თუ საგამომძიებლო ორგანო დარღვევის ფაქტს და შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას. ა. ა. პიონტოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი შეხედულება „ეყრდნობა ორი სხვადასხვა მოვლენის ურთიერთარევას — სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტისა და სასამართლოს მიერ მისი კონკრეტიზაციის და აქედან გამომდინარე კონკრეტულ უფლებათა და მოვალეობათა მკაცრად განსაზღვრის მომენტთან. ...მხოლოდ გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მატერიალურ ფორმებში რეალიზაცია, რეალიზაცია სასამართლოს მიერ დადგენილი კონკრეტული სახელმწიფო იძულებისა დამნაშავეის დასჯაზე და ბრალეულის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისა პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის“¹⁴.

და ბოლოს, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აქვს თავისი დასასრულიც. იგი უნდა ვეძიოთ იქ, სადაც გადაცდომასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული

¹² იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1961, № 32, მუხ. 478.

¹³ А. Л. Ривлин, Об уголовно-правовых и уголовно-процессуальных отношениях — «Правоведение» 1959, № 2; И. Гальперин, Как исчислять сроки давности привлечения к уголовной ответственности, — «Сов. юстиция», 1966, № 9; Я. М. Брайнин, Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве, М., 1963.

¹⁴ იხ. ა. ა. პიონტოვსკი, დასახელებული სტატია, გვ. 42.

ტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა წყდება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იქნეს კვლავ იურიდიული ფაქტით. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პირი, რომელმაც მოიხადა ადმინისტრაციული სახდელი, ერთი წლის განმავლობაში ითვლება პასუხისგებაში ნამყოფად. მაშასადამე, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების აღსრულების შემდეგაც პირი იმყოფება განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფო ორგანოსთან მის მიერ გადაცდომის ჩადენასთან დაკავშირებით. ეს ურთიერთობა გამოიხატება იმაში, რომ პირის უფლებები ჯერ კიდევ შეზღუდულია განსაზღვრულ ნაწილში: გადაცდომის განმეორების შემთხვევაში ეს მას დამამძიმებელ გარემოებად ჩაეთვლება. ამიტომ პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე კვლავ გრძელდება. ის გარემოება, რომ დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ სისრულეშია მოყვანილი, ჯერ კიდევ არ თამაშობს ისეთი იურიდიული ფაქტის როლს, რომელსაც შეუძლია შეწყვიტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა. დამრღვევის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება კვლავ გრძელდება და სახდელის აღსრულება არ ათავისუფლებს მას სხვა ვალდებულებისაგან, რომელიც გადაცდომის ჩადენასთანაა დაკავშირებული. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის იურიდიული ფაქტი დადება 1 წლის ხანდაზმულობის გავლის მომენტში ადმინისტრაციული სახდელის აღსრულებიდან. ეს ფაქტი კი პირს უკვე ათავისუფლებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ყველა ვალდებულებიდან.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება შეწყდეს არა მარტო ხანდაზმულობის გავლის გამო, არამედ სხვა გარემოების შედეგადაც (ამნისტია). კერძოდ, ამხანაგურ სასამართლოს უფლება აქვს შესაბამისი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოთხოვნით, ან თავისი ინიციატივით მოუხსნას პირს ზემოქმედების ზომის შეფარდების ხანდაზმულობა 1 წლის ვადის გასვლამდე. ასეთი უფლება ადმინისტრაციულ ორგანოებს არა აქვთ, რაც, ჩვენის აზრით, მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. ვადაზე ადრე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მოხსნა ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანია დამრღვევისათვის, რომელიც უკვე გამოსწორდა და შეიგნო თავისი საქციელის უარყოფითი ხასიათი. ამიტომ ადმინისტრაციულ ორგანოებსაც ისევე როგორც სასამართლოებს, უფლება უნდა ჰქონდეთ ვადაზე ადრე მოუხსნან გამოსწორებულ დამრღვევებს მათი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ერთწლიანი ხანდაზმულობის დარჩენილი ვადა, რაც სათანადოდ ფიქსირებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში.

სამეურნეო გაერთიანებათა და მათი სწავლების უფლებუნარიანობის საკითხები ახალ პირობებში*

ლ. ჯომარჯიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სამეურნეო რეფორმის განხორციელების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის მმართველობის ყველა რგოლის საპარტიოებრივი რეგლამენტაციის საკითხებს.

მრეწველობისაგან განსხვავებით, სადაც ყველა ძირითადი დარგი ივადიდის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, მშენებლობის სფეროში ჯერჯერობით სხორციელდება მხოლოდ ეკონომიური ექსპერიმენტების ფართო პროგრამა. ამიტომ იმ გაერთიანებათა და საწარმოთა უფლებუნარიანობის საკითხების განხილვას, რომლებიც ახორციელებენ ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობას მშენებლობის სფეროში, ანა მართო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

სამეურნეო რეფორმის გატარება მშენებლობაში დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან, რომლებიც უპირველეს ყოვლისა გაპირობებულია სამშენებლო წარმოების სპეციფიკით. 1965—1968 წლების განმავლობაში სამშენებლო სამინისტროებმა და უწყებებმა სპეციალური ნორმატიული აქტებით დაადგინეს საწარმოს შესახებ დებულების გამოყენების თავისებურებანი მათ სისტემაში. საწარმოს შესახებ დებულების მოქმედება ვრცელდება სამშენებლო სამმართველოებსა და მათთან გათანაბრებულ საწარმოებზე, ტრესტებზე (გაერთიანებებზე) კი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათ შემადგენლობაში არიან საწარმოები, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეულებს. ამასთან, ზოგიერთი ტრესტი (გაერთიანება) ერთმანეთთან ათავსებს საგეგმო-მარეგულირებელ და ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციებს. ამიტომ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებთან ერთად, რომლებიც გადაყვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე და აღჭურვილი იურიდიული პირის უფლებებით, ასრულებენ აგრეთვე საწარმოს ზოგიერთ ფუნქციას. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა შეუსაბამობა ასეთ სამშენებლო გაერთიანებათა ფაქტიურ მდგომარეობასა და მათ სამართლებრივ სტატუსს შორის.

ამიტომ ვასაგებია თუ რა დიდ მნიშვნელობას იძენს ახალ პირობებში მთელი სამშენებლო სისტემისა და უპირველეს ყოვლისა გაერთიანებათა და საწარმოთა სწორი სამართლებრივი რეგლამენტაცია.

* * *

სამშენებლო გაერთიანებანი თავიანთი სამართლებრივი მდგომარეობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც უშუალოდ ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციებს არ ასრულებენ. ასეთებს მიეკუთვნ-

* იბეჭდება განხილვის წესით.

ნების ტერიტორიული მთავარი სამშენებლო სამმართველოები, სამშენებლო-სამონტაჟო კომბინატები და სხვ., რომელთაც შეიძლება ვთქვათ „მაღალი ტიპის“ გაერთიანება, რადგან მათ სისტემაში შედიან არა მარტო სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები, არამედ როგორც წესი, ტრესტები და სახლთმშენებელი კომბინატები, რომლებიც თვითონ წარმოადგენენ გაერთიანებებს.

მეორე ჯგუფის გაერთიანებანი (ტრესტები, სახლთმშენებელი კომბინატები), რომლებიც უფრო „დაბალი ტიპისაა“, უმრავლესობას წარმოადგენენ და ხშირად ერთმანეთთან ათავსებენ საწარმოსა და გეგმიური ხელმძღვანელობის ფუნქციებს. ისინი ხელმძღვანელობენ რა მათთან გაერთიანებულ საწარმოებს, წარმოადგენენ საგეგმო მარეგულირებელ ორგანოებს და ამიტომ არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მარტოდენ საწარმოები.

გაერთიანების ყველაზე ვაგრცელებული ფორმა მშენებლობაში არის ტრესტი, რომელიც უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მმართველობით ორგანოს. მისი განყოფილებები (საწარმო, ტექნიკური, საგეგმო, შრომისა და ხელფასის და სხვ.) მოწოდებული არიან განახორციელონ საგეგმო ხელმძღვანელობის ფუნქციები. ამავე დროს ტრესტის შემადგენლობაში არის წმინდა სამეურნეო ქვედანაყოფები: სატრანსპორტო კანტორა და სხვა საწარმოო და სამეურნეო ერთეულები. სამეურნეო ფუნქციებს ისინი ახორციელებენ როგორც ტრესტისადმი დაქვემდებარებული საწარმოების მომსახურების, ისე მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტთა წინაშე ტრესტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზით.

ტრესტის ცალკეული სამეურნეო ქვედანაყოფი შეიძლება გადაყვანილ იქნეს სამეურნეო ანგარიშზე და იურიდიული პირის უფლებებით აღიჭურვოს. მაგალითად, მრავალ ტრესტში შექმნილია საწარმოო-ტექნოლოგიური დაკომპლექტების სამმართველო, რომელიც მოქმედებს სამეურნეო ანგარიშზე.

თუმცა შეიძლება წარმოვადგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ სამეურნეო ფუნქციების განხორციელებელი ყველა ქვედანაყოფი სამეურნეო ანგარიშზე იქნეს გადაყვანილი და აღიჭურვოს იურიდიული პირის სტატუსით. მაგრამ ამ დროს ტრესტი იქნებოდა წმინდა მმართველობითი ორგანო. ასეთი მდგომარეობა კი მშენებლობაში იშვიათად გვხვდება.

ხშირად ტრესტის ოპერატიულ-სამშენებლო ფუნქციების განსაზღვრული ნაწილი არ არის დაკავშირებული დამოუკიდებელი საწარმოების შექმნასთან და თვით ტრესტის მიერ სრულდება. იკარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როცა ტრესტს ევალება თუნდაც ერთი სამეურნეო ფუნქციის შესრულება კაპიტალურ მშენებლობაში გენერალური სანარდო მუშაობის ხელშეკრულებით კავშირების დამყარება, ყოველთვის არის იმის საფუძველი, რომ ტრესტი განვიხილოთ როგორც საწარმო, თუმცა ის წარმოადგენს მმართველობის ორგანოსაც და საწარმოთა გაერთიანებასაც.

სამშენებლო ტრესტებს ახასიათებს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც. ისინი (სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გაერთიანებებისაგან განსხვავებით) ყოველთვის ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ. სამშენებლო ტრესტებისათვის --- ეს არის მზა ობიექტები, ხოლო სპეციალიზირებული ტრესტებისათვის --- ერთგვაროვანი სამუშაოები. აქედან გამომდინარეობს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარების ფართო შესაძლებლობანი. ეს განაპირობებს ტრესტის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების საერთო ფუნქციების ცენტრა-

ლიზაციის ეფექტურობას, ხელს უწყობს მთელი სისტემის მუშაობის ოპერატიულობას, ამცირებს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯებს. ტრესტები ცენტრალიზებული წესით ახორციელებენ ორგანიზებულ შეკრებებს და კადრების მომზადებას. ტრესტებში ცენტრალიზებული წესით ხდება ახალი ტექნიკის ღანერგვა. ისინი ახდენენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემოწმებას. გარდა ამისა, ტრესტები წყვეტენ ბევრ ტექნიკურ საკითხებს, უზრუნველყოფენ მათდამი დაქვემდებარებულ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს სამუშაოთა წარმოების პროექტებით, ახორციელებენ ზედამხედველობას მშენებლობაზე და პასუხისმგებელი არიან მისი ხარისხისათვის.

ტრესტების ამ საერთო დახასიათებიდან გამომდინარე შეიძლება გადაწყვიტოს ლიტერატურაში სადავო საკითხი მშენებლობაში საწარმოს შესახებ დებულების გამოყენების ზედროს თაობაზე.

ამ დებულების მე-10 პუნქტი ანსხვავებს გაერთიანების სამ სახეს. პირველი, ეს არის გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო ერთეულები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს (ამ შემთხვევაში გაერთიანება მოქმედებს როგორც საწარმო); მეორე, რომელსაც ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები (სამეურნეო ანგარიშზე), მოქმედებს მათ მიმართ როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო; მესამე, რომლის შემადგენლობაში შედიან საწარმოო ერთეულები, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს, და რომელსაც ამასთან ერთად ემორჩილებიან დამოუკიდებელი საწარმოები, განახორციელებს პირველთა მიმართ და უშუალოდ თავისი საწარმოო საქმიანობის მიმართ — საწარმოს უფლება-მოვალეობას, ხოლო მისდამი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოების მიმართ მოქმედებს როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო.

პირველი სახის გაერთიანება განიხილება როგორც საწარმო, რომელზეც დებულება ვრცელდება. მეორე სახის გაერთიანება — როგორც მმართველობის ორგანო, რომელზეც არ ვრცელდება დებულება. მესამე სახის გაერთიანება — რომელზეც დებულება ვრცელდება იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს საწარმოს. საწარმოს შესახებ დებულების ამ ფორმულამ დისკუსია გამოიწვია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საწარმოებს, რომლებიც შედიან ტრესტში (ავრთველ სხვა სახის გაერთიანებაში) თუ ისინი გადაყვანილი არიან სამეურნეო ანგარიშზე, იაჩნიათ საწარმოს ყველა ის ნიშანი, რომელიც გათვალისწინებულია დებულების მე-2 პუნქტით. ისინი არ კარგავენ საწარმოს სახეს იმის გამო, რომ ასრულებენ სამუშაოთა ნაწილს და არა მთელ კომპლექსს. ამიტომ მათ მიმართ უნდა იგავრცელდეს დებულების მოქმედება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტრესტისადმი დაქვემდებარებული ყველა სამშენებლო საწარმო იქნება სამეურნეო ანგარიშზე, ტრესტს, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მაინც დარჩება შესასრულებელი სამეურნეო ოპერატიული ფუნქციები. მათ შესასრულებლად უნდა ჰქონდეთ საკუთარი ქონებრივი ფონდები (ძირითადი საშუალებები, საბრუნავი საშუალებები და სხვ.). სამეურნეო-ოპერატიული ფუნქციების ეფექტურად შესრულებისათვის ტრესტს უნდა ჰქონდეს წამახალისებელი ფონდების შექმნისა და ხარჯვის უფლება¹. მაგრამ ასეთი შესაძლებლობა შეიძლება მას შეეჭ-

1. ტრესტებში ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნას მხარს უჭერენ პრაქტიკული მუშაეები. იხ. „Экономическая газета“ 1947, № 40, стр. 33.

მნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მის მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციების ფარგლებში ცნობილ იქნება როგორც საწარმო და თუ მის მიმართ ამ ნაწილში გავრცელდება დებულება საწარმოს შესახებ.

ამგვარად, კაპიტალური მშენებლობის სფეროში დებულება საწარმოს შესახებ გავრცელებულ უნდა იქნეს როგორც თითოეულ გაერთიანებულ სამეურნეო საწარმოზე, ისე თვით სამშენებლო თუ საქციალიზირებულ ტრესტების ტიპის გაერთიანებაზეც. ამიტომ არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს ის, რომ სამშენებლო სამინისტროებმა დებულება საწარმოს შესახებ გავრცელეს მხოლოდ ქვედა რგოლებზე (სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, სამშენებლო სამმართველო და ა. შ.) და ტრესტებზე; რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს და არ გავრცელეს ისეთ ტრესტებზე, რომელთა შემადგენლობაში შედის დამოუკიდებელი საწარმოები.

მიზანშეწონილია დებულება საწარმოს შესახებ გავრცელდეს ისეთი ტრესტების მიმართაც, რომლებიც აერთიანებენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებს.

მაგრამ ხომ არ ეწინააღმდეგება ასეთი დავსკვნა საწარმოს შესახებ დებულების მე-10 პუნქტს?

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ამ პუნქტს აკლია ის, რომ იგი არ გამოყოფს ისეთ გაერთიანებებს, რომლებიც თუმცა შესდგებიან მთლიანად სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებისაგან, მაგრამ თვითონაც ასრულებენ სამეურნეო ფუნქციებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე და ამ ფუნქციების ფარგლებში გამოდიან, როგორც საწარმოები².

ასეთ გაერთიანებათა გამოყოფა საწარმოს შესახებ დებულების მე-10 პუნქტებში, იშვიათ აზრით, არ იყო აშუცილებელი. ამ პუნქტის ამოცანაა გამოავლინოს გაერთიანებათა ყველა შესაძლო ვარიანტები მათი ურთიერთობის თვალსაზრისით დაქვემდებარებული საწარმოებისადმი. ხოლო ასეთი ვარიანტი სამია: გაერთიანება ან მმართველობას უწყევს საწარმოებს, ან თვითონ არაა საწარმო ან კიდევ გამოდის როგორც გაერთიანება და როგორც საწარმო.

როცა საქმე ეხება თვით გაერთიანების მიერ შესრულებულ სამეურნეო ფუნქციებს, აქ გამოხატულებას პოულობს გაერთიანების მხოლოდ საკუთარი საქმიანობა. იგი წარმოადგენს მმართველობის ორგანოს, მაგრამ თავისი საქმიანობის სხვა ნაწილში თვითონ (და არა გაერთიანებული საწარმოების სახით) გამოდის როგორც საწარმო. მისი საქმიანობის ეს ნაწილი ასახავს პოულობას საწარმოს შესახებ დებულების არა მე-10, არამედ მე-2 პუნქტში. ვინაიდან მისი საქმიანობის ეს ნაწილი პასუხობს დამოუკიდებელი საწარმოს ყველა ნიშნებს, რომლებიც იკავებს მისივე სახით, იგაერთიანების მიმართ უნდა გავრცელდეს დებულების მოქმედება. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც მისი, როგორც მმართველობის ორგანოს ურთიერთობა დაქვემდებარებულ საწარმოებ-

² იხ. დ. მ. გენკინის გამოსვლა საბჭოთა კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო კვლევათა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ვაფართოებულ სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო სამეურნეო მმართველობის ახალი სისტემის სამართლებრივი პრობლემებისადმი („Ученые записки“ „ВНИИСЗ“ вып. 7, 1966 г. стр. 19—20), აგრეთვე ვ. ვ. ლაბტევის მოხსენების თეზისები საუწყებთაშორისი ეკონომიურ-სამართლებრივ სამეცნიერო კონფერენციაზე ქ. დონეცკში,

თან, შეფასებულ უნდა იქნეს მე-10 პუნქტის საფუძველზე. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ არ არის აუცილებელი შეიცვალოს დებულების მე-10 პუნქტი. საჭიროა მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში მისი გამოყენება წესდამებული იქნეს მე-2 პუნქტთან.

ასეთი იურიდიული ცვალიფიკაციის დროს არ იქნება დაბრკოლება იმისათვის, რომ სამშენებლო სამინისტროებს შეეძლოთ მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით საწარმოს შესახებ დებულების იგარცელება ტრესტების, აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების და სხვა მათთან გათანაბრებული ქვედანაყოფების მიმართ.

მაგრამ არასწორი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ ასეთი დასკვნის დროს ტრესტი მიიღებს მისდამი დაქვემდებარებული სამეურნეო ანგარიშის მქონე საწარმოების საქმიანობაში განუსაზღვრელად ჩარევის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ ერთხელ გაესვას საზი იმას, რომ ტრესტს ჩვენ ვიხილავთ როგორც საწარმოს, მხოლოდ იმ ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციების ფარგლებში, რომლებსაც იგი თვით ახორციელებს.

* * *

სამშენებლო საწარმოთა იურიდიული მდგომარეობის მეორე ფორმას, რომელმაც უკანასკნელ წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა, წარმოადგენს სახლთმშენებელი კომპინატი³. ეს ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა, რომელიც სრულად პასუხობს ინდივიდუალური სახლთმშენებლობის პირობებს.

ტიპობრივი წესდების თანახმად სმკ ასრულებს მშენებლობასთან დაკავშირებულ ძირითად სამუშაოებს. ამასთან იგი ებმება აგრეთვე კოოპერირებულ ურთიერთობებში დამოუკიდებელ ორგანიზაციებსა და საწარმოებთან, მაგალითად, მასალის მიწოდების, მომსახურების გაწევის, სპეციალიზირებულ სამუშაოთა წარმოების თაობაზე. ივარდა ამისა იგი ასრულებს ზოგიერთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ფუნქციებს (ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, სამუშაოთა პროექტების გაუმჯობესება, მოწყობილობისა და ტექნოლოგიის სრულყოფა და სხვ.).

ნარდად მუშაობის ხელშეკრულებას შემკვეთი დებს საერთო-სამშენებლო ორგანიზაციებთან, რომელიც აწარმოებს ძირითადად ტერიტორიის მომზადებასთან დაკავშირებულ საინჟინრო სამუშაოებს. სმკ უმრავლეს შემთხვევებში გამოდის ქვემენარდად.

თუმცა მოქმედი ორგანიზაციულ-ტექნიკური რეკომენდაციის თანახმად სმკ იწოდება სპეციალიზებულ ორგანიზაციად, მაგრამ პრაქტიკა ივიჩვენებს, რომ ამჟამად იგი ასრულებს სამშენებლო მოედანზე ყველა ძირითად სამუშაოებს, მთელ რიგ სპეციალურ სამუშაოებს და ამ ფაგებით წარმოადგენს უფრო მეტად კომპლექსურ, ვიდრე სპეციალიზებულ ორგანიზაციას, მაგრამ სამშენებლო ტრესტებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოდიან გენერალური მენარდადების სახით, სმკ — ქვემენარდად ორგანიზაცია არ იმყოფება უშუალო კონტაქტში შემკვეთთან, რაც იწვევს მთელ რიგ ნაკლოვანებებს მის მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში სამართლიანად იყო მითითებული, რომ ამ ნაკლოვანებების დაძლევა შეიძლებოდა, თუ სმკ გახდება გენერალური

³ შემდეგში შემოკლებით სმკ.

მენარდე, ხოლო ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც მასთან თანამშრომლობენ — მისი ქვემენარდეები⁴.

„ლენინგრადის ტიპის“ სმკ შექმნისას, მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოები ხდებოდა სმკ-ს შინაგან ქვედანაყოფებად. „ლენინგრადის ტიპის“ სმკ-ს ტიპობრივი წესდება ითვალისწინებს, რომ მასში შემავალი საწარმოები კარგავენ დამოუკიდებელი საწარმოების ხასიათს. ასეთ კომბინატში გაერთიანებულია საწარმოთა ყველა სახეები, რომლებიც აუცილებელია შენობის მიწისზედა ნაწილის ასაშენებლად. მაგრამ ლენინგრადში შემუშავებულ სისტემას გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებანი, რადგანაც იგი კვეცავს სამეურნეო ანგარიშის გამოყენების პრინციპს გაერთიანებულ საწარმოებში გადააქვს რა იგი მთლიანად კომბინატზე. ეს რაციონალური იქნებოდა წვრილი საწარმოების მიმართ. მაგრამ სავსებით უმართებულოა მსხვილი საწარმოების მიმართ.

ეს ნაკლოვანებანი გამოისწორებულია „მოსკოვის ტიპის“ სმკ-ს მიერ. მართალია, მისი სანომუშო წესდება ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, და ამდენად ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე. მოსკოვში, სახლთმშენებელი კომბინატები ახორციელებენ რა იგივე ფუნქციებს, რასაც „ლენინგრადის ტიპის“ კომბინატები, მემდიენაირადაა ორგანიზებული: მის შემადგენლობაში შედის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც წარმოადგენს კომბინატის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. ამასთან დამკვეთების სამმართველო გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე და გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი. დამოუკიდებელ საწარმოებს წარმოადგენენ აგრეთვე სპეციალიზებული ქარხნები ან წარმოებები და სპეციალიზებული ან კომპლექსური სამონტაჟო სამმართველოები. ასეთ საწარმოებს შიგნით არსებობს შინაგანი ქვედანაყოფები (მაგალითად, ნაკადები სამონტაჟო სამმართველოებში), რომლებიც იმყოფებიან საამქროების ან უბნების სამართლებრივ მდგომარეობაში. ძირითადი დადებითი მხარე „მოსკოვის ტიპის“ სახლთმშენებელი კომბინატისა იმაში მდგომარეობს, რომ სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება კომბინატი მთლიანად და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებიც. მაგრამ ასეთი ტიპის კომბინატი მისაღებია მხოლოდ ისეთ მსხვილ საწარმოთა გაერთიანების დროს, რომელთაც შეუძლიათ გამოვიდნენ როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულები.

პრაქტიკაში დამკვიდრდა აგრეთვე „შერეული ტიპის“ სახლთმშენებელი კომბინატები. მისი წესდებაც ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის. მაგრამ ასეთი კომბინატები უკვე მოქმედებენ ხარკოვში, ტამკენტსა და სხვა ქალაქებში. „შერეული ტიპის“ კომბინატებში ყველა სამრეწველო საწარმო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო საწარმო აღირიცხება კომბინატის საერთო ბალანსში და იმყოფება შინაგან სამეურნეო ანგარიშზე.

ამგვარად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მიზანშეწონილია წვრილი საწარმოების გაერთიანების დროს გამოყენებულ იქნეს „ლენინგრადის ტიპის“

⁴ «Советская юстиция» 1964 г., № 19, стр. 11. С. А. Верб, «Система генерального подряда в капитальном строительстве по советскому гражданскому праву», Автореферат кандидатской диссертации, Свердловск, 1964 г., стр. 12; «Договоры в социалистическом хозяйстве», Юриздат, 1964 г., стр. 237; Ю. Г. Басин, Правовые формы деятельности домостроительных комбинатов («Советское государство и право», 1966 г., № 8, стр. 46.)

სახლთმშენებელი კომბინატის ფორმა; თუ კომბინატში ერთიანდება წვრილი და მსხვილი საწარმოები — უნდა შეიქმნას „შერეული ტიპის“ კომბინატი. ზოლო რაც შეეხება „მოსკოვის ტიპის“ კომბინატს, იგი ივამოყენებულ უნდა იქნეს მსხვილ, როგორც სამშენებლო-სამონტაჟო, ისე სამრეწველო საწარმოების გაერთიანებისას. მაგრამ სახლთმშენებელი კომბინატის ამათუიმ ფორმის არჩევა არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ამ მოსაზრებებს. მის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმებზე გადაწყვეტ როლს ასრულებენ კონკრეტული ეკონომიური, ტექნოლოგიური და სხვა პირობები.

„ლენინგრადის ტიპის“ კომბინატში გაერთიანებული საწარმოები კარგავენ სამოქალაქო-სამართლებრივ დამოუკიდებლობას, ხოლო კომბინატი მთლიანად წარმოადგენს ერთიან საწარმოს. ამიტომ მის მიმართ უნდა გავრცელდეს საწარმოს შესახებ დებულების მე-2 პუნქტი. „შერეული ტიპის“ კომბინატი ხდება ერთ-ერთ იმ სახეში, რომელიც ივითვალისწინებულია მე-10 პუნქტით, რადგან მის შემადგენლობაში შედიან საწარმო ერთეულები, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს და რომელსაც ამასთან ერთად ემორჩილებიან დამოუკიდებელი საწარმოები, ივანახორციელებს პირველთა მიმართ და უშუალოდ თავისი საწარმოო საქმიანობის მიმართ — საწარმოს უფლება-მოვალეობას, ხოლო მისდამი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოების მიმართ მოქმედებს როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო. მაშასადამე, „შერეული ტიპის“ კომბინატზე ივრცელდება დებულება საწარმოს შესახებ. რაც შეეხება „მოსკოვის ტიპის“ კომბინატს, რადგან ყველა მისი საწარმო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, ამდენად იგი ამ საწარმოების მიმართ გამოდის როგორც მმართველობის ორგანო, ამასთან ასეთი კომბინატი ასრულებს აგრეთვე სამეურნეო-ობერატიულ ფუნქციებსაც, ამიტომ მის მიმართაც უნდა გავრცელდეს საწარმოს შესახებ დებულების მე-2 პუნქტის მოთხოვნები. ამგვარად, ჩვენ მივდივართ იგივე დასკვნამდე, რაც ვაკეთდა სამშენებლო ტრესტების მიმართ, რომელთა ყველა საწარმო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე.

მშენებლობაში არსებულ გაერთიანებათა სახეების განხილვა და მათი ფუნქციების დახასიათება საშუალებას ივცადლებს გადაწყვეტოთ მათი სამოქალაქო სამართლებრივი უფლებათუნარიანობის ფარგლები. ნათელია, რომ შინაგანი სამართლებრივი ორგანიზაციის სხვადასხვაობის გამო, არ შეიძლება საკითხის ერთიანად გადაწყვეტა სხვადასხვა გაერთიანებების მიმართ. მმართველობის ტიპის გაერთიანებაში, სადაც ყველა დაქვემდებარებული საწარმო წარმოადგენს იურიდიულ პირს, თვითონ გაერთიანება, როგორც ასეთი არ სარგებლობს სამოქალაქო სამართლის საუბიექტის უფლებით. ასეთი გაერთიანება კი, რომელშიც საწარმოები იმყოფებიან შინაგან სამეურნეო ანგარიშზე, პირიქით, მთლიანად იძენს სამოქალაქო უფლებათუნარიანობას. „შერეული ტიპის“ გაერთიანება კი, აგრეთვე ისეთი, რომელშიც, გაერთიანებული ყველა საწარმო აღჭურვილია იურიდიული პირის უფლებათმოსილებით, როცა თვით გაერთიანებანი ასრულებენ სამეურნეო-ობერატიულ ფუნქციებს, მათი სამოქალაქო სამართლებრივი უფლებათუნარიანობა შემოფარგლულია შესრულებული ობერატიულ-სამეურნეო ფუნქციებით.

მდგომარეობა იცვლება მაშინ, როცა ტრესტები გამოდიან გენერალური მენარდების სახით მთელ სამშენებლო სამუშაოთა შესრულებისას. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის შესაბამისად ტრესტს შე-

უძლია თავისი სახელმწიფოებრივი ფუნქციები სხვა პირებს გადასცეს. ამის ერთ-ერთ საფუძვლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს გაერთიანებაში შემავალი საწარმოების ადმინისტრაციული დაქვემდებარება გაერთიანების, როგორც სახელმწიფოებრივი კონტრაგენტისადმი. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ტრესტების სამოქალაქო უფლებაუნარიანობა არ შემოიფარგლება იმ სამეურნეო-ობერატიულ ფუნქციებით, რომლებსაც ისინი უშუალოდ ახორციელებენ.

იმის გამო, რომ შერეული ტიპის ტრესტებში, რომლებშიც გაერთიანებული საწარმოები არიან იურიდიული პირები და სამოქალაქო უფლებაუნარიანობა გააჩნიათ, როგორც ტრესტებს ისე მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, გაერთიანების ცალკეულ რგოლებს შორის ურთიერთობა ემყარება ეკვივალენტურ-ანაზღაურებით საწყისებს. პრაქტიკაში ასეთი ურთიერთობანი არ ფორმდება ხელმწიფოებრივ, რაც ასუსტებს სამეურნეო ანგარიშს. ტრესტის შიდა-ურთიერთობის სახელმწიფოებრივი წესით გაფორმების აუცილებლობა გამომდინარეობს აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებიდან „დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის“⁵.

* * *

განვიხილოთ გაერთიანებათა და მათ შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა. ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა გამოვლინდება ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობით, რომლისთვისაც დამახასიათებელია უფლებრივი დაქვემდებარებულობა⁶. ამიტომ ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ხელისუფლების ან მმართველობის ორგანო ან დაქვემდებარებული ორგანო.

ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა გააჩნიათ გაერთიანებას მთლიანად და აგრეთვე მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებს. გაერთიანებათა და მათ შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობის ფარგლები განისაზღვრება როგორც შემდგომი საგვეგმო-მარეგულირებელი ორგანოების ისე მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების უფლებაუნარიანობა. ემბეზიან რა შემდგომ საგვეგმო-მარეგულირებელ ორგანოების ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში, გაერთიანებანი ყოველთვის გამოდიან ადმინისტრაციული სამართლის ერთიან სუბიექტად. გაერთიანებათა შემადგენლობაში შემავალი საწარმოების ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა შთაინთქმება გაერთიანებათა უფლებაუნარიანობით. ასეთი საწარმოები, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში შემდგომ ორგანოებთან.

ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობა აღმოცენდება აგრეთვე

⁵ СП СССР, 1967 г., № 26, ст. 136.

⁶ ეს დებულება აღიარებულია მეცნიერ ადმინისტრატორთა უმრავლესობის მიერ. საწინააღმდეგო შეხედულება გამოთქვა, გ. თ. პეტროვმა, რომელიც ისეთ ურთიერთობათა გვერდით, რომელშიც ერთი მონაწილეთაგანი ქვემდებარება მეორეს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა აგრეთვე ისეთ „ურთიერთობებს, რომლებშიც მონაწილენი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ქვემდებარებით“ (см. Сущность советского административного права, Л., 1957 г., стр. 19—20).

ავით გაერთიანების შიგნით. ზემოთ აღინიშნა, რომ სამშენებლო საწარმოები უმრავლეს შემთხვევებში იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე და ეს გავლენას ახდენს მათ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. გაერთიანება ადგენს სამშენებლო საწარმოს საგეგმო დავალებას, მაგრამ მისი ცუდი მუშაობისათვის ქონებრივ პასუხისმგებლობას არ კისრულობს. თუ ნარდად მუშაობის ხელშეკრულება დადებულია ტრესტის მიერ, ხოლო სამშენებლო საწარმო ასრულებს ქვემენარდის როლს, მაშინ ტრესტს შეუძლია გადააკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა სამშენებლო საწარმოს ქვემენარდეს ცუდი მუშაობის გამო. ტრესტი, როგორც გენერალური მენარდე, და მისი საწარმოები, როგორც ქვემენარდეები ერთმანეთთან იმყოფებიან არა სამოქალაქო სამართლებრივ, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში. მაგრამ ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველყოფა ხდება ქონებრივი პასუხისმგებლობით. სწორედ ამაში ჩანს საწარმოს სრული სამეურნეო ანგარიშის გავლენა მის ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობაზე ტრესტთან და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სხვა სამშენებლო გაერთიანებებთან.

შესაძლებელია, ტრესტის მხრალით დამდგარი მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისროს სამშენებლო საწარმოს. აქ წარმოიშობა სხვა პრობლემა — ზენდგომი ორგანოების პასუხისმგებლობის პრობლემა ქვემდგომი ორგანოების წინაშე. აქ უნდა განვასხვავოთ ორი შესაძლებელი შემთხვევა. პირველი ეხება სამშენებლო საწარმოს სახელშეკრულებო ურთიერთობებს შემკვეთთან, ხოლო მეორე — საგეგმო ურთიერთობას საწარმოსა და გაერთიანებას შორის, რომელსაც იგი ექვემდებარება.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში გენერალურ მენარდედ გამოდის ტრესტი, ხოლო საწარმოები — ქვემენარდეებად. ამიტომ შემკვეთები სარჩელს წარუდგენენ ტრესტებს და არა ქვემენარდეებს. ტრესტი აუნაზღაურებს შემკვეთს ზარალს თავისი საწარმოს — ქვემენარდის ანგარიშზე. მაგრამ თუ საწარმო დაამტკიცებს, რომ შემკვეთს ზარალი მიადგა ტრესტის ბრალით, მაშინ ტრესტს არა აქვს უფლება ამ ზარალის ანაზღაურება საწარმოს დააკისროს. შესაძლებელია სხვა სახის დავებიც. მაგალითად, შემკვეთი არ უხდის ტრესტს იმ სამუშაოების ფასს, რომელიც ქვემენარდემ შესასრულა, და ტრესტიც არ ურიცხავს ფულს ქვემენარდეს. თუ შესრულებული სამუშაოების უხარისხობაში დამნაშავეა ქვემენარდე, მაშინ ტრესტისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება შეიძენს სამოქალაქო სამართლებრივ ხასიათს. არ არის გამორიცხული აგრეთვე ისიც, რომ ქვემენარდის მიერ შესრულებული სამუშაოთა დექტურობა გამოწვეულია ტრესტის არასწორი მითითებით. მაშინ მიუხედავად სახელშეკრულებო ურთიერთობათა არსებობისა, ქვემენარდის მიერ გამოწვეული ზიანი, დაკავშირებული ტრესტის საგეგმო საქმიანობასთან ისეთსავე ხასიათს ატარებს, როგორც საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოების არასწორი მითითებების შესრულებისას. ამიტომ ასეთ შემთხვევებში წარმოიშობა საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოების ქონებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების წინაშე.

ლიტერატურაში ამჟამად აღიარებულია, რომ მმართველობის ზემდგომი ორგანოები ვალდებული არიან იკისრონ ქონებრივი პასუხისმგებლობა ქვემდგომი ორგანოების წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მათი არასწორი მოქმედებით. ჩვენც ვიზიარებთ ამ შეხედულებას. ასეთი პასუხის-

მგებლობა უნდა დადგეს ყველა აუცილებელი პირობების არსებობისას. სახეზე უნდა იყოს არა მარტო მმართველობის ზემდგომი ორგანოების არასწორი მოქმედება, არამედ ასეთი მოქმედება უნდა იყოს ბრალეული. თუ საგეგმო აქტა არასწორია საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაშინ უნდა დადგეს დაზარალებული საწარმოსათვის დაზარალების გაწვევის საკითხი, ხოლო პასუხისმგებლობა კი უნდა წარმოიშვას მხოლოდ ბრალის არსებობის დროს.

მაგრამ მმართველობის ორგანოთა პასუხისმგებლობის პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია იმ საკითხთან, თუ რომელი ქონების ანგარიშზე უნდა დადგეს იგი. ამის გადაწყვეტა უფრო რთულია იმ საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოების მიმართ, რომლებიც არ ეწევიან უშუალო სამეურნეო საქმიანობას და არ იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე. იმათ მიმართ, რომლებიც უშუალო სამეურნეო საქმიანობას ეწევიან და იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე, მისი გადაწყვეტა არ არის დაკავშირებული ბევრ სირთულესთან.

ტრესტი არის საგეგმო-მარეგულირებელი ორგანო მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ ის ასრულებს აგრეთვე მთელ რიგ სამეურნეო-ოპერატიულ ფუნქციებსაც, რომელთა შესრულების დროსაც რჩება მოგება. იმყოფება რა სამეურნეო ანგარიშზე ტრესტს გააჩნია ქონებრივი ფონდები, როგორც მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგები. ამ ფონდების ანგარიშზე უნდა დაიფაროს ის ზარალი, რომელიც მიადგა ტრესტს არასწორი, ბრალეული მოქმედებით მის საწარმოს. ასეთი პასუხისმგებლობა ატარებს ქონებრივ ხასიათს. იგი მიზნად ისახავს მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და ამიტომ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ სანქციას. მაგრამ ტრესტი და დაქვემდებარებული საწარმოები არ იმყოფებიან სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, ისინი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი მდგომარეობა, როცა ტრესტი ქვესანარდო ხელშეკრულებაში იმყოფება თავის საწარმოებთან. მაგრამ ამ შემთხვევაში ტრესტი წარმოადგენს საწარმოს მიმართ გეგმიური ხელმძღვანელობის ორგანოს და შეუძლია ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მოსცეს ისეთი მითითება, რომელიც არ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან. ასეთ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს არა მარტო სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობანი, რომელთა უზრუნველყოფაც ხდება სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციით. ხომ არ არის აქ რაიმე წინააღმდეგობა? ჩვენის აზრით, არა.

კანონმდებლობასა და საარბიტრაჟო-სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ერთი დარგის სამართლებრივი ურთიერთობის მეორეს მიერ დაცვის შემთხვევები. მავალითად, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი ზოგჯერ დაცულია ადმინისტრაციული ზომებით. ამას ადგილი აქვს საგამომგონებლო ან საბინაო სამართლებრივ ურთიერთობებში. ამიტომ არ არის გასაკვირი ისიც, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები ზოგიერთ შემთხვევებში დაცულ იქნეს სამოქალაქო სამართლებრივი ზომებით. ასეთი შემთხვევები ცნობილი იყო აგრეთვე ადრინდელი კანონმდებლობისათვისაც (მაგ. ტყის დაცვის დროს). კანონმდებლობა ეკონომიური რეფორმის შესახებ, რომელიც აყენებს საკითხს საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოების პასუხისმგებლობის შესახებ თავიანთი საწარმოების წინაშე, ასეთი ფხის წამოყენების ორიენტირებას ახდენს.

ამგვარად, ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ ქონებრივი სანქციები ტრესტ-სა (გაერთიანებასა) და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს შორის, არის სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქნეს გააოყენებული ეს სანქციები. რამდენადაც ეს სანქციები არის სამოქალაქო-სამართლებრივი, ამდენად შესაძლებელია საარბიტრაჟო წესის გამოყენება. ხოლო რამდენადაც ისინი უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებს, შესაძლებელია ადმინისტრაციული წესის გამოყენებაც.

ბროცესუალისტთა უმრავლესობა, რომლებიც იხილავენ ამ საკითხს, მხარს უჭერენ საარბიტრაჟო წესს⁷. იგი ხელსაყრელია, რამდენადაც დავა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განიხილება არადაინტერესებული ორგანოს მიერ. მაგრამ პრაქტიკული მუშავეები გამოთქვამენ ეჭვს იმის თაობაზე, რომ მოისურვებენ თუ არა საწარმოთა ხელმძღვანელები საჩივლით მიმართონ ზემდგომ ორგანოებს. ამგვარ ეჭვს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ისინი ვაპირიცხება ადმინისტრაციული წესის გამოყენებისას, როცა საწარმო მიმართავს ზემდგომ ორგანოს (ტრესტს) იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც წარმოიშვა მისი მითითებათა შესრულების შედეგად. მაგრამ ასეთ წესს გააჩნია არსებითი ნაკლოვანებებიც, რადგან დავა უნდა გადაწყვიტოს იმ ორგანომ, რომელთა ბრალეული მოქმედებითაც დადგა ზიანი. მართალია, ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, მაგრამ აქაც შეიძლება გამოითქვას იგივე ეჭვები, რომლებიც გამოითქვა საარბიტრაჟო საჩივლების დროს. ამგვარად, თითოეულ ამ წესს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საარბიტრაჟო წესს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე ადმინისტრაციულ წესს. ამიტომ ჩვენ ვემხრობით საარბიტრაჟო წესის გამოყენებას.

იმ მიზეზების გამო, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ბევრი სამშენებლო ტრესტი ათავსებს ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციებს გეგმიური ხელმძღვანელობის ფუნქციებთან. ამგვარად, სამშენებლო საწარმოებისაგან განსხვავებით, სამშენებლო ტრესტი ასრულებს აგრეთვე მმართველობით ფუნქციებს. ამით აიხსნება ტრესტისა და სამშენებლო საწარმოების ერთმანეთისაგან განსხვავებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი უფლება-უნარიანობა. სამშენებლო საწარმო შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის დაქვემდებარებული მონაწილე, ხოლო უფლებრივ ფუნქციებს შინაგან ურთიერთობაში სამშენებლო და სხვა ქვედანაყოფებს შორის ასრულებს მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელი. ტრესტის მმართველიც ასრულებს აგრეთვე უფლებრივ ფუნქციებს ტრესტის სამმართველო აპარატის ფარგლებში. მაგ-

7. იხ. რ. ფ. კალისტრატოვასა და ნ. ი. კლენინის მოხსენებათა თეზისები „Арбитраж и экономическая реформа“. («Ученые записки» «ВНИИСЗ», вып. 10, 1967 г., стр. 66—76, 124—177).

რამ უფლებამოსილებით აღჭურვილია თვით ტრესტი, როგორც სამართლის ერთიანი სუბიექტი⁸.

ტრესტს აღნიშნული ადმინისტრაციულ-უფლებრივი ურთიერთობის თავისებურების გამო მისდამი დაქვემდებარებული საწარმოებისადმი გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელიც ყველაზე მეტად თავს იჩენს ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხში. თუ სამშენებლო სამართველოს უფროსი იძლევა არასწორ განკარგულებას საწარმოს შინაგან ქვედანაყოფებისადმი, არ შეიძლება დაისევას საკითხი საწარმოს პასუხისმგებლობის შესახებ ქვედანაყოფების წინაშე, ვინაიდან მასთან ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება არა სამშენებლო სამართველო, არამედ მისი უფროსი. ასეთ შემთხვევებში საწარმო უზრუნველყოფს თავის ქვედანაყოფებს აუცილებელი ქონებრივი რესურსებით. მაგრამ შეიძლება დაისევას საწარმოს წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი თუ ამისათვის არსებობს საჭირო სამართლებრივი საფუძველი. სხვა მდგომარეობა იქმნება როცა ტრესტის მმართველი გასცემს განკარგულებას დაქვემდებარებულ საწარმოს მიმართ. ამ დროს მყარდება ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობა ტრესტსა და საწარმოს შორის. ამიტომ ტრესტის მმართველის არასწორი, ბრალეული მოქმედებისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა საწარმოს წინაშე უნდა დაეკისროს ტრესტს, ხოლო ტრესტის მმართველს შეიძლება დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა თვითონ ტრესტის წინაშე შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში (შრომის კანონთა კოდექსის 83-ე მუხლი).

თუ დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ ტრესტი გამოდის როგორც უფლებამოსილი სუბიექტი, ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში გეგმიური ხელმძღვანელობის შემდგომ ორგანოებთან იგი გამოდის როგორც დაქვემდებარებული ორგანო. მაგრამ ტრესტი, ისე როგორც საწარმოები ასრულებს განსაზღვრულ სამეურნეო-ობერატიულ ფუნქციებს და იმყოფება სანეურნეო ანგარიშზე. ამიტომ შემდგომი ორგანოს არასწორ მოქმედებას შეუძლია ტრესტს მიუყენოს ისეთივე ქონებრივი ზიანი, როგორც ტრესტის არასწორ მოქმედებას — დაქვემდებარებულ საწარმოსადმი.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა შემდგომი საგვემო-მარეგულირებელი ორგანოს არასწორი მოქმედება ქონებრივ ზიანს აყენებს უშუალოდ საწარმოს, თუ ამ ორგანოთა განკარგულება, რომელიც იმიმართულია ტრესტისადმი სრულდება არა ტრესტის, არამედ თვით ამ საწარმოს მიერ. ასეთ შემთხვევაში დგება შემდგომი საგვემო-მარეგულირებელი ორგანოს ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ტრესტის ან თვით საწარმოს წინაშე. ეს საკითხი, ისე, როგორც საკითხი ტრესტის ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საწარმოს წინაშე, დაკავშირებულია იმ მატერიალური ფონდების საკითხთან, რომელთა ანგარიშზეც უნდა მოხდეს პასუხისმგებლობის რეალიზაცია.

⁸ საწარმოს გამოსვლა, სამართლის ერთიანი სუბიექტის სახით, მიუხედავად იმისა თუ როგორ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს, აღიარებულია ბევრი მეცნიერის მიერ. იხ. **А. В. Венедиктов**. О субъектах социалистических правоотношений, «Советское государство и право», 1955 г., № 6 стр. 22; **В. В. Лаптев**, «Правовое положение государственных промышленных предприятий в СССР», Изд. АН СССР, 1963 г., стр. 38; **С. Ф. Кекебян**, «Правоотношения в социалистическом обществе», Изд. АН СССР, 1958., стр. 91 და სხვ.

* * *

სამეურნეო რეფორმას არსებითი ცვლილებანი შეაქვს სახალხო მეურნეობის ორგანიზაციასა და მმართველობაში. ეს ცვლილებები განმტკიცებულია სპორტოლებრივი ნორმებით. ამიტომ სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფა რეფორმის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

მშენებლობაში ეს ნიშნავს მისი განვითარების გეგმების ამაღლების აუცილებლობას მეცნიერულ საფუძვლებზე, სამშენებლო ობიექტების მყარი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების უზრუნველყოფას. ამასთანავე საჭიროა სამშენებლო წარმოების ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული მეთოდების სფეროს შევიწროება და ეკონომიური მეთოდების სფეროს გაზრდა, სამშენებლო სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციების უფლებების გაზრდა, მატერიალური სტიმულირების ყოველმხრივი გამოყენება და მისი შერწყმა იდეურ-ადმინისტრაციული სტიმულირებასთან.

ნომოქონია სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების დაგეგმვის და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდებზე გადაყვანის აუცილებლობა. სამეურნეო რეფორმა ვანამტკიცებს სამეურნეო ანგარიშს და დაძლევეს ნაკლოვანებებს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვასა და სამშენებლო ორგანიზაციების ეკონომიურ მუშაობაში.

მთავარი ამოცანა უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრული დაბალანსება კაპიტალური მშენებლობის ვეგმისა, მისი ისეთი მხვეწებლებით, როგორცაა: კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, მათი მოქმედებაში შესვლა და მოწყობილობებით, მატერიალური რესურსებით და ტექნიკური დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა, აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების შრომითი, საფინანსო და მატერიალური რესურსების დაქაჩვის დაძლევა, პასუხისმგებლობის დაწესება დაუბალანსებელი ვეგმების შედგენისათვის, სამშენებლო საწარმოთათვის მატერიალური წახალისების ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება საბოლოო შედეგების გაუმჯობესებისაკენ, მშენებლობათა დაჩქარებასა და ხარისხის ამაღლებისაკენ.

ეკონომიური ექსპერიმენტების შედეგად, რომლებიც ვანოორციელდა ჩსფსრ-ში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, მოსკოვსა და კიევში, დაგროვდა გარკვეული გამოცდილება. ექსპერიმენტები იძლევა უამრავ მასალას, რომელთა საფუძველზე ახლაც შეიძლება ჩოგეირთი დასკვნის გაკეთება. ასეთმა წინადადებებმა, რომლებმაც გაამართლეს თავი, ასახვა უნდა ჰპოვოს სათანადო ნორმატულ აქტებში, რომელთა საფუძველზეც სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები გადაყვანილ იქნებიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ამ აქტებში უნდა დადგინდეს: ზეგეგმით დასამტკიცებელი მაჩვენებლების ნომენკლატურა, იმ ეკონომიური სტიმულირების ფონდების წყაროები და მისი ხარჯის წესები, რომლებიც ძირითადად უნდა შეიქმნეს მოგების ანარიცხებიდან, დამთავრებული ობიექტების და სამუშაოთა მსხვილი ეტაპების ანგარიშსწორებაზე გადასვლა; კრედიტის როლის გაზრდა და საკრედიტო ოპერაციების ვაფართოება; პირდაპირი კავშირების ვაფართოება და სამშენებლო პროცესის მონაწილეთა სახელმწიფო პასუხისმგებლობის განმტკიცება; საწარმოს საქმიანობის შედეგად კოლექტივებისა და მუშაკების მატერიალური დაინტერესების ამაღლება მთლიანად.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლა-

თან დაკავშირებით აუცილებელია სამშენებლო სისტემის ყველა რგოლის სამართლებრივი სტატუსის რეგულირება. უპირველეს ყოვლისა არსებით სრულყოფას საჭიროებს სამშენებლო ტრესტებსა და სხვა გაერთიანებათა სამართლებრივი მდგომარეობა. უმოკლეს ვადაში საჭიროა მიღებულ იქნეს დებულება (წესდება) სამშენებლო გაერთიანებათა შესახებ. სასურველია მისი შემუშავება ცალკე ტრესტებისათვის და ცალკე სახლთმშენებელი კომბინატებისათვის მათი თავისებურებათა გათვალისწინებით. ეს ნაკარნახევია იმით, რომ 1927 წლის 29 ივნისის დებულება ტრესტების შესახებ მნიშვნელოვნად მოძველდა. რაც შეეხება „ლენინგრადის ტიპის“ სახლთმშენებელი კომბინატის ტიპობრივ წესდებას, იგი ეხება სამშენებლო კომბინატის მხოლოდ ერთ ფორმას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, პრაქტიკაში არსებობს სხვა ტიპის სახლთმშენებელი კომბინატებიც.

გარდა ამისა, მრეწველობისაგან განსხვავებით, სადაც ფართოდ არის გავრცელებული ავტონომიური საწარმოები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების უდიდესი უმრავლესობა გაერთიანებულია. აქედან გამომდინარეობს გაერთიანებათა განსაკუთრებული როლი მშენებლობის მმართველობაში.

მშენებელ გაერთიანებათა შესახებ სპეციალური კანონის მიღების აქტუალობა იმითაც აიხსნება, რომ საწარმოს შესახებ დებულება ცრცელდება სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებზე — სამშენებლო სისტემის ქვედა რგოლებზე. იმავე მათი საქმიანობა მჭიდროდა დაკავშირებული იმ გაერთიანებათა საქმიანობასთან, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი შედიან, რაც მოითხოვს როგორც ერთის ისე მეორის სამეურნეო უფლებების ზუსტ გამიჯვნას.

ტრესტის (გაერთიანების) და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების უფლებათა განსაზღვრისას დადგენილ უნდა იქნეს ამ უფლებათა რეალური იურიდიული გარანტიები. სასურველია სამშენებლო გაერთიანებებს მიეცეთ საწარმოს უფლებანი მაშინ, როცა ისინი უშუალოდ ასრულებენ საწარმოს ფუნქციებს, (კერძოდ, წამახალისებელი ფონდების შექმნის უფლება). გარდა ამისა გაერთიანებას უნდა შეეძლოს თავისი ცენტრალიზებული ფონდების განკარგვა. ეს შეეხება აგრეთვე ძირითად ფონდებს, რომელთა ნაწილი ეკუთვნის სპეციალიზებულ ორგანიზაციებს ან ტრესტებს.

გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ის, რომ ზოგიერთი უფლება, რომელიც ადრე ტრესტს ჰქონდა მიკუთვნებული, დებულება საწარმოს შესახებ აკუთვნებს საწარმოს. გაერთიანებათა შესახებ დებულებაში ზუსტად უნდა განისაზღვროს ტრესტის (გაერთიანების) უფლებამოსილება მშენებლობის სფეროში, როგორც კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულების მხარისა.

მშენებლობისადმი მმართველობის შემდგომი სრულყოფა ცულისხმობს შემდგომი საგეგმო-მარეგულირებელი ორგანოების უფლებებისა და მოვალეობების ზუსტად განსაზღვრას. ამჟამად სსრ კავშირის სამინისტროების შესახებ საერთო დებულების საფუძველზე მუშავდება დებულებები ცალკეული სამშენებლო სამინისტროების შესახებ. ამ აქტების მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კაპიტალური მშენებლობის კანონმდებლობის განვითარებაში.

რეფორმასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახალხო-სამეურნეო ამოცანების განხორციელებას მატერიალური-წარმოების ერთ-ერთ ძირითად დარგში — კაპიტალურ მშენებლობაში.

საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის კოდიფიკაციისათვის

8. გეზამე

საოჯახო კანონმდებლობის კოდიფიკაცია ამჟამად უაღრესად აქტუალურია. ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა ღრმა სოციალ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა მოითხოვა მოქმედი კანონმდებლობის გადასინჯვა, მისი დახვეწა და სრულყოფა. საოჯახო სამართლის მთელი რიგი ინსტიტუტი და ნორმა ვეღარ პასუხობდნენ ცხოვრების მოთხოვნებს, სრულყოფილად ვერ აწესრიგებდნენ საოჯახო ურთიერთობებს.

საოჯახო კანონმდებლობის საკოდიფიკაციო მუშაობა დიდი წახნია მიმდინარეობს. საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ 1968 წლის 27 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის მეოთხე სესიამ მიიღო „ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები“. „საფუძვლები“ პირველი ერთიანი საკავშირო ნორმატიული აქტია, რომელიც აწესრიგებს ქორწინებისა და ოჯახის ყველა ძირითად საკითხს. მასში გათვალისწინებულია საბჭოთა სახელმწიფოს უმდიდრესი გამოცდილება საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირების საქმეში, იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები, საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრი და სურვილები, სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე მოთხოვნები. „საფუძვლები“ კიდევ უფრო ივანამტკიცებს საბჭოთა ოჯახის მორალურ და სამართლებრივ საფუძვლებს, მოქალაქეთა დიდ და ნრავალფეროვან უფლებებს ოჯახურ ცხოვრებაში, ზრდის მათ პასუხისმგებლობას ოჯახისა და საზოგადოების წინაშე.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები განსაზღვრავენ ზოგად პრინციპულ დებულებებს და ნორმებს იმ საკითხებზე, რომლებიც ერთნაირად უნდა გადაიჭრას ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. მის საფუძველზე შემუშავდება მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო-საოჯახო კოდექსები, რომლებიც უფრო დაწვრილებით და სრულყოფილად მოაწესრიგებენ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებს ეროვნული, საყოფაცხოვრებო და სხვა ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით. თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას მინიჭებული აქვს ფართო უფლება საოჯახო ურთიერთობათა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში.

მოკავშირე რესპუბლიკათა ახალი საქორწინო-საოჯახო კოდექსების შემუშავება და მიღება დიდი და პასუხსააგები საქმეა. საოჯახო კანონმდებლობა ესება მილიონთა მასებს, მთელი საზოგადოებისა და თითოეული მოქალაქის ინტერესებს, ამდენად იგი უაღრესად ფაქიზ და ყურადღებიან მიდგომას მოითხოვს. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო საკოდიფიკაციო მუშაობა. ახალი კოდექსის შექმნისთვის პროცესში წამოიჭრება მრავალი სადავო საკითხი, რომელთა სწორ სამართლებრივ გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ოჯახის შემდგომი განმტკიცებისა და ივანვითარებისათვის.

ღირველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ისმის საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის მომავალ კოდიფიკაციასთან დაკავშირებით, არის კოდექსის სახელწოდებისა და სისტემის საკითხი. მოქმედ კოდექსს ეწოდება „საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი“. ყველა ის ურთიერთობა, რომელთაც ეს კოდექსი აწესრიგებს, წარმოადგენენ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებს. მეურვეობის და მზრუნველობის ინსტიტუტი საოჯახო სამართალში სწორედ ისეთ ურთიერთობებს არეგულირებს. რომელთაც საოჯახო სამართლებრივი ჩასიათი აქვთ. ასევე ითქმის შვილად აყვანის, პატრონატისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ. ამიტომ, ჩვენი აზრით, სასურველია საქართველოს სსრ ახალ კოდექსს ეწოდოს „საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსი“. ასეთი სახელწოდება სრულად ასახავს იმ ურთიერთობათა წრეს, რომელთაც კოდექსი არეგულირებს და ამასთანავე უფრო მოქნილი და მოსახერხებელია.

კოდექსის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი საფუძვლების სისტემას. უპირველეს ყოვლისა, კოდექსს უნდა ჰქონდეს შესავალი ნაწილი — პრეამბულა, რომელშიც დახასიათებული იქნება სოციალისტურ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობათა ბუნება, საბჭოთა ოჯახის დანიშნულება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, განსაზღვრული იქნება საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის როლი სოციალისტურ საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცებისა და დანვითარების საქმეში, ნათქვამი იქნება იმ დიდ ზრუნვაზე, რასაც საბჭოთა სახელმწიფო იჩენს ქორწინებისა და ოჯახის მიმართ.

კოდექსის I კარში „ზოგადი დებულებანი“ უნდა განისაზღვროს საოჯახო სამართლის საგანი, ამოცანები და ძირითადი პრინციპები, ურთიერთობანი, რომელთაც აწესრიგებს საქართველოს სსრ საქორწინო-საოჯახო სამართლის კოდექსი, საოჯახო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძვლები, ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელება და დაცვა ნათქვამი უნდა იქნეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის თანაფარდობის, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სხვა მოკავშირე რესპუბლიკის საოჯახო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ავტორთა უმრავლესობას, რომლებიც თვლიან, რომ საოჯახო სამართალი საბჭოთა სოციალისტური სამართლის დამოუკიდებელი დარგია¹. ვფიქრობთ, რომ საწინააღმდეგო მიტკიცება მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ და ლოგიკურ დასაბუთებას. არ შეიძლება საქორწინო-საოჯახო ურთიერთობანი გავივივეთ ჩვეულებრივ სამოქალაქო ურთიერთობებთან. ამიტომ, საბჭოთა საოჯახო სამართლის ამოცანებისა და ძირითადი პრინციპების განსაზღვრისას, კოდექსში გამახვილებული უნდა იქნას ყურადღება იმ სპეციფიკურ ნიშნებზე, რაც დამოუკიდებელ სამართლებრივ დარგს ახასიათებს.

კოდექსის მეორე კარში — „ქორწინება“ გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი თავები:

¹ იხ. С. Н. Братусь, Предмет и система советского гражданского права, Госюриздат, М., 1964; А. И. Пергамент, Советское гражданское право, т. II, Госюриздат, М., 1951; Е. В. Ворожейкин, Семейное право, как самостоятельная отрасль права, «Советское государство и право», 1967, № 4, стр. 29—36; В. А. Рясенцев, Семейное право, Госюриздат, М., 1967, стр. 13—14.

1. ძირითადი დებულებანი; 2. დაქორწინების პირობები; 3. მეუღლეთა პირადი უფლებანი; 4. მეუღლეთა ქონებრივი უფლებანი; 5. ქორწინების შეწყვეტა; 6. ქორწინების ბათილობა.

საქართველოს სსრ მოქმედი კოდექსი ლაპარაკობს „ქორწინების მოსპობაზე“. ჩვენი აზრით, უფრო სწორია ახალმა კოდექსმა იხმაროს „ქორწინების შეწყვეტა“ და არა „მოსპობა“, უინაიდან ქორწინება უკვალოდ არასოდეს არ ისპობა, არამედ წყდება ის უფლებრივი ურთიერთობა, რასაც ქორწინება წარმოშობს².

იმესამე კარში — „ოჯახი“, რომელიც მოცულობით კოდექსის ყველაზე დიდი კარი იქნება, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი თავები:

1. ძირითადი დებულებანი; 2. მშობელთა და შვილთა პირადი უფლებრივი ურთიერთობა; 3. მშობელთა და შვილთა ქონებრივი უფლება-მოვალეობანი; 4. ოჯახის სხვა წევრების უფლება-მოვალეობანი; 5. შვილად აყვანა; 6. მეურ-გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორი თავი:

ვენობა და მზრუნველობა,

კოდექსის მე-4 კარში — „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები“ —

1. ძირითადი დებულებანი; 2. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა: ა) დაბადების ჩაწერა; ბ) შვილად აყვანის ჩაწერა³; გ) დაქორწინების ჩაწერა; დ) განქორწინების ჩაწერა; ე) მამობის დადგენის ჩაწერა⁴; ვ) გვარის, სახელის და მამის სახელის გამოცვლის ჩაწერა; ზ) გარდაცვალების ჩაწერა.

კოდექსის ბოლო, ე. ი. V კარის სახელწოდება იქნება „საქართველოს სსრ საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის გამოყენება საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენება საქართველოს სს რესპუბლიკაში“.

აღნიშნულ კარში ნათქვამი იქნება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქორწინო-საოჯახო უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, იანსაზღვრული იქნება იმ ბავშვთა მოქალაქეობის საკითხი, რომელთა დაბადების მომენტში ერთ-ერთი მშობელი საქართველოს სსრ მოქალაქე იყო, ხოლო მეორე მშობელი სხვა ქვეყნის მოქალაქე, ან ორივე მშობელი საქართველოს სსრ მოქალაქე იყო, მაგრამ ბავშვი საზღვარგარეთ დაიბადა, განისაზღვრება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბჭოთა მოქალაქეების უცხოელებთან და საქართველოს სსრ მოქალაქეების საზღვარგარეთ დაქორწინებისა და განქორწინების წესი და პირობები, ნათქვამი იქნება რა ძალა აქვს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უცხოეთში დადებულ ქორწინებისა და განქორწინების აქტებს.

ამავე კარში უნდა ივაითვალისწინოს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საქართველოს სსრ მოქალაქეობის მქონე ბავშვთა შვილად აყვანისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოელთა მიერ ბავშვების შვილად აყვანის

2. აღსანიშნავია, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობაში, სამეცნიერო ლიტერატურაში და ახალ „საფუძვლებში“ ლაპარაკია არა ქორწინების მოსპობაზე, არამედ ქორწინების შესწყვეტაზე.

3 მოქმედი კოდექსი არ აწესრიგებს შვილად აყვანის ჩაწერის წესს.

4. რამდენადაც ახალი „საფუძვლები“ უშვებს მამობის დადგენას, კოდექსმაც უნდა გაითვალისწინოს ნორმები მამობის დადგენის წესის შესახებ.

წესი და პირობები, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენების წესი.

საქართველოს სსრ მოქმედი საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა საოჯახო კოდექსები არ განსაზღვრავს ქორწინებას. ქორწინება არ არის განსაზღვრული არც საკავშირო „საფუძვლებში“. ჩვენი აზრით, ახალმა საოჯახო კოდექსებმა უნდა გაითვალისწინონ ქორწინების ცნება, რომელშიც მოცემული იქნება ყველა ის ძირითადი ნიშანი, რაც ახასიათებს ქორწინების ინსტიტუტს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სსრ საქორწინო-საოჯახო კოდექსში ქორწინება განისაზღვროს შემდეგნაირად:

„ქორწინება წარმოადგენს თანასწორუფლებიან ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და ნებაყოფლობით მონოგამიურ კავშირს, დაფუძნებულს მექორწინეთა სიყვარულსა და პატივისცემაზე, დადებულს კანონით გათვალისწინებულ წესების დაცვით, რომელიც ქმნის ოჯახს და წარმოშობს მეთულეთა უფლებამოვალეობებს“.

საბჭოთა კანონი დაქორწინებისათვის მოითხოვს მთელ რიგ პირობათა დაცვას, რომელთა გარეშე ქორწინებას არა აქვს იურიდიული ძალა. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის მე-4 მუხლი დაქორწინების პირობათა შორის უპირველესად თვლის მექორწინეთა თანხმობას. ქორწინება, საბჭოთა სამართლის მიხედვით ნებაყოფლობითი აქტია და კანონის პირველი მოთხოვნაც ნებაყოფლობის პრინციპის დაცვაა. აუცილებლად თვლის რა მექორწინეთა ნების თავისუფალ გამოვლინებას, კანონს მხედველობაში ჰყავს ქმედუნარიანი პირები, რომელთაც უნარი შესწევთ შეიგნონ თავისი მოქმედების მნიშვნელობა. ჩვენი კანონმდებლობა დაქორწინებას უკრძალავს პირს, რომელიც დადგენილი წესისამებრ ცნობილია ჭკუანაკლებად ან სულით ავადმყოფად. საქართველოს სსრ საოჯახო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად ქორწინება ეკრძალებოდა იმ პირსაც, რომელიც დროებით ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ არ შეეძლო შეეგნო თავისი საქციელის მნიშვნელობა. კანონმდებელს აქ მხედველობაში ჰქონდა ისეთი დროებითი ხასიათის მოვლენა (მაგ. პათოლოგიური სიმთვრალე), რომელიც ადამიანს ართმევს შეგნებული მოქმედების უნარს და ამდენად ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირის ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვნად. მხარეთუღალ არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ ამ წესს აქვს საერთო მნიშვნელობა და იგი გამოყენებული უნდა იქნეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საკანონმდებლო პრაქტიკაში⁵. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „იმ პირისა, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ აღიარებულია არაქმედუნარიანად“. გამოდის, რომ გაუქმდა კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ „ქორწინება ეკრძალება იმ პირსაც, რომელიც დროებით ისეთ მდგომარეობაშია, რომ არ შეუძლია შეიგნოს თავისი საქციელის მნიშვნელო-

⁵ В. И. Бошко, Очерки советского семейного права, К. 1952, сс. 120.

ბა“. ჩვენი აზრით, ეს ნორმა აღდგენილ და განმტკიცებულ უნდა იქნას ახალ კოდექსში, რადგან მას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ქორწინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქორწინო სრულწლოვანება. საქორწინო ასაკის განსაზღვრისას ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიურ, ისე კულტურულ, სამედიცინო ფაქტორებს, პიროვნების ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ სიმწიფეს. ამდენად, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მინიმალური საქორწინო ასაკის სამართლებრივ რეგლამენტაციას.

საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობაში საქორწინო ასაკის საკითხს დამოუკიდებელი ისტორია აქვს. ჩვენმა ქვეყანამ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიიღო ქალის დაბალი საქორწინო ასაკი. ეს იმ დროს გადმონაშთი იყო, როცა ქალის ყველა უფლებას იათხოვების შემდეგ ქმარი ისაკუთრებდა და ქალის ქმედუნარიანობას არაერთგვაროვანი მნიშვნელობა არ ეძლეოდა. ამ გადმონაშთის ლიკვიდაციაში პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 28 აპრილის დეკრეტმა „მოქალაქეობრივი იმდომარეობის აქტების შესახებ“. მან იაზარდა არსებული საქორწინო ასაკი, მაგრამ განსხვავება ქალისა და მამაკაცის საქორწინო ასაკს შორის კვლავ დარჩა. საქორწინო-საოჯახო კოდექსის შემუშავების პერიოდში ქართულ პრესაში არაერთგვაროვანი გამოითქვა დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, რომ ქალის საქორწინო ასაკი გათანაბრებოდა მამაკაცის საქორწინო ასაკს⁶. მაგრამ რაფსარ საოჯახო კოდექსისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ საოჯახო კოდექსით აღდგენილი იქნა საქორწინო ასაკი ქალისათვის 16, მამაკაცისათვის კი 18 წელი⁷.

აღადგენილია, რომ აღრეული ქორწინება უარყოფითად მოქმედებს ქალისა და ბავშვების ჯანმრთელობაზე, აფერხებს ქალის ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას, მის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განათლებასა და პროფესიულ მომზადებას. იარაღ ამისა, დაბალი საქორწინო ასაკი ამკარა შეუსაბამობას ქმნის ქალის საქორწინო და სეურთო სამოქალაქო ქმედუნარიანობას შორის. ყოველივე ამის გამო უმალესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საქორწინო ასაკად დაწესებული იქნა 18 წელი როგორც ქალების, ისე მამაკაცებისათვის.

კოდექსის მე-5 მუხლი შენიშვნის სახით ითვალისწინებს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომებს განსაკუთრებულ შენთხვევაში ცალკე მუამდგომლობის მიხედვით შეუძლიათ ქალებისათვის საქორწინო ასაკის შემცირება არა უმეტეს ერთი წლისა.

ამჟამად ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებზე თანახმად მთელი კავშირის მასშტაბით საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. ამასთან მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება ეძლევათ გაითვალისწინონ საქორწინო ასაკის შემცირება არა უმეტეს 2 წლისა.

გასული 1967 წლის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში 38.227 ქორ-

6 იხ. კ. დანელია, „ქორწინება საოჯახო სამართლის კოდექსის პროექტში“, ყურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1928 წ. № 16, გვ. 38. ვახ. კომუნისტი“ 1928 წ. 29 იანვარი.

7 რაფსარ საოჯახო კოდექსით საქორწინო ასაკად როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის აღდგენილი იქნა 18 წელი.

წინებიდან ქალის საქორწინო ასაკი შემცირდა 409 შემთხვევაში, მამაკაცის საქორწინო ასაკი 22 შემთხვევაში³. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი კანონის დარღვევაა, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მამაკაცის საქორწინო ასაკის შემცირების შესაძლებლობას. რამდენადაც პრაქტიკულად ისმის საქორწინო ასაკის შემცირების საჭიროების საკითხი როგორც ქალის ასევე მამაკაცათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მომავალმა კანონმდებლობამ გაათვალისწინოს ამ ასაკის შემცირების შესაძლებლობა ორივე სქესისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა და ისიც გამონაკლისის სახით.

ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს მექორწინეთა ანლო ნათესაობა. იყარა იმისა, რომ ქორწინება ანლო ნათესავეებს შორის ეწინააღმდეგება ადამიანური მორალის პრინციპებს, იგი უარყოფით გავლენას ახდენს შთამომავლობაზე. საოჯახო კანონმდებლობის თანახმად ქორწინება ეკრძალება პირდაპირი აღმავალი და შთამავალი შტოს ნათესავეებს (მამას ქალიშვილთან, დედას ვაჟიშვილთან, პაპას შვილიშვილთან), ღვიძლ და არაღვიძლ დებსა და ძმებს. საქართველოს სსრ საოჯახო კოდექსი არ მიუთითებს ეკრძალება თუ არა ქორწინება ისეთ დებსა და ძმებს, რომელთაგან ერთ-ერთი ქორწინების გარეშე კავშირიდან შთამომავლობს. ამის შესახებ არ არის ნათქვამი არც „საფუძვლებში“. რამდენადაც ჩვენი კანონმდებლობით ქორწინება აკრძალულია სისხლით ნათესავეებს შორის, იგულისხმება, რომ ქორწინების გარეშე დები და ძმები უთანაბრდებიან არაღვიძლ დებსა და ძმებს, მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ ამას პირდაპირ გაითვალისწინებს მოკავშირე რეესპუბლიკათა ანალი საოჯახო კოდექსები, ასევე სასურველად მიგვაჩნია კოდექსში მითითებულ იქნას, რომ ქორწინება ეკრძალება ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმებს, თუნდაც ერთ-ერთი მათგანი გაშვილებული იყოს. ეს იქნება არა დაქორწინების პირობების წრის გაზრდა, არამედ უფრო მეტად დაზუსტება.

მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს ქორწინებას შვილად აყვანილსა და შვილად ამყვანის ღვიძლ ნათესავეებს შორის. ასეთი შეზღუდვა არც არის სავალდებულო, მაგრამ რამდენადაც შვილად აყვანილი ყველა უფლებებში უთანაბრდება შვილად ამყვანის ღვიძლ შვილებს, ჩვენი აზრით, სასურველია კანონმდებლობას ცავთვალისწინებია ქორწინების აკრძალვა მათ შორის.

ქორწინება ნამდვილია და მეუღლეთა უფლებსრივი ურთიერთობა აღმოცენდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დადებულია კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით. ქორწინება, რომელიც დადებულია კანონიერი პირობების დარღვევით, ბათილია და იგი არავითარ იურიდიულ შედეგს არ წარმოშობს. კერძოდ, არც ერთ მხარეს არ უჩინდება უფლება აღიშენებზე, მემკვიდრეობაზე, ბინაზე და სხვ., მაგრამ ქორწინების ბათილობის შედეგად პრაქტიკაში ისმის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც სამართლებრივ რეგლამენტაციას მოითხოვენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხი ყოფილ ცოლ-ქმარს შორის იმ ქონების გაყოფისა, რომელიც შექმნილია მათი ერთად ცხოვრების პერიოდში. ჩვენ ვეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომ ქორწინების ბათილობის შედეგად ყოფილ ცოლ-ქმარს შორის ქონებრივი უფლებების დაცვა უნდა მოხდეს სამოქალაქო სამართლის იმ ნორმების საფუ-

³ იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები მოსახლეობის წლიური ბუნებრივი მოძრაობის შესახებ.

ველზე, რომლებიც არეგულირებენ საერთო საკუთრების საკითხებს⁹. აღნიშნული საკითხი სწორედ ასე უნდა გადაიჭრას საქართველოს სსრ ახალ საოჯახო კოდექსში.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, ქორწინების გაბათილების შემდეგ უნდა დაარჩეთ თუ არა ყოფილ მეუღლეებს ქორწინების გვარის შენარჩუნების უფლება. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ რამდენადაც ბათილი ქორწინება მხარეთა შორის არ წარმოშობს ძრავითარ იურიდიულ შედეგებს, არ არსებობს საფუძველი საიმისოდ, რომ ყოფილ მეუღლეებს მიეცეთ უფლება ქორწინების გაბათილების შემდეგ ისარგებლონ ქორწინების გვარით¹⁰. ასეთი მოსაზრება სავსებით საფუძვლიანად არის უარყოფილი, მითითებულია ირა, რომ საბჭოთა კანონმდებლობის პრინციპები მოითხოვენ საკითხი ქორწინების ბათილობის შედეგად მიუღწეოთ იგვარის შესახებ გადაწყვეტას არა ავტომატურად, არამედ ისევე, როგორც განქორწინების დროს¹¹. საკითხის ასეთი გადაჭრა შეესაბამება იმ საკანონმდებლო ნორმების დაცვას, რომლებიც ყველა მოქალაქეს ანიჭებენ სრულ თავისუფლებას გვარის ამორჩევის საკითხში.

საკანონმდებლო რეგლამენტაციას მოითხოვს საკითხი ცოცხალი მეუღლის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, როცა ქორწინება წყდება მეორე მეუღლის სიკვდილის ან გარდაცვალებულად გამოცხადების გამო. მართალია, ქორწინების შეწყვეტა ასეთ შემთხვევებში არ იწვევს ცოცხალი მეუღლისათვის ქორწინების განმავლობაში შეძენილი უფლებების ჩამორთმევას, მაგრამ პრაქტიკულად შეიძლება დაისვას საკითხი იმის შესახებ, ყოფილი ქორწინებიდან გამომდინარე ირა უფლებები რჩება ცოცხალ მეუღლეს ახალ ქორწინებაში შესვლის შემდეგ. აქ შეიძლება დაისვას გვარის, მემკვიდრეობის, პენსიის მიღების უფლების საკითხი და სხვ.

საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 29-ე მუხლში მითითებული იყო, რომ „უკეთეს ქორწინება მოისპო ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვალებულად გამოცხადების გამო, ცოცხალი მეუღლე შეინარჩუნებს დაქორწინების დროს მიღებულ გვარს“. შემდგომში ეს მუხლი გაუქმებულ იქნა¹². ჩვენ ფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია ახალ კოდექსში აღდგენილ იქნას აღნიშნული ნორმა, მაგრამ არა იმპერატიული, არამედ დისპოზიციური სახით. რაც შეეხება ცოცხალი მეუღლის ქონებრივ უფლებებს (მემკვიდრეობის, პენსიის მიღების უფლება) ახალმა ქორწინებამ არ უნდა გამოიწვიოს არც ამ უფლებათა შეზღუდვა.

საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობა მტკიცედ იცავს მეუღლეთა პირად და ქონებრივ უფლებებს. მეუღლეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირად უფლებას წარმოადგენს გვარის თავისუფლად ამორჩევის უფლება. იგი ცულისხმობს მე-

⁹ Г. М. Свердлов, Советское семейное право, М., Госюриздат, 1950, გვ. 120.

ს. მ. ჯორბენაძე, „საბჭოთა საოჯახო სამართალი“, თბ., 1957 წ., გვ. 198.

¹⁰ К. А. Граве и А. И. Пергамент, «Советское государство и право», 1952, № 6, გვ. 78; В. И. Серебровский, «Вестник Московского университета», 1952, № 4, გვ. 149.

¹¹ В. Бошко, დასახ. ნაშრ. გვ. 134, ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშ. გვ. 198.

¹² საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულება.

უღლეთა შესაძლებლობას სურვილისამებრ ატარონ თავიანთი ქორწინებამდე-
 ლი ან ქორწინების დროინდელი გვარი, ამასთანავე ეს უკანასკნელი შეიძლება
 იყოს როგორც ქმრის, ასევე ცოლის გვარი.

საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 28 აპრილის დეკრეტის თანახმად
 მეუღლეებს უფლება ჰქონდათ ქორწინების გვარად აერჩიათ ქმრის, ცოლის
 ან ორივეს შეერთებული გვარი. 1930 წლის საქორწინო, საოჯახო და სამეურ-
 ვეო კანონთა კოდექსმა დაადგინა, რომ ქორწინების რეგისტრაციის დროს მე-
 უღლეებს უფლება აქვთ დაიტოვონ თავთავის გვარი, აირჩიონ მეუღ-
 ლის ან ორივეს შეერთებული გვარი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-
 ზიდიუმის 1956 წლის 16 ივნისის ბრძანებულებით გაუქმებულ იქნა კოდექსის
 14¹ მუხლის ის ნაწილი, რომელიც მეუღლეებს შეერთებული გვარის ტარების
 უფლებას ანიჭებდა. „საფუძვლების“ თანახმად მოკავშირე რესპუბლიკათა
 კანონმდებლობას შეუძლია ივაითვალისწინოს მეუღლეთა უფლება ატარონ ორი
 გვარი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ ახალ საქორწინო-საოჯახო კო-
 დექსში შეტანილი უნდა იქნას ნორმა, რომელიც გაითვალისწინებს გვარის არჩე-
 ვის საკითხში მეუღლეთა სურვილის განხორციელების ყველა შესაძლებლობას.

საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობით დადგენილია, რომ როგორც წესი,
 თანაზიარ ქონებაში მეუღლეთა წილი თანაბარია. თანაზიარად ითვლება ქონე-
 ბა შექმნილი მეუღლეთა მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში, სოლო დაქორწი-
 ნებამდე კუთვნილი ქონება, აგრეთვე დაქორწინების დროს საჩუქრად ან მემ-
 კვიდრეობით მიღებული ქონება თითოეული მეუღლის პირად საკუთრებას
 წარმოადგენს. საოჯახო სამართლის ლიტერატურაში დავას იწვევს საკითხი
 იპის შესახებ, თანაზიარ ქონებად ითვლება თუ არა ქონება, რომელიც შექ-
 ნილია ერთ-ერთი მეუღლის პირად საკუთრებაში მყოფი ქონების გაყიდვის
 შედეგად მიღებული თანხით, უკეთეს ეს ქონება ოჯახის საერთო საჭიროებას
 ემსახურებოდა. გამოთქმულია აზრი, რომ ასეთი ქონება მეუღლის განცალკევებ-
 ბულ ქონებად უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მნიშვნელობა
 აქვს მას ოჯახისათვის¹³.

ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია იმ ავტორთა მხედველება, რომლებიც
 თვლიან, რომ თუ მეუღლემ თავისი განცალკევებული ქონების რეალიზაციით
 აღებული ფული შეიტანა საერთო მეურნეობაში, ანდა ამ ფულით იყიდა ნივ-
 თები, რომლებიც საერთო საოჯახო ქონების შემადგენელ ნაწილად იქცნენ და
 მეუღლეთა საერთო განმგებლობაში იმყოფებიან, ისინი აღარ შეიძლება ჩაი-
 თვალოს განცალკევებულ ქონებად.¹⁴ მაგრამ რამდენადაც ასეთი ქონება მეუღ-
 ლეთა საერთო შრომით არ არის შექმნილი, მისი გაყოფა უნდა მოხდეს არა
 თანაბარ წილად, არამედ იმ მეუღლისათვის უპირატესობის მინიჭებით, რომ-
 ლის კუთვნილი სახსრებითაც იქნა იგი შექმნილი. საქართველოს სსრ ახალმა
 საოჯახო კოდექსმა აღნიშნულ საკითხზე თავისი სიტყვა უნდა თქვას.

როგორც წესი, მეუღლეთა თანაზიარი ქონება არსებობს ქორწინების პე-
 რიოდში და ისაობა ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ამ ქონების გა-
 ყოფის საკითხი კი ჩვეულებრივ ისმის განქორწინების დროს. იურიდიულ ლი-

¹³ М. О. Рейхель, Общеимущественные отношения супругов в советском пра-
 ве, «Сов. гос. и право», 1940, № 8—9, сз. 109—131.

¹⁴ Н. В. Рабинович, Личные и имущественные отношения в советской семье.
 1952, сз. 62.

ტერატურაში ასევე სადავოა საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა თანაზიარი ქონების გაყოფა ან გამოყოფა ქორწინების პერიოდში ნორმალური ცოლქმრული ურთიერთობის დროს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ მეუღლის ინტერესები მოითხოვენ თანაზიარი ქონებიდან მისი კუთვნილი წილის გამოყოფას, უარის თქმა ასეთ თხოვნაზე, მეუღლის ქონებრივი უფლებების შეზღუდვა იქნება. მაგრამ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს არ შეიძლება უგულებელყოფილი იქნეს როგორც მეორე მეუღლის, ასევე ბავშვების ინტერესები. ამიტომ კოდექსში მითითებულ უნდა იქნეს, რომ მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფა-გამოყოფა შესაძლებელია განქორწინების საქმის აღძვრის გარეშეც, უკეთესი იგი ზიანს არ მიაყენებს მეორე მეუღლისა და ბავშვების ინტერესებს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახალმა კოდექსმა გაითვალისწინოს ნორმა იმის შესახებ, რომ გაყოფას არ ექვემდებარება ქონება, შექმნილი მას შემდეგ, რაც მეუღლეებს შორის ფაქტიურად შეწყდა ცოლქმრული ურთიერთობა და ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ეს საკითხი ასე წყდება სასამართლო პრაქტიკაში.

მომავალი თაობის სწორად აღზრდა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეა. საბჭოთა კანონმდებლობა მკაცრად ებრძვის ბავშვთა ინტერესების შელახვის ყოველ შემთხვევას, ითვალისწინებს ისეთ უკიდურეს ღონისძიებასაც, როგორცაა მშობლიური უფლების ჩამორთმევა. მშობლიური მოვალეობის შეუსრულებლობა ან მშობლიურ უფლებათა არასწორად განხორციელება მშობელს ართმევს ბავშვის აღზრდის უფლებას. მშობლიურ უფლებათა ჩამორთმევას ითვალისწინებენ როგორც საოჯახო კოდექსები, ასევე „საფუძვლები“, მაგრამ არც ერთ მათგანში არ არის მითითება იმის შესახებ, ნიშნავს თუ არა მშობლიური უფლების ჩამორთმევა ერთი შვილის მიმართ, ასეთივე უფლების ჩამორთმევას სხვა შვილებს მიმართაც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, როცა მშობლები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებებს ერთი (ან რამოდენიმე) შვილის მიმართ, სასტიკად ეპყრობიან მას, მშობლიური უფლება უნდა ჩამოერთვათ არა ყველა, არამედ ამ შვილის (შვილებს) მიმართ, იმ შემთხვევაში კი როცა მშობლები ამორალური ყოფაქცევის, ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან, მშობლიური უფლება უნდა ჩამოერთვათ ყველა შვილის მიმართ.

ნათესავთა უფლებრივი ურთიერთობიდან საოჯახო კანონმდებლობა უმთავრესად ოჯახის წევრთა საალიმენტო ურთიერთობას არეგულირებს. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 60-ე მუხლის თანახმად დისა და ძმისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ვაჭირვებულ არასრულწლოვან დასა და ძმას. ჩვენი აზრით, ეს კოდექსის სერიოზული საჩვენებელია. არავითარი იურიდიული და მორალური გამართლება არ შეიძლება მოვუძებნოთ იმას, რომ შრომისუუნარო სრულწლოვან დასა და ძმას, რომელთაც არსებობის საკმაო სახსარი არა აქვთ, არ მივცეთ უფლება მატერიალური დახმარება მიიღონ თავიანთი დედამამიშვილისაგან. საალიმენტო ვალდებულება და-ძმებს შორის არ უნდა იყოს დაკავშირებული ვაჭირვებული და-ძმის ასაკთან, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ახალმა კანონმდებლობამ. ჩვენი კოდექსი არაფერს ამბობს არადიდელ და-ძმათა საალიმენტო ვალდებულებების შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის

გამოთქმული აზრი, რომ რამდენადაც საბჭოთა კანონმდებლობა არაღვიძლ და-ძმებს უფლებრივად ათანაბრებს ღვიძლ და-ძმებთან, საალიმენტო ვალდებულება უნდა არსებობდეს მათ შორისაც¹⁵.

საოჯახო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს შვილად აყვანა. შვილად აყვანის საბჭოთა ინსტიტუტი აგებულია პრინციპზე, რომლის თანახმად შვილად ამყვანსა და აყვანილს შორის მყარდება ისეთივე უფლებრივი ურთიერთობა, როგორც არსებობს ღვიძლ შვილსა და მშობელს შორის. შვილად აყვანისათვის კანონი მოითხოვს მთელ რიგ პირობათა დაცვას. ერთ-ერთ ასეთ პირობას წარმოადგენს შვილად ამყვანის ასაკი. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ შვილად აყვანის უფლება აქვს 20 წელს მიღწეულ მოქალაქეს. შემდგომში ეს ნორმა გაუქმდა და დადგინდა, რომ შვილად აყვანა შეუძლია სრულწლოვან პირს.¹⁶

სადავო არ არის ის გარემოება, რომ ბავშვის აღზრდა შეუძლია მხოლოდ სათანადოდ მომწიფებულ და ჩამოყალიბებულ პიროვნებას. ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და სულიერი სიმწიფე კი დაკავშირებულია გარკვეულ ასაკთან. სწორედ ამიტომ განსაზღვრავს კანონმდებლობა შვილად ამყვანის ასაკს. ჩვენი აზრით, ეს ასაკი არ უნდა იყოს 20 წელზე ნაკლები. ბავშვის აღზრდა დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ აყვანილი ბავშვის აღზრდა უფრო მეტ გამოყვანილებას, გულისყურსა და ენერჯის მოითხოვს, ვიდრე ღვიძლი შვილის აღზრდა, დამსაყუთრებით მამინ, როცა შვილად ამყვანსა და აყვანილს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა არ არის. აღზრდის პირობებისა და ატმოსფეროს შეცვლა, რაც დაკავშირებულია შვილად აყვანასთან, გარკვეულ გარდატეხას ახდენს ბავშვის ფსიქიკაში, მის სულიერ სამყაროში. ეს კი შვილად ამყვანისაგან მოითხოვს უაღრესად ფაქიზ, გონივრულ და სერიოზულ დამოკიდებულებას ბავშვის აღზრდისადმი. გარდა ამისა აუცილებელია გარკვეული ასაკობრივი სხვაობა არსებობდეს შვილად ამყვანსა და ასაყვანს შორის. ბელორუსიისა და აზერბაიჯანის სსრ საოჯახო კოდექსების თანახმად ასაკობრივი სხვაობა შვილად ამყვანსა და ასაყვანს შორის უნდა იყოს 10 წელი. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ასეთი ფორმალური შეზღუდვისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს და იგი ხშირ შემთხვევაში შეიძლება საზიანოც აღმოჩნდეს ბავშვის ინტერესებისათვის.¹⁷ ჩვენ არ ვეთანხმებით ასეთ მოსაზრებას. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ასაკობრივი სხვაობის გათვალისწინება კანონში მიზნად ისახავს მხოლოდ შვილად აყვანილის ინტერესების დაცვას. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ჩვენს რესპუბლიკაში დასაშვებია 13 წლის მოქალაქის მიერ 16—17 წლის მოზარდის შვილად აყვანა. ბუნებრივად იზადება კითხვა იმის შესახებ, გაამართლებს თუ არა ასეთ შემთხვევაში შვილად აყვანა, თავის დაწინაურებას და იქნება თუ არა ეს სინამდვილეში „შვილად აყვანა“ და არა სამუალება სხვა რაიმე უკანონო მიზნის მიღწევისა? ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და მათ შორის საქართველოს სსრ ახალმა საოჯახო კოდექსმა უნდა დადგინოს ასაკობრივი სხვაობა შვილად ამყვანსა და ასაყვანს შორის, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა.

15 ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 318.

16 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წ. 4 ნოემბრის ბრძანებულება.

17 **А. Пергамент**, *Опека и попечительство*, Госюриздат, М., 1966, გვ. 79—80.

უკრაინისა და აზერბაიჯანის სსრ საოჯახო კოდექსების მიხედვით შვილად ამყვანი არ შეიძლება იყოს, პირი, რომელიც დაავადებულია გადამდები ავადმყოფობით. ჩვენი აზრით, ეს საკმარისი არ არის. შეიძლება შვილად ამყვანის დაავადება არ იყოს გადამდები, მაგრამ იყოს იმდენად მძიმე, რომ მნიშვნელოვნად შეაფერხოს ბავშვის ნორმალურად აღზრდა. ამ გარემოებას ყოველთვის უნდა იგაფიოს ანგარიში შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტის დროს. კანონში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული, რომ შვილად აყვანის უფლება არ შეიძლება მიეცეს მას, ვისი ჯანმრთელობაც დაბარკოლებს შვილად ასაყვანის ნორმალურ აღზრდას.

ასეთია ჩვენს მიერ დასმული ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის მომავალ კოდიფიკაციასთან დაკავშირებით.



კომლის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების საკითხისათვის

ბ. დეგლანიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ახლახან გამოქვეყნებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი, უცვლელად ტოვებს რა საბჭოთა მიწის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს, ამასთან ერთად ახლებურად აყენებს მიწის სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს, იმ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა.

მიწის ახალი კანონმდებლობით მოსაწყესრიგებელ საკითხს განეკუთვნება სასაკითხი — საკოლმეურნეო კომლისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. ჩვენის აზრით, მოქმედი კანონმდებლობით იგი არასრულყოფილად არის მოწყესრიგებული, რაც სერიოზულ სიძნელეს იწვევს პრაქტიკაში.

კომლისათვის მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურება წარმოება საქართველოს სსრ ცაქისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 13 მაისის დადგენილების „მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ“ შესაბამისად¹.

დადგენილების მე-3 მუხლით უნდა ანაზღაურებულიყო მიწის ჩამორთმევით გამოწვეული ყოველგვარი ზარალი

და დანახარჯი: იმ შენობისა და ნაგებობის ღირებულება, რაც მიწას არ აეცილებს; შენობისა და ნაგებობათა გადატანისა და ახალ ადგილას აგების ღირებულება; ნარგავისა და ნათესების ღირებულება; გამოუყენებელი ხარჯი, რაც გაწეულ იქნა მიწის დამუშავებისა, გაპატივებისა, მოწყალისა და დაშრობისათვის და სხვ. ამ ხარჯის ნამდვილ სარგებლიანობის ფარგლებში.

დადგენილება ეხებოდა სოფელ ადგილებს, თუმცა მისი გამოყენება ქალაქებსა და დაბებშიც შეიძლებოდა. ეს დადგენილება ვაჟქმდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულებით². ამჟამად სოფელ ადგილებში ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით გამოწვეული ზარალისა და ნარგავების ღირებულების ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების მიხედვით³. ამ დადგენილებებით მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ მხოლოდ ხალ-კენკრის, ნარგავებისა და ნათესების ღირებულება დაწესებულ ფასებში. ნარგავების ღირებულება განისაზღვრება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების მიერ შექმნილი სპეციალური კომისიების მეშვეობით. კომისია ნარგავებს

1. საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული, 1921-1940 წ. წ. ტ. 1, თბილისი, 1959 წ., გვ. 188-190.

2. საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1938-1964. თბილისი, 1965. გვ. 266.

3. საბინაო კანონთა კრებული, 1966 წ., თბილისი, გვ. 97-99.

აფასებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1962 წლის 7 ივლისის № 451 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და ტარიფის მიხედვით⁴. აღნიშნული დადგენილებებით, ზარალის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე წამოჭრილი დავა სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება და ადმინისტრაციული წესით წყდება.

კომუნალური და სასამართლო ორგანოების პრაქტიკა ამ დადგენილებების მოქმედებას სოფლადაც ავრცელებს. ეს არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ. 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ეს დადგენილება ვრცელდება „ქალაქის ტიპის დაბებზედაც“ ე. ი. მისი მოქმედების სფეროდან გამორიცხულია არა ქალაქის ტიპის დაბები. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილებაში მითითებული იქნებოდა საერთოდ დაბები და არა „ქალაქის ტიპის დაბები“. ასევე არ შეიძლება ამავე დადგენილებაში აღნიშნულ „დასახლებულ პუნქტებად“ მიჩნეულ იქნას სოფლები. უნდა ვივარაუდოთ, რომ დასახლებულ პუნქტებში ნაგულისხმევია რკინიგზის, აეროფლოტისა და ქალაქის ტიპის სხვა დასახლებული პუნქტები. კანონმდებელი დეტალურად ჩამოთვლის იმ ადგილებს, რომლებზედაც 1961 წლის 15 დეკემბრის და 1962 წლის ივნისის ზემოაღნიშნული დადგენილებები ვრცელდება. ამ ჩამოთვლაში „სოფლები“ მოხსენებული არ არის, რის გამოც ამ დადგენილებების შეფარდება სოფლებისა და საკოლმეურნეო მოსახლეობის მიმართ, ვფიქრობთ, დადგენილებათა შინაარსიდან არ გამომდინარეობს.

ამ მოსაზრების საფუძვლიანობას ადასტურებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ⁵, რომლის პირველ მუხლში განსაზღვრულია ბრძანებულების მოქმედების ფარგლებში; იგი ეხება ყოველი სახის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას, გარდა კოლმეურნეობების მიერ გამოყოფი-

ლი საკარმიდამო ნაკვეთებისა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტმა „დასახლებული პუნქტის“ ცნებაში მეტი გარკვეულობა შეიტანა. პროექტის თანახმად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები შეიძლება იყოს როგორც სოფლად, ისე ქალაქად (31-ე მუხლი), პროექტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწები უნდა განიმიჯნოს სხვა მიწებისაგან“ (35-ე მუხლი). მასასადამე, დასახლებული პუნქტების მიწებზე მსჯელობისას სასოფლო მიწები არ იგულისხმება. თუ ეს ასეა, მაშინ სწორია ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოა 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილებითა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილებით რეგლამენტირებული ანაზღაურების წესი არ ვავრცელებდა მიწების ჩამორთმევაზე სოფლად.

როგორც აღვნიშნეთ, 1931 წლის 13 მაისის დადგენილება, რომელიც აწესრიგებდა სოფელ ადგილებში მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურების საკითხს, გაუქმებულია. დღეისათვის ისეთი ნორმატული აქტი, რომელშიც პირდაპირ იქნებოდა მითითებული სოფელ ადგილებში ასეთი ზარალის ანაზღაურებაზე, ჩვენს რესპუბლიკაში არ არსებობს. ამიტომ ჩვენი აზრით, მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურებისა და და ნარგავების ღირებულების საკითხი სოფლად კონკრეტულად საკოლმეურნეო კომლის მიმართ, უნდა მოწესრიგდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით დამტკიცებული დებულების — „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის შესახებ“ — საფუძველზე. ამ დებულების მე-10 მუხლის მიხედვით კოლმეურნეობებს აუნაზღაურდებათ გამოსაყოფი მიწების ათვისების ხარჯები, რომელშიც შედის მიწების დამუშავება, განაყოფიერება,

4. სბინაო კანონთა კრებული, 1966, თბილისი, გვ. 102-106.

5 საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1938-1964 წ., თბილისი, 1965 წ. გვ. 266.



გაწყლიანება, ამოშრობა და მათ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სხვა ღონისძიებათა ხარჯები, აგრეთვე მრავალწლიანი ნარგავების და ყველა გადასაცემი შენობის და ნაგებობის ღირებულება ან ახალ ადგილზე მათი გადატანისა და მშენებლობის ღირებულება, აგრეთვე მიწის გამოყოფასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები⁶.

შარალაია, ეს დადგენილება საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურების საკითხებს პირდაპირ არ აწესრიგებს, მაგრამ კომლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი შედის კოლმეურნეობის მიწებში (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის 24-ე მუხლი), რის გამოც სა-

კოლმეურნეო კომლისთვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა იწვევს ამ ნაკვეთზე ზოვით კოლმეურნეობის მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტასაც. ამიტომ ასეთ შემთხვევაში საკოლმეურნეო კომლისათვის, რაზედაც სწორედ შენიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა, უნდა ხდებოდეს იმ წესების დაცვით, რაც სპეციალურად კოლმეურნეობის მიწების ჩამორთმევისათვის არის გათვალისწინებული⁷. აქედან, ბუნებრივია, კოლმეურნეობასა და საკოლმეურნეო კომლისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურებაც ერთი და იგივე სამართლებრივი რეჟიმით უნდა წესრიგდებოდეს.

6. საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1966, თბილისი, № 2, 41-ე მუხლი.

7 Ю. А. Вовк, Право приусадебного землепользования колхозного двора, Госюриздат, Москва, 1957, зб. 42.

4. საბჭოთა სამართალი № 5

არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიების წესის თაობაზე

მ. ლეკვიძელი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა სახელმწიფო მიზნად ისახავს სავსებით მოსპოს არასრულწლოვანთა დანაშაული. არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არსებულ სხვადასხვა მეთოდებსა და ფორმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ პროცესუალურ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესებს.

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა მოწესრიგებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საერთო ნორმებით. მაგრამ კანონს აქვს განსაკუთრებული წესებიც, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნან ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს. სისხლის სამართლის განსაკუთრებული პროცესუალური წესების გამოყენების თვალსაზრისით არასრულწლოვანად მიიჩნევა პირი, რომელმაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის მიაღწია 14 წლის ასაკს, მაგრამ ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მ).

არასრულწლოვანთა საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესს გააჩნია თავისი სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები. პროცესის თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია თვით დანაშაულის სუბიექტის ფიზიკური, გონებრივი და ფსიქიკური განვითარების დონით. ამიტომაცაა, რომ ჩვენმა კანონმდებლობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაეშვა რიგი თავისებურებებისა არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.

საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობით არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა არ არის გამოყოფილი ცალკე, თუმცა კი კოდექსი შეიცავს საერთო დებულებებთან ერთად განსაკუთრებულ წესებსაც, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნან გამოყენებული ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ეს წესები მოცემულია იმ მუხლებში, რომლებიც საერთოდ აწესრიგებენ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესებს სისხლის სამართლის პროცესის სტადიების მიხედვით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან მხოლოდ რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა პირველად საბჭოთა პროცესუალური კანონმდებლობის ისტორიაში მიიჩნია მიზანშეწონილად ცალკე გამოეყო არასრულწლოვანთა საქმეების წარმოება. ჩვენის აზრით, რსფსრ კანონმდებლობის ამგვარი გადაწყვეტილება გამართლებულია, რამდენადაც ამხვეილებს გამოძიებისა და მართლმსაჯულების ორგანოების ყურადღებას არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სპეციფიკაზე.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებათა სრულსა და ზუსტ დადგენას, რომელიც დამტკიცებული უნდა იქნას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არსებობს მუხლი, ანალოგიური რსფსრ სსსკ 392-ე მუხლისა, რომელიც ჩამოთვლის არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას დასადგენ გარემოებებს. კანონმდებელი ამგვარ გარემოებებად მიიჩნევს არასრულწლოვანთა ასაკს; ცხოვრებისა და აღზრდის პირობებს; მიზეზებსა და პირობებს, რომელთაც ხელი შეუწყეს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას; მოზრდილი წამქეზებლებისა და სხვა თანამონაწილეთა არსებობას; თუ მოიპოვება ცნობები არასრულწლოვანის გონებრივი ჩამორჩენილობის შესახებ, რაც დაკავშირებული არ არის სულიერ დაავადებასთან; უნდა დადგინდეს ასევე, შეეძლო თუ არა არასრულწლოვანს სრულად შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას და განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის მიზეზების გამოვლენასა და დანაშაულის პიროვნებას. ეს მით უმეტეს შეეხება არასრულწლოვანებს. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-15 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეზე დასამტკიცებელ გარემოებათა წრეს, დუმილით უვლის გვერდს დანაშაულის მიზეზების გამოვლენის საკითხს.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებმა და მათ შორის საქართველოს სსრ სსს კოდექსმა დაუმატეს, რომ საქმის გამოძიებისას და განხილვისას გამოვლენილი უნდა იქნას ის გარემოებანიც, რომლებმაც ზელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას (საქართველოს სსსკ მე-60 მუხლი) უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობამ ეს გარემოება ცალკე მუხლად გამოყო.

არასრულწლოვანთა საქმეებზე მტკიცების საზღვრებს თავისი სპეციფიკა გააჩნიათ. ეს სპეციფიკა დაკავშირებულია არასრულწლოვანთა ასაკთან, მათ განვითარებასთან, ფიზიკურ და ფსიქიურ მდგომარეობასთან, პიროვნების ქცევისა და ზასიათის ფორმების პირობებთან და სხვა. ამიტომ არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებისა და განხილვის დროს მტკიცების საგანი ფართოვდება.

სპეციფიკურ გარემოებათა გამორკვევა საშუალებას იძლევა მივალწიოთ აღზრდევლობით ეფექტს, სწორად განვსაზღვროთ ის ზომები, რომლებიც სასურველ შედეგს გამოიღებენ არასრულწლოვანის გამოსწორების საქმეში, მომავალში თავიდან აგვაცილებენ ანალოგიური დანაშაულის ჩადენას.

ასაკის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის დროს. ასაკის ზუსტად დადგენა, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად. სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ზოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს იმ პირის მიმართ, რომელსაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის მომენტში არ შესრულებია ის ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგაც კანონის საფუძველზე შესაძლებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მ.).

არასრულწლოვანის ასაკის ზუსტად დადგენა აუცილებელია აგრეთვე სას-

ჯელის ზომის განსაზღვრისათვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში რეჟიმის დასადგენად, მისი ვადამდე ადრე განთავისუფლებისათვის და სხვ.

იურიდიულ ლიტერატურაში მითითებული იყო, რომ პრაქტიკაში ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება შემთხვევები, როდესაც სათანადო ორგანოების არასწორი მუშაობის შედეგად ზუსტად არ დგინდება არასრულწლოვანთა ასაკი, რაც იწვევს სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ აღძვრას ან მართლსაწინააღმდეგო განაჩენის გამოტანას.¹

არასრულწლოვანთა საქმეების წარმოებისას გამოთხოვილ უნდა იქნას ამ პირის წლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი (მოწმობა დაბადების შესახებ ან პასპორტი 16 წელს მიღწეული პირისათვის). თუ ამგვარი დოკუმენტი არ არსებობს, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე ჩატარდება ექსპერტიზა არასრულწლოვანის ასაკის დასადგენად.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ექსპერტის დასკვნის შეფასებისას უნდა ითვალისწინებდნენ იმ სიძნელებებს, რომელიც თან ახლავს ექსპერტიზის ჩატარებას ასაკის დადგენის მიზნით. ექსპერტს არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს პირის დაბადების თვე და რიცხვი. უკეთეს შემთხვევაში, შესაძლოა დადგენილი იქნას დაბადების წელი. ამიტომ, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს გ. მ. მინკოვსკი,² ექსპერტიზა არასრულწლოვანის ასაკის დასადგენად უნდა დაინიშნოს მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც დაბადების შესახებ დოკუმენტი არა მარტო არ არსებობს, არამედ საერთოდ შეუძლებელია მისი მიღება. თუ კი არსებობს რაიმე შესაძლებლობა, თუგინდ იგი დაკავშირებული იყოს დიდი დროის, ძალისა და საშუალების დაკარგვასთან, ეს შესაძლებლობა აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნას.

არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე, ასევე იმ პირთა შესახებ დანაშაულის საქმეებზე, რომელთაც თავისი ფიზიკური და ფსიქიური ნაკლის გამო არ შეუძლიათ განახორციელონ უფლება დაცვაზე, დამცველი დაიშვება საქმეში მონაწილეობის მისაღებად ბრალდების წაყენების მომენტიდან (საქართველოს სსრ სსსკ 43-ე მ.).

დამცველის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში ბრალდების წაყენების მომენტიდან, გულისხმობს, რომ იგი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესუალური მოქმედების განხორციელებაში. მაგრამ საგამომძიებლო პრაქტიკა მოწმობს, რომ დამცველის როლი უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება მისი დასწრებით არასრულწლოვანისათვის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის დადგენილების გაცნობისას. დამცველის მოქმედების პასიურობა განპირობებულია საქმის გარემოებათა არცოდნით. ამიტომ მას არა აქვს საშუალება აღძვრას რაიმე უშუამდგომლობა ან გამოთქვას თავისი მოსაზრება. იმისათვის, რომ დამცველს შეეძლოს აქტიურად დაიცვას ბრალდებულის უფლებები, იგი უნდა გავაცნოთ შეკრებილ მასალებს.

ჩვენ არასწორად მიგვაჩნია ისეთი პრაქტიკა, როდესაც წინასწარი გამოძიებისას არასრულწლოვანის საქმეზე მონაწილეობს ერთი დამცველი, ხოლო

¹ В. Терехилов, Улучшить судебную практику по делам о преступлениях несовершеннолетних. «Социалистическая законность», 1963, № 10, стр. 10—11.

² Г. М. Миньковский, Особенности расследования и судебного разбирательства дел о несовершеннолетних, 1959 г.

სასამართლოში საქმის განხილვისას—მეორე. იმისათვის, რომ უფრო კვალი-ფიციურად იქნას დატული არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები და კანონიერი ინტერესები, სასამართლოშიც არასრულწლოვანის ინტერესებს უნდა იცავდეს იგივე დამცველი, რომელიც უკვე საკმაოდ კარგად იცნობს საქმის მასალებსაც და თვით სამართალში მიცემულსაც.

შესაძლოა, რომ არასრულწლოვან ბრალდებულსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის წამოიჭრას დავა ამა თუ იმ დამცველის მოწვევის თაობაზე. ჩვენი აზრით, საბოლოოდ ეს საკითხი უნდა გადაჭრას არასრულწლოვანმა ბრალდებულმა, ვინაიდან დასაშვებია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვეოდნენ და ზოგჯერ პირიქით, ერთმანეთის საწინააღმდეგონიც კი იყვნენ.

თუ კანონიერი წარმომადგენლის მიერ მიწვეული დამცველი არ აკმაყოფილებს ბრალდებულს, მას შეუძლია უარი თქვას მასზე. ეს უარი არ ნიშნავს საერთოდ დაცვაზე უარის თქმას. ხოლო არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს უფლება არა აქვს უარყოს არასრულწლოვანის მიერ საქმეში მონაწილეობისათვის მოწვეული დამცველი. კანონის ძალით ამის უფლება ეკუთვნის მხოლოდ ბრალდებულს. საქართველოს სსრ-ის სსსს-ის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ბრალდებულს შეუძლია უარი თქვას დამცველზე მხოლოდ თავისი ინიციატივით.

საქართველოს პროცესუალური კანონმდებლობით არასრულწლოვანის მიერ დამცველზე უარის თქმა არ არის სავალდებულო გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებისათვის (სსსკ 45-ე მ.).

საქართველოს სსრ არასრულწლოვანთა საქმეებზე სავამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ არასრულწლოვანის უარის მიუხედავად დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესზე თითქმის ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილია. ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისაღმების ღირსია.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 22-ე მუხლის თანახმად დამცველის სახით სისხლის სამართლის პროცესზე დაიშვებიან ადვოკატები, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან სხვა პირები, რომელთაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (მ. 43) საფუძვლებში გათვალისწინებულ პირთა გარდა სასამართლოს განჩინებითა და მოსამართლის დადგენილებით დამცველად შეიძლება დაშვებულ იქნან სამართალში მიცემულის ახლო ნათესავები და კანონიერი წარმომადგენლები, ასევე სხვა პირები. ასევეა გადაწყვეტილი ეს საკითხი რუსეთის სფსრ სსს კოდექსითაც.

როგორც კანონის მითითებიდან ჩანს, ბრალდებულის ახლო ნათესავები, კანონიერი წარმომადგენლები და სხვა პირები დამცველად დაიშვებიან უკვე სასამართლო განხილვის სტადიიდან. წინასწარ გამოძიებაში ამ პირთა დამცველად დაშვება გამორიცხულია.

ესტონეთის სსრ კანონმდებლობით (სსსკ მ. 36) დამცველებად წინასწარ გამოძიებაში შეიძლება იყვნენ ადვოკატები, პროფკავშირისა და სხვა საზოგა-



დოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, ასევე სხვა პირებიც გამოძიებულის ნებართვით.

ყოზახეთის სსრ სსსკ 23-ე მუხლით საფუძვლებში ჩამოთვლილ პირთა გარდა ნებადართულია დამცველის სახით წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობა მიიღონ ასევე ბრალდებულის ახლო ნათესავებმა და კანონიერმა წარმომადგენლებმა.

აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (მ. 57) წინასწარ გამოძიებაში დამცველის ფუნქცია შეიძლება განახორციელოს აგრეთვე ბრალდებულის მეუღლემ, ახლო ნათესავმა და კანონიერმა წარმომადგენელმა, ასევე სხვა პირმაც.

როგორც ვხედავთ, დამცველის სახით წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის, პროფკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლის მონაწილეობის საკითხი აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს. სხვა პირთა დამცველის სახით მონაწილეობა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში ერთგვაროვნად არ არის გადაჭრილი.

საკამათოა ეს საკითხი იურიდიულ ლიტერატურაშიც; წინასწარ გამოძიებაში კანონიერი წარმომადგენლების დამცველებად დაშვების მოწინააღმდეგეა ლ. ულიანოვა; იგი თვლის, რომ კანონიერი წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან არასრულწლოვანის აღზრდაზე, ყოველთვის დაინტერესებულნი არიან საქმის შედეგით. ამიტომ არა მარტო წინასწარ გამოძიებაში, არამედ სასამართლო სხდომაზედაც მათი მონაწილეობა შეზღუდული უნდა იქნას.³

რ. ი. ცირულნიკოვას მიზანშეწონილად მიაჩნია არასრულწლოვანთა საქმეებზე კანონიერ წარმომადგენელთა დამცველის სახით დაშვება წინასწარი გამოძიების სტადიიდან. რ. ცირულნიკოვა მიუთითებს, რომ კანონიერ წარმომადგენელთა დაშვება სასურველია და აუცილებელი იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს უკანასკნელნი დაინტერესებულნი არიან საქმის ბედიით.⁴ რ. ცირულნიკოვას მსჯელობა მთლად ზუსტი არ არის. სჩანს რ. ცირულნიკოვას აქ მხედველობაში აქვს კანონიერ წარმომადგენელთა ისეთი დაინტერესება, რომელიც ეწინააღმდეგება არასრულწლოვანი ბრალდებულის ინტერესებს. სხვაგვარად მისი სიტყვების გაგება შეუძლებელია, ვინაიდან, როგორც წესი, არასრულწლოვანი ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლები ყოველთვის დაინტერესებულნი არიან საქმის განხილვის ბედიით.

მაგრამ ჩვენ რ. ცირულნიკოვას მაინც ვერ დავეთანხმებით. იგი მოითხოვს კანონიერ წარმომადგენელთა დაშვებას დამცველებად ბრალდების წაყენების მომენტიდან, როდესაც ჯერ გამოძიება არ არის დამთავრებული და ამდენად გამოძიებელი არ შეიძლება იყოს დარწმუნებული მშობლებისა ან მათი შემცველი პირების ობიექტურობაში არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, მათ მონაწილეობამ წინასწარ გამოძიებაში შეიძლება ხელი შეუშალოს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას და მიგვიყვანოს სასამართლო შეცდომამდე.

ამას გარდა, ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენლებს, როგორც წესი, არა აქვთ სათანადო სამართლებრივი ცოდნა; ან კიდევ, არასრულწლოვანი შე-

³ Л. Ульянова, Защита по делам о преступлениях несовершеннолетних, Советская юстиция, 1966, № 5, стр. 13.

⁴ Р. И. Цирюльников, Допрос несовершеннолетних на предварительном следствии, Автореферат диссертации, М., 1956 г.

იძლება არც იყოს გულახდილი თავისი მშობლების წინაშე; შეიძლება გაძნელდეს გამოძიების საიდუმლოების დაცვა.

ყოველივე ამის გამო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამართლებულია იმ მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პოზიცია, რომლებიც მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ წინასწარ გამოძიებაში კანონიერ წარმომადგენელთა დამცველებად დაშვებას.

ზოგიერთი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი, რომელიც საფუძველს იძლევა უარი ვთქვათ დამცველებად მშობლებისა და სხვა კანონიერი წარმომადგენლის დაშვებაზე, აღარ არსებობს სასამართლო განხილვის დროს. მაგალითად, გამოძიების საიდუმლოების დაცვა, გარკვეულია კანონიერ წარმომადგენელთა უბრალოება არასრულწლოვანის დანაშაულში და სხვა.

მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ბრალდებელი, არასრულწლოვანი ბრალდებულის დამცველი იურიდიული ცოდნით აღჭურვილი პირი უნდა იყოს. ჩვენი ეს მოსაზრება ეყრდნობა საქართველოს სსრ სსსკ 44-ე მუხლის მეხუთე პუნქტის შინაარსს, სადაც აღნიშნულია, რომ დამცველის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში და სასამართლოში საქმის განხილვისას აუცილებელია, თუ საქმეში მონაწილეობს სახელმწიფო ბრალდებელი. ამ მუხლის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ დაცული იქნას პროცესუალური თანასწორობა დაცვასა და ბრალდებას შორის. ამიტომ, არასრულწლოვანის დამცველი თავისი იურიდიული ცოდნით არ უნდა ჩამორჩებოდეს სახელმწიფო ბრალდებელს.

ყოველივე ამის გამო, მიზანშეწონილი იქნება, თუ სასამართლო პროცესზე დამცველებად მშობლები და სხვა კანონიერი წარმომადგენლები დაშვებული იქნებიან მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით. უთუოდ ამითაა გაპირობებული, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების უმრავლესობა კანონიერ წარმომადგენლებს დამცველების სახით სასამართლო სხდომაზე უშვებს მხოლოდ სასამართლოს სპეციალური განჩინებით ან მოსამართლის დადგენილებით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის შინაარსმა, რომ დამცველზე უარის თქმა არასრულწლოვანის მიერ გამოძიებლის, პროკურორისა და სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის, მისცა საბაზი დებულებას, რომ არასრულწლოვანის მიერ უარი დამცველზე დაკმაყოფილებული არ უნდა იქნას. ამგვარი მოსაზრება, ჩვენი აზრით, მცდარია. არასრულწლოვანსა და მის ადვოკატს შორის პოზიციის შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიზეზს, რათა არასრულწლოვანმა უარყოს დამცველი. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, გამოძიებელმა და სასამართლომ არასრულწლოვანის შუამდგომლობა უნდა დააკმაყოფილოს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის ძალით არასრულწლოვანისათვის ბრალდების წაყენებას და მის დაკითხვას უნდა აუცილებლად ესწრებოდეს პედაგოგი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. მათ უფლება გააჩნიათ გამოძიებლის თანხმობით მისცენ შეკითხვები ბრალდებულს.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმო-

ების საფუძვლების მიღებამდე პროცესუალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი აზრი იყო გამოთქმული არასრულწლოვანის დაკითხვისას გამოძიებლის გარდა სხვა პირთა მონაწილეობის შესახებ. ზოგიერთი ავტორი წინააღმდეგი იყო პედაგოგისა და ექიმის დასწრებისა არასრულწლოვანის დაკითხვისას.⁵ მ. გროძინსკის მიზანშეწონილად მიაჩნდა ექსპერტის მონაწილეობა არასრულწლოვანის დაკითხვის დროს⁶. ეს მოსაზრება ემყარებოდა იმ დებულებას, რომ პირს, რომელიც ესწრება დაკითხვას შეჰქონდეს დაკითხვის ოქმში თავისი მოსაზრება მიცემული ჩვენების სიმართლის შესახებ.

ჩვენ სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია გ. მ. მინკოვსკის საწინააღმდეგო აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ პროცესში მონაწილე ყველა სპეციალისტი ექსპერტად ვერ ჩაითვლება.⁷ დაკითხვის ოქმში მოტივირების გარეშე შეტანილი „მოსაზრება“ არ შეიძლება გაუთანაბრდეს ექსპერტის სრულფასოვან დასკვნას. ამავე დროს კანონსაწინააღმდეგოა ერთი საგამომძიებლო მოქმედების (ექსპერტიზის) ჩატარება მეორე საგამომძიებლო მოქმედების (დაკითხვის) მსვლელობის დროს. თუ მივიღებთ გროძინსკის აზრს, მაშინ გამოდის, რომ ექსპერტის უფლებამოსილებაში შედის აგრეთვე მტკიცებულების შეფასებაც.

მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით გ. მ. მინკოვსკის მეორე მოსაზრებას არასრულწლოვანის დაკითხვაში მშობლების მონაწილეობის მიზანშეუწონლობის შესახებ,⁸ რასაც იგი შემდეგნაირად ასაბუთებს: დაკითხვის მომენტში ყოველთვის არ არის ნათელი დანაშაულის ჩადენაში მშობლის როლი. მშობლებს, სურთ რა თავისი შვილის დახსნა, შეეცდებიან გამოძიება წარმართონ არასწორი გზით; ამასთან, ზოგჯერ წარმოიშვება მშობელთა მოწმის სახით დაკითხვის აუცილებლობა; და ბოლოს, ბრალდებული მშობელთა წინაშე შეიძლება განიცდიდეს შიშის, სირცხვილის გრძნობას და სხვა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გამოძიებელმა საქმის გარემოებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს საკითხი არასრულწლოვანის დაკითხვაში მისი კანონიერი წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ. მაგრამ რაც შეეხება დაკითხვაზე მშობლების დასწრებისას გამოძიების არასწორად წარმართვის საშიშროებას, ეს მოსაზრება, ფიქრობთ, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან დაკითხვას აწარმოებს გამოძიებელი და მშობლებს ფაქტიურად არ ძალუძთ გამოძიების ბედის გადაწყვეტა.

პედაგოგის არასრულწლოვანის დაკითხვაში მონაწილეობის ძირითადი მიზანია დაეხმაროს გამოძიებელს ბრალდებულთან კონტაქტის დამყარებაში, ვინაიდან არასრულწლოვანის დაკითხვისას აუცილებელია პედაგოგისა და ფსიქოლოგის საფუძვლების ცოდნა.

დაკითხვის დამთავრების შემდეგ პედაგოგს უფლება აქვს გაცენოს დაკითხვის ოქმს და წერილობითი სახით მისცეს შენიშვნა არსებული ჩანაწერის სისწორისა და სისრულის შესახებ. არასრულწლოვანის დაკითხვის დაწყებამდე გამოძიებელი ვალდებულია განუმარტოს პედაგოგს მისთვის მინიჭებული უფლებები, რაც აღინიშნება დაკითხვის ოქმში.

⁵ В. Ярославский, Вопрос малолетних и несовершеннолетних, Социалистическая законность, 1956, № 2, стр. 23.

⁶ М. М. Гродзинский, Сущность и формы экспертизы в советском уголовном процессе, «Ученые записки Харьковского юридического института», вып. VI, 1955, стр. 59.

⁷ Г. М. Миньковский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 117.

⁸ Г. М. Миньковский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 120.

რსფსრ საპროცესო კანონმდებლობით პედაგოგის გამოძახება არასრულწლოვანის დაკითხვაზე ყოველთვის როდი ხდება საგამომძიებლო ორგანოების შეხედულების საფუძველზე. დამცველის შუამდგომლობა პედაგოგის მოწვევის შესახებ აუცილებლად უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

რსფსრ-ის კანონმდებლობის ანალოგიურადაა გადაწყვეტილი საკითხი ტაჯიკეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მ. 150). ბელორუსიაში (სსსკ მ. 150) პედაგოგის მოწვევა არასრულწლოვანის დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად მთლიანად გამომძიებლის შეხედულებაზეა დამოკიდებული. ლატვიის (მ. 152), მოლდავეთის (მ. 132), ესტონეთის (მ. 126) საპროცესო კოდექსებით 16 წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის დაკითხვისას პედაგოგის მონაწილეობა აუცილებელია ყველა შემთხვევაში. ლიტვის (მ. 169), ლატვიის (მ. 152), აზერბაიჯანის (მ. 158) კოდექსებით არასრულწლოვანისათვის ბრალდების წაყენებას და დაკითხვას შესაძლოა ესწრებოდეს პედაგოგი ან კანონიერი წარმომადგენელი; უკრაინის (სსსკ მ. 144) და ყირგიზეთის (სსსკ მ. 138) კანონმდებლობით პედაგოგისა ან კანონიერი წარმომადგენლის გარდა შესაძლოა ექიმის მონაწილეობა.

მაგრამ აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიის, უკრაინისა და ყირგიზეთის კანონმდებლობით ზემოაღნიშნულ პირთა დასწრება არასრულწლოვანის დაკითხვაზე დამოკიდებულია არა მარტო გამომძიებლის შეხედულებაზე, არამედ დამცველის შუამდგომლობაზეც.

ჩვენ მიგვაჩნია გამართლებულად და მიზანშეწონილად იმ რესპუბლიკების კოდექსების დებულება, სადაც მითითებულია, რომ არასრულწლოვანის დაკითხვისას სავალდებულოა როგორც პედაგოგის, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის ან ექიმის დასწრება. შესაძლოა, რომ საქმის ვითარებიდან გამომდინარე გამომძიებელმა აუცილებლად მიიჩნიოს ერთ-ერთი მათგანის გამოძახება, ხოლო კანონმდებლობა მას ამის საშუალებას არ აძლევდეს. ამავე დროს გაუმართლებლად უნდა მივიჩნიოთ პედაგოგისა და ექიმის ერთდროული დასწრება. არასრულწლოვანის დაკითხვისას მონაწილეთა სიმრავლე შექმნის სირთულეს მასთან კონტაქტის დამყარებაში. ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულ პირთა გამოძახება მარტო საგამომძიებლო ორგანოების შეხედულებით როდი უნდა ხდებოდეს. არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი რეალური გარანტია სწორედ ის იქნება, რომ თუ გამომძიებელი ამა თუ იმ მიზეზით თავს იკავებს ამ პირთა დასწრებაზე, დამცველს გააჩნდეს უფლება შუამდგომლობის საფუძველზე დაასწროს ეს პირები არასრულწლოვანის დაკითხვას.

სასამართლოს მიერ ახალ პირთა მიმართ საქმის აღძვრის დროს საგამომძიებლო ვალდების გამოთვლის შესახებ

ლ. ზასილვაძე

რსფსრ სსსკ 256 მუხლი (საქართველოს სსრ სსსკ 257 მუხლი) სასამართლოს უფლებას აძლევს განაჩენის დადგენასთან ერთად აღძვრას საქმე მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის მიმართ წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების ან დასკვნის მიცემისათვის.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ სასამართლოს მიერ ამ მუხლის 111 ნაწილით აღძვრულ საქმეზე ვრცელდება რსფსრ სსსკ 133 მუხლის (სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსების შესაბამისი მუხლების) ყველა წესი, რომელიც შეეხება გამოძიების ვადას საქმის აღძვრის მომენტიდან. მაგრამ საქმე სულ ასე არ არის.

ეხება რა სასამართლოს მიერ საქმის აღძვრას მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის მიმართ წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების ან დასკვნის მიცემისათვის, კანონი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ასეთი საქმე შეიძლება აღიძვრას მხოლოდ განაჩენის დადგენასთან ერთად. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან მხოლოდ სათათბირო ოთახში აჯამებს სასამართლო ყველა მტკიცებულების გამოკვლევის შედეგებს და იძლევა ერთობლიობაში მათ შეფასებას. ამიტომ ნაადრევი იქნებოდა დასკვნის გაკეთება მოწმისა და დაზარალებულის ჩვენების ან ექსპერტის დასკვნის სიყალბის შესახებ განაჩენის დადგენის მომენტამდე. ასეთი დასკვნა ზოგჯერ შეიძლება მცდარიც იყოს.

მეორე მხრივ, რსფსრ სსსკ 330-ე მუხლში (საქართველოს სსრ სსსკ 342

მუხლი) ნათქვამია: „განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრება ან გაპროტესტება შეაჩერებს განაჩენის აღსრულებას“.

სწორედ აქ სასამართლოს საგამომძიებლო ორგანოების მუშაკთა წინაშე წამოიჭრება შემდეგი საკითხი: რა მომენტიდან გამოვთვალოთ საგამომძიებლო ვადა სასამართლოს მიერ აღძვრულ საქმეზე მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის მიმართ წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების ან დასკვნის მიცემის გამო, როცა განაჩენი გასაჩივრებულია საკასაციო წესით; ასეთ შემთხვევაში ხომ ხდება განაჩენის აღსრულების შეჩერება?

თუ საგამომძიებლო ვადის გამოთვლა სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყება სასამართლოს მიერ საქმის აღძვრის მომენტიდან, გამორიცხული არ არის, რომ ზემდგომი სასამართლო შეცვლის, გააუქმებს განაჩენს ან საქმეს დააბრუნებს ხელახალი განხილვისათვის სამსჯავრო ან წინასწარი გამოძიების სტადიიდან. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია ნაადრევი იქნებოდა საკითხის დაყენება მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის მიერ წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ, რადგან ამ სტადიაზე ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ რა შედეგებს მოგვცემს ხელახალი სამსჯავრო ან წინასწარი გამოძიება.

თუ საგამომძიებლო ვადის გამოთვლა დაიწყება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში საკასაციო საჩივრის ან

პროტესტის განხილვის მომენტიდან, როცა განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული, მაშინ რა ვუყოთ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე არსებულ დროის შუალედს; რსფსრ სსსკ 129-ე მუხლი ხომ ავალდებულებს გამომძიებელს, რომ შეუდგეს გამოძიებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდანვე?

ასეთი პრაქტიკული საკითხები განსაკუთრებით აღელვებენ გამომძიებლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნული წინააღმდეგობა რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კანონმდებელს არ მოუწესრიგებია.

დამახასიათებელია, რომ რსფსრ სსსკ კომენტარებში, რომელიც გამოცემულია ავტორთა კოლექტივის მიერ 1963 წელს, არაფერია ნათქვამი ამ საკითხებზე. ჩვენი მეცნიერი იურისტები კი ამ საკითხს რატომღაც არ წამოჭრიან.

ანალოგიურ წინააღმდეგობას აქვს ადგილი უკრაინის სსრ, მოლდავეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ესტონეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ლიტვის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონებში. გამოჩაკლის ამ მხრივ წარმოადგენს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მასზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით.

როგორ წყდება პრაქტიკაში საკითხი იმ საქმეთა სავამომხიებლო ვადების გამოთვლის შესახებ. რომლებიც აღძვრება სასამართლოების მიერ რსფსრ სსსკ 256 მუხლის 111 ნაწილით? მაგალითისათვის მოვიტანოთ შემდეგი.

1963 წლის 11 სექტემბერს ქ. გროზნოს ლენინის სახელობის კულტსახლის პარკში, დაახლოებით 23 საათზე მოკლული იქნა მოქალაქე ა. რუჟინი. იმავე დღეს საქარხნო რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებით დადგინდა შემდეგი:


სამხედრო მოსამსახურე ო. გიბიზოვი შეგებულებაში ყოფნისას 1963 წლის აგვისტოს ბოლოს ქ. გროზნოში სტუმ-

რად ეწვია თავის ამხანაგს ა. ვეძიყევს. 1963 წლის 1 სექტემბერს დაახლოებით 23 საათზე ლენინის სახელობის კულტსახლის პარკის ცენტრალურ შესასვლელთან ო. გიბიზოვს, რომელიც ცეკვებიდან ბრუნდებოდა გოგონებთან ერთად, უსიამოვნება მოუვიდა ბოროტ ხულიგან ა. ზაურბეკოვთან, რომელმაც ყბაში კასტეტის დარტყმით ძირს დასცა გიბიზოვი, დაუწყო ფეხებით ცემა და მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. მოქალაქეთა მოწოდებაზე, შეეწყვიტა ხულიგნობა, ზაურბეკოვს ყურადღება არ მიუქცევია.

1963 წლის 11 სექტემბერს დაახლოებით 21 საათზე დანით და პისტოლეტით შეიარაღებული ჯგუფით, რომელიც ექვსი კაცისაგან შედგებოდა, ვეძიყევი მივიდა პარკში იმ მიზნით, რომ მოეძებნა და ეცემა ის, ვინც 1963 წლის 1 სექტემბერს სცემა მის ამხანაგს გიბიზოვს. პარკის საზაფხულო საცეკვაო მოედანთან ვეძიყევმა ატეხა ჩხუბი და შეეცადა დანით მოეკლა მოქალაქე ა. გიგაური, შემდეგ კი მუცლის არეში დანის დარტყმით მოკლა ა. რუჟინი და ამხანაგებთან ერთად მიიმალა.

ვეძიყევისადმი წარდგენილი ბრალდება ემყარებოდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, ნივთიერ მტკიცებებს, აგრეთვე მრავალრიცხოვან მოწმეთა, მათ რიცხვში გიგაურის, სახაროვის და მუდაივის ჩვენებებს.

წინასწარი გამოძიების დროს დაზარალებულმა გიგაურმა აჩვენა, რომ ჯერ კიდევ რუჟინის მკვლელობამდე 1963 წლის 11 სექტემბერს ვეძიყევი ლენინის სახელობის კულტურის სახლის პარკში მიუხტა მას დანის დარტყმის მიზნით და დაემუქრა: „ეხლავე სუყველას დაგხოცავთ“ და რომ გიგაური, დროზე არ არიდებოდა დარტყმას, მასაც მოკლავდა. თავისი ჩვენება გიგაურმა დაადასტურა ვეძიყევიან დაპირისპირებისას.



მაგრამ ბრალდებულის ნათესავეების გავლენით გიგაურმა სამსჯავრო გამოძიების დროს შეცვალა ჩვენება, დაიწყო მტკიცება, რომ ვედიყევი მას დანით არ მოხტომია და რომ დანა არ დაუნახავს მის ხელში.

მოწმე მუდაევი წინასწარი გამოძიების დროს ამტკიცებდა, რომ 1963 წლის 11 სექტემბერს ლენინის სახელობის კულტსახლის პარკში მან ვედიყევთან და სხვა ბიჭებთან ერთად დალია არაყი და მათივე თანხლებით გაემართა საცეკვაო მოედნისაკენ. მან განმარტა, რომ პარკში მომხდარი ჩხუბის შემდეგ ვედიყევმა მას აჩვენა გასისხლიანებული დანა და უთხრა, რომ ამ დანით დაჭრა ერთი ბიჭი. მუდაევმაც თავისი ჩვენება დაადასტურა ვედიყევთან დაპირისპირების დროს.

მაგრამ მუდაევმაც სამსჯავრო გამოძიებაზე მიცემული ჩვენება უარყო და შეეცადა ბრალდებულისათვის ხელი დაეფარება.

მოწმე სახაროვმაც ამხილა ვედიყევი წინასწარ გამოძიებაში. უჩვენა რომ დაინახა მის ხელში პისტოლეტი, მაგრამ სამსჯავრო გამოძიების დროს მანაც უარი თქვა ამ ჩვენებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე მოწმემ უარი თქვეს თავიანთ ჩვენებებზე, სამართალში მიცემულის ბრალი სამსჯავროს სხდომაზე მთლიანად დადასტურდა და სასამართლომ 1963 წლის 3 დეკემბერს ვედიყევის და ზაურბეკოვის მიმართ განაჩენის დადგინასთან ერთად გიგაურის, მუდაევის და სახაროვის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე რსფსრ სსსკ 256 მუხლის 111 ნაწილით წინასწარი შეიკნობით ცრუ ჩვენების მიცემის გამო.

განაჩენის გამოტანის შემდეგ ვედიყევის დამცველმა შეიტანა საკასაციო საჩივარი, რის გამოც სასამართლომ არ გაგზავნა მასალები პროკურატურაში ცრუ მოწმეთა პასუხისმგებლობაში მისაცემად, რაც იმით დაასაბუთა, რომ განაჩენი ჯერ კიდევ არაა შესული კანონიერ ძალაში და რომ ის ჯერ კიდევ გადასინჯული იქნება საკასაციო ინსტანციის მიერ.

მაგრამ საკასაციო ინსტანციის მიერ განაჩენის დამტკიცების შემდეგ მსჯავრდებულის დამცველის შუამავლობით საქმე გაითხოვეს მოსკოვში. მხოლოდ 1964 წლის ივლისში ვედიყევის სისხ-

ლის სამართლის საქმე დაბრუნდა სასამართლოში, რის შემდეგაც სასამართლომ გადაგზავნა მასალები პროკურატურაში ცრუ მოწმეთა — გიგაურის, სახაროვისა და მუდაევის პასუხისმგებლობაში მისაცემად.

გამომძიებლის წინაშე წამოიჭრა საკითხი: რა მომენტიდან გამოითვალა მას საგამომძიებლო ვადა? თუ საგამომძიებლო ვადის გამოთვლა დაიწყებოდა საქმის აღძვრის მომენტიდან, ე. ი. 1963 წლის 6 დეკემბრიდან, მაშინ საგამომძიებლო ვადის გასაგრძელებლად ის შუამდგომლობით უნდა შესულიყო უშუალოდ რსფსრ პროკურორთან ყველა სხვა ინსტანციის გვერდის ავლით, რადგან მეორე თვეზე გამოძიების დაწყება შეიძლება მხოლოდ რსფსრ პროკურორის ნებართვით (იხ. რსფსრ სსსკ 133 მუხლი).

მაგრამ გამომძიებელი ასე არ მოიქცა და აღძრა საქმე მისი წარმოებაში მიღების მომენტიდან. ამასთანავე მან ეს გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ საქმე მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით დაყოვნდა ასე დიდხანს სასამართლოში. რა გამოვიდა აქედან? შემოხსენებულ საქმეებში აღმოჩნდა ორ-ორი დოკუმენტი საქმის აღძვრის თაობაზე — სასამართლოს განჩინება და გამომძიებლის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. სწორია თუ არა ეს? რასაკვირველია, არა. საქმეში არ უნდა იყოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც არ არის გაუქმებული განაჩენის გამოტანამდე. მსგავსი მავალითების მოტანა მრავლად შეიძლება სასამართლო — საგამომძიებლო პრაქტიკიდან.

შეუძლებელია შევურიდოთ იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს ამჟამად რსფსრ სსსკ 256 მუხლის 111 ნაწილსა და 330 მუხლს შორის.

არ შეიძლება დავეთანხმოთ აგრეთვე ჩვენს სასამართლო პრაქტიკას, რომელიც საგამომძიებლო ვადის გამოთვლას რსფსრ სსსკ 256 მუხლის 111 ნაწილით ახდენს არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტიდან, არამედ გამომძიებლის მიერ საქმის წარმოებაში მიღებიდან.

ჩვენს აზრით, ერთად-ერთი სწორი გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან

იქნება რსფსრ სსს კოდექსში დამატებით 256¹ მუხლის შეტანა დაახლოებით შემდეგი შინაარსისა:

„სასამართლოს მიერ რსფსრ სსსკ 256 მუხლის 111 ნაწილით აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე უნდა შეჩერდეს წარმოებით იმავე სასამართლოს მიერ საქმის აღძვრის შემდეგ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ყველა შემთხვევაში: ა) საკასაციო ვადის გასვლამდე თუ არაა შესული საკასაციო საჩივარი ან პროტესტი. ბ) საკასაციო ინსტანციაში საქმის არსებითად გადაწყვეტამდე უკვე თუ შეტანილია საკასაციო საჩივარი ან პროტესტი, (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია პატიმრობა სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან ერთად).

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ახალი მუხლი უნდა შევიდეს სსსკ იმ განყოფილებაში. რომლის სათაურია, „სამსჯავრო განხილვის ზოგადი პირობები.“ რადგან ზემოაღნიშნული მოქმედებანი უნდა შეასრულოს სასამართლომ.

ჩვეულებრივ საკასაციო ინსტანციის მიერ განაჩენის კანონიერ ძალაში დატოვების შემდეგ საქმეს იღებს გამომძიებელი არა უგვიანეს 10—15 დღისა, ამიტომ სასურველია, რომ იმ საქმეთა წარმოების განახლების უფლება, რომელიც აღიძვრება სასამართლოს მიერ რსფსრ სსსკ 256¹ მუხლით (თუ ასეთი მუხლი შევა კოდექსში) მიეცეს გამომძიებელს საქმის მიღების მომენტიდან.

მაგრამ ზემოთ თქმული არ ამოწურავს განსახილველ საკითხს. და მართლაც თუ სასამართლოს მიერ რსფსრ სსსკ 256 მუხლის 111 ნაწილით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დროს აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული იქნება პატიმრობა, მაშინ შეუძლებელია საქმის წარმოების შეჩერება, ვინაიდან პატიმრობის ვადები საერთოა.

რსფსრ სსსკ 330 მუხლში ნათქვამია, რომ საკასაციო პროტესტის ან საჩივრის შეტანა შეაჩერებს განაჩენის აღსრულებას. ჩვენის აზრით, ეს საკითხიც უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო წესით.

დასასრულ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ რსფსრ სსსკ 256 მუხლი არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას თარჯიმანის მიმართ წინასწარი შეცნობით ცრუ თარჯიმანის გამო. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსით ასეთი ქმედობა ისჯება.

საინტერესოდ წყვეტს ჩვენს მიერ აქ განხილულ საკითხს საქართველოს სსრ კანონმდებლობა. საქართველოს სსრ სსსკ 64 მუხლის მე-7 ნაწილში ნათქვამია: „მოწმე ცრუ ჩვენებისათვის. რაც დადგენილი იქნება სასამართლოში, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში შეიძლება მიეცეს სასამართლოს მიერ განაჩენთან ერთად გამოკლავი და განხილვა სასამართლოს მიერ შეიძლება მხოლოდ იმ საქმეზე გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. რომლის გამოც, მოწმემ მისცა ჩვენება, ამ საქმის შეწყვეტის შემდეგ.“

ამრიგად, საქართველოს სსრ სსსკ 64 მუხლი. რომელიც მოწმის მოკლევობასა და პასუხისმგებლობას ეხება, დაძლიებულია წინააღმდეგობა საქართველოს სსრ სსსკ 257 და 342 მუხლებს შორის, რაც ვერ ითქმის რსფსრ სსსკ და ბევრი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსებზე, თუმცა ზოგიერთ იმ საკითხში, რომელზედაც ჩვენ ლაპარაკი გვქონდა რსფსრ სსს კოდექსთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სსს კოდექსიც სცოდავს.

ყურადღაღებია, აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ სსსკ 257 მუხლით (აგრეთვე ლიტვის, ყაზახეთის, უკრაინის, მოლდავეთის სსრ კოდექსების შესაბამისი მუხლებითაც) (სასამართლოს შეუძლია აღძვრას სისხლის სამართლის საქმე არა მარტო მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის მიმართ წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების ან დასკვნის მიცემის გამო. არამედ აგრეთვე თარჯიმანის მიმართაც წინასწარი შეცნობით არასწორი თარჯიმანისათვის.

ილია ჭავჭავაძის ურთი უხმოგი ნაჩილის შესახებ

3. შპანია,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ქართველი კლასიკოსების თხზულებათა გამოცემას ზოგჯერ ზერეღედ ეკიდებიან, რის გამოც ბევრი მასალა პუბლიკაციის გარეშე რჩება და ამით მკითხველებს არასრულყოფილი წარმოდგენა ექმნებათ მწერლის მსოფლმხედველობისა თუ ბიოგრაფიის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამავდროს სარედაქციო შენიშვნებში ან არ არის სათანადო მეცნიერული ანალიზი, ან შენიშვნების ავტორის არასწორი დასკვნები საღიღებო როგორც ურყევი ჭეშმარიტება.

ასეთივე მდგომარეობაა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემაშიც. როგორც ცნობილია, კრებული უკანასკნელად გამოიცა 1953—1961 წლებში პ. ინგოროყვას რედაქტორობით. იგი რედაქტორობდა ილიას თხზულებათა ადრეულ გამოცემასაც. ილიას თხზულებათა სრულ კრებულს, რომელსაც პ. ინგოროყვა რედაქტორობს იგივე სარედაქციო შენიშვნები აქვს გაკეთებული, რაც მის რედაქტორს გაკეთებული ჰქონდა ოთხი ათეული წლის წინ. იგივე აქვს განმეორებული მას თავის წერილებში ილიას შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე და 1962 წელში გამოცემულ სპეციალურ მონოგრაფიაში. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პ. ინგოროყვას სარედაქციო შენიშვნებს უდავოდ აქვთ გარკვეული მეცნიერული ღირებულება, მაგრამ ამ შენიშვნებში არ არის გავალისწინებული ბევრი ახალი მასალა რაც, უკანასკნელ დროს გამოავლინეს ილიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის შემსწავლელმა მეცნიერებმა. უფრო

მეტიც, პ. ინგოროყვას ზოგიერთი დასკვნა მოკლებულია დასაბუთებას, არ ემყარება უტყუარ ისტორიულ წყაროებს, ზოგი წყარო კი არასწორად არის გაგებული. მაგალითისათვის დავასახელებთ პ. ინგოროყვას მტკიცებას იმის შესახებ, რომ ილია სახელმწიფო სათათბიროში გამოვიდა სიტყვით სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ. ილია ამ სიტყვის სათქმელად ემზადებოდა, მაგრამ სათათბირო განდევნილი იქნა 1907 წლის 5 ივლისს. მანამდე სანამ აქ საკითხის განხილვის ჯერი დადგებოდა, ილიას სიტყვით გამოსვლა არ დასცალდა.

როდესაც გამოსაცემად მზადდებოდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული, ცნობილი იყო, რომ კ. მარქსის თბილისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის განყოფილებას და ყვარლის ილიას სახელმუზეუმს გამოვლინებული და შეკრებილი ჰქონდა ილია ჭავჭავაძის კალმოდან გამომდინარე რიგი პუბლიცისტური და მეცნიერული წერილებისა, რომლებიც აუცილებლად უნდა შესულიყო თხზულებათა სრულ კრებულში. რატომღაც, ეს მასალები უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მოწინავე თუ სხვა წერილები, რომლებიც ავტორის ხელის მოწერის გარეშე დაბეჭდილი, ან რომლებსაც ბოლოში მხოლოდ ინიციალები: „ი“, „ი. ჭ.“, „ი. ჭ-ი“ და სხვა აქვს მითითებული, მაგრამ მათი ილიასეულობა ეჭვს არ იწვევს. ასეთი წე-

რილი, ნარკვევი თუ გამოკვლევა ოთხ-მოცდაშვიდია, მოცულობა შეადგენს ოც საავტორო თაბახს, მათი მეცნიერული ღირებულება კი განუსაზღვრელია. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: რიგი წერილებისა დაბეჭდილი 1882—1896 წლებში საერთაშორისო ცხოვრებიდან; წერილები პედაგოგიკის, უმაღლესი განათლებისათვის ქართველი ახალგაზრდობის საზღვარგარეთ წასვლის აუცილებლობის, თეატრისა და თეატრალური ცხოვრების, მუსიკისა და მხატვრობის შესახებ; გამოკვლევები ეკონომიურ საკითხებზე; მიწების ვამიჯვნაზე; მამულების საკუთრების შესახებ; კრედიტებისა და „გლებთა გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის“ შესახებ; ბათუმის მიწათმფლობელობის, თბილისის საკრედიტო საზოგადოების, თავადაზნაურთა ყოფისა და საადგილმამულო კრედიტების შესახებ, სათავადაზნაურო ბანკის, რუსეთის სოფლის მეურნეობის იაქტივებულ მდგომარეობაზე, წყალდიდობით მიყენებული ზიანის აღდგენის ღონისძიებებზე, ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ, სამონასტრო მამულებზე, კახეთის რკინიგზის, საქართველოში მებაზრეშუმეობის, მებაღეობის, მეთამბაქოებისა და მევენახეობის განვითარების გზებზე; გლებთა განთავისუფლების და საკომლო მამულების ნადელის გამოსყიდვია შესახებ და სხვა; კრიტიკული წერილები და პასუხები „ნოვოე ობოზრენიეს“, „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“, „კავკაზის“, „რუსკაია ყინის“ და სხვა ყურნალ-გაზეთების კორესპონდენტთა წერილებზე; საქართველოში სხვა ეროვნებათა ჩამოსახლების საკითხებზე; შავი ზღვის სანაპიროს ყაზახებით დასახლების შეუძლებლობის შესახებ; წერილები გამოჩენილი პიროვნებების: დავით ერისთავის, გრიგოლ ელისეევის, ნიკოლოზ შელგუნიოვის, ივანე აქსაკო-

ვის, დიმიტრი ბაქრაძის და გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო; წინადადებები კანონმდებლობის საკითხებზე; ქართველი სამღვდლოების შესახებ; სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა, სასამართლო და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედების შესახებ; ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მსოფლიო მედიცინის მიღწევების შესახებ და სხვა მრავალ საკითხებზე. ჩამოთვლილი სათაურები სრულყოფილად არ ასახავენ ილიას შრომების თემთა მრავალფეროვნებას და სიღრმეს, მაგრამ იძლევიან ერთგვარ წარმოდგენას ამ შრომების მეცნიერული ღირებულებისა და ღირსების შესახებ.

ერთი ამდენი მასალა გამოვლინებულა საქართველოს წიგნის პალატის ფონდებში. წიგნის პალატამ 1966 წელს გამოსცა ილიას ნაწერების სპეციალური კატალოგი — ბიბლიოგრაფია, სადაც მითითებულია ისეთ მასალებზე, რომლებიც უნდა შესულიყვნენ და არ შესულან ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულში. ყურადღების ღირსია ის შრომები, რომლებიც დაბეჭდა ილიამ რუსულ პერიოდულ პრესაში და ქართველი მკითხველის დიდი უმრავლესობისათვის თავის დროზეც ნაკლებად იყო ცნობილი, წერილები რომლებიც თავისი დანიშნულებით ბევრად შორდება ქართველი ერის ცხოვრების ან ილიას სხვადასხვა პირებთან სამსახურებრივი, საზოგადოებრივი და პირადი დამოკიდებულების საკითხებს. მავალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გაზეთ „კავკაზის“ 1875 წლის № 55, 56, 57-ში დაბეჭდილი მეცნიერული წერილი „თბილისის ოლქის სასამართლოში სანოტარო დებულების 168 მუხლის გამოყენების შესახებ“ და სხვა საკითხებზე დაწერილი რიგი პოლემიკური წერილები.

ამ მასალების დაბეჭდვის შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის კრებული სრული არ იქნებოდა. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო ილიასეული შრომების მთლიანად გამოვლინებისათვის. დროდადრო ვლინდება ილიას უცნობი შრომები. ბოლო დრომდე ჯავრცელე-ბული იყო აზრი თითქოს და ილია რუსულ პრესაში მონაწილეობისათვის ვერ იცლიდა, რაც სწორი არ არის. წიგნის პალატის მიერ გამოვლინებულ მასალებში რუსულ ჰეროდოტულ პრესაში აღმოჩენილი მასალებიცაა, ერთი წერილი კი, რომელიც კავკასიის იურიდიული საზოგადოების ყოველკვირეულ ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიაში“ იყო დაბეჭდილი 1884 წელს, გამოვლინებულია ჩვენს მიერ¹. წერილი ხიზნობის საკითხს ეხება, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ილიას მიერ ამ საკითხზე ქართულ პრესაში გამოთქმული აზრის უბრალო განმეორებას, არამედ არის საკითხის გაღრმავება და წამოყენებულია ახალი, მეცნიერულად უფრო სრულყოფილი და დასაბუთებული დებულებანი.

„იურიდიჩესკოე ობოზრენიაში“ ილიას გამოსვლის მიზეზი ის იყო, რომ რამდენიმე წელი საკითხი ხიზნობის შესახებ ერთდაგვარად მიჩუმდა, ხოლო 1884 წლის დასაწყისში კვლავ დაიწყო გამოცოცხლება.

ამავე ჟურნალის 1884 წლის 24 მაისის № 165-ში დიმიტრი ყიფიანი წერდა: „ამ დღეებში ხიზანთა საკითხზე მსჯელობა იყო თბილისის პრესაში და

თავადაზნაურობის ოფიციალურ და არა ოფიციალურ კრებებზე... ამ კრებებზე შემდეგი საკითხები დამუშავდა: 1. ცნობს თუ არა თავადაზნაურობა ხიზანის არსებობას? 2. რა დამოკიდებულებანი არსებობდნენ, ან არსებობენ ხიზანსა და მიწის მესაკუთრეს შორის და რაში გამოიხატება უფლება-მოვალეობანი, როგორც ერთის ისე მეორე მხარის? 3. როგორ ფიქრობს თავადაზნაურობა ხიზნობის საკითხის გადაწყვეტას“².

აქვე ვაქვეყნებთ ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიაში“ დაბეჭდილ ილიას წერილის ქართულ თარგმანს. მისი დეტალური განხილვისაგან თავს ვიკავებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ხიზნობის საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პირველ ნარკვევთან განსხვავებით ამ წერილში ჩამოყალიბებულია ხიზნობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი და წამოყენებულია კონკრეტული წინადადებები, რომლებიც მისი აზრით, საკანონმდებლო ნორმებად უნდა ყოფილიყვნენ მიღებული. ილია აღნიშნავს, რომ ცხოვრებაში ხიზნობის საკითხის რეგულირება ხდება ადათობრივი სამართლის ნორმებით, რომლებიც ხალხმა და მათ შორის მიწათმფლობელმა და მიწათმოქმედმა შეისისხლხორცეს და ნორმებს უნდა მიეცეს კანონის ფორმა, ისევე როგორც ეს მოხდა ინგლისში, როდესაც ოლსტერის ჩვეულება საფუძვლად დაედო ირანის აგრარულ ბილლს.

1 ჟურნალი „იურიდიჩესკოე ობოზრენია“, 1884 წლის № 164, სათაურით „Хизанский вопрос“. ეს წერილი 1966 წელს გამოცემულ ილიას შრომების ბიბლიოგრაფიაში დასახელებული არ არის.

2 დ. ყიფიანის ეს წერილი ერთდაგვარი გამოხმაურება იყო ილიას წერილისადმი და იგი არა თუ ეთანხმება ილიას წინადადებას, არამედ საკითხს ამოწურულად სთვლიდა.

რე არის სინონოზა

ისეთი დიდმნიშვნელოვანი და მწვავე ინტერესის გამოწვევი საკითხის გადაწყვეტის დროს, რომელიც საკუთრებით ელემენტებს ეხება, აუცილებელია დადგინდეს და გამოიანახოს საერთო სახელმძღვანელო საწყისები და მათ დაქვემდებარონ, როგორც არსებითი დებულებები, ასევე საქმის ყველა მხარე, დეტალებში და მრავალფეროვნებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მცნებების არევა, რომლებიც, უშუალოდ საკითხის განხილვის დროს, აუცილებელი კომპრომისებით, გამოიწვევენ გაუთავებელ მსჯელობებს და მის ცალკეულ პუნქტებს შორის არსებული არასრულყოფილებისა და წინააღმდეგობის შედეგად ნახევან გამოსახულებას საკითხის გადაწყვეტაში.

ეს არასრულყოფილება და წინააღმდეგობა არის ყოველთვის მიზეზი იმ სიძნელებისა, რომლებიც ვლინდებიან კანონის გამოყენების დროს, უშუალოდ მათგან წარმოიშობიან როგორც სახელმწიფო მმართველობის, ასევე კერძო პირების ინტერესებისათვის ერთნაირი ვნების მომტანი გაუგებრობანი და ღაფები.

მე ნებას მივცემ ჩემს თავს, ამ საერთო საწყისის გასარკვევად, მივმართოთ უშუალოდ საკუთრების უფლების საკითხს. საკუთრება ორ ელემენტს შეიცავს: პირადს და საზოგადოებრივს. რადგან იგი მართო ცალკეული პირის ინტერესისთვის კი არ არსებობს — მისი შრომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, იგი, ამვე დროს, არსებობს საზოგადოებრივი ინტერესისათვისაც — მისი არსებობის შესაძლებლობისა და გახანგრძლივების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ორივე ელემენტი შეტანაკლებად ნახულობს თავის სამართლიან საფუძველს იქონიოს ადამიანზე ორმხრივი შეხედულება, რომელიც თავისი პირადი ინტერესებით, ერთის მხრივ; დამოუკიდებლად წარმოსდგება განცალკევებულ არსებად, ხოლო მეორე მხრივ: საზოგადოებრივ არსებად, რომელიც საბედისწერო აუცილებლობის გამო იძულებულია იცხოვროს მისივე მსგავსი ადამიანებისაგან შემდგარ საზოგადოებაში, მასთან მრავალმხრივი დამოკიდებულებების შედეგად, იყოს შეზღუდული თავისივე მოთხოვნებითა მსგავს მოთხოვნებებით და ვალდებულებებით.

ყველა ხალხების ეკონომიური ცხოვრება მიმდინარეობდა და მიმდინარეობს საკუთრების ამა თუ იმ ელემენტის გაძლიერების და უპირატესობის მოპოებისათვის ბრძოლაში. ევრეთწოდებული აგრარული საკითხის მთელი

შინაარსი, — თანამედროვე სახელმწიფოების და ხალხთა ამ მტკიცეული ადგილის ამ ბრძოლაშია ჩაქსოვილი, სხვა არაფერი.

იმისათვის, რომ გარკვეული იქნეს საყოველთაოდ ცნობილი და უდაო ფაქტი პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების საერთო ცხოვრებაში, ერთადერთი თუ არა უპირატესი საწყისი იყო თუ არა საკუთრების საზოგადოებრივი ელემენტი, ამისათვის ისტორიულ გამოკვლევათა სიღრმეში ჩაწვდომა აუცილებელი არ არის. ეკონომიური და პოლიტიკური თვისებების მატარებელი სხვადასხვა მიზეზების შედეგად, ეს ელემენტი თანდათან ადგილს უთმობს პირადულს. მისი პირადულ ელემენტზე მთლიანი დაქვემდებარება, მწვავე სიმკაცრით გამოიხატა ფეოდალიზმში, ბატონყმური უფლების დამკვიდრებაში, რომელიც წარმოადგენდა შეუზღუდველ უფლებას ვალდებულებისა და შენიშვნების გარეშე, ერთადერთი მიზნით: უზრუნველყო „ინდივიდუუმის კეთილდღეობა“.

მიწები, ცხოვრებაში საკუთრების პირადი ელემენტის განუსაზღვრელმა ბატონმა, ცალკეულ პირების ხელში მოაქცია და ამით შრომა გათიშა მისი წარმოების იარაღიდან. ამ გათიშვას კი არ შეეძლო არ შეეტანა სერიოზული არეგდარევა ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობაში, რადგან ერთს მხრივ ჩიხბოდა შრომა წარმოების საშუალებების გარეშე, ხოლო მეორეს მხრივ წარმოების საშუალება შრომის გარეშე.

სწორედ ამ გარემოებამ გახადა აუცილებელი, მესაკუთრე შეთანხმებოდა მშრომელს, მიწათმფლობელი მიწათმოქმედს. ცხადია, რომ თვით შეთანხმება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ საზოგადოებრივისათვის კერძო საკუთრებით ელემენტის დათმობით.

სხვისი მიწით სარგებლობის ამა თუ იმ სახის ჩანასახი სწორედ ამაშია. ამაშივეა ჩვენში ხიზნობის ჩასახვის საწყისები, რომელშიც, როგორც მიწით სარგებლობის განსაკუთრებულ სახეში, საკუთრების საზოგადოებრივი ელემენტების გაძლიერებისაკენ სწრაფვა განსაცვიფრებლად რელიეფურად გამოიხატება. ამრიგად, თუ ბატონყმური უფლების ჩამოყალიბება, საკუთრების კერძო ელემენტის უპირატესობაში და ბატონობაში გამოიხატა, ხიზნობაში საზოგადოებრივმა ელემენტის დამკვიდრებამ ჰპოვა თავისი გამოხატულება.

იმ მოტივით, რომ თითქოს ჩვენს ცხოვრებას და ისტორიას დანარჩენი სამყაროს ცხოვ-



რება და ისტორიასთან არაფერი საერთო არ აქვს, ზოგად საკაცობრიო ხასიათის მოვლენების მიმართ გავრცელებულია თვალის დახუჭვის ჩვეულება და, რომ აქ მოყვანილი დებულებების გაყალბების ყოველგვარი ცდა თავიდან იქნეს აცილებული, მე ჩემს თავს უფლებას მივცემ მხოვეყანა ევროპის მეცნიერთა შორის ერთერთი კომპეტენტური წარმომადგენლის აზრი. იგი იმის დასამტკიცებლად, რომ მიწათმფლობელობის განვითარება ყველგან ერთნაირ გავრცელებას ნახულობდა, ამბობს: „ჩვენ ხშირად გაუკვირვებია ერთ ერთ ამბავს. რომელიმე ჩვეულებანი, რომელიმე წესნი, მუდამ წარმოდგენილნი გვქონდა ვითომც ერთის რომელსამე ერის კუთვნილებანი არიან, მაშინ როდესაც იგივე ჩვეულებანი, იგივე წესნი ჰქონათ ბევრ სხვა ერსაც, და ეკუთვნინან იმ ჩვეულებათა რიცხვს, რომელნიც ყოველს ადელას ყოფილან და რომელთ ზემოქმედების ქვეშაც მთელს კაცობრიობას გამოუვლია, თავისი წარმატების და ცივილიზაციის მძიმე გზა“.

ევროპის პირველხარისხოვანი ავტორიტეტი გენრიხმენი, რომელიც სამართლის წარმოშობის გამოკვლევისათვის რჩევას იძლევა გამოყენებული იქნეს ისტორიული შედარების მეთოდი, ამბობს: „მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ რჯული, კანონი ადამიანის თვითნებობისაგან კი არ არის წარმომდგარი, არამედ რომელთაზე ეკონომიურ მოთხოვნილებათაგან ერთის მხრით, და მეორე მხრით იმ სიძარტის მცნებისაგან, რომელიც წარმომდინარეობს ზნეობრივისა და რელიგიურის გრძნობისაგან. ეგ მოთხოვნილებანი, ეგ იდეები, ეგ გრძნობანი — ყველგან ერთი და იგივენი იყვნენ და ერთნაირად მოქმედებდნენ ყველა საზოგადოებაზე მის განვითარების რომელსამე ხანაში. ხოლო არა ყველა ერთი მიდიოდა ერთისა და იმავე ბოქით განვითარების გზაზე“. ეს იმ დროს როდესაც ერთნი გამოვიდნენ იმ თემური დამოკიდებულებიდან, რომელიც არსებობდა ისტორიული ეპოქის დასაწყისში, მეორენი აგ-

რძელებენ იმ რეჟიმის მხარდაჭერას, რომელიც თავის არსებობას იწყებს ცივილიზაციის დასაწყისიდან“.

რომ ხიზნობა არ არის ისეთი განსაკუთრებული მოვლენა, რომელიც სჩვევია მხოლოდ ქართველ ეროვნებას მტკიცდება მისი სხვა ქვეყნებში არსებობით, თუმცა სხვადასხვა სახელწოდებით, მაგრამ არსებითად ისეთი მსგავსი ნიშნებით... მიწათსარგებლობის ის სახე რომელიც ჩვენთან ხიზნობის სახელწოდებას ატარებს, გვხვდება: გერმანიაში — ერბრახტის, საფრანგეთში — ქვევისის, იტალიაში — ლიველოლო, ნიდერლანდებში — ბელემერსტის, პორტუგალიაში — აფორამენტის, ინგლისში — ოლსტერის ჩვეულების, დაბოლოს რუსეთში — ჩინის სამართლის სახელწოდებით.

საკუთრების საზოგადოებრივი ელემენტი, რომელიც შეფარებულია ხიზნობაში, გამოხატულებას ნახულობს სხვისი მიწით სარგებლობის საზღაურად დაწესებული ღალის უცვლელობაში და თვით სარგებლობის უვადო უფლებაში. აქ უნდა მიექცეს ყურადღება ხიზნობის დამახასიათებელ კიდევ ერთს, მესამე ნიშანსაც.

იმის გამო, რომ ღალის რაოდენობის უცვლელობა არის პირადი ელემენტის ხელყოფა, მისი შეზღუდვისათვის საზოგადოებრივის გასაძლიერებლად და იმის გამო, რომ თითქოს ყველა ერების პოლიტიკური წყობა კანონების დადგენაში მონაწილეობის უფლებას აძლევდა მხოლოდ პირად მიწათმფლობელობას, ბუნებრივია, რომ დადებითი კანონის სანქციით საკუთრების საზოგადოებრივი ელემენტის ასეთი განმტკიცება და გამოქუჩება არ გამომდინარეობდა პირადი მიწათმფლობელობის ინტერესებიდან. აი იმის მიზეზი, რომ ჩვენთვის ცნობილი ერების კანონმდებლობაში არ არის კანონი, რომლითაც ეს წესი იყოს სანქციონირებული. მაგრამ, ცხოვრების პირობებით და მოთხოვნილების ძალით ფაქტი არსებობდა და ამჟამადაც არსებობს. მისი ჩანასახის დასაწყისი შემჩნევა თითქმის საშუალო საუკუნეების

1 აქ ილიას მხედველობაში ყავს ცნობილი ბელგიელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი და ეკონომისტი ე. ლავეი (1822—1892 წ.წ.), ე. წ. „ველგარული პოლიტიკური ეკონომიის“ წარმომადგენელი.

2 ამ ციტატის და სხვა ციტატის ქართული ტექსტები აღებულია თვით ილიას მიერ ხიზნების საქმეზე ქართულად დაწერილ მეორე ნარკვევიდან თხზ. ტ. VI, გვ. 144, 145.

3 ილია ქართულ ტექსტში ხმარობს სიტყვა „რჯულიერებას“.

4 ქართულ ტექსტში ციტატი აქ წყდება, რუსულში კი მოყვანილია შემდეგი სიტყვებიც:

5 ილიას რუსულ ტექსტში სიტყვა „რასა“ აქვს გამოყენებული;

6 ილიას ქართულ ტექსტში მხოლოდ „ჩინში“ აქვს ნახმარი, რუსულ ტექსტში მას სიტყვა „სამართალი“ აქვს დამატებული და ასეთივეა საერთოდ იმ შინაარსის გამოხატველი გავრცელებული იურიდიული ტერმინოლოგია.

პერიოდის ისტორიის აღრეულ დროიდან. ამ ფაქტის არსებობის ხანგრძლივობა ნათლად მიუთითებს, რომ მიუხედავად უზრუნველყოფილი კანონის არარსებობისა, მას უნდა ჰქონოდა რაღაც დასაყრდენი და სათანადოდ დაცულიც ყოფილიყო. სწორედ ეს „რაღაც“ არის ადამი, რომელიც ცნობილი ქართული ანდაზის მიხედვით, ჩვენს ხალხს კანონზე მტკიცედ მიჩნია. აი ხიზნობის მესამე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც გვხვდება როგორც ჩვენთან, ასევე სხვა ერებთან და რომელიც უნდა იყოს გამოსავალი წერტილი, ყველა მოცემულ შემთხვევაში, სხვისი მიწით სარგებლობის, ყველა სხვა სახეებისაგან განსხვავებისათვის.

აღათს ის უპირატესობა აქვს დაწერილ კანონთან, რომ წარმოიშობა ცხოვრების ნამდვილი აუცილებლობით და ყოველთვის პასუხობს მას. თუმცა იგი მოკლებულია დაწერილი კანონის არსებით ღირსებას, რომელიც, სწორედ იმიტომ, რომ დაწერილია, თავისუფალია, ცალკეულ მომენტში, მატერიალური ინტერესიდან სხვადასხვა შემთხვევითი ხასიათის შესაძლებელი დაშრევისაგან.

იმის გამო, რომ აღათს აქვს ეს უპირატესობა, მაგრამ არ აქვს დაწერილი კანონის ღირსება ამ ბოლო დროს, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების განვითარებისა და გართულების შედეგად, ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო მიიყვანა აუცილებლობამდე მიეცათ აღათსათვის სათანადო ფორმა და ექციათ იგი დაწერილ კანონად. საქანონდებლო ორგანოების სწრაფვა წარმოდგენილი ყოფილიყო ადამი კანონის სახით გამოიხატა ნიდერლანდის ბეკლემრეტში, შოტლანდიის-აგორმენტში, ინგლისში კი ოლსტერის ჩვეულებაში, რომელიც ჩვენი ხიზნობის ყველა დამახასიათებელი ნიშნებით, თითქმის მთლიანად დაედო საფუძვლად გლადსტონის სამინისტროს ორბანის აგარარულ ბილს. თუმცა სხვა სახელმწიფოებში ჯერ ვერ მოასწრეს ამის გაცემა, მაგრამ ცხოვრების მოთხოვნილებამ და ამ ზომის სასარგებლოდ გამოწვეულმა მოძრაობამ, ყველგან იჩინა თავი. შედეგი, კი ის არის, რომ ამ მოთხოვნილების და ამ მოძრაობის ხელის შეწყობა გახდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მზრუნველობის საგანი. თითქმის ყველა ერებს საერთოდ და ჩვენს ერს განსაკუთრებით, რომელსაც გარდა საერთო მოძრაობის ზეგავლენისა, აქვს თავისი კერძო. არანაკლებ მწვავე მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ სურვილს, დაუწერელი კანონი შეცვლილი იქნეს დაწერილი.

ამრიგად, ვწვდებით რა ხიზნობის დამკვიდ-

რების საერთო შინაგან შინაარსს და ვმსჯელობთ რა მის ანალოგიურ მოვლენებზე, რომლებიც გვხვდება სხვა ერებში და გამოირჩევიან საოცარი ერთფეროვნებით და მსგავსებით, ამავე დროს სხვისი მიწით სარგებლობის ამ სახეობის იმ ნიშნებით, რომლებიც ხალხს მხესიერებაში შემორჩა, და რომლებიც ამჟამადაც შეიმჩნევა, ჩვენ აღმოვაჩინთ ხიზნობის მეოთხე თავისებურებას. ხიზნობა, ერთის მხრივ უპირისპირდება ადამიანის ინტერესებს, რომელიც ისწრაფვის თავისი შრომით დაამუშაოს სხვისი მიწა, მაგრამ არის რა თავისუფალი ცდილობს, დაცული იყოს მისი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე თავისუფალი გადასვლა; მეორეს მხრივ იგი უპირისპირდება მესაკუთრის ინტერესებს, რომელიც იცავს საკუთარ უფლებას ყოველ მომენტში განკარგოს თავისი მიწა თავისი სურვილით; მესამე მხრივ კი — წარმოების ეკონომიურ თავისებურებას, რომელიც უშუალო კავშირში მიწასთან და მიწათმფლობელობასთან, და რომელსაც უდღესი შედეგის წარმატებით მიღწევისათვის ესპირება ხანგრძლივი, ასე თუ ისე მუდმივი, შრომის გაწევა, ძალა და ხარჯი. მიუხედავად ამისა, მან ამ მწვავე შეჯახებიდან გამონახა გამოსავალი: შეუნარჩუნა რა მიწათმოქმედს ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფალი გადასვლის, ხოლო მიწათმფლობელს მიწის განკარგვის უფლება, შექმნა თავისებური პირობა მიწათმოქმედების წარმოების თანაბარი დამკაყოფილებისა. შრომისა და მიწის ასე თუ ისე ხანგრძლივი კავშირისათვის, მისცა სრული თავისუფლება მხოლოდ ერთს: ეკონომიურ ანგარიშს, რომელიც განისაზღვრება ერთის მხრივ სხვისი მიწით სარგებლობით და მეორეს მხრივ ამ მიწაზე სხვისი შრომის გამოყენებით.

იმისათვის, რომ არაეკონომიური თვისებების მატარებელი ვარემოებების შთაბეჭდილებებით და დაწყოლით არ მოედეს ამ კავშირის გაწყვეტა მიწათმოქმედი უზრუნველყოფილ უფლებით დატოვოს მიწა, მაგრამ იმყოფება მუდმივი შიშის ქვეშ, რომ ამ შემთხვევაში მესაკუთრეს გადაუხდის საზღაურს. მიწის მეტაჭრონეც უზრუნველყოფილია უფლებით მიწათმოქმედის მიწიდან აყრისა, მაგრამ იმყოფება მაზე საზღაურის მიცემის მუდმივი შიშის ქვეშ.

ეს არის ხიზნობის ის მეოთხე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც საერთოა სხვა სახელმწიფოებში არსებულ ყველა ასეთივე წესთან. ამ მიმართულებით თუ კი არსებობს რაიმე სხვაობა მხოლოდ საზღაურის წესში და რაოდენობაში. მაგალითად, ნიდერლანდიაში მიწათმფლობელის საზღაური ეთანაბრება



ორი წლის რენტის გადასახადის ჯამს, ხოლო მიწათმოქმედის საზღაური მის მიერ აწეულ ნაგებობების ღირებულებისა და სხვა გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ჯამს. ჩვენთან კი პირველ შემთხვევაში საზღაური განისაზღვრებოდა სიზნანის მიერ ამ მიწის საშუალებით მოპოვებული თვალნათლივ, ასე თუ ისე გარკვეულ, მოძრავი ქონების ნახევართი მეორე შემთხვევაში — ნარგავებისა და ნაგებობების ღირებულებით, მაგრამ მიწის გაუმჯობესება საერთოდ მხედველობაში არ მიიღებოდა. ასე და ამირგად, ხიზნობა არის თავისუფალ მიწადმოქმედის მიერ სხვისი მიწით სარგებლობის განსაკუთრებული სახე, რომელიც 1. ემყარება და ეყრდნობა მხოლოდ ადათობრივ სამართალს, 2. ითვალისწინებს მიწის უვადო სარგებლობას და რენტის მუდმივობას, მაგრამ სარგებლობის ვადის ეს ხანგრძლივობა დაპირობებულია არა უფლების მარადიულობით, არამედ ეკონომიური ინტერესით და 3. იცავს საქმეში მონაწილე პირთა ზნეობრივ და ქონებრივ ინტერესებს და ამავე დროს ზღუდავს თვითნებობას: თუ რომელიმე მათგანი შეწყვეტს მეორეს სურვილის წინააღმდეგ ვალდებულებით ურთიერთობას გამომდინარე სხვისი მიწით სარგებლობის ამ წესიდან, — იხდის საზღაურს. ამ სახის სარგებლობისაკენ სწრაფვის საბოლოო მიზანი მდგომარეობს — დაწერილი კანონის უპირატესობისა და მოხერხებულობის მიღებაში.

აი როგორ განისაზღვრება ხიზნობა მისი ძირითადი შინაარსის ისტორიულ მსვლელობაში, წარმოშობის მიზანში, მისი ეკონომიური გარიგების წარმოდგენილ არსში, გარიგებაში მონაწილე პირთა ზნეობრივ და ქონებრივ ინტერესში და თანამედროვე სწრაფვის საბოლოო მიზანში. მიწათსარგებლობის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტისას მსოფლიოს არც ერთი ერი არ წასულა ამის იქით, საკითხის, რომელიც ეხებოდა მიწაზე მესაკუთრისა და მშრომელის, მიწათმფლობელისა და მიწათმოქმედის ურთიერთობას.

ჩვენ თუ გვსურს ხიზნობის საკითხის გადაწყვეტა, თუ გვსურს ვიყოთ ცხოვრების

გოთხოვნის სიმაღლეზე და მოვხვდეთ, ასე ვთქვათ, ხალხური სულის და დროის მიმდინარეობაში, — აუცილებელია ჩავწვდეთ საკითხებს, რომლებიც გამოხატავენ ისეთ დაწესებულებას როგორც ხიზნობა და რომელიც უნდა მივიღოთ გამოხატულ წერტილად ყოველგვარი რეფორმისა საერთოდ, ეკონომიურისა კი კერძოდ. რაც უფრო ახლოს ვიქნებით ხიზნობის თავისებურებებთან, მით უფრო სამართლიანი და სრულყოფილი იქნება თვით საკითხის გადაწყვეტა. მითუმეტეს, რომ წინადა ეკონომიური თვისების მოსაზრებიდან და თვით მიწათმოქმედების წარმოებიდან გამომდინარე ისეთ წყობილებას, როგორც ხიზნობაა, ამართლებენ მეცნიერების უკეთესი წარმომადგენლები. ამ დარგის ერთ-ერთი მეტად სერიოზული მკვლევართაგანი⁷ ლაპარაკობს რა ხიზნობის სრულყოფილ ფორმაზე, ნიდერლანდების ბეკლემერესტის სახით და აზრის დასამტკიცებლად, რომ სხვისი მიწით სარგებლობის ასეთ წესს აქვს უპირატესობა, მოჰყავს მეცნიერებაში ცნობილი ავტორიტეტის იპოლიტე პასისი შემდეგი სიტყვები: „ყველაზე მეტად ხელშემწყობი მეურნეობის გასაძლიერებლად იმისთანა ქირავნობაა მიწისა, საცა მთლად განსაზღვრული მოვალეობა და დამოკიდებულება მუდამ ახალისებს მიწათმოქმედსა — არაფერი არა ჰზოგოს მიწის განაყოფიერებისათვის, როგორც სადღესოდ, ისეც სამერმისოდ“⁸.

აქედან გამომდინარე, ამ საგანზე ჩვენი მიზანი უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ადათობრივ სამართალს, რომელმაც გააშუქა ხიზნობის არსი, მივცეთ დაწერილი კანონის ძალა და უპირატესობა, შეუნარჩუნოთ ამ სახით დაწესებულების ყველა არსებითი თავისებურება, რომელიც არის ხალხის სულისა და მისწრაფების საუკუნო შრომის შედეგი, და ასე თუ ისე შეესატყვისება სახელმწიფოს და საზოგადოების მიზნებს, იმ სავალალო ფაქტის არსებობისას, როდესაც შრომა და მიწის საკუთრება, ერთმანეთისგან გათიშული არიან.

თავადი ილია ჭავჭავაძე.

7 ილიას მხედველობაში ჰყავს უკვე დასახელებული სტუარტ მილი, რომელიც იმოწმებს სისმინდს, ხოლო უკანასკნელი თავის შრომაში იყენებს მრავალი ცნობილი ეკონომისტის მოსაზრებებს.

8 თარგმანი პასისი ამ ციტატისა ეკუთვნის თვით ილიას, თხზ. ტ. VI, გვ. 163.



ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის სწორი შეჩვენება მოძრაობის უშიშროების საწინააღმდეგო

გ. ავაქიანი,
ავტოექსპერტი

საავტომობილო ტრანსპორტის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად გაიზარდა მოძრაობის ინტენსიურობა, როგორც ქალაქად ისე სოფლად. მომავალში საავტომობილო პარკის გაზრდის გამო ეს მოძრაობა უფრო ინტენსიური გახდება. ამიტომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ავტომანქანის მძღოლთა მხრივ შრომის დისციპლინის, ტრანსპორტის მოძრაობის წესების დაცვას. უნდა აღიკვეთოს ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანებით გამოსვლა პარკებიდან, რაც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, ხალხის დასახიჩრებას, მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს.

ავტოავარიებთან ბრძოლა საჭიროა არა მარტო ახსნა-განმარტებებით, არამედ მოძრაობის წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების გზითაც.

ავტომოჯირითეობასთან, მძღოლებს შორის შრომის დისციპლინის დარღვევასთან ბრძოლის საქმეში, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს დიდი დახმარებას უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, რომელიც ატარებს ავტო-ტექნიკურ ექსპერტიზებს და ადგენს ავტოავარიის მიზეზებს და მძღოლების მხრივ მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტებს.

საექსპერტო პრაქტიკის შესწავლით დგინდება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების დროს მძღოლების მიერ ძირითადად ირღვევა მოძრაობის წესების 32-ე მუხლი. ამ მუხლის მიხედვით „მოძრაობის სიჩქარე მძღოლმა უნდა აირჩიოს საგზაო პირობების, ხილულობისა და ხილვადობის, სატრანსპორტო საშუალებათა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ინტენსიურობისა და ხასიათის, სატრანსპორტო საშუალებათა და გადასატანი ტვირთის თავისებურებათა და მდგომარეობის გათვალისწინებით“.

ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის მიხედვით ავტოსაგზაო შემთხვევების 60 პროცენტი მძღოლის მიერ 32-ე მუხლის დარღვევის შედეგია.

თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საექსპერტო პრაქტიკაში ხშირადაა შემთხვევები, როდესაც ავარიის მიზეზი ცუდი ხედვის არეა. ამასთანავე ხედვის არე მოძრაობის დროს შეზღუდული იყო სხვადასხვა ნაგებობებით და ტრანსპორტის გაწვავებით.

მაგალითად: თბილისში, არაყიშვილის ქუჩიდან კავსადის ქუჩის მიმართულებით მიდიოდა ავტომანქანა მ-21, რომელსაც მართავდა მოქალაქე გ. ცუ-

დი ზილვადობის გამო ავტომობილ „მოსკვიჩის“ გამოსვლა ქუჩიდან იყო მოულოდნელი, რასაც მოჰყვა შეჯახება და ადამიანთა მსხვერპლი.

სოფელ ქარელიდან მოდიოდა ავტომანქანა მ-21, რომელიც არარეგულირებულ გზაჯვარედინზე, ცუდი ხედვის არის გამო დაეჯახა ავტომანქანა მ-20. მძღოლის შეზღუდული ხედვის არე გაპირობებული იყო გზის ნაპირას არსებული ხის ნარგავებით.

ორივე შემთხვევაში ავტომძღოლებს უნდა აეღრჩიათ შესაბამისი სიჩქარე, ავტომანქანების თავის დროზე გაჩერების უზრუნველსაყოფად.

მძღოლი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გააჩერებს ავტომანქანას თუ გაუთვალისწინებელი დაბრკოლებანი აღმოჩნდებიან მოძრაობის გზაზე, სამუხრუჭე მანძილის არეში.

მძღოლს მოეთხოვება განუწყვეტელი და მეტწილად დაძაბული ყურადღება, იგანსაკუთრებით ქუჩებში ინტენსიური მოძრაობის დროს, რთულ სამგზავრო ან კლიმატურ პირობებში.

ავტომანქანის მოძრაობის დროს მძღოლმა ერთდროულად თვალყური უნდა ადევნოს: იგზას, სამგზავრო ნიშნებს, სიგნალებს, შემხვედრ და გადამსწრებ ტრანსპორტს, ქვეითად მოსიარულეს, მოძრაობის მარეგულირებლის ფარზე მოწყობილობების ჩვენებებს, მან უნდა მოისმინოს და იცოდეს მისთვის საჭირო ხმოვანი სიგნალების გამორჩევა, თვალი ადევნოს ავტომანქანის სიჩქარეს, ძრავის მუშაობას, მუხრუჭებს, საჭის მართვას და სხვა.

ავტომანქანის მოძრაობის სიჩქარის არჩევა განისაზღვრება იმით, რომ მეტი გულისყურით და სათანადო უნარით რეაგირება გაუკეთოს და ათვისოს გარემო.

რაც უფრო ჩქარა მიდის ავტომანქანა, მით უფრო მეტი ყურადღებით ყოფნა საჭირო.

მოძრაობის ყველა შემთხვევაში მძღოლი ვალდებულია გადაათვალიეროს და განსაზღვროს თავისი მოძრაობის უშიშროება მანძილზე, რომელიც რამდენადმე აღემატება სრულ გასაჩერებელ გზას მოძრაობის სიჩქარის ამორჩევისათვის.

ავტომანქანის მოძრაობის დროს განსაზღვრულ მომენტში რიგი საგნები ან შემხვედრი ტრანსპორტი თვალთავან დაფარულია, ამ დროს შეიძლება უცრად მძღოლისათვის მცირე მანძილზე გამოჩნდეს რაიმე საფრთხე.

ავტომანქანა მ-21 მიდიოდა პავლოვის ქუჩაზე, ავტომანქანის მძღოლმა შეარჩია რა შეუსაბამო სიჩქარე ვერ შესძლო თავის დროზე ავტომანქანის დაძაბვა და დაეჯახა მოქალაქე „ვ“-ს, რომელიც გარდაიცვალა.

ავტომანქანა მ-21 მიდიოდა მომეტებული სიჩქარით, გადაუარა მოქალაქე „ა“-ს, რომელსაც მიაყენა სასიკვდილო დასახიჩრება.

ორივე შემთხვევაში ავტომანქანების მძღოლების მიერ თავის დროზე იყო მიღებული დამუხრუჭების ზომები, მაგრამ ავტომომთხვევები მოხდა არასაკმარისი დამუხრუჭო მანძილის გამო.

მთავარ კრიტერიუმად სიჩქარის ამორჩევისას არარეგულირებულ გზაჯვარედინზე მიხლოვების დროს უნდა იყოს მძღოლის ხედვის არის (ზილვადობის) პირობები.

დამუხრუჭებისა და ავტომანქანის გაჩერებისათვის აუცილებელი ზილვა-

დობის მანძილი დაბრკოლების წინ ტოლია სამუხრუჭე მანძილის ჯამისა და მანძილისა, რომელსაც ავტომანქანა გაივლის მძღოლის რეაქციის დროში.

მოძრაობის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული სიჩქარე უზრუნველყოფს მოძრაობის უშიშროებას გზაჯვარედინზე.


პრაქტიკულად მძღოლებს შეიძლება მივცეთ რეკომენდაცია აირჩიონ ისეთი სიჩქარე არარეგულირებულ გზაჯვარედინზე, რომლის დამუხრუჭების მანძილი ავტომობილის მარცხენა გვერდიდან ტროტუარამდე სავალი მანძილის ნახევარი იქნება დაახლოებით.

ასეთი რეკომენდაცია ეფექტიანი იქნება მშრალ გზაზე მოძრაობის პირობებში; სველ გზაზე მოძრაობის დროს კი სიჩქარე უნდა იყოს დაახლოებით ორჯერ ნაკლები.

პროფილაქტიკურ ღონისძიებად საჭიროა რათა ყველა ავტომეურნეობას ჰქონდეს პლაკატები — მითითებებით — თითოეული მარკის ავტომობილზე სხვადასხვა სიჩქარის სხვადასხვა სამგზავრო პირობების ვათვალისწინებით დამუხრუჭების შესახებ.

საჭიროა გავაძლიეროთ აღმზრდელობითი, ახსნა-განმარტებითი მუშაობა მძღოლებს შორის, სამეურნეო ტრანსპორტის მომსახურე პერსონალს და მოსახლეობას შორის. განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო ბავშვების ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის დროს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლისა და
განჩინების ექსპედიციისაში



გენიალური ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ.

ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და მკვლევარმა პროფესორმა შალვა ჩხეტიამ დიდი შრომისა და გარჯის ფასად საქართველოს ფონდებში მიაკვლია და აღმოაჩინა ფრიად საინტერესო და უტყუარი დოკუმენტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჭაბუკი გენიოსის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში.

პროფესორ შალვა ჩხეტიას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მისი თაოსნობით გამოვლინდა 500-მდე საბუთი, რომელთაგან გამოქვეყნდა 200. ეს საბუთები უშუალოდ ეხება ნ. ბარათაშვილის მოღვაწეობას და ბევრი მათგანი თვით ბარათაშვილის ავტოგრაფს წარმოადგენს. მკვლევარი შენიშნავს: „თვითეული საბუთი ბარათაშვილის შესახებ აღმოჩენილია ნამდვილი „არქეოლოგიური (-არქეოგრაფიული) „გათხრების“ შედეგად“.¹

მართლაც შ. ჩხეტიამ გადასინჯა და შეისწავლა 30-ათასზე მეტი საარქივო საქმე, რაც შეადგენდა სულ მცირე მილიონნახევარ ფურცელს (ანუ სამ მილიონ გვერდს).

ყველა ეს საბუთი აღმოჩენილ იქნა საქართველოს უმაღლესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციისა და საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის არქივებში.

ცნობილია, რომ 1835 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა თბილისის გიმნაზია დაამთავრა და „ქებითი ატესტატი“ დაიმსახურა. იმ დროინდელმა პოლიტიკურმა და ოჯახურმა პირობებმა გენიალური ჭაბუკი რუსეთის ბიუროკრატიული სასამართლო აპარატის ჩინოვნიკად აქცია. მაშინდელი წესის თანახმად სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში მომუშავესათვის „საგამოცდო ვადა“ იყო დაწესებული. არსებული

¹ პროფ. შ. ჩხეტია, ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ), 1, 1945 წ., გვ. 5.

ცნობების თანახმად ნ. ბარათაშვილი ამ ექსპედიციამი 1835 წლის 6 ნოემბერს მიუღიათ. „საქართველოს უმაღლესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიცია 1840 წლამდე მოთავსებული იყო გიორგი მეცამეტის ყოფილ სასახლეში... (ამჟამად ერეკლეს მოედანი)“.²

ეგრეთწოდებული „საგამოცდო ვადის“ შემდეგ ნ. ბარათაშვილს მისცეს ყველაზე დაბალი თანამდებობა „კანცელარისტისა“. ეს იყო 1836 წლის იანვარში. დაცულია „ერთგულების ხელწერილიც“, რაც ბარათაშვილს მიუცია ექსპედიციისათვის. აქ ვკითხულობთ: „1836 წლის 4 ივლისი. მე, ქვემოთ ამის ხელისმომწერი ამ ხელწერილს ვაძლევ საქართველოს უმაღლესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციას, მასზედ, რომ როგორც დღემდე არ შევდიოდრი, ისე ამის შემდეგაც არ შევალ საიდუმლო საზოგადოებებში. კანცელარისტი ნიკოლოზ ბარათაშვილი“.³ ხელწერილის მიცემას ესწრებოდნენ: ექსპედიციის უფროსი: გრიგორიევი და მრჩეველი თავ. თუმანიოვი (თუმანიშვილი).

გულდათუთქული პოეტი თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს 1837 წლის თებერვალში წერდა: „მე ვარ მოხელე სამართლისა და განჩინების ექსპედიციისა... ავგრ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანსიონში ყოფნის დროს როდესაც მომავალი წარმტაცი ოცნებებით წარმომიდგებოდა და არც მერე, ვიდრე სამსახურში შევიდოდრი, სულ არ მომსვლია ფიქრად, სამოქალაქო სამსახური. ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე

აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მივიღებენო. მაშინ, როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვხტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უამოვნება, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გავზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურების გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით, დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალვე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება. რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნინდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილი კაცისათვის, ვისაც სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი უკოლაა; ეს არის, რომ მოხელეთა წრე არაა ხელსაყრელი ზნეობრივი განვითარებისათვის, მაგრამ ეს მასზედ არის დამოკიდებული.

ამისათვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ ღარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ,

² იაკობ ბალახაშვილი, ნ. ბარათაშვილის ცხოვრება, 1967 წ., გვ. 258.

³ ბროფ. შ. ჩხეტიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 192.

მაგრამ რა გქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!“⁴

ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლისა და განჩინების ექსპედიციის მუშაობის დროს დისციპლინითა და ბეჯითობით გამოირჩეოდა, იყო პატიოსანი და თავდაბალი ყველასთან. „ზარმაცობა სხვისიც მეგავრებაო“ ხშირად იტყოდა ხოლმე. ცნობილი ქართველი სწავლული და მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „სამმართველოში ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთობ სამართლიანად განაგებდა, ქალაქების გადაწერა ერთობ მალე იცოდა. არა საქმეს არ გააჩერებდა დიდხანს. ამ დროს კი ერთობ მოდებული იყო საქართველოში მექრთამეობა, ხალხი ახალ სამართალს და სამართველოს წესებს არ იცნობდა და იმ დროს მოხელენი, რასაც მოისურვებდნენ იმას ჩადიოდნენ...“

ბარათაშვილი კი ამაებისაგან ერთობ შორს მდგარა და როგორც გამიგია, ამან არც ქრთამის აღება იცოდა და არც სხვა ამისთანაო. ბარათაშვილი კაი ხასიათისა იყო... სიტყვით ცხარე შეხედულება კი ჰქონია. მოსამსახურეებს თავს არ უყადრებდა, ლაპარაკში ან სხვა რამეში, თუმცა ხშირად არც ამათ შეაწუხებდა ხოლმე. მოსამსახურეებთან თავის გაყადრება და ლაღობა კი არ სცოდნია, მაგრამ მის ნაცვლად სხვებზე არ იყო მედიდური, სხვა თავადიშვილებივით ამას არ უყვარდა კნიაზ, კნიაზის ძახილი და ძათებზე თავის გამოჩენა.“⁵

მოუსვენარსა და სიცოცხლით სავსე პოეტს სულისშემხუთველ პირობებში არ შეეძლო ფრთა გაეშალა. პოეტის უახლოეს მეგობარს ლევან მელიქიშვილს ბარათაშვილზე მეუწარგისათვის უამბნია: „ბარათაშვილი სამსახურში ზედ-გამოჭრილი გერმანელი იყო. 1842

წელს, როდესაც სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა რევიზია გაუკეთა თბილისის სამოქალაქო დაწესებულებებს, პოზენმა ისე მოიწონა ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ იმის მეოხებით ბრძანება გამოსცა ქართველებს უპირატესობა მისცემოდათ სამსახურში“;⁶ ხოლო თვით პოეტის ბიძა გრიგოლ ორბელიანს ასეთი რამ უთქვამს: „პალატის უფროსს ილინსკის არაფრად მოსწონდა, რომ მისი სტოლნაჩალნიკი ასე ბევრს დარბოდა და ერთხელ რევიზია გაუკეთა მაგრამ რა დაინახა, ყველაფერი სწორედ ჰქონდა უთხრა: „ამგვარად განაგრძეთ მუშაობა და იმდენი არბინე როგორც შენს სულ სწყურიაო“.

ეს კაცი ისეთის დიდის აზრისა იყო ბარათაშვილის ნიჭზე და მეტადრე თანამდებობაზე, რომ ამბობდა თურქე: „ბარათაშვილი ჩემს ადგილზე იქნებოდა.“⁷

ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლისა და განჩინების ექსპედიციის მუშაობდა ხუთ წელიწადს 1835 წლიდან ვიდრე 1840 წლამდე, ხოლო საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში თითქმის იგივე ხანი 1840-1845 წლის ივლისამდე.

მკვლევარი შალვა ჩხეტია, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა ნიკოლოზ ბარათაშვილის მოღვაწეობა ორივე დაწესებულებაში გარკვეულად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ნ. ბარათაშვილმა ბრწყინვალედ იცოდა რუსული ენა, ხშირად უფრო კარგად, ვიდრე სხვა მისმა თანამოსამსახურე მოხელეებმა, მათ შორის რუსმა მოხელეებმაც. ყველა საბუთი, ნ. ბარათაშვილის მიერ შედგენილია, მაშინდელი რუსული გრამატიკული ნორმისა და კანონების ზუსტი ცოდნით, გამართული სტილით, კარგი

4 ნიკ. ბარათაშვილი, თხზულებანი, გ. ლეონიძის რედაქციით, 1945 წ., გვ. 68.

5 ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე), ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1885 წ., გვ. 9.

6 იონა მეუწარგია, თხზ., ტ. 1, თბილისი, გვ. 208.

7. იქვე, გვ. 208.

რუსული ენით, მწყობრი ლოგიკური თანმიმდევრობით და ყოველგვარი ორთოგრაფიული შეცდომების გარეშე, რაც როგორც წესი არ ახასიათებს სხვა მოხელეების მიერ შედგენილ საბუთებს. ბარათაშვილმა ასევე ბრწყინვალედ იცოდა მაშინდელი კანცელარული საქმის წარმოების საკმაოდ რთული და ბიუროკრატიულ, ფორმალიზმზე დამყარებული წესები, ყველა საბუთი, ოფიციალური მიმართვები, საქმეების აღწერები, თანამდებობის გადაბარება-ჩაბარების აქტები და სხვა, ნ. ბარათაშვილის მიერ შედგენილია, ამ წესების ზუსტად და ბოლომდე დაცვით. მაშინდელი საქმის წარმოების თვალსაზრისით ეს საბუთები შეიძლება სანიმუშოდ იქნეს მიჩნეული.

ნ. ბარათაშვილი საფუძვლიანად ერკვეოდა იმ დროის ფრიად რთულ და მრავალ შემთხვევაში წინააღმდეგობების შემცველ რუსულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ნ. ბარათაშვილი უზადოდ ადგენდა არა მარტო სასამართლო დაწესებულებებსა და მაღალ ინსტანციებში წარსადგენ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებსა და თხოვნებს, არამედ ამ სამართლო დაწესებულებათა გადაწყვეტილებისა და განაჩენის საფუძველზე დასკვნით ბარათებსაც.

ნ. ბარათაშვილი თავის მოვალეობას საერთოდ, და სამსახურებრივ მოვალეობას კერძოდ... ასრულებდა იშვიათი კეთილსინდისიერებითა და პასუხისმგებლობით. ყველა საბუთი ნ. ბარათაშვილის მიერ შესრულებული, შესწორებული თუ შემოწმებული, გასაოცარი პუნქტუალობისა და მუყაითობის ბეჭედს ატარებს.

ნ. ბარათაშვილი მეფის დაწესებუ-

ლებათა კანცელარიებში მთელი წლების განმავლობაში სისტემატურად ეწეოდა კოლოსალური მოცულობის ისეთ მუშაობას, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა მის მოწოდებასა და გენიასთან.

აღმოჩენილი ავტოგრაფების ხასიათი და რაოდენობა, რომელიც უეჭველია სრული არ არის, თავისთავად მოწმობს თუ რაოდენ დიდ ენერჯიას ხარჯავდა გენიოსი პოეტი და მოაზროვნე ნ. ბარათაშვილი უაზრო და უსარგებლო სექემზე — უმნიშვნელო, გაუთავებელ და გამომთავყვანებელ საკანცელარიო მიმოწერაზე.⁸

ნ. ბარათაშვილის ასეთი მუშაობის სტილი უნდა გამხდარიყო მიზეზი იმისა, რომ იგი მალე თავად-აზნაურობის სამეურვეო მაგიდის უფროსად დანიშნეს სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში, ხოლო შემდეგ საჭიროდ იქნა მიჩნეული, იგი როგორც კეთილსამედო და ნიჭიერი მაგიდის უფროსი სააპელაციო საქმეების გამგებლად დაენიშნათ.

უკვე 1843 წლისათვის ნ. ბარათაშვილი „გუბერსკი სეკრეტარის“ ჩინით იქნა აღჭურვილი. მალე კი „კოლეჟსკი სეკრეტარი“ გახდა. მისი კარიერა ამაზე შეჩერებულა.

ნ. ბარათაშვილის ასეთი დამსახურება უნდა ყოფილიყო საფუძველი პალატის თავმჯდომარის დენინის ოფიციალური განცხადებისა: „მოხელე ესე ნიჭიერებით, ჩინებული უნარით, სამაგალითო ბეჯითობით სამსახურში და კეთილშობილი ყოფაქცევით თავის თავზე უფროსების ყურადღებას იქცევს“⁹.

შემონახულია ცნობები თუ რა ტანსაცმელი ეცვა ნ. ბარათაშვილს სამარ-

8. პროფ. შ. ჩხეტია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 20, 21.
 გრაფია დართული აქვს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ამავე წლის გამოცემას).
 9 გიორგი ლეონიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია, 1945 წ., გვ. XVI (ბიოგრაფია დართული აქვს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ამავე წლის გამოცემას).



თლისა და განჩინების ექსპედიციასა თუ პალატაში მუშაობის დროს. მკვლევარი ი. ბალახაშვილი შენიშნავს: „სასამართლო ექსპედიციაში“ მომსახურე ნიკოლოზ ბარათაშვილს ევროპულად ეცვა. შავი გრძელი სერთუკი, დიდი და სქელი პალტო, შავი მაუდის ქუდი. ხანდისხან ჩალის ქუდსაც იხურავდა თურმე.“¹⁰

6. ბარათაშვილის მეგობრებს ეტყობა არაფერად სიამოვნებდათ დაუდგრომელი პოეტის პალატაში ჩაკეტვა და სამსახური და ხშირად სახუმარო ლექსებსაც უძღვნიდნენ ხოლმე. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ უფრო ქალები, მათ შორის მარიამ ფალავანდიშვილი. დაცულია მისი ლექსი „ტატოს“ ფრაგმენტი.

„პალატაში ჯდომითა
ხანი მოგმატებია,
თეოდორის ყურებით
სევდა გაგხშირებია,
სათვალეცა თქვენ გშენით
ყავარჯენიც ხელშია,
ჩვენ არ ვწუხვართ ამ ხანსა,
ვაი თქვენი ბრალთა.“¹¹

ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაახლოებით 10 წლის შემდეგ თავი დააღწია რუსულ ბიუროკრატიულ სასამართლო

ორგანოებში მუშაობას და სახელმწიფო მოღვაწეობა დაიწყო. ერთ თავის წერილში, რომელიც დათარიღებულია 1845 წლის თებერვლით იგი ნახევანიდან მაიკო ორბელიანს წერდა: „აღარ მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევძღვენ; სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა.“

1844 წლის ნოემბრიდან 1845 წლის აპრილამდე პოეტი ნახევანის მაზრის უფროსის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. 1845 წლის ივნისიდან იგი განჯაში იქნა გამწესებული იმავე თანამდებობაზე (განჯის მაზრის უფროსის თანაშემწე). აქვე აღსრულდა ბედის ულმობელი განაჩენიც. პოეტი ავადმყოფობდა 1845 წლის 25 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე, 10 ოქტომბერს გარდაიცვალა და იქვე განჯაში იქნა დაკრძალული.

ქვემოთ მოყვანილია ქართული თარგმანი ერთი ნაწილი ისტორიული საბუთებისა, რომლებიც ნიკ. ბარათაშვილს უშუალოდ ეხება, ანდა მის ავტოგრაფებს წარმოადგენს (ამოღებულია პროფ. შალვა ჩხეტიას წიგნიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილი“).

3. ნოღარქმა

დოკუმენტები

1

1836 წლის იანვარი — საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის მიმართვა ამავე მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურში მიღების თაობაზე, № 10.

ექსპედიციაში მოსმენილი იქნა თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილის თხოვნა, რომელიც გამოსთქვამს

სურვილს განაგრძოს სამოქალაქო სამსახური ამ ექსპედიციაში კანცელარიის მოხელედ, რისთვისაც არდგენს: საქართველოს თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს მიერ მიცემული ოქმის ასლს, მისი თავადის წოდების შესახებ. დაბადებისა და ნათლობის მოწმობას, აგრეთვე ატესტატს. ითხოვს მიღებული იქნას სამსახურში ამ ექსპედიციაში. დაადგინეს: თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს თხოვნა, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თან-

¹⁰ ი. ბალახაშვილი, ბარათაშვილის ცხოვრება, გვ. 164.

¹¹ 6. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1922 წ., გვ. 150.



დართვით და განმარტებით, ეცნობოს შესრულებითი ექსპედიციის უმორჩილესი თხოვნით, რათა მოგვეცეს თანხმობა თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ ექსპედიციით სამსახურში მიღების თაობაზე.

მრჩეველი: გავრილენკო
მიღვანი: ბავლე ფილატოვი.
მაგიდის უფროსი: გრიგორიევი.

2

1836 წლის 11 იანვარი — საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციის დადგენილება ნიკოლოზ ბარათაშვილის სასამართლო ექსპედიციაში კანცელარისტად მიღების თაობაზე.

მოსმენილი იქნა ადგილობრივი სამართლის და განჩინების ექსპედიციის 3-იანგარის № 10 ცნობა, რომლითაც თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის თხოვნასთან ერთად, გადმოგზავნილია დოკუმენტები, როგორცაა: საქართველოს თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს 1820 წლის 30 ოქტომბრის ოქმის ასლი, პორუჩიკ ბარათაშვილის თავადის წოდებაში ცნობის შესახებ, წარწერით, რომ იგი ამ წოდებაში დამტკიცებულია 1826 წლის 25 მარტს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1835 წლის 24 ოქტომბერს, მეტრიკული მოწმობა № 2625, მაიორის, თავად მელიტონ და მისი ცოლის ეფემიას 1817 წლის 15 დეკემბრის კანონიერი ქორწინების შედეგად — მისი დაბადებისა და ნათლობის შესახებ და თბილისის გიმნაზიის საბჭოს მიერ გაცემული ატესტატი. ითხოვენ, რათა ბარათაშვილი მიღებული იქნას სამსახურში აღნიშნულ ექსპედიციისა.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

სამართლისა და განჩინების ექსპედიციის ცნობის თანახმად, თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი მიღებულ იქნას სამსახურში აღნიშნულ ექსპედიციის კანცელარისტის წოდებით, რის შესახებაც ეცნობოს ექსპედიციას და ეთხოვოს მას და აცნობოს ამის შესახებ ბარათაშვილს, აგრეთვე მიაღებინოს მას ფიცი სამსახურის ერთგულებაზე და იმის შესახებ, რომ იგი ამის შემდეგ არ შევა საიდუმლო საზოგადოებებში, ჩამართვას მას ხელწერილი და ფიცის ფურცელთან ერთად გადმოგზავნოს ექსპედიციაში. ამასთან საღერბო გადასახადის ნაცვლად ბარათაშვილს გადასხდევინონ ორი მანეთი სპილენძის ფულით და გადაუგზავნოს იგი თბილისის მახრის საზინას, რის შესახებაც აცნობოს ადგილობრივ სასაზინო ექსპედიციას, სოლო სახელმწიფო სენატს თავის დროზე მოსენდეს ფიცის მიღების ფურცლის გადაგზავნით.

მ. ლი უ ბ ა ვ ს კ ი.

3

1836 წლის 4 ივლისი — ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელწერილი იმის თაობაზე, რომ იგი როგორც აქამდე არ ყოფილა, მომავალშიც საიდუმლო საზოგადოებებთან კავშირს არ დაიჭერს.

მე ქვემოთ აღნიშნული პირი ვაძლევ ამ ხელწერილს საქართველოს უმაღლესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციას მასზედ, რომ როგორც დღემდე არ შევდიოდი, ისე შემდეგშიაც არ შევალ საიდუმლო საზოგადოებებში.

კანცელარისტი: თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი.
ამ ხელწერილის მიცემას ესწრებოდნენ:
ექსპედიციის უფროსი: გრიგორიევი
მრჩეველი: თავ. თუმანოვი

4

1836 წლის 4 ივლისი — საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის მიმართვა აღმასრულებელი ექსპედიციისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის ფიცის ჩამორთმევის თაობაზე, № 2719.

სამართლისა და განჩინების ექსპედიცია, ასეთის შესრულების გამო, ამა წლის 18 იანვარს № 598, მიაღებინა რა ფიცი კანცელარისტ თავად ნიკოლოზ ბარათაშვილს სამსახურის ერთგულებაზე და ჩამოართვა მას ხელწერილი, რომ იგი არ შევა საიდუმლო საზოგადოებებში, ამ ხელწერილს, ფიცის მიღების ფურცელთან ერთად, უგზავნის აღნიშნულ ექსპედიციას.

მრჩეველი: თავ. თუმანოვი.
მიღების თანამდებობის აღმსრულებელი: დროსლოვი
მაგიდის უფროსი: გრიგორიევი.

5

1836 წლის 24 ოქტომბერი — საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციის დადგენილება ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელწერილის (ფიცის ფურცელი), მართველ სენატში წარდგენის თაობაზე, 21022.

სამართლისა და განჩინების ექსპედიციამ 3 იანვარს № 10, თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილის თხოვნასთან ერთად გადმოგზავნა საბუთები, როგორცაა საქართველოს სათავად-აზნაურ დეპუტატების საკრებულოს 1820 წლის 30 ოქტომბრის ოქმის ასლი — იმის შესახებ, რომ პორუჩიკ ბარათაშვილი ცნობილია თავადის წოდებაში, წარწერით, რომ იგი ამ წოდებაში დამტკიცებულია 1826 წლის 25 მარტს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1835 წლის 24 ოქტომბერს გაცემული მეტრიკული მოწმობა № 2625, მაიორის, თავად მელიტონ ბარათაშვილის და მისი ცოლის ეფემიას კანონ-



ნიერი ქორწინებისაგან, მთხოვნელის დაბადებისა და ნათლობის შესახებ და თბილისის გიმნაზიის საბჭოს მიერ გაცემული სწავლის ატესტატი. ითხოვეს, რათა იგი, ბარათაშვილი, მიღებულ იქნას, ექსპედიციაში სამუშაოდ, შემსრულებელმა ექსპედიციამ ა/წ. 11 სექტემბერს დაასკვნა, რომ:

ექსპედიციის მომართვის გამო, თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი მიღებულ იქნას სამსახურში აღნიშნული ექსპედიციის კანცელარისტად 17 იანვარს № 598. ეცნობა იმავე ექსპედიციას, რომ ეს აცნობოს თავ. ბარათაშვილს, მიაღებინოს მას ფიცი სამსახურის ერთგულმაზე, ჩამოართვეს ხელწერილი იმის შესახებ, რომ იგი არ შევა საიდუმლო საზოგადოებებში და ხელწერილი, ფიცის მიღების ფურცელთან ერთად გადმოეცა ჩვენი ექსპედიციისათვის.

ამის შემდეგ სამართლისა და განჩინების ექსპედიციამ 4 ივლისს № 2719 — გადმოგზავნა ფიცის ფურცელი, რომლის მიხედვით კანცელარისტმა თავადმა ბარათაშვილმა მიიღო ფიცი, აგრეთვე დადო ხელწერილი იმის შესახებ, რომ იგი არ შევა საიდუმლო საზოგადოებებში.

ამის გამო გბრძანებ:

ამ მიმართვასთან ერთად გადმოგზავნილი ფიცის ფურცელი, რომელიც მიიღო კანცელარისტმა თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილმა, წარედგინოს სახელმწიფო სენატს, ხოლო მისი ხელწერილი, ექსპედიციის ცნობით, დაერთოს თავ. ბარათაშვილის საქმეს რის შემდეგ საქმე დამთავრებულად ჩაითვალოს.

მ. ლიუბიმოვი.

6

1837 წელი — საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის კანცელარიის მოხელეთა ფორმულარული სიიდან. ნიკოლოზ ბარათაშვილის ფორმულარული სია.

ჩინი, სახელი, მამის სახელი, გვარი, თანამდებობა, რამდენი წლისაა და რა სარწმუნოებისა?

— კანცელარისტი, თავადი ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი, 20 წლისა, ბერძენ-ქართველთა სარწმუნოებისა.

— რა წოდებიდან წარმოიშვა? — ქართველი თავადი.

აქვს თუ არა უძრავი ქონება მას, ან მის მშობლებს, ან ცოლს მემკვიდრეობით, თუ კეთილსინდისიერად შეძენილი?

— უძრავი ქონება მემკვიდრეობით აქვთ მშობლებს. (თვითონ მას არა აქვს).

რა ჩინისა იყავით სამსახურში შესვლის დროს, სად რა თანამდებობა გეჭირათ, აგრეთვე ჩინის გარდა, ჰქონდა თუ არა მიღებული სამსახურში რაიმე განსაკუთრებული წარმატება, დაჯილდოებულია თუ არა და როდის?

— თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მივიღე-რა ქების ატესტატი, შევედი სამსახურში სა-

ქართველოს უმაღლესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში კანცელარიის მოხელედ — 1836 წლის 18 იანვარს.

იყავით თუ არა ბრძოლაში მტრის წინააღმდეგ, სახელდობრ როდის? — არ ვყოფილვარ.

— იყავით თუ არა სამართალში, დაჯარიმებული, და თუ იყავით როდის და რით დამთავრდა საქმე?

— არ ვყოფილვარ.

გაქვთ თუ არა სურვილი სამოქალაქო სამსახურის გაგრძელებისა, ღირსი ხართ თუ არა ჩინით დაწინაურებისა და რატომ?

— სურვილი მაქვს, ღირსიც ვარ.

— იყავით თუ არა შევებულბაში, თუ იყავით როდის, რა დროით, გამოცხადდით თუ არა სამსახურში თავის დროზე? — არ ვყოფილვარ.

იყავით თუ არა დათხოვნილი სამსახურიდან დაჯილდოებული ჩინით, თუ მის გარეშე და როდის? — არ ვყოფილვარ.

ცოლიანი ხართ თუ არა? გყავთ თუ არა შვილები, სახელდობრ ვინ, რამდენი წლისანი არიან, რა სარწმუნოებისა და სად არიან ისინი — უცოლშვილო.

7

1838 წლის 19 მაისი — საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის მოხელეთა, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიცი სამსახურებრივი მოვალეობის ერთგულად შესრულების თაობაზე.

ფიცითი აღთქმა. მე ქვემოხსენებული, ვლებ აღთქმას და ვწინდა სახარების წინ ვფიცავ ყოვლად შემძლებელ ღმერთს, მასში, რომ მსურს და ვალდებული ვარ ერთგულად ფარისევლობის გარეშე ვემსახურო მისი იმპერატორის უდიდებულესობას, ჩემს ნამდვილ და ყოვლად-მოწყალე დიდ ხელმწიფეს. სრულიად რუსეთის თვითმპყრობელ იმპერატორს — ნიკოლოზ პავლეს ძეს და მისი იმპერატორობის უდიდებულესობის სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრეს, დიდ თავადს ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს, ყველაფერში დავემორჩილო მას და არ დაუზოგო თავი სისხლის წვეთამდე. გაგაფრთხილო და დავიცვა მისი სიამპერატორო თვითმპყრობელი უდიდებულესობა, რომლის ძალას და ხელისუფლებას მინიჭებული აქვს უფლებანი და უპირატესობანი, რაც დაკანონებულია და შემდეგშიც დაკანონებული იქნება, ამასთანავე მაინც ვეცადო გავაკეთო ყველა ის, რაც მის სიამპერატორო უდიდებულესობის ერთგულ მსახურსა და რაც ყოველ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმატებას შეეხება, ხოლო როდესაც დავინახავ უდიდებულესის ინტერესების შეღავის, ზიანის მოტანის და სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენების შემთხვევებს, არათუ თავისდროზე ვამხილო, არამედ ყველა ღონისძიებათა მიღებით ვეცადო ავაცილო და არ დაუშვა იგი.



ჩემზე მონდობილ საიდუმლოს მტკიცედ შევინახე და სათანადოდ და სინდისიერად შევასრულე ჩემი ჩინზე დაკისრებულ მოვალეობას (როგორც გენერალურს, ისე საგანგებოს), აგრეთვე შევასრულე დროდადრო საიმპერატორო უდიდებულესობის სახელით ჩემი უფროსების მიერ მოცემულ განსაზღვრულ ინსტრუქციებს, რეგლამენტს და ბრძანებებს და ჩემი თანამდებობა ბოროტად არ გამოვიყენო მიღებული ფიცის საწინააღმდეგოდ.

ამ სახით მოვიქცე ისე, როგორც ეს შეეფერება მისი იმპერატორის უდიდებულესობის ერთგულ ქვეშევრდომს და შემდეგმა პასუხი გავცე ღმერთს საშინელი სამსჯავროს წინაშე. ამაში მე დამეხმარება უფალი ღმერთი სულიერად და ფიზიკურად. ამ ფიცის დასასრულს ვემთხვევი ჩემს მაცხოვრის სიტყვებსა და ჯვარს. ამინ.

ეს ფიცი მიიღეს საგუბერნიო მდივანმა სოფრონსკიმ 1838 წლის 19 მაისს. ასევე ფიცი მიიღეს კანცელარისტიტებმა დავლიანოვმა და თავ. ნ. ბარათაშვილიმ.

8

1839 წლის 12 ივლისი — საქართველოს უმაღლესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციის დადგენილება, ნ. ბარათაშვილის ამავე ექსპედიციის სათავად-აზნაურო მეურვეობის მაგიდის უფროსად დანიშვნის თაობაზე.

მთიანეთის სათავად-აზნაურო მეურვეობის ნაწილის მაგიდის უფროსის სურგუნოვის ამ ექსპედიციის სამოქალაქო მდივნის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მაგიდის უფროსის თანამდებობა თავისუფალია, რისთვისაც ვბრძანებ: სათავად-აზნაურო მეურვეობის ნაწილის მაგიდის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნოს კოლეგიის რეგისტრატორი თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. დაევალოს მას მიიღოს კოლეგიის მდივნის სურგუნოვისაგან მის გამგებლობაში მქონე ნაწილის საქმეები და ამ ბრძანების შესრულება საერთო ხელისმომწერი მომასხენოს სიის გადმოგზავნით.

ჟურნალის დედანზე ხელს აწერენ: ექსპედიციის უფროსი: ილინსკი. მრჩეველები: გავრილენკო, სარაჯევი, ალექსეევი, თავ. ორბელიანი. შეამოწმა მდივანმა: სურგუნოვმა. სწორია მაგიდის უფროსი: გრიგორიევი.

9

1839 წლის 12 სექტემბერი — ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სურგუნოვის მოხსენება საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციისადმი, პირველის მიერ მეორისაგან სამეურვეო ნაწილის საქმეების ჩაბარების თაობაზე.

ამა წლის 12 ივლისს შემდგარი ჟურნალის რეზოლუციის თანახმად პირველმა (სურგუნოვმა) კანონის საფუძველზე ჩავაბარე სამეურვეო ნაწილი მის გამ-

გებლობაში მქონე მაგიდისა და მოხსენებათა რეგისტრები და საქმეები, ხოლო უკანასკნელმა მივიღე ისინი სრულ წყაივრულ მდგომარეობაში, რაზედაც მაქვს პატივი მოვასხენო ექსპედიციას.

კოლეგიის მდივანი: სურგუნოვი. რეგისტრატორი: ბარათაშვილი.

10

1839 წლის 18 ოქტომბერი — საქართველოს უმაღლესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციის დადგენილება ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სურგუნოვის მოხსენების მოსმენისა და მისი საქმეზე დაერთვის თაობაზე.

საქართველოს უმაღლესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში განხილული იქნა მოხსენება მდივნის თანამდებობის შემსრულებლისა და კოლეგიის მდივნის სურგუნოვის და სამეურვეო ნაწილის კოლეგიის რეგისტრატორის თავ. ბარათაშვილის შესახებ.

ამა წლის 12 ივლისის ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ ამა წლის ივლისის განაჩენით სათავად-აზნაურო მეურვეობის მაგიდის უფროსის კოლეგიის რეგისტრატორ თავ. ბარათაშვილს დაევალა მეილო კოლეგიის მდივან სურგუნოვისაგან. ამ ნაწილის საქმეები. რეზოლუციით დადგინდა: ეს მოხსენება აღწერილობის სიით დაერთოს საქმეს.

დედანზე ხელს აწერენ: ექსპედიციის უფროსი: ილინსკი. მრჩეველები: გავრილენკო, სარაჯევი, ალექსეევი. თავადი ორბელიანი. დაამოწმა: მდივანმა სურგუნოვმა. სწორია: მაგიდის უფროსი: გრიგორიევი.

11

1839 წლის 15 დეკემბერი — საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის დადგენილება ამავე ექსპედიციის სააპელაციო ნაწილის მაგიდის უფროსად გომინის ნაცვლად ნიკოლოზ ბარათაშვილის დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს უმაღლესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციამ იქონია მსჯელობა იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის თებერვლიდან სააპელაციო ნაწილში არ არის მაგიდის უფროსი, ხოლო ამჟამად ამ თანამდებობის დროებით შემსრულებელს საგუბერნიო რეგისტრატორს გომინს უძენდებდა ეს მუშაობა. რადგანაც ეს ნაწილი მოითხოვს კეთილსაიმედო და უნარიან მაგიდის უფროსის ყოლას, ურთიმიოსდაც მოსალოდნელია უწყისიგრობა და მიმდინარე საქმეების შეფერხება, ვბრძანებ: სააპელაციო ნაწილში მაგიდის უფროსად დაინიშნოს სამეურვეო ნაწილის კოლეგიის რეგისტრატორი თავ. ბარათაშვილი.



ტორი თავ. ბარათაშვილი, ხოლო ამ ნაწილის საქმეების გამგებლობა დავევალის ამავე ექსპედიციის მოსამსახურე მარკოზოვს. ამის შესახებ გამოეცხადის თავ. ბარათაშვილს და მარკოზოვს. გუბრძანებ მათ: თითოეული მათგანის გამგებლობაში არსებული საქმეები სათანადო სახის აღწერით ჩააბარონ პირველმა მეთრეს, ხოლო მეორემ უკანასკნელს, ხოლო საქმეების მიღება-ჩაბარების შემდეგ შემოღებული წესით მოახსენონ ექსპედიციას, გოძინის, თავ. ბარათაშვილის და მარკოზოვის ხელის მოწერით, ჟურნალის დედანი ხელმოწერილი უნდა იქნეს დამსწრეთა მიერ და შემოწმებული მდივნის მიერ.

სწორია: — მაგიდის უფროსი: გრიგორიევი.

12

1840 წლის 9 ნოემბერი. — საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის მიმართვა საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამმართველოსადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის კანცელარიის სხვა მოხელეთა შემდეგ ხარისხზე წარდგენის თაობაზე, № 2381.

სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პალატამ, იქონიეს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მათმა მოსამსახურეებმა, სამოქალაქო ნაწილის მდივანმა, კოლეგიის მდივანმა ივანე სურგუნოვმა, მეორე განყოფილების მეთრე მაგიდის საგუბერნიოს მდივანმა, დავით გრიგორიევმა და ამავე მაგიდის პირველი ხარისხის მწერალმა, კოლეგიის რეგისტრატორმა თავადმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაიმსახურეს დაკანონებული წლები შემდეგი ჩინის მისაღებად: პირველმა — სამოქალაქო სამსახურის წესდების შესამე ტომის 248 გაგრძელების შენიშვნის საფუძვლის მიხედვით, უკანასკნელთ იმავე გაგრძელების 305 მუხლის მიხედვით, რისთვისაც გადაწყვიტეს; შესდგეს ამ ჩინოვნიკების ფორმულარული სიები ცალცალკე, გადაეგზავნოს საგუბერნიო სამმართველოს და ეთხოვოს მას აღძრას შუამდგომლობა მათი შემდეგი ჩინით დაჯილდოების შესახებ.

მჩრეველი: გავრილენკო.

მდივანი: სურგუნოვი.

მაგიდის უფროსი: გრიგორიევი.

13

1840 წლის 10 ნოემბერი — ამონაწერი საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ჟურნალიდან ამავე პალატის მეორე განყოფილების მეთრე მაგიდის უფროსად გრიგორიევის ნაცვლად, ნიკოლოზ ბარათაშვილის დანიშვნის თაობაზე.

— 1840 წელი, 20 ნოემბერი. საქართველო-იმერეთის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პალატის ჟურნალში ჩაწერილია:

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამარ-

თლის პალატამ, განიზრახა მეორე განყოფილების მეთრე მაგიდის უფროსი გრიგორიევი 1841 წ. იანვრიდან გადაიყვანოს პირველი განყოფილების მეორე მაგიდის უფროსად და შესაძლებლად სცნო ამ თანამდებობაზე დაუშვას იმავე მაგიდის I-ლი ხარისხის მწერალი, კოლეგიის რეგისტრატორი თავ. ბარათაშვილი. ამისთვის ვებრძანებ: ჩაიწეროს ეს ჟურნალში და თავ. ბარათაშვილი ამ რიცხვიდან დანიშნოს მეორე განყოფილების მეთრე მაგიდის უფროსად. დავევალის გუბერნიის მდივანს გრიგორიევს შეუღებს და წესრიგში მოიყვანოს საქმეები და ხელზე ქონებული შესურულებული საქმეები, სათანადო წესრიგში მოყვანით ჩააბაროს თავ. ბარათაშვილს, ხოლო დამთავრებული საქმეები — არქივს. დედანზე ხელს აწერენ:

პალატის თავმჯდომარე ილინსკი, თავმჯდომარის ამხანაგი ფილიპოვი, მრჩეველები: გრიგორიევი, სარაჯევი, ორბელიანი, მსაჯული ორბელიანი.

შემოწმებულია. მდივანი: სურგუნოვი. სწორია. მაგიდის უფროსი: ბარათაშვილი.

14

1840 წლის 27 ნოემბერი — საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამმართველოს პირველი განყოფილების მომართვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილისა და კანცელარიის სხვა მოხელეთა შემდეგ ხარისხზე წარდგენის თაობაზე, № 527.

საგუბერნიო სამმართველოს პირველი განყოფილება ამასთან ერთად უბრუნებს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პალატის ჩინოვნიკების სიას: კოლეგიის მდივნის სურგუნოვის, გუბერნიის მდივნის გრიგორიევის და კოლეგიის რეგისტრატორის თავ. ბარათაშვილის, რომელიც 9 ნოემბერს № 2381 მომართვით გადმოგზავნილი იყო პალატის მიერ საგუბერნიო სამმართველოში და აცნობებს პალატას, რომ სამმართველოში მიიღო ყველა ცნობა გუბერნიამი მომსახურე ჩინოვნიკების შემდეგ ჩინზე წარდგენის შესახებ და ამან ამის შესახებ ა/წ. 22 იანვარს უკვე გააკეთა წარდგინება.

15

1840 წლის 31 დეკემბერი — ამონაწერი საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ჟურნალიდან ამავე პალატის მოხელეთა გადაჯგუფებისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მეთრე მაგიდის უფროსად დანიშვნის თაობაზე.

საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ჟურნალში ჩაწერილია:

იქონიეს მსჯელობა ამიერ-კავკასიის სამმართველო-სამმართველოს დაწესებულებათა შტატის თანახმად, რაც დამტკიცებულია 1841 წ. 10 აპრილს, პალატამ 5 სექტემბრის დასკვნით მიხედვით განაწილა მაგიდების მიხედვით და ამის

შესახებ მოახსენა სამოქალაქო გუბერნატორს ოთხი თვის წინად № 146, მაგრამ ვინაიდან ამის შემდეგ კანცელარიას გამოაკლდა ზოგიერთი მოხელე აუცილებელი გახდა ახალი განაწილება, რისთვისაც პალატამ განყოფილებებისა და მოხელეთა მიხედვით დაადგინა:

1-ლ განყოფილებაში: მაგიდის უფროსად გუბერნიის მდივანი ფედოროვი, მის თანაშემწედ კანცელარისტი რავუცკი, მწერლად უმაღლესი კანცელარისტი ვისოცკი, საშუალო მწერლად სიმონოვი, უმაღლეს მწერლად ფედოროვი; მეორე მაგიდის საგუბერნიო მდივანად გრიგორივი, მის თანაშემწედ საგუბერნიო რეგისტრატორი გოძინი, უმაღლესი ხარისხის მწერალი, კანცელარისტი კოვალევსკი, საშუალო ხარისხის მწერლად თავ. არდუთინსკი-დოლოგორუკოვი, უმაღლესი ხარისხის მწერლად სევეჩენინი.

2-რე განყოფილებაში: მესამე მაგიდის უფროსად სატიტულო მრჩეველი ხაბლოვსკი, მის თანაშემწედ კანცელარისტი ჩალაევსკი, უმაღლესი ხარისხის მწერლად საგუბერნიო მდივანი თავ. ავალოვი, საშუალო ხარისხის მწერლად კოლეგიის რეგისტრატორი სერდუკოვი, უმაღლესი ხარისხის მწერლად მწერალი გალოვინი, მეოთხე მაგიდის უფროსად კოლეგიის რეგისტრატორი თავ. ბარათაშვილი, მის თანაშემწედ კანცელარისტი ვარლამოვი, უმაღლესი ხარისხის მწერლად კანცელარისტი საბინსკი, საშუალო ხარისხის მწერლად კანცელარისტი მისჩენკო, საშუალო ხარისხის მწერლად კანცელარისტი გაჯივი, დაბალი ცელარისტი ავალიშვილი.

მე-3 — განყოფილებაში: მე-5-ე მაგიდის უფროსად საგუბერნიო მდივანი თუმანოვი, მის თანაშემწედ კანცელარისტი ვარლამოვი, უმაღლესი ხარისხის მწერლად კანცელარისტი მისჩენკო, საშუალო ხარისხის მწერლად კანცელარისტი გაჯივი, დაბალი ხარისხის მწერლად ზაიკოვი.

მე-4-ე განყოფილებაში: მეექვსე მაგიდის უფროსად კანცელარისტი ბეზუოლი, მის თანაშემწედ კანცელარისტი ბარანოვსკი, უმაღლესი ხარისხის 12 კლასის მწერლად ჟდანოვი, საშუალო ხარისხის მწერლად არემონი, უმაღლესი ხარისხის მწერლად კოლეგიის რეგისტრატორი გალუზევსკი, ციხის საქმეების შედამხედველად კოლეგიის რეგისტრატორი სოფრონსკი, ოქმის მწერალი ბეჟანოვი, 14 კლასის რეგისტრატორი პოტიომკინი, არქივარიუსად „ნადვორნი“ მრჩეველი კოსტენკო, მთარგმნელად კანცელარისტი ავალიშვილი.

ამისათვის ვბრძანებ:

ჩაიწეროს ეს ჟურნალში და ეცნობოს სამოქალაქო გუბერნატორს, პალატის 7 სექტემბრიდან № 176 დამატებით, ხოლო ახლად დანიშნულ მეორე მაგიდის უფროსს გრიგორივს და მის თანაშემწეს გოძინს, რათა მათ გამგებლობაში არსებული საქმეები დადგენილი წესით და მიღება-ჩაბარების აღწერით წარმოუდგინოს პალატას მათივე ხელისმწვერით.

ჟურნალის დედანზე ხელს აწერენ:

თავმჯდომარის ამხანაგი: ფილიპოვი, მრჩეველები: გაურილენკო, სარაჯევი, მსაჯული თავ. ორბელიანი. სწორია: თავ. ბარათაშვილი.

1841 წლის 17 თებერვალი — ამონაწერი საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ჟურნალიდან იმავე პალატის მეორე განყოფილების მეოთხე მაგიდის უფროსის დ. გრიგორივის ამ თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მის მაგიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის დანიშვნის თაობაზე.

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქართველო-იმერეთის პალატამ მოისმინა ამ პალატის საგუბერნიო მდივნის მაგიდის უფროსის დავით გრიგოლის ძე ფომინის 10 თებერვლის თხოვნა და ცნობა, საიდანაც ჩანს რომ: სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პალატამ, ჟურნალის დასკვნის თანახმად, რომელიც შედგა 1840 წლის 27 სექტემბერს, I-ლი განყოფილების II მაგიდის უფროსი, საგუბერნიო მდივანი გრიგორივი, 1841 წლის 27 ნოემბრიდან დანიშნა მე-11 განყოფილების მე-4 მაგიდის უფროსად კოლეგიის რეგისტრატორს თავ. ბარათაშვილის ადგილზე, რომელიც იმავე 1841 წ. 27 ნოემბრიდან დაშვებულია ამ თანამდებობაზე — გრიგორივს დააუღებულ მქონე საქმეები ბარათაშვილისათვის, ხოლო დამთავრებული საქმეები — არქივში, მაგრამ დღემდე ამის შესრულების შესახებ მოხსენება არ არის მიღებული.

ეთხოვს გუბერნიის სამმართველოს მოგვეცეს თანხმობა მაგიდის უფროს გრიგორივის ამ პალატიდან დათხოვნის შესახებ. გამოეცხადოს გრიგორივს დაუყოვნებლივ დამთავროს საქმეების ჩაბარება არქივში თავ. ბარათაშვილისათვის და წარმოადგინოს ამის შესახებ მოხსენება.

ჟურნალში დედანზე ხელს აწერენ: პალატის თავმჯდომარის მოადგილე ფილიპოვი, მოადგილე გაურილენკო, მსაჯული თავ. ორბელიანი, სწორია — მაგიდის უფროსი: ბარათაშვილი.

1841 წლის 18 მარტი — გრიგორივისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მოხსენება საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატისადმი, იმავე პალატის მეორე განყოფილების მეოთხე მაგიდის მიღება-ჩაბარების თაობაზე.

აღნიშნული პალატის 1840 წ. 27 ნოემბრის დასკვნის თანახმად პირველმა ჩაბარა, ხოლო მეორემ მიიღო მეორე განყოფილების მე-4 მაგიდის წესრიგში მოყვანილი საქმეები აღწერით, რის გამო პატივი მაქვს მოვასწერო აღნიშნულ პალატას. სა-



გუბერნიო მდივანი: გრიგორიევი, კოლეგიის რეგისტრატორი თავ. ბარათაშვილი.

18

1841 წლის 7 ივლისი. — საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის მეორე განყოფილების მეთხვე მაგიდის უფროსის კოლეჯის რეგისტრატორის თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის მოხსენება პალატისადმი სააპელაციო ნაწილის საქმის დაკარგვის თაობაზე.

პალატის 13 იანვრის დასკვნის შესასრულებლად პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ სააპელაციო ნაწილში დაკარგული საქმე, ანასტასია გრიგორიევისა და მისი ქალიშვილის იშლინელოვას შორის დავისა და უკანასკნელის მიერ პირველი შეურაცხყოფის შესახებ, ძებნის შემდეგ მე-11 გან. მე-4 მაგიდაში არ აღმოჩნდა. კოლეგიის რეგისტრატორი თავ. ბარათაშვილი.

19

1842 წლის I ივნისი — საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის დადგენილება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფორმულარულ სიაში ამ უკანასკნელის მიერ ვერცხლის მუდალის მიღებაზე სათანადო ცნობის შეტანის თაობაზე.

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქართველო-იმერეთის პალატამ მოისმინა შემდეგი მოხსენება:

26 მაისს აპელაციის მაგიდის უფროსის კოლეგიის რეგისტრატორმა თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილმა წარმოადგინა პალატაში დოკუმენტი, რომელიც გაცემულია 1839 წ. 13 აპრილის საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის ასლემტოვის მიერ და რომლის თანახმად შიის უდიდებულესობის სელმწიფე-იმპერატორის ამიერ-კავკასიაში ჩამოსვლის აღსანიშნავად მას მიცემული აქვს ვერცხლის მუდალი 1839 წ. 13 აპრილს ვლადიმირის ლენტზე — გულზე სატარებლად.

გზრძანებ: ჩაიწეროს ეს შურნალში და შეტანილი იქნას თავ. ბარათაშვილის პირად საქმეში, ხოლო დოკუმენტის ასლი მისი გადაღების შემდეგ დაუბრუნდეს მას.

შურნალს ხელს აწერენ — პალატის თავმჯდომარე ილინსკი, თავმჯდომარის მთადგილე ფილიპოვი, მრჩეველები: გავრილენკო, მსაჯული ორბელიანი, ტერეგუასკოვი.

შეამოწმა მდივანმა: სურგუნოვა.

სწორია: თავ. ბარათაშვილი.

20

1843 წლის 20 ივლისი. — საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარის ვასილ ილინსკის თხოვნა ნიკოლოზ

ბარათაშვილის შედგენილი, ფორმულარული სიის მიღების თაობაზე.

საქართველო-იმერეთის სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პალატის უფროსი ნამდვილი „სტატსოვეტიკი“ ვასილი ივანეს ძე ილინსკი თხოულობს შემდეგს: „ჩემი ქალიშვილი შედის ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტში, სხვა საბუთებს შორის მე ვალდებული ვარ წარვადგინო ჩემი ნამსახურობის სიის ასლი. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ მომეცეს ჩემი ნამსახურობის სიის ასლი სათანადოდ შემოწმებული. შემოტანილია 1843 წ. პალატაში“. ეს თხოვნა შეადგინა და გადაწერა საგუბერნიო მდივანმა თავ. ნიკოლოზ მელიტინის ძე ბარათაშვილმა. ამ თხოვნას ნამდვილად ხელს აწერს ნამდვილი „სტატსკი სოვეტიკი“ ილინსკი.

21

1843 წლის 29 ივლისი — საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის მომართვა საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამმართველოსადმი, იმავე პალატის მოხელეთა და მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ ხარისხზე წარდგენის თაობაზე, № 3034.

სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პალატამ მოისმინა მოხსენება — ამ პალატის ქვემოთ აღნიშნული ჩინოვნიკების — მაგიდის უფროსების, კოლეგიის მდივნის ფედოროვის, 1840 წ. 1 ნოემბრიდან, კოლეგიის რეგისტრატორის ზაპალიისის 1838 წ. 29 ნოემბრიდან, არქივარაუსის გავიევის, 1840 წ. 20 მაისიდან, აგრეთვე მაგიდის უფროსის, საგუბერნიო მდივნის, თავ. ბარათაშვილის 1840 წ. 6 ნოემბრიდან, კოლეგიის რეგისტრატორის გევესკის, 1840 წ. 5 აგვისტოდან, მაგიდის უფროსის თანაშემწის, კოლეგიის რეგისტრატორის ვარლამოვის 1837 წ. 7 დეკემბრიდან, რომლებიც მიმდინარე წელს, წელთა დამსახურების მიხედვით, 1842 წ. გამოცემულ სამოქალაქო წესდების 586, 604, 1289 მუხ. თანახმად, ღირსნი არიან შემდეგი ჩინით დაჯილდოებისა.

მათ შორის: კოლეგიის მდივანი ფედოროვის და საგუბერნიო მდივანის თავ. ბარათაშვილის დაკანონებული დამსახურების გადა მთავრდება 1-6 ნოემბრისთვის რიცხვებში.

რადგან მოხელეები სამოქალაქო წესდების დამატებით 544 მუხ. მიხედვით წელიწადში მხოლოდ ერთხელ უნდა იყვნენ წარდგენილნი შემდეგი ჩინით დასაჯილდოებლად და ჩვენი მხარისათვის წარდგენის ვადად დაწესებულია სენატის მიერ 15 ნოემბერი, ხოლო საგუბერნიო სამმართველო ჩვენგან წარდგენას მოითხოვს არა უგვიანეს 1 აგვისტოსთვისა, მოსალოდნელია, რომ ფედოროვი და თავ. ბარათაშვილი დარჩნენ დაჯილდოების გარეშე.

ამიტომ ვიდებთ-რა მხედველობაში აღნიშნულ

მოსხლეუთა სამსახურისადმი ერთგულებასა და საქებ ყოფა-ქცევას, დაადგინეს: შედგეს აღნიშნულ მოსხლეუთა სამსახურის სიები ორ ცალად, ერთ მათგანზე ხელისმოწერით, გაეგზავნოს იგი საგუბერნიო სამმართველოს და უმორჩილესად ეთხროვოს მას აღნიშნული მოსხლეების შემდეგი ჩინით დაჯილდოების შესახებ.

მრჩეველი: გავრილენკო, მდივანი: ნ. სურგუნოვი.
მაგიდის უფროსი: თავ. ბარათაშვილი.

22

1844 წლის 25 ნოემბერი — ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს გურკოს მიწერილობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის, ლევან მელიქიშვილის განკარგულებაში მივლინების თაობაზე, № 10525.

წინადადებას გაძღვეთ პალატის საგუბერნიო მდივანი, პალატაში მომუშავე მაგიდის უფროსი ბარათაშვილი მივლინებულ იქნას კავალერიის შტაბ-კაპიტან მელიქოვის განკარგულებაში მასზედ მთავარმმართველობის მიერ დაკისრებულ მოვალეობის შესასრულებლად.

ხელს აწერს სამოქალაქო სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გურკო.

დამოწმებულია დირექტორ ვაჩიკოვის მიერ.

23

1844 წლის 28 ნოემბერი — ნახჩევანის მაზრის მმართველ შტაბს-კაპიტანი ლევან მელიქიშვილის მოხსენებითი ბარათი ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსისადმი, მისი — თანაშემწის მელეშკოს გოროდნიჩად გადაყვანისა და მის ნაცვლად ნიკოლოზ ბარათაშვილის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმსრულებლად დანიშვნის თაობაზე.

მეცნობა-რა სამსახურისათვის სასარგებლოდ მაზრის უფროსის თანაშემწე პორუჩიკი მელეშკო გადაყვანილ იქნას ნახჩევანის „გოროდნიჩის“ თანამდებობაზე, ხოლო მისი თანამდებობის შესასრულებ-

ლად, დაშვებულ იქნას თქვენი უმაღლესი წინადადებით მოვლინებული საქართველო-იმერეთის სამოქალაქო პალატის მაგიდის უფროსი, გუბერნიის მდივანი, თავ. ბარათაშვილი. მე ეს 27 ამ თვეს წარვუდგინე საგუბერნიო სამმართველოს.

ვაცნობებ-რა ამას თქვენს მაღალკეთილშობილებას უმორჩილესად ვთხოვთ ეს ჩემი წარდგინება არ დატოვოთ თქვენი მოწყალებისა და ნებართვის გარეშე.

კავალერიის შტაბს-კაპიტანი თავ. მელიქოვი.

24

1844 წლის 30 ნოემბერი — საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის წარდგინება ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლევან მელიქიშვილის განკარგულებაში მივლინების თაობაზე, ამავე მმართველობის უფროსის განკარგულების გამოცხადების შესახებ № 1556.

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმის პალატამ მოისმინა თქვენი მაღალკეთილშობილების ამა წლის 25 ნოემბრის № 10525 წინადადება და გადაწყვიტა:

ეს წინადადება გამოცხადოს მაგიდის უფროს თავ. ბარათაშვილს და დაევალოს მას დაუყოვნებლივ, კანონის საფუძველზე, თავის გამგებლობაში მყოფი საქმეები და რეესტრი ჩააბაროს აღწერილობით მაგიდის უფროსის თანაშემწეს კოლეგიის რევისტრატორს. წინადადება მიეცეს მათ საერთო ხელისმოწერით მოახსენონ პალატას შესრულება აღწერილობის სიით წარმოდგენით. შემდეგ გუბერნიის მდივანი ბარათაშვილი გამოცხადდეს შტაბს-კაპიტან მელიქოვთან, და პალატის ეს განკარგულება მოახსენოს თქვენს მაღალკეთილშობილებას.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მოგილევსკი, მსაჯული: სარაჯევი, მრჩეველი კარპა, მსაჯული: თავ. ორბელიანი, მდივანი: ნ. სურგუნოვი, მაგიდის უფროსის თანაშემწე: ელმიროვი.



„სულ“ ჭოვებს კვალს



მ ო თ ხ რ ო ბ ა *

— იცით, ეს ნამუშევარი ჩემთვის ცნობილია. აქედან მე გადამაბეჭდინეს. ჯერ მთლიანად. შემდეგ კი — როცა გულმოდგინედ გაასწორეს, შემაცვლევინეს ცალკეული გვერდები და თავები.

— ხომ არ შემოგინახავთ გასწორებული შავი ეგზემპლარი?

— არა, სამუშაო მეტად საიდუმლო იყო, სახელმწიფო თვალსაზრისით კი არა, ისე. მკარანახობდნენ.

— ეს როგორ?

— ხელნაწერს არ ტოვებდნენ. მოდიოდნენ, მკარანახობდნენ და მიჰქონდათ. შემიძლია ვითხრათ ვის შეევსრულე სამუშაო.

მე ფანქარი მოვიმარჯვე. ქალმა მოქებნა თავის ყურხალში.

— ინებეთ. ეკატერინე გობრონიძე. საბჭოს ქუჩა № 7, მეორე სართული. ეს საღდაც ახლოს უხდა იყოს აქედან.

მე ჩავიწერე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ მისამართზე ვერავითარ გობრონიძეს ვერ ვნახავდი. ამიტომ ვთხოვე გარეგნულად აეწერა იგი. სტარობუხმა ხელები გაშალა.

— შავგვერდები იყო, შეიძლება ჩემზე ახალგაზრდა და ცოტა დაბალი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა, ინტელიგენტი ქალი ჩანდა, მე ვფიქრობ, მედიკი უნდა ყოფილიყო.

— ეს საიდან დასკვენით? იქნებ ქიმიკოსი იყო?

— შეიძლება. ქიმიკატებისა და მედიკამენტების სუხი კი უდიდოდა.

აღნიშნულ მისამართზე, როგორც მოველოდი გობრონიძე არ ცხოვრობდა...

მისვლისთანავე მაიორს მოვახსენე ყველაფერი. მან ღრმად ამოიხვნეშა და თქვა:

— მედიკი ქალი რეცეპტებით. მედიკი ქალი ხელნაწერებით... სწორი გზით მივდივართ. მეც დიდი ნადავლით დავბრუნდი.

მან ამოიღო რკინის კოლოფი, გახსნა და იქი-

დან ამოალაგა პაპიროს „ბელომორკანალის“ ნამწვავები.

— „სულმა“ დატოვა?

— ზუსტად. იგივე მარკის და ფაბრიკისაა. გაბოლების ისეთივე მანერა ამჩნევია: მუნშტუკის ბოლო დაღეჭილია. პროფესორ კომახიძის მაგიდაზე მდებარე საფერფლიდან წამოვიღე. პროფესორი ახველებდა და ბრაზობდა კვამლით კაბინეტი მომიწამლესო. ჩემი მისვლის წინ თათბირი ჩაეტარებია. ესწრებოდა თერთმეტი კაცი. მათი სია თან მაქვს. ამ სიას ვუჩვენებთ ლუკავას ქვრივს, იგი დაგვეხმარება მოვანახოთ ლუკავას ახლობელი კაცი, რომელიც „ბელომორკანალს“ ეწევა. მანამდე, კაბიტანს ვეწვიოთ. ვნახოთ რას გვეტყვის.

18.

მილორავა თავისთან დაგვიხვდა. პირველი კითხვა ასეთია — დაიწყო მაიორმა — ერთ-დღიანზე ხელით ხომ არა დაწერილი მეთხოვემეტე პოლიკლინიკის რეცეპტი და „კეთილისმსურველის“ ანონიმური წერილი?

მეორე უფრო რთულია. თარიღების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ექიმ ჯანაშვილის რეცეპტი გამოწერილია ერთი დღით ადრე, ვიდრე სირბილაძისა, მაგრამ ბეჭედი? მე ბეჭედი მაინტერესებს! ჩვენ გვეგონია, რომ რეცეპტი გამოწერეს ბლანკზე, რომელზეც წინასწარ იყო დასმული ბეჭედი. გვიპასუხეთ: ასეა თუ არა. ამას გარდა, შეეცადეთ განსაზღვროთ რომელ თვეშია დასმული ბეჭედი.

კაბიტანმა მილორავამ გაიღიმა:

— შევეცდებით, მაგრამ რას მოგვეცემს ეს?

— როგორც კი თქვენს პასუხს მივიღებთ, ორიოდ დღეში მომიწამელის ფოტოსურათს წარმოგიდგებთ...

— ლუკავას ქვრივი არ მოგველოდა. ჩვენ პირდაპირ საქმეზე გადავდით და ვთხოვეთ,

* დასასრული. დასაწყისი იხ. ყურხალი „საბჭოთა სამართალი“, 1968 წ. № 3, № 4.

19.

ქმრის ახლობლები მოიგონეთ-თქო. როგორც შინ, ისე სამსახურში.

— მხოლოდ მერკვილაძე და ვასაძე, სხვა არავინ.

იმნაძემ შუბლი შეჭმუხნა და ქვრივს გაუწოდა პროფესორ კომახიძის თათბირზე დამსწრეთა სია.

— აი, ეს გვარები ხომ არაფერს მეთყველებენ?

ლუკავამ სია წაიკითხა და ზანტად დაუბრუნა:

— მეთყველებენ... ვასაძე და მერკვილაძე გაცხრომაში არიან და...

— ქალბატონო ნინო, რა მოხდა, სულ რომ იძახით — „მერკვილაძე-ვასაძე“, „მერკვილაძე-ვასაძე“— ისე იქნებ სულ არ მოუწამლავთ ჩვენი მონაცემებით...

ქალი წამოდგა, თავი ასწია:

— ყველაფერი გასაგებია... არ მინდა, ბატონო, არაფერი. დამიბრუნეთ განცხადება. დაე, ღმერთმა დასაჯოს ისინი.

— არა! აქ ღმერთს არაფერი საქმე არა აქვს. დამნაშავეს მართლმსაჯულება დასჯის. გთხოვთ, მოიგონეთ ახლობლები თქვენი მხრიდან. ჩვენი თვის ეს საჭიროა.

— ჰმ... იქნებ თქვენ ჩემზე გაქვთ ეჭვი? ან მარო დეიდაზე? მე ლუღუშაურსა და მის ძმაზე ახლობელი არავინ მყავს.

— ლუღუშაურის ძმაც ლუღუშაურია?

— არა, მხეიძე.

— შორაშუხეა?

— არა, და სერთოდ, მოევით რელიგიას.

— სად ვნახავთ მას?

— პატივცემულ გიორგი, გვედრებით, არაა საჭირო, იგი ისედაც ნაწყენია ჩემზე, ფიცი რომ გავტეხე და მოგიყვებით სიზმრებზე. მე მყამს იმქვეყნიური ცხოვრება. არც თქვენ გაქვთ იმის უფლება, რომ დასცინოთ რელიგიას...

— იცით რა, შარლატანობიდან რელიგიამდე დიდი მანძილია...

— მე რაღაც არ მომეწონა ქვრივის საქციელი, — ვუთხარი მაიორს, ლუკავადან რომ წამოვედი, სია რომ გადათვალეირა არ დაასახელა, ვიხცე საჭირო იყო...

— მეც შევამჩნიე,—არ დაასრულა; დარწმუნებული ვარ პირველ დღეს მერკვილაძე და ვასაძე რომ არ დაესახელებია, ახლა იმათაც აღარ ჩათვლიდა ახლობლებად... ლუღუშაურთან საუბარი ზედმეტი არ იქნება. ერთი რამ უეჭველია: თათბირის მონაწილეთა შორის იყო „სული“, რომელიც „ბელომორკანალს“ ეწევა. ჩვენც სწორედ ის გვინდა. რა გაეწყობა, უნდა შევისწავლოთ ყველა პაპიროსის მწვეველი ინსტიტუტში, ეს არც ისე ძნელია. მაგრამ ჯერ ვნანოთ, რას გვეტყვის ჩვენი ჯაღოქარი მილორაავა.

კაპიტანმა მილორაავამ გარკვევით გვითხრა:

— შევამოწმეთ ყველაფერი. შეგვიძლოა დავიდასტუროთ. მეთხოვთმეტე პოლიკლინიკის მრგვალი ბეჭედი დაუსვამს შარაზან, ხოლო მეცამეტე პოლიკლინიკის ბლანკი გაცილებით ახალია. გასული წლის ბოლოს პოლიკლინიკაში არ იყო შტემპელის საღებავი და ამის გამო უბრალო ქიმიური მელნით სარგებლობდნენ. ხელნაწერთმცოდნეები ამტკიცებენ, რომ „ქეთილისმსურველი“ და „ექიმ სირბილადის“ სახელით რეცეპტის გამომწერი — ერთი პიროვნებაა.

— ძალიან კარგი!

— როდის იქნება მომწამვლელის ფოტოსურათი? — ხუმრობით მოგვაგონა მილორაავამ.

— სულ ძალე.

კაპიტანმა მილორაავამ ღიმილით თვალი ჩაჰსიკრა და გავიდა...

— აბა კოტე — მხიარულად მითხრა იმნაძემ, — მე საბუთებს მივიტან და ზოგ რამესაც შევამოწმებ. თქვენ კი ინახულეთ მერკვილაძის ცოლი, დააზუსტეთ მასთან ოცდათერთმეტის საღამო.

მერკვილაძის მეუღლეს მაიას კარებში შეეხედით, საღდაც მიდიოდა. ჩემი მისვლის მიზანი რომ ვუთხარი, შინ შემმატეკა. ხალი მომიტანა და ძითხრა:

— მიირთვით, თან მოვისმენთ.

მე შევეკითხე გასული თვის ოცდათერთმეტი რიცხვის საღამოს შესახებ.

— მაშ, ოცდათერთმეტის საღამო, არა? დილით სამსახურში დამირეკეს. სასამოვნო ტემპრის ბარბიტონმა სახელით და მამის სახელით მომმართა და მაცნობა: „თქვენს ქმარი ინსტიტუტის ლაბორატორიაში მუშაობის მომიზეზებით პაემანზე დადის. დღეს, მაგალითად, რვა საათზე ციკრში იქნება. თუ გაინტერესებთ შეგიძლიათ შევამოწმოთ, უტკიროთ თქვენს ბედნიერ მეტოქე ქალს“.

— თქვენ კი რა ჰქენით? — შევეკითხე მე.

— მე? ეს ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო. ჩემი ქმარი ქალების მოყვარულია. ასჯერ მყავს გამოკერილი ღალატში. მომწყინდა. ვერ გამოვიგია, რას ნახულობენ მასში ეს ქალები. ჭკუა მას არ გაანწია და სილამაზე...

— კი, მაგრამ თქვენ ხომ ნახეთ მასში რაღაც?

— ახლაგაზრდობამ მომატყუა, სულელი ვიყავი. თვრამეტი წლისას ყველაფერი სხვანაირად ეჩვენება... ზოდა, იმ მამაკაცს ირონიულად ვუპასუხე. ნეტავ თქვენ ხომ არ წაგართვათ ის,



რომელთანაც ცირკში იქნება-მეთქი და ყურმილი დავდე. გადავწყვიტე ცირკში არ წავსულიყავი, მე ვიცი მისი ყოფილი და ახლანდელი სატრფოები. ამჟამად იგი გატაცებულია ნონათი, რომელიც მეხუთე პოლიკლინიკაში მუშაობს.

— მოულოდნელობისაგან კინაღამ ადგილიდან ავხტი, ის კი მშვიდად განაგრძობს:

— ძალიან კარგი ქალიშვილია. მე მას პირდაპირ ვუთხარი — რაც გინდა ის აკეთე ჩემს ქმართან, მხოლოდ იცოდე ჩვენს განქორწინებას ვერ ეღიბები და მის ჯიბეებს არ შეეხო — ისინი ჩვენ გოგონას ეკუთვნის მეთქი.

— რა გვარია ნონა?
— როგორ, გინდათ შეამოწმონ? ინებეთ: ნონა გერგედავა, ფერშალია. ჰოდა, იმ საღამოს ჩემი ქმარი მოირთო, ინსტიტუტში მივდივარო და წავიდა. მეც ჩავიცვი და წავედი დედასთან. ესეც შევიძლიათ შეამოწმონ, მოგცეთ მისაშარით?

— არა, როგორ გეკადრებათ.
— დაებრუნდი გვიან. მან ამიტუნა დავა ვისთან იყავიო, სად იყავიო, ცირკში რა გინდოდაო. დიდი სკანდალი გვექონდა. თუ გნებავთ მეზობლებს ჰკითხეთ. დავუძახო?

მე წაპოვდექი:
— არა, ქალბატონო, ოჯახურ კინკლაობას ჩვენ არ ვარჩევთ...

საჩქაროდ სამმართველოსაკენ გამოვეშურე.
— მეხუთე პოლიკლინიკა... მოიცა, მოიცა, რეცეპტი ხომ მეხუთე პოლიკლინიკიდან არაა! — ვფიქრობ ამაზე და მივაბიჯებ ქუჩაში. — ძალიან კარგი, ნონა გერგედავა გვიამბობს საიდან გაჩნდა მასთან რეცეპტები სხვა პოლიკლინიკის ბეჭდით.

შევედი თუ არა ოთახში შევიძახე.
— მერკვილადის თანამონაწილე ვიპოვნე.
— მართლა? აბა, მიამბე.

— ჰმ... ნონა, კი მაგრამ, რა საერთო აქვს მას რაისასთან. ჩაილაპარაკა მაიორმა. წავიდეთ პოლიკლინიკაში, თუმცა ვენდისპანსერის ნახვა მაინც აუცილებელია. მაინტერესებს როგორ ჩაიგდო ერთმა ხელმა ორივე პოლიკლინიკის მრგვალ ბეჭედთა ანაბეჭდი? ან, იქნებ ამ „ხელს“ კიდევ აქვს „ხელები“ ორივე პოლიკლინიკაში, ანდა იქნებ ეს ხელები იმ კაცისაა, რომელიც ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადავიდა, ამ შემთხვევაში მეცამეტე პოლიკლინიკიდან მეთხუთმეტეში ან პირიქით. ჯანმრთელობის განყოფილებაში ძველ ბრძანებებს რომ ვეჭქავდი, ასეთ ბრძანებას წავაწყდი: ფერშალი რაისა ბიკენტის ასული გავაშელი გასული წლის ნოემბერში გადაყვანილია მეცამეტე პოლიკლინიკიდან მეთხუთმეტეში, აქედან კი ივ-

ნისში, ალბათ საქმისათვის გადაუყვანიათ ვენეროლოგიურ დისპანსერში... წავიდეთ თორემ დაგვაგვიანდება.

მეხუთე პოლიკლინიკაში გული გაგვიტყდა. გერგედავა სამსახურიდან წასულა. მთავარმა ექიმმა გულის ტკენით თქვა:

— კარგი ქალიშვილი იყო. რენტგენოლოგთან მუშაობდა. დაუკავშირდა ვიღაც გათახსირებულს, ის კი ცოლიანი ყოფილა. დაუბნია ქალიშვილს გზა-კვალი. ერთ თვეზე მეტია რაც წავიდა. ამას წინათ კრასნოდარიდან მივიღეთ მისი წერილი, დახასიათების გაგზავნას გვთხოვს. რას ვიზამდით, ავდექით და წავედით.

ვენეროლოგიურ დისპანსერში რომ მივედით, დირექტორი კაბინეტში არ დაგვიხვდა, კონსულტაციაზე იყო გასული. გვითხრეს დაელოდეთო. დერეფანში რამდენჯერმე ვავიარ-გამოვიარეთ. მერე დავვექით.

ჩვენს წინ, შემოსასვლელ კართან ერთი წყვილი საუბრობდა, მაღალი მამაკაცი, ზამშის ქუდი რომ ეხურა, ჩვენსკენ ზურგით იდგა. მას წინ ედგა ასე ოცდაათი წლის ლამაზი ქალი თეთრ ხალათში. ხმამალა და აღელვებით ლაპარაკობდნენ. ჩვენ ყური მივუგდეთ.

— ძაშ, არა?
— არა!
— კატეგორიულად მეუბნები?
— კატეგორიულად!
— ინანებ!
— ვინანო.
— ჰმ... უბრალო საქმეა, შენ კი ჯინიანობ.
— არა! ეს უბრალო საქმე არაა. შენთვის ყველაფერი უბრალოა, ჩემთვის კი, არა. შენ თვითონ გააკეთე.

— მაშ, ეგრე არა?! — მამაკაცის ხმა ღღერდა უხეშად და მკაცრად, — კარგი! შენს თავს დააბრალები!..

ამ სიტყვებზე მე ვანრისხებით მიავლო იატაკზე ბოლომდე მოუწყველი პაპიროსი, კარი გაიჭახუნა და ქუჩაში გავიდა. მისმა თანამოსაუბრე ქალმა კი ტუჩზე იკბინა, თავი დახარა, ხალათის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, სწრაფად გაიბრინა დერეფანი და ერთ-ერთ კაბინეტში შევიდა.

იმნაძე ერთ ადგილს მიაშტერდა. მერე მითხრა:

— კოტე, არ გეწყინოს და შეუშინევილად აიღე პაპიროსის ნამწვი, რომელიც იმ ტიპმა გადააგლო.

ახლოს არავინ იყო. დავალება შევასრულე. უცნობი „ბელომორკანალს“ ეწეოდა. მისი მუნშტუქი დაღეჭილი იყო. იმნაძემ დაათვალიერა

ნადავლი, ქაღალდში შეახვია და ფრთხილად შეიხასა.

— ესეც მესამე —თათბირის მონაწილე „სული“ მგონი ჩვენს წინაშე იყო.

ქალის ფეხსაცმლის ქუსლების ხშირი კაკუნი მოისმა. ჩვენსკენ სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა ხალათის ჯიბეებში ხელჩაყოფილი და თავჩაქინდრული ქალი, წედან რომ განრიხსებულ უცნობს ელაპარაკებოდა. ჩვენ რომ გავვისწორდა ძაიორი წამოდგა:

— მაპატიეთ, ვის ელაპარაკებოდით გასასულელთან?

ქალი უეცრად შეჩერდა. დიდი შავი ჰკვიანი თვალები იმნაძეს მიაპყრო და უპასუხა:

— ოჰ, მომეშვით, რა თქვენი საქმე!

ეს თქვა და სწრაფად განაგრძო გზა. მის ხმაში მღელვარება და მწუხარება იგრძნობოდა. მინდოდა დავწვოდი. მაგრამ მაიორმა პიჯაკის კალთაზე მტაცა ხელი.

— არ გინდა. მას ახლა ჩვენი დარდი არა აქვს, სხვა დროს მოველაპარაკეთ.

ამ დროს მაღალი, თეთრხალათიანი მამაკაცი გამოჩნდა, სათვალეების ზემოდან შემოგვხედა და წაიბუტბუტა:

— თქვენ ჩემთან ხართ? მობრძანდით.

20.

— გვაშელი რაისა ბიკენტის ასული? გვყავს ასეთი. ახლავე წარმოვიდგინე ჩვენს რაიჩკას, ადგილკომის თავმჯდომარეა.

ჩაილაპარაკა დისპანსერის მთავარმა ექიმმა და ზარის ღილაკს თითი დააკირა. შემოვიდა მდივანი ქალი.

— რაისას დაუძახეთ! — უთხრა მას მთავარმა ექიმმა და მერე ჩვენ დავვიწყოთ თვალთვლება მოუტირდებოდა. ჩვენ უხმოდ ვიჯექით. გავილა ათი წუთი, მაგრამ რაისა არ ჩანდა. მთავარმა ექიმმა ისევ იხმო მდივანი ქალი, მერე ბანჯგვლიანი წარბები მოჰმუხნა და დაიგუჟუნა:

— თქვენ რა, ვერ გაიგონეთ რაც გითხარით? მდივანმა ქალმა მხრები აიჩეჩა, წამწამები შეათამაშა:

— ეძებებს...

— როგორ თუ ეძებენ, ახლა აგერ იყო, აბა ძოუხქარეთ?

წუთები წელა გადიოდა. ბოლოს მდივანმა ქალმა კარი გააღო, თავი შემოყო:

— კავშირებში წასულა.

მთავარ ექიმს დამნაშავესავით გაედიმა.

— მაპატიეთ, ამხანაგებო, გავაშელი კავშირებში წასულა.

მაიორის თხოვნით მთავარი ექიმი ტელეფონით

ნით დაუეკავირდა პროფკავშირის კომიტეტს, მაგრამ გავაშელი იქ არ აღმოჩნდა, ასე რომ დავაშუსტეთ მისი მისამართი და წამოვედით.

...ორმოცდასამ ნომერ ოთახში სიგრილე იყო.

— ჰო, თუ გვაშელი ისაა, რომელთანაც საუბრობდა „ბელომორკანლის“ ნაშევის გადამღებები — ყველაფერი ნათელია. ვიპოვეთ ვინც გვინდოდა. დავიცადოთ. სადამომდე არც ისე შორსაა. მანამდე ჩვენს პროფესორს დავუტრე-კოთ.

იმნაძემ ტელეფონზე საჭირო ნომერი აკრიფა.

— გამარჯობათ, პატივცემულო პროფესო-რო. დიმილით დაიწყო მაიორმა, დიხ, დიხ, იმნაძე გაუშხებთ... ერთი შეკითხვა მაქვს: დაესწარით თუ არა ლუკავას სეიფის გახსნას მისი სიკვდილის შემდეგ? არა? აბა ვინ დაესწრო? კოლია? ეს რომელი ნიკოლოზია — ააა. გასაგებია, გასაგებია. გმადლობთ, გმადლობთ.

მაიორმა ყურმილი ჩამოკიდა და მომიბრუნდა.

— მაშ, ასე, გასაგებია! იმ საბედისწერო ღამეს ლუკავას მიერ ჩატარებულ ცდას ესწრებოდა არა მერკვილაძე ან კავსაძე, არამედ ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რომელსაც ნიკოლოზი ჰქვია, იგივე კოლია.

— კი, მაგრამ სელიხანოვა...

— სელიხანოვა? მან უბრალოდ კარგად ვერ გაარჩია ვისზე უთხრა ადღევებულმა პროფესორმა. ახლა კი მგონი დავიჭირეთ მტრედი. კოტე, რა გვარია სწავლული მდივანი?

— მე რა ვიცი. ახლა არ ელაპარაკეთ კომბინძეს, რატომ რა შეეკითხეთ?

— გამოვთავყვანდი...

იმნაძემ სწრაფად აკრიფა ნომერი.

— მაპატიეთ პატივცემულო პროფესორო, ისევ მე ვარ, იცით, მომივალში თქვენ რომ არ შეგაუწუხოთ, სჯობს სწავლულ მდივანს მივმართო ზოლმე. რა გვარია იგი? მხეიძე? ოო, შესანიშნავი გვარია... დიდი მადლობა, ნახვამდის!

მაიორმა ყურმილი დადო. ერთხანს გაჩუმდა, მერე თავი გააქნია და თქვა:

— ნიკოლოზ მხეიძე! შემთხვევით ძმა ხომ არა აიდა ლულუშაურის, რომელიც უახლოესი მეგობარია ლუკავას ქვრივის. ნუთუ დაა ძმის მრჩეველი? აბა, გამოვიძახოთ და გავესაუბროთ ერთი მასაც. რაც შეეხება გავაშელს, იგი ხვალ თორმეტიდან მუშაობს. მასთან ხვალ დილით მივიდეთ.

21.

სრულ ათ საათზე ორსართულიან სახლთან მივედით. ტროტუარზე სასწრაფო დახმარების მანქანა „ზიმი“ იდგა, მის გვერდით ბრწყინავდა წითელარშიიანი ლურჯი „პობედა“. შესას-



ვლელთან ხალხს მოეყარა თავი. მაღალი მილიციელი ყველას ეხვეწებოდა:

— ხალხნო, გაიარეთ, რას დგებართ, წადით. მაგრამ არავინ არ იძროდა. მაიორი წინ გავიდა. მილიციელმა ხელით გადაუღობა გზა:

— სად მიხვალთ, მოქალაქეებ? ხომ გეუბნებით არ შეიძლება თქო. მაიორმა საბუთი უჩვენა. მილიციელი გაიჭიმა, ხელი აგვიღო და გაგვიშვა.

მეორე სართულიდან ხმაური და კივილი ისმოდა. მაღლა ავედით. კიბე ხალხით იყო სავსე.

— რა მოხდა? — იკითხა იმნაძემ.

— ფერმალმა ქალმა მოიკლა თავი, იყო პასუხი. ოთახში შევედით. ტახტზე იწვა ის ქალი, ვისაც ჩვენ ვეძებდით. მაგიდასთან სასწრაფო ღანძარების მედპერსონალი იდგა. ცოტა მოშორებით კი — მილიციის კაპიტანი ბასიშვილი და ექიმი ექსპერტი პოდოსოვი. ფანჯარასთან სავარძელში უხმოდ ქვითინებდა მოხუცი ჭადარაქალი. ბასიშვილი მაიორთან მივიდა, მისსაღმა და ჰკითხა:

— საიდან, ამხანაგო მაიორო?

— რა მოხდა აქ? — კითხვითვე უპასუხა იმნაძემ.

— ოცდაცხრა წლის რაისა ბიკენტის ასულმა გავაშელმა თავი მოიკლა. აი, შეხედეთ... მან ხელი გაიშვირა მაგიდასაკენ, რომელზეც იდგა საშხევის მონიკელებული კოლოფი. იქვე იდგა თვით საშხევი წვრილი ნემსითურთ, რომლის წვერზეც შერჩენილიყო ქარვისფერი სითხის პაწაწინა წვეთი. საშხევის გვერდით ეყარა ორი ცარიელი ამბულა. იმნაძემ ერთი მათგანი ხელში აიღო: თერთხალათიანი გამხდარი ქალი მაიორს მიუბრუნდა და უთხრა:

— ნუ გაისჯებით... მორფეუმია, სასიკვდილო დოზით... მედიკი ქალი არ შეცდებოდა. აშკარა თვითმკვლელობა.

თვითმკვლელები სიკვდილის წინ ყოველთვის წერილებს წერენ. ნუთუ გავაშელმა არაფერი დატოვა?

მილიციის კაპიტანი თავის საქმეს აკეთებდა. იმნაძე სდუმდა. თუ ბასიშვილი შეეკითხებოდა რამეს, მაიორი მხრებს აიჩეჩავდა და უპასუხებდა:

— მე აქ მხოლოდ მეთვალყურის როლში ვარ.

და მხოლოდ მაშინ, როცა ბასიშვილი ადგილზე დებდა ხელჩანთას, რომელშიც აღმოჩნდა მეცამეტე პოლიკლინიკის ბექედლასპული სამირეცეპტის ბლანკი, იმნაძემ უთხრა:

— ო, ეს კი უნდა წავიღოთ.

რაისა ბიკენტის ასულ გავაშელის დედამ თქვა, რომ გუშინ ჩვეულგზებზე აღდგა მოვიდაო რაისა. აღდგებული იყო. საიღობზე უარი

თქვა. ჩაიკეტა და დიდხანს წერდა. საღამოს რვა საათზე წავიდა სახლიდან და თერთმეტზე დაბრუნდა, მაგრამ ვადამეხვია, ჩამოცნა და მითხრა: დედიკო, ნუ გამიჯავრდები. დილით არ გაძაღვიკო.

.....დავკითხეთ აიდა ლუღუშაური — მხეიძის და.

— გახოვთ დაწვრილებით გვიამბოთ თქვენს კავშირზე საიქიოსთან.

— რწმენა კანონით არ ისჯება. მე არაფერი დამიშავებია და დასამალიც არაფერი მაქვს. ოცი წლის წინათ, ახალგაზრდობაში ეკლესიაში დავიწყე სიარული. ამისთვის კომკავშირიდან გამრიცხეს. ბევრს ვკითხულობდი რელიგიურ წიგნებს. ვისმენდი ლოცვებს. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს გატაცება გამოქრა. ვერ ვიტყვი, რომ ღმერთისადმი რწმენა დამეკარგო, მაგრამ ისე კი აღარ ვიყავი გატაცებული... და აი, პროფესორ ლუკავას უეცარი სიკვდილის შემდეგ, მე, როგორც მისი ქვრივის ახლო მეგობარი, სულ მასთან ვიყავი. ქალი ძალიან დარდობდა, თავის მოკვლაც კი დააპირა, ხოლო როცა გაიგო რომ ქმარი მომიწამლესო, სულ დაკარგა ნებისყოფა. საერთოდ, იგი მორწმუნეა. იწყო პანაშვილების გადახდა ეკლესიასა და ქმრის საფლავზე. მე მეცოდებოდა და ყოველნაირად ხელს ვუწყობდი. ამიტომაც, როგორც მორწმუნეს, ვუთხარი რომ ფიზიკურად გარდაცვლილი ადამიანი სულიერად ცოცხლობს, და ამდენად შეიძლება კონტაქტის დამყარება ამ „სულთან“. ისიც ვუთხარი, რომ ვიქტორს ხშირად ვხედავ სიზმარში, კარგად არის მეთქი, ორიოდე დღის შემდეგ მითხრა განცხადება შევიტანე, რომ ქმარი მოწამლეს და ეჭვი კავსაქესა და მერკვილაძეზე მივიტანეო. მე ვუთხარა, მით უკეთესი, ორგანოები გაარკვევენ და შენც დამშვიდდები მეთქი.

— ძმამ თუ იცოდა, რომ თქვენ ასე იყავით ქვრივთან?

— ძმას მე არაფერს ვუმალოვ. ის ჰკვიანი და ავტორიტეტიანი კაცია იმავე დღეს ვუამბე ყველაფერი.

— მერე, რაო?

— რად უნდოდა განცხადება რომ შეუტანიაო? რატომ არცხვენს პატიოსან ადამიანს და ჩირქს სცხებს ჩვენს დაწესებულებასო. თან დასძინა, თუ მართლა ასე გიჯერებს ყველაფერს, ურჩივ ხმაურს ნუ ასტენსო. მეც ავდექი, იმავე საღამოს ვუთხარი ქვრივს რომ ვიქტორი სიზმარში ვნახე და დაბეჯითებით მითხრე ნინომ უკანვე წამოიღოს განცხადებაო. ნინომ კი მითხრა:

— ექსპერტებმა დაადგინა, ვიქტორი მოწამ-

ლულია. მერკვილაძეზე და კავსაძეზე აქვთ ეჭვი და ამ დღეებში დააპატიმრებენ, მაგრამ თუ დოკუმენტები გამოჩნდება, მკვლელებს აღარ მოძებნიან.

- ძმას უთხარით ამის შესახებ?
- ვუთხარი.
- მერე?
- ხელი ჩაიქნია: ეჰ, ქალებო, ქალებო, ვინ გაგაჩინათო.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. მაიორმა ყურმილი აიღო, ერთხანს სულგანაბული უსმინა. მერე დადო და სასწრაფოდ წამოდგა.

— უკაცრავად, ახლა უნდა შევწყვიტოთ საუბარი. თავისუფალი ხართ.

მაიორი და ლულუშაური ერთდროულად გავიდნენ.

ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩემთან შემოვარდა პოლკოვნიკის მდივანი ქალი:

— აბა, კოტე, სწრაფად, ქვემოთ მანქანაში თქვენი „შეფი“ გელოდებათ.

22.

უსიტყვოდ წამოვავლე ხელი ქუდს, გამოვიკეტე კარი და დაბლა დავეშვი. მაიორი შემოსასვლელის საფეხურებზე დამხვდა.

— აერობორტში მივდივართ „ტაშკენტ-სიმფეროპოლის“ თვითმფრინავს უნდა შევხვდეთ. ჩქარა, დრო არ ითმენს!

მანქანა რომ დაიძრა, იმნაძემ ჯიბიდან ამოიღო თეთრი კონვერტი, გამომიწოლა.

— ეს-ეს არის მივიღეთ.

წერილი ადგილობრივი იყო, ვუშინ ჩაება-რებიან ფოსტისათვის, დღეს კი კანცელარიაშია შემოსული. ლამაზი ქალური ხელით აწერია მისამართი.

კონვერტიდან ვარდისფერი ფურცელი ამოვიღე და შევუღექი ჩემთვის კითხვას:

„პატივცემულო ამხანაგო!

ჩემდა უნებურად, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ გავხენ თანამზრახველი ერთი ბოროტმოქმედი დამნაშავესა და შემდეგ ამისა, მკვლელიც. გუშინწინ მოგინახულე ჩემი მეგობარი ქალი — უდროოდ გარდაცვლილ პროფესორ ლუკავას ქვრივი. მისი საუბრიდან შევიტყვე: ლუკავა მოწამლა მისმა ორმა ასისტენტმა ძლიერ მოქმედი პრეპარატითო, რომელიც ნაკლებტენობლია მედიკებისათვისაც კი. ამის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა მოიპარეს პროფესორის ახალი, უდიდესი მეცნიერული აღმოჩენის ხელნაწერი. გამოძიებლის გზაკვალის ასახვევად, მათ ხელნაწერიდან ამოიღეს არსებითი თავები, შეცვალეს ისინი უაზრობით და შეავ-

დეს პროფესორის ბინაში. ყველაფერი ეს გამორკვეულია.

მეგობარი ქალის ნათქვამი ჩემთვის ცნობილ ზოგიერთ ფაქტს შევეუბრისპირე, ზუსტად გავერკვიე ყველაფერში და დავადგინე კეშმარბიტა, აი ისიც:

ჩემი საქმრო, ნიკოლოზ მხეიძე იმ ინსტიტუტის სწავლული მდივანია, რომელშიც ლუკავა მუშაობდა. გასული თვის შუა რიცხვებში მხეიძის თხოვნით მისი უახლოესი მეგობრის სიცოცხლის გადასარჩენად გამოვწერე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წამალი, სწორედ ის, რომლითაც მოწამლულია ლუკავა. რეცეპტისათვის შემთხვევით აღმომაჩნდა ბლანკი, იმ პოლიკლინიკის, რომელშიც მე წინათ ვმუშაობდი. იმავე ხანებში, ჩემი საქმროს თხოვნით რამდენიმე დღე დავდიოდი ერთ მემანქანე ქალთან და ვკარანახობდი ხელნაწერებს, რომელიც ეხებოდა ერთ დიდ მეცნიერულ აღმოჩენას. მხეიძის თქმით, იგი მას ეკუთვნოდა. მუშაობის დამთავრების შემდეგ იმავე მემანქანეს გადავაბეჭდვინე ცალკეული თავები და გვერდები. აღმოჩენის საიდუმლოდ შენახვის მიზნით მხეიძემ მიჩივა: მემანქანეს შოგონილი გვარი უთხარით; მაგრამ, მას შემდეგ რაც, ლუკავას ქვრივს ვესაუბრე, ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა.

მხეიძეს ბრალდებად წარვუდგინე ლუკავას მოწამლა. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს. ხელნაწერის შესახებ კი უაზრო და აბაღუბდა განმარტებას მაძლევს. მაგრამ მე ვეღარ მომტყუებ. იგი მკვლელი და მომწამლელია, მე კი მისი თანამონაწილე. იგი ხელნაწერის ქურდია, მე კი მისი ხელისშემწყობი. გუშინ მოვიდა და მომთხოვა ხვალ თვითმფრინავ „ტაშკენტ-სიმფეროპოლით“ ყირიმში გაფრინდი და ხელნაწერი გადაეცი ერთ ჩემს ამხანაგს, რომელიც შეგხვდება, ბილეთი უკვე ნაყილია და იმ დღესვე დაბრუნდებიო. მაგრამ მე უარი უთხარი. არ მსურს და არც შემიძლია მონაწილე ვიყო კიდევ ერთი დანაშაულისა.

ჩემზე გამოძიება და სასამართლო პროცესი დამთავრებულია. განაჩენიც გამოვიტანე. იგი დაუყოვნებლივ მოყვანილ იქნება სისრულეში. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ— არ დააპატიმროთ პროფესორ ლუკავას ასისტენტები, ისინი უდანაშაულონი არიან.

რასა ბიკენტის ასული გავაშელი“.

წერილის კითხვა რომ დავამთავრე, ღრმად ამოვიხენეშე და ჩემთვის წამოვთქვე:

— აფსუს, დასანანია.

— მართლაც, — მიპასუხა იმნაძემ და განაგრძო, — კოტე, გეგმა ასეთია — იგი პირდაპირ თვითმფრინავში უნდა დავაბატონოთ, რომ იტყვიან ხოლმე დანაშაულზე წავასწროთ...

23.

მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა. მაგრამ მაიორი მაინც ნერვიულობდა. აგერ აეროპორტიც გამოჩნდა „ილ-12“-მა თავზე გადაგვიფრინა და დასაჯდომად დაეშვა...

— ჩქარა, ჩქარა, ვაგვიანებთ! უბრძანა შოფერს იმნაძემ.

...საფრენ მოედანზე იმ დროს გავვარდით, როცა თვითმფრინავის კარი დაკეტილი იყო, ტრაპი კი აღებული.

მაიორი მორიგესთან მივარდა, სულმოუთქმელად უთხრა:

— შეაჩერეთ თვითმფრინავი! — მერე მხეიძის დაბატონების ორდერი ამოიღო, — მე სისხლის სამართლის სამძებროდან ვარ, მაიორი იმნაძე.

ცოტა ხნის შემდეგ ტრაპი მოავარეს. თვითმფრინავში ავედით. მხეიძე მეორე რიგში იჯდა, მარჯვენა სავარძელში, თავი უკან გადაეწია და

ყვითელი პორტფელი მუხლებზე დაედო. მაიორი მივიდა მასთან:

— მოქალაქე მხეიძე, თქვენ დაბატონებულნი ხართ...

ერთი საათის შემდეგ უკვე ქალაქში ვიყავით. მხეიძე აჩქარებით და ენის ბორძიკით იძლეოდა ჩვენებს, ყოველ წუთში წყალს ყლაპავდა. მან მთლიანად დაადასტურა გავაშელის წერილის სისწორე.

მხეიძე კარგად იცნობდა ლუკავას ჯგუფის საქმიანობას, იგი სარგებლობდა მიცვალებული პროფესორის უსაზღვრო ნდობით, ამიტომაც გააკეთა მისი ყველა მასალების ასლი. იმავე დამეს, როცა პროფესორი მოწამლა, შეძერა მის ბინაში და მოიპარა პორტფელი. შემდეგ კი, ლუკავას დასაფლავებას რომ ხელმძღვანელობდა, მან ურჩია ვასაძეს გვამის გაკვეთას დაესწარი და მოითხოვე მისი ფორმალინიზებაო. ეს იმისათვის გააკეთა, რომ წაშლილიყო მოწამლულობის კვალი. მისივე რჩევით ვასაძემ ლუკავას ბინის ყველა კარს გაუხეთა ანჯამები. იმავე მხეიძემ ურჩია ქვრივს ბრალი დაედო ვასაძისა და კავსაძისათვის.

— ბილწი არსება, — ჩაილაპარაკა მაიორმა იმნაძემ და დადგენილებას საქმის პროკურატურაში გასაგზავნად ხელი მოაწერა.



ნაზრომი საზოგადოებრივი საზოგადოების მნიშვნელობაზე კრიტიკაზე*

სარეცენზიო წიგნი მიძღვნილია საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემისადმი.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში სპეციალურადაა მითითებული, რომ მოქალაქეთა მოქმედება, მიმართული დანაშაულებრივი ხელყოფის აღკვეთისა და დამნაშავეთა დაკავებისა, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მართლზომიერია და არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მაშინაც, როდესაც ამ მოქმედებებით მოქალაქე იძულებული გახდა ზიანი მიეყენებინა დამნაშავესათვის.

თ. შავგულიძე აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტში ხედავს საზოგადოებრივად საშიშ ხელყოფათა წინააღმდეგ მოქალაქეთა ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. იგი თვლის, რომ აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტი წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების აქტიური სამართლებრივი მოდელის ერთ-ერთ მხარეს და ამდენად მისი მნიშვნელობა შემდგომშიც განუხრელად გაიზრდება.

საბჭოთა სინამდვილეში აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის გასაშუქებლად გამოცემულია რამდენიმე წიგნი, მაგრამ თ. შავგულიძის მონოგრაფია სრულიადაც არ წარმოადგენს ამ შრომების განმეორებას ან მათი შინაარსის უბრალო გადმოცემას. იგი გამოირჩევა დიდი მეცნიერული დამოუკიდებლობით. ბევრი საკითხი, რომელსაც აქვს თეორიული და უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა, დამუშავებულია ახლებურად. ამასთან ზოგიერთი მათგანის მიმართ ავტორი იძლევა ორიგინალურ, როგორც წესი ყოველმხრივ დასაბუთებულ გადაწყვეტას, ზოგის მიმართ კი მოაქვს ახალი არგუმენტები.

ავტორის ზოგიერთი დებულება შეიძლება საფუძვლად დაედოს გამოქვეყნული საკითხების შემდგომ მეცნიერულ კვლევას.

ნაშრომში ფართოდ, კეთილსინდისიერად და კრიტიკულად არის გამოყენებული ლიტერატურული წყაროების დიდი რაოდენობა, მათ შორის შრომები გამოცემული საზღვარგარეთის

სოციალისტურ ქვეყნებში. გულისყურითაა განალიზებული საბჭოთა და საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

ავტორის მიერ შეგროვებულია და კარგად არის გამოყენებული სსრ კავშირის და რსდსრ-ის უმაღლესი სასამართლოების გამოქვეყნებული და საქართველოს სსრ რესპუბლიკის და აჭარის ასს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების გამოქვეყნებული პრაქტიკა.

იმ უამრავ არსებით საკითხთან, რომლებიც წიგნშია განხილული, რეცენზიაში შეიძლება მხოლოდ ზოგიერთს შევეხოთ.

აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების საფუძველი ავტორს გამოაყენებს საბჭოთა სისხლის სამართალში აღიარებული დანაშაულის მატერიალური გავებით. აუცილებელი მოგერიების პირობებში ჩადენილი მოქმედება საზოგადოებრივად არ არის საშიში, იგი სასარგებლოა და ამიტომ არ შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულს.

საზოგადოებრივი საშიშროების გამოირიცხვლად გარემოებებს, ავტორი მიჩნავს იმ გარემოებათაგან, რომლებიც გამოირიცხავენ მხოლოდ ქმედობის დასჯილობას. ამასთან თ. შავგულიძე აკრიტიკებს ავტორებს, რომლებიც ერთმანეთში ურევენ გარემოებათა ამ ორ ჯგუფს და სამართლიანად აკეთებენ აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურეს აუცილებლობას გარემოებათა იმ ჯგუფს, რომელიც გამოირიცხავს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას. ამასთან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა აღიარებულია ობიექტურ რეალობად, რომელიც გაპირობებულია საზოგადოებრივად საშიში ხელყოფით. ამ თეზისიდან გამომდინარე გაკეთებულია რიგი დასკვნებისა, რომლებიც ეხება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის აღმოცენების და შეწყვეტის მომენტების განსაზღვრას და დაცვის მართლზომიერების პირობებს. ამ დასკვნებიდან ზოგიერთი ჩვენში ეჭვს ბადებს.

ვეთანხმებით თ. შავგულიძეს იმ ავტორთა კრიტიკაში, რომლებიც აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების საფუძველს ხედავენ



დანაშაულის ობიექტის არარსებობაში. ავტორი წერს, რომ აუცილებელი მოგერიების პირობებში ჩადენილი მოქმედება საზოგადოებრივად სასარგებლოა და არა საზოგადოებრივად საშიში, ამიტომ ასეთ შემთხვევაში ვერ ვილაპარაკებთ დანაშაულის შემადგენლობის არსებობაზე და ბუნებრივია, დანაშაულის ობიექტის არსებობაზე. საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო არ არსებობს დანაშაულის ობიექტი და არა პირიქით (გვ. 29—30).

სარეცენზიო ნაშრომში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აუცილებელი მოგერიების პირობებში ჩადენილ ქმედობათა სუბიექტურ მხარეს, რამდენადაც მოქმედების მიზანს წარმოადგენს კანონით დაცულ ობიექტთა დაცვა, არ შეიძლება ვილაპარაკოთ აუცილებელი მოგერიების დროს მოქმედი პირის განზრახვაზე და მის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობაზე. არ არის განიარაღებული იმ ავტორთა შეხედულება, რომლებიც ასეთ შემთხვევებშიც აღიარებენ დანაშაულის რაღაც ფორმალური შემადგენლობის არსებობას.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აუცილებელ მოგერიებას განიხილავენ როგორც საბჭოთა მოქალაქის უფლებას და ამასთან ერთად მის მორალურ ვალდებულებას, — ყოველ შემთხვევაში იგი მორალურ მოვალეობად განიხილება, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების, პიროვნების და სხვა პირის ინტერესების დაცვას საზოგადოებრივად საშიშ ხელყოფისაგან.

წიგნის ავტორი იძლევა არსებით დაზუსტებას. აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენებას, რომელიც კანონის მიხედვით უცილობლადაა დაკავშირებული ხელყოფისათვის ზიანის მიყენებასთან იგი არ თვლის მოქალაქის მორალურ ვალდებულებად, რადგან მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სამართლებრივი ობიექტის დაცვის და არა ხელყოფისათვის ზიანის მიყენების მორალური ვალდებულება. ამგვარად, ავტორი აუცილებელ მოგერიებას განიხილავს როგორც დაცვის ერთერთ საშუალებას და არ აიგივებს მას თვით დაცვასთან (გვ. 31).

რასაკვირველია, თუ დაცვა მოცემულ შემთხვევაში აუცილებლობითაა დაკავშირებული ხელყოფისათვის განსაზღვრული ზიანის მიყენებასთან, მაშინ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირთა ინტერესების დაცვის მორალური ვალდებულება განუყოფელია ხელყოფისათვის ზიანის მიყენებასთან, და იგი წარმოადგენს საესებით სამართლიანს და სავალდებულოსაც კი.

ჩვენის აზრით საფუძვლიანად არიან გაკრიტიკებული ის ავტორები, რომელთა შესხედულე-

ბით ზოგიერთ პირს აწევს აუცილებელი მოგერიების გამოყენების სამართლებრივი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობა დაკავშირებულია სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან. ამ შემთხვევებში სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა ინტერესების და მისი უფლებების დაცვის სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს სხვა საფუძვლიდან. მაგალითად, მილიციის მუშაკისათვის სამსახურებრივი ვალდებულებიდან და არა აუცილებელი მოგერიების უფლებიდან (გვ. 31—33).

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-13 მუხლის აზრის შესაბამისად ავტორს ფართოდ ესმის აუცილებელი მოგერიების დროს დაცვის ობიექტი (გვ. 92 და შემდეგ). იგი თვლის, რომ ასეთ ობიექტად შეიძლება მოგვევლინოს სისხლის სამართლით დაცული ნებისმიერი ობიექტი. ამასთან არა ყოველგვარი ხელყოფის დროსაა შესაძლებელი აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება. მაგალითად, შეურაცხყოფა, ცრუ ჩვენების მიცემა და სხვა, თვით ხელყოფის ხასიათის გამო არ ქმნის აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას.

ავტორი ასაბუთებს, რომ აუცილებელი მოგერიება, როგორც ხელყოფისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული მოქმედება, მართლზომიერია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელყოფა ჰქმნის სამართლით დაცული ინტერესებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს. აქედან გამომდინარე აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას არ წარმოშობენ დისციპლინური და სამოქალაქო — სამართლებრივი ვადაცდომიანი.

შრომაში სამართლიანადაა უარყოფილი აუცილებელი მოგერიების შეზღუდვა მხოლოდ ბრალეული ხელყოფის არსებობის შემთხვევებით. ამასთან დასაბუთებულია შეურაცხადი პირებისათვის აუცილებელი მოგერიების უფლების არსებობა.

დამაჯერებლადაა დასაბუთებული უმოქმედობის ფორმით ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ ხელყოფის წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების შესაძლებლობა გამონაკლისის სახით.

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების საკითხებს. დამაჯერებლად არის ვაკრიტიკებული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ თანამდებობის პირთა ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა წინააღმდეგ. ამასთან

ერთად ავტორი, ჩვენი აზრით სწორად ზღუდავს აუცილებელი მოგერიების უფლებას მხოლოდ თანამედრობის პირთა აშკარად კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით.

დასაბუთებულად არის უარყოფილი აუცილებელი მოგერიების ნიშნების არსებობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზიანის მიყენება ხდება ი. წ. დაცვითი ხელსაწყოებით, რადგან დაცვითი ღონისძიებანი პიროვნებამ შეიძლება განახორციელოს მხოლოდ უშუალო საშიშროების სახეზე არსებობის შემთხვევაში, მაშინ როდესაც უკვე აღმოცენებულია აუცილებელი მოგერიების უფლება.

საინტერესოდ და ახლებურად არის განხილული ერთ-ერთი ყველაზე უფრო საკამათო საკითხი — აუცილებელი მოგერიების ფარგლების ვადამეტების შესახებ.

ავტორი უარყოფს, როგორც თვით აუცილებელი მოგერიების ცნებასათვის შეუფერებელს, აზრს იმის შესახებ, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების ვადამეტება შეიძლება გამოიხატოს აუცილებელი მოგერიების ნებისმიერი პირობის დარღვევაში და რომ ვადამეტება შესაძლებელია არადროული (ნაადრევი, თუ დაგვიანებული) დაცვის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ არის თვით აუცილებელი მოგერიების ნიშნები და შესაბამისად ნამდვილად არ შეიძლება ლაპარაკი მისი ფარგლების ვადამეტებაზე. საფუძვლიანად არის განაზოგებული დაცვის და ხელყოფის ინტენსივობის შესაბამისობის ცნება. ავტორი წინადადებს იძლევა გაგაოვიდეთ რეალური საშიშროებიდან, რომელიც შეიქმნა სწორედ კონკრეტულ შემთხვევაში.

თ. შავგულიძე სწორია, როდესაც ზოგიერთი ავტორის საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების ვადამეტება საფუძვლებს 33-ე მუხლის ძალით შემამსუბუქებელი გარემოებად სწორედ მაშინ ითვლება; როდესაც შესაბამისი შემადგენლობა არ არის გამოყოფილი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში.

მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს დამნაშავეის დაკავების იურიდიული ბუნების განსაზღვრა. დამატებულად არის ნაჩვენები, რომ დამნაშავეის დაკავება დამოუკიდებელი ინსტიტუტია. დაცვის ობიექტი, მოქმედების მართლობიერების საფუძველი, დაკავების ღონისძიებათა ვადამეტების სახეები და სხვა პირობები განსხვავდება აუცილებელი მოგერიების შესაბამისი პირობებისაგან. ამიტომ არასწორი იქნებოდა დამნაშავეის დაკავება გაგვეთანაბრებია აუცილებელ მოგერიებასთან. პარტიისა და მთავრობის 1966 წ. 23 ივლისის გადაწყვეტილებებში ჩვენი აზრით, დამნაშავეის დაკავება განხილულია რო-

გორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი და არა აუცილებელი მოგერიების სახე.

აუცილებელი მოგერიების და უკიდურესი აუცილებლობის გამიჯვნის საკითხში ავტორი გამოთქვამს რამდენიმე ახალ მოსაზრებას. იგი უარყოფს აზრს იმის შესახებ, თითქოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა გამოირიცხავს მხოლოდ პირის ბრალს და არა ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას.

უნდა დავთავაზოთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოგერიება არის რეალური და არა მოჩვენებითი, როდესაც იგი მიმართულია რეალურად არსებულ საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის წინააღმდეგ, მაგრამ მომგერიებელი ცდება თავდამსხმელის პიროვნებაში, ან იმ მიზანში, რომელიც თავდამსხმელს ამოძრავებს.

ავტორის რიგი დებულებები საკამათოა. შევხებით ზოგიერთ მათგანს.

თ. შავგულიძე ისევე როგორც იმ საბჭოთა ავტორების უმრავლესობა, რომლებიც ამ საკითხზე წერენ, ვამოდის იქიდან, რომ დანაშაული განსხვავდება სხვა სამართალდარღვევებისაგან მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით. ეს განაპირობებს აუცილებელი მოგერიების ზოგიერთი საკითხისადმი მიდგომას.

ჩემის აზრით, დანაშაული სხვა სამართალდარღვევებისაგან თვისობრივად განსხვავდება სწორედ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებით. დისციპლინური, ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევანი წარმოადგენენ საზოგადოებრივად საზიანოს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში არ ატარებენ საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნებს. ეს მოსაზრება გამოთქმული მაქვს წიგნში „დანაშაულის ცნება“ (მოსკოვი 1948). არსებითად ასეთივე აზრი საფუძვლიანად არის არგუმენტირებული ი. სამოქმედო წიგნში „მართლდარღვევის ცნება საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით“.

იმ თვისიდან, რომ დანაშაული სხვა მართლდარღვევიდან განსხვავდება მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით, სარეცენზიო წიგნში გაკეთებულია დასკვნა, რომ „საფუძვლების“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევებში კანონმდებელს მხედველობაში აქვს არა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების სრული არარსებობა, არამედ საზოგადოებრივი საშიშროების იმ ხარისხის არარსებობა, რომელიც აუცილებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის (გვ. 20—21).

ეს დასკვნა გაკეთებულია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის კატეგორიული დებულების წინააღმდეგ, რომელიც არ შეცვლილა ორმოცდაორი წლის განმავლობაში.

1925 წ. სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსები (რსფსრ საპროცესო კოდექსის მე-4 მუხ.), მოკავშირე რესპუბლიკების 1926—1935 წლების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა (რსფსრ 1926 წ. სსკ-ის მე-6 მუხლის შენიშვნა), 1924 წ. საერთო საკავშირო „სისხლის სამართალწარმოების საფუძვლები“, (საფუძვლებში მე-6 მუხლი შეტანილ იქნა 1929 წ. შემდეგ კი ეს მუხლი გადატანილ იქნა სამი რესპუბლიკის სს საპროცესო კოდექსებში, მათ შორის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში) და ბოლოს 1958 წ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები და ყველა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ნათლად და ზუსტად მიუთითებენ, რომ არ წარმოადგენს დანაშაულს მოქმედება, რომელიც მცირემნიშვნელობის გამო არ არის საზოგადოებრივად საშიში. კანონი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ მოქმედება ამ პირობებში მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს და არა რაღაც საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს.

სამართლიანად აკრიტიკებს რა იმ ავტორებს, რომლებიც საფუძვლების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევებს თვლიან საზოგადოებრივად საშიშად, მართლწინააღმდეგად და ბრალულად, მაგრამ არადასასჯად, თ. შავგულიძე სწორად ამტკიცებს, რომ ასეთი მოქმედებანი არ წარმოადგენენ მართლწინააღმდეგებას და ბრალულს. ამასთან ავტორის აზრით აღნიშნული მოქმედებანი ფორმალურად შეესაბამებოდა დანაშაულის შემადგენლობას (გვ. 20—25). ამ აზრს არ შეიძლება დავეთანხმებით. დანაშაულის შემადგენლობა გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილში მითითებული ნიშნების სახეზე არსებობას.

საფუძვლების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი და საქართველოს სსრ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი გამორიცხავს დანაშაულის შემადგენლობის სახეზე არსებობას. აქ ლაპარაკია არა მოქმედებაზე, რომელიც ფორმალურად, შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, არამედ მოქმედებაზე, რომელიც ფორმალურად შეიცავს ისეთი მოქმედების ნიშნებს, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, ანდა როგორც ეს დაზუსტებულია რსფსრ-ის სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში, გათვალისწინებულია სსკ-ის განსაკუთრებულ ნაწილში. ეს ერთი და იგივე არ არის.

საერთოდ ფორმალური შემადგენლობის კატეგორია არ არის ცნობილი საბჭოთა სამართლისათვის.

სერიოზულ ეჭვს იწვევს ავტორის ძალზე კატეგორიული მტკიცება ხელყოფის დასაწყისი მომენტის განსაზღვრისათვის, დანაშაულის გან-

ვითარების სტადიის დადგენის საპირობის უარყოფის შესახებ. რასაკვირველია, მოცემულ შემთხვევაში, ესა თუ ის სტადია არ არის გადამწყვეტი, მაგრამ იგი სავსებით არ უნდა იყოს იგნორირებული. მაგალითად, თუკი ხელყოფა გამოიხატება მხოლოდ მომზადებაში, მაშინ როგორც საერთო წესი, აუცილებელი მოგერიების უფლება არ უნდა აღმოცენდეს.

ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომლის მიხედვით მოჩვენებითი მოგერიების პირობებში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი არის არა საფუძვლების მე-13 მუხლი, ე. ი. კანონი აუცილებელი მოგერიების შესახებ, არამედ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არარსებობა, რადგან მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილი ქმედობა, აუცილებელი მოგერიებისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივად საშიშია. ავტორი უარყოფს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კონსტრუქციას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეტებით, იმ შემთხვევაში, თუ მოჩვენებითი მოგერიების პირობებში დაზარალებულს მიყენებული აქვს ზიანი, რომელიც აღემატება ზიანის დასაშვებ ოდენობას ამგვარივე რეალური ხელყოფის შემთხვევაში.

ისეთი მოჩვენებითი მოგერიების დროს, რომელიც გამოწვეულია კეთილსინდისიერი შეცდომით, სუბიექტურად ზიანის მიყენება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ხდება. ამასთან პირს საქმის ვითარების გამო არ შეეძლო ან არ იყო მოვალე შეეგნო რეალური ხელყოფის და შესაბამისად აუცილებელი მოგერიების უფლების არარსებობა. ამიტომ ასეთ შემთხვევებში კანონზომიერია საფუძვლების მე-13 მუხლის გამოყენება. ამგვარივე საკითხი, მაგრამ უფრო რთულ ფორმაში წამოიჭრა ავტორის აუცილებლობის დროსაც. ავტორის კონსტრუქცია, რომელიც ასეთ შემთხვევებში ხედავს მისატყვებელ შეცდომას, საკმაოდ მერყევია, რადგან აქ საკითხი არ ეხება საფუძვლების მე-8 და მე-9 მუხლში ფორმულირებული განზრახვის თუ გაუფრთხილებლობის არ არსებობას, თუკი განავითარებთ ავტორის შეხედულებას, მაშინ არ გვექნება აუცილებელი მოგერიება, როდესაც მოგერიებელი კეთილსინდისიერად ცდება, ხელყოფის დამთავრების ან მისი საშიშროების შეფასების საკითხში და ა. შ.

ვთვლი, რომ თუკი მოჩვენებითი მოგერიების დროს პირს შეეძლო და მოვალეც იყო შეეგნო, რომ ადგილი არა აქვს საზოგადოებრივად საშიშ ხელყოფას, და შესაბამისად არც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას, მაგრამ იგი ჰკლავს დაზარალებულს ან აყენებს მას

სხეულის დაზიანებას და თანაც სურს ასეთი შედეგის დადგომა, დამანაშავემ პასუხი უნდა აგოს არა გაუფრთხილებელი, არამედ განზრახი დანაშაულისათვის. ჩვეულებრივად ასეთ პრაქტიკას აღვანან სსრ კავშირისა და რსფსრ-ის უმადლესი სასამართლოები კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტის დროს.

ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აუცილებელი მოგერიება წინასწარ შეცნობით შეურაცხადი პირის წინააღმდეგ არ უნდა იქნეს რაიმეთი შეზღუდული. თ. შავგულიძე (იგი ამ საკითხში სცილდება სხვა საბჭოთა ავტორებს) ამას ასაბუთებს იმით, რომ თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენების მართლზომიერება განისაზღვრება ხელყოფის ობიექტური საშიშროებით და არა თავდამსხმელის სუბიექტური მდგომარეობით (გვ. 65—66). საკითხის ასეთი გადაჭრა არ შეიძლება მივიჩნიოთ საფუძვლიანად. საბჭოთა მოქალაქეს უდევოდ აქვს უფლება აუცილებელი მოგერიების პირობებში ზიანი მიაყენოს თავდამსხმელს, როცა თავდასხმა დანაშაულებრივია, თუნდაც არსებობდეს საფრთხის აცილების სხვა შესაძლებლობა (საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოება იწონებს დანაშაულთან ბრძოლაში მოქალაქეთა აქტივობას და ინიციატივას), მაგრამ არსებითად განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება წინასწარი შეცნობით შეურაცხადი პირის თავდასხმის მოგერიება. ამ შემთხვევაში თავდასხმა არ არის ბრალეული და დანაშაულებრივი, იგი გამოწვეულია ავადმყოფური მდგომარეობით, ასეთი თავდამსხმელისათვის ზიანის, განსაკუთრებით კი მძიმე ზიანის მიყენება (მოკვლა, სხეულის მძიმე დაზიანება), მაშინ როდესაც იყო აშკარა შესაძლებლობა მოგერიებისათვის საფრთხის შექმნის გარეშე აცდენილი ყოფილიყო თავდასხმა, ვახილული უნდა იქნას, როგორც ულმობლობის და გულქვაობის აქტი. პირიქით მისწრაფება იქითკენ, რომ როგორც ზიანი არ მიაყენო ავადმყოფ ადამიანს, რომელიც ვერ უწყევს ანგარიშს თავის მოქმედებას უნდა განხილულ იქნეს არა როგორც სიმხდალის, არამედ, როგორც ჰუმანურობის აქტი.

ავტორი არ არის სწორი, როდესაც თვლის, რომ ასეთ შემთხვევაში დარღვეული იქნება პრინციპი, რომლის მიხედვითაც მართლზომიერად განიხილება თავდამსხმელისათვის ხელყოფის საშიშროების შესაბამისი ზიანის მიყენება, რამდენადაც წინასწარი შეცნობით შეურაცხადი პირის ხელყოფის საშიშროება შეიძლება აცილებული ყოფილიყო თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ამდენად ქრება შეურაცხადი თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენების უფლება.

მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს დისკუსიური ხასიათის მქონე შეხედულება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების სუბიექტური ხასიათის შესახებ. მაგრამ სერიოზულ ექვს იწვევს უარის თქმა მომგერიებლის ფსიქიკური კავშირის გამიჯვნის შესახებ, ერთის მხრივ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების თვით ფაქტის და მეორეს მხრივ ზიანის მიყენების მიმართ. ამის შედეგად სუბიექტური მხარის შინაარსი ვადმოცემულია (გვ. 128, 129) საკმაოდ განუსაზღვრელად და არ შეესაბამება საფუძვლების მე-8 და მე-9 მუხლების შინაარსს. მაგალითად, საქართველოს სსრ სს კოდექსის 107-ე მუხლით პასუხისგებაში მიცემისათვის ხომ აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს პირის სუბიექტური დამოკიდებულება დაზარალებულის სიკვდილთან.

ვერ დავეთანხმებით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების მიმართ მოქმედების მცდელობით კვალიფიციენტების შესაძლებლობის უარყოფას (გვ. 139).

ავტორი წერს, რომ შეუძლებელია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების მცდელობა. მაგრამ ასეთი მცდელობა ხომ არ არსებობს. აქ საქმე ეხება მკვლელობის, ქონების განადგურების ან სხვა კონკრეტული დანაშაულის ჩადენის მცდელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების დროს, თუ რასაკვირველია, სახეზე გვაქვს პირდაპირი განზრახვა. თუ პირი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ისროდა თავდამსხმელის მოკვლის მიზნით, მაშინ მან საფუძვლების მე-15 მუხლის ძალით პასუხი უნდა აგოს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილი მკვლელობის მცდელობისათვის (საქართველოს სსრ სს კოდექსის მე-17 და 107-ე მუხლები). ამ შემთხვევაში მცდელობის შესაძლებლობის უარყოფა, ჩემი აზრით, გამომდინარეობს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების ფაქტის და დამდგარი შედეგის მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულების გამიჯვნის საჭიროებაზე უარის თქმის უსაფუძვლობიდან.

ლაპარაკობს რა დამანაშავეს დაკავების უფლებაზე, ავტორი არ ზღუდავს მას ჩადენილი დანაშაულის საშიშროებისა და დაკავების გარემოებების მიხედვით (გვ. 141—142). მაშინ როდესაც მოკვლევის ორგანოებს უფლება აქვთ დააკავონ ჩვეულებრივი მხოლოდ ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც შეიძლება დანიშნულ იქნეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით და მხოლოდ მაშინ თუ სახეზეა კანონში მითითებული გარემოებანი (საქართველოს სსრ სს საპრ. კოდ. 121-ე მუხ.).

135-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „მართლმსაჯულების განსაზოციებლად აუცილებელი

ლია დაკავებულ იქნას დანაშაულის ჩამდენი პირი“. აქ უეჭველად დაშვებულია რედაქციული შეცდომა. ავტორს არ ჰქონდა მხედველობაში ყველა იმ პირის დაკავების აუცილებლობა, რომელმაც ჩაიდინა რაიმე დანაშაული. საკმაოდ ნებისმიერია მოსაზრება იმაზე, თუ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე როგორი ზიანის მიყენების უფლება აქვს დამკავებელს (გვ. 142).

უკიდურესი აუცილებლობის საკითხების განხილვისას სასარგებლო იქნებოდა ავტორს მოეტანა შესაბამისი დებულებები მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსებიდან.

აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ბუნებითი და ხელშეკრულებითი თეორიების

გადმოცემის დროს საჭირო იყო იმაზე მითითება, რომ ამ თეორიებს, თავის დროზე, ხელისუფლებასთან ბურჟუაზიის მისვლამდე პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

საერთოდ, თ. შავგულიძის წიგნი იმსახურებს უდავოდ დადებით შეფასებას, იგი სასარგებლო იქნება მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკებისათვის, სტუდენტებისათვის და ყველა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია საბჭოთა სისხლის სამართლის საკითხებით.

ნ. ღურმანაშვილი,

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

6 41/213



ფაბო 50 333

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР